

of 1 B Gals
the, assisting a guide at
arriving from 1911 of that

ce case
dwellers c
arved picture

black

to write

It also repo
the
this
the

standing office att

black

black


large numbers

some black husbands.

great, gave women economic power, as

to be it was in the labor force.


these.



that time
to be a

of 1 B G K
the, assisting a guide at
arriving from 1911 of that

ხელნაწი



ლიტერატურული კალიტრა



ლიბ. ჰე

ნიგნი მოამზადა | ჯგუფმა „სიესტა“
გამომცემელი | ქეთევან კილურაძე
გამომცემულია 2009, თბილისი
© გამომცემლობა „სიესტა“, 2009
ISBN 978-9941-9089-2-7
გამომცემლობა შპს „სიესტა“
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 27
ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49
ელ-ფოსტა: books@siestagroup.ge

სიესტა

პოეზია

შალვა ბაკურაძე

საღვთომან ნისლმან

გ ზამ დაიფაროს ყველა მგზავრი,
 გ ზამ აზიაროს მოკლულები,
 გ ზამ ამიხილოს გული
 ამ სიმღერაში, რომლისთვისაც
 სამ უკანასკნელ შუალამეს
 გარს უშედეგოდ ვუვლი.
 ზღვამ გამიმხილოს მარილი და
 ამ მინიანი ლაყურებით
 კვლავ ამამღეროს შენთვის,
 რომ შენი ხელი კიდევ ერთხელ,
 რომ შენთან ყოფნა კიდევ დიდხანს,
 სხვა არაფერი მეტი.
 აქ ყველაფერი შენითაა,
 აქ ყველა ძილი შენთვის მღვიძავს
 და უფრო ვხვდები, მენდე
 თუ ეს სიტყვები დღევანდლამდე
 უერთმანეთოდ, როგორ ძლებდნენ,
 რას ელოდნენ და ძლებდნენ.
 ძლებს ჩემი ხსოვნაც ომგამოვლილ
 ძვლებ გადამტყრეულ მეგობრებად,
 ნლებ გადახოტრილ ბავშვად,
 რომ ჩემი ლოცვა სიყვარული
 მათ დაუვინყარ სახეებად
 ამ სიმღერაში ჩავსვა.
 ესვა შენი წყალი სერობებზე,
 ესვა შენი ღვინო ონკანიდან,
 სხვასველარავის ვანდო,
 ეს ეჭვით სავსე გულისჯიბე.

მტვრით გაჟღენთილი პერანგი და
 მზით გაცრეცილი მანტო.
 რომ ყველაფერი დაგავინყო,
 რომ ყველაფერი მაპატიო,
 რომ შეჩურთული სადმე
 ბნელ კარადაში მიპოვნო და
 ფრთა სახელოში გამიყარო,
 ტანთ ჩამიცვა და გავთბე.

ეკა ქევანიშვილი

გოგონებისთვის

ხილვა:

გზაჯვარედინზე თერთმეტი წლის გოგონას ვხედავ.

გოგონა,

ეს ვარდისფერი ზურგჩანთა როგორ გიხდება.

მელნისფერი ჩუტყვავილებიც.

როგორ გიხდება გოგონა, შენი თერთმეტი წელი.

მაგ რძისფერი მაისურიდან მომავალი მკერდი მანიშნებს

ყველა მამრის დაძაბულობას.

ჩალისფერ თმაზე მიბნეული ვერცხლისფერი თმისსამაგრები –
 თითქოს თაფლში ჩავარდა მთვარე.

გოგონა, გამომიწოდე მარჯვენა ხელი, მორიდებით გამომიწოდე,

რალაც მინდა გადმოგილოცო. სილასავით ჩაგისრიალებ:

ეს შესაძლო ცხოვრებაა. შენი. დახედე.

მე შენ გამზადებ გაძლებისთვის.

მე შენ გაძლევ მემკვიდრეობას.

გზის გადაღმა მდგარი მე – შენ ვარ.

ჩემი ტუჩების მოძრაობა – განიშნებ:

პატარა ბიჭებს სიყვარულის არაფერი გაეგებათ.

ისინი უნდა მიატოვო მანამდე.

დიდებს არაფერი აკვირვებთ, ისინი უნდა მიატოვო შუაში.

თანატოლებს არაფერი სთხოვო არასდროს,

იკივლე და სანამ გაშრები, გამოიქეცი.

ბებრებს დაუდგი ჯამით წვნიანი,

წამით აინიე კაბა და გადააბიჯე.

ყველა ქალი, მოთხუპნული შინდისფერი პომადით და გრძელი ფრჩხილებით.

ყველა ქალი, ჭკვიანი მზერით და დაბრეცილი ფეხებით,

ყველა, შეშლილიც, გამოჩენილიც,

ამისთვის მოვა – ჩაგირგონ ფეხთან სუროს ფესვი.

სილამაზეზე ზრუნვა – გარედან, სინამდვილეში

დახრჩობის ცდაა.

შენ თქვი – რაც მათთვის სიმდიდრეა, ჩალის ლერებში გადაგიცვლია.

თქვი – სადაც ისინი ლოცულობენ, შენ იქ მკრეხელმა,

სიყვარულის ნაღმი დაფალი.

შენ თქვი – ის ისედაც მათი იქნება, რასაც გართმევენ.

შენს ხელებში წყლად იქცევა. შენ ის გიხმება.

თქვი – აღარაფრის შეშურდებათ.

თქვი და გაფრინდი.

გაკვეთილი მეორე. ისევ მისთვის.

ზაფხულიდან თუ გამომხედავ,

ბოლო სართულის აივანზე შემდგარი

ეს თორმეტი ქანდაკება, ყინულის,

– მე ვარ.

ზუსტად ამდენჯერ დავაპირე დაშვება და წამში გამყინა.

არ მიშვებს სუსხი. რამდენჯერაც ამოვისუნთქე

ფილტვების ეს ხმა გამჭვირვალე ეშვივით შემრჩა.

დაიმახსოვრე, მკვდრებს ყინულებში ინახავენ.

აქ ისეთი ამინდებია,

სიცივემ ტანი დაფარა ეკლით.

ზღარბივით ვგორავ,

თუ სადმე რამე ცოდვა მოიხსნეს, ვაშლებივით ზედ წამოვიცვი.

აქ ზამთარია.

ჩემი ხილვის უცვლელი კადრი:

ეკლესიის ეზოში დგას დაკლული ცხვარი.

ჩაფუფქული მამალი ყივის.

ნაქცეული ხბო ძოვს თავის სისხლიან ბალახს.

შენ ზოოპარკში,

საპნის ბუშტებს უშვებ შავი პონის მიმართულებით და მეკითხები:

რატომ სწირავენ ღმერთს შინაურ ცხოველებს, დედა.

პასუხი არ მაქვს.

თემას გიცვლი. შეხედე:

ნისლში ცურავენ კორპუსები, გამზირები ჰკიდია ცაზე. მიეჩვიე, რა თავისუფლად ვხვდებით სიკვდილში, როცა ნისლისგან წაშლილია ყველა საზღვარი.

ეს კაცი კი, ახლახანს რომ მხარი გავკარი, ჩემი ბაბუა.

ის უკვე მოკვდა.

ჩვენ ორნი

ერთად ვიგერიებთ ამ ყრუ დარტყმებს, რაც შემოგვრჩა სიყვარულისგან.

უფსკრულში ცვივა ასხლეტილი კენჭები,

შენ კი,

ის უფრო გაინტერესებს,

უცებ ჭაში რომ ჩამივარდე, დედაბერი რით დაგასაჩუქრებს.

მე მეშინია, არ გაცივდე.

მეშინია არ გადმოგადო გამყინვარება.

არ გიშვებ გულთან – უზარმაზარმა ყინულის ბურთმა

უცებ შენშიც არ შემოაღწიოს.

არ გაკარებ მუცელთან – იქაც ცივა, ძაბვის ვარდნა მაქვს.

საძინებელი ჭერახდილია.

უფრთხილდი ზამთარს ზაფხულში არ შემოგეპაროს.

მზად ხარ გვამებზე თავისუფლად სიარულისთვის.

დედი, დედაშვილობას,

ძეხორციელის სუნი მცემს.

გვარი მაქვს პრასისა,

კამის სარტყელი მარტყიაო.

ბებრის ბანი ბამბიანი...

მარჯვნივ ნახვალ ინანებ. მარცხნივ ნახვალ ინანებ.

მე მითქვამს, შენ აირჩიე.

ვთქვი და გავფრინდი.

მიეჩვიე, რა თავისუფლად ვხედებით სიკვდილში, როცა ნისლისგან
ნაშლილია ყველა საზღვარი.

ეს კაცი კი, ახლახანს რომ მხარი გავკართო, ჩემი ბაბუა.

ის უკვე მოკვდა.

ჩვენ ორნი

ერთად ვიგერიებთ ამ ყრუ დარტყმებს, რაც შემოგვრჩა
სიყვარულისგან.

უფსკრულში ცვივა ასხლეტილი კენჭები,

შენ კი,

ის უფრო გაინტერესებს,

უცებ ჭაში რომ ჩამივარდე, დედაბერი რით დაგასაჩუქრებს.

მე მეშინია, არ გაცივდე.

მეშინია არ გადმოგადო გამყინვარება.

არ გიშვებ გულთან – უზარმაზარმა ყინულის ბურთმა

უცებ შენშიც არ შემოაღწიოს.

არ გაკარებ მუცელთან – იქაც ცვივა, ძაბვის ვარდნა მაქვს.

საძინებელი ჭერახდილია.

უფრთხილდი ზამთარს ზაფხულში არ შემოგეპაროს.

მზად ხარ გვამებზე თავისუფლად სიარულისთვის.

დედი, დედაშვილობას,

ძეხორციელის სუნი მცემს.

გვარი მაქვს პრასისა,

კამის სარტყელი მარტყიანო.

ბებრის ბანი ბამბიანი...

მარჯვნივ ნახვალ ინანებ. მარცხნივ ნახვალ ინანებ.

მე მითქვამს, შენ აირჩიე.

ვთქვი და გავფრინდი.

ალექსა ჩილვინაძე

ხესთან იდენტობის გაცნობიერების პროცესი

ქალაქის ხეების პორტრეტები ინვევენ განცდას,
რომ ჩვენი იდენტური მდგომარეობები,
უბრალოდ საჭიროებენ გაცნობიერებას.
ამის შედეგად, ჩემში დაინყება
საკუთარ თავთან დაბრუნების თანდათანობითი პროცესი.
მინდა ვფიქრობდე, რომ მეც ისევე ბუნებრივი ვარ,
როგორც ეს აყვავებული ხე.
ჩემი ფიქსირებული ადგილი, ამ კონკრეტულ წამს
არაფრით არ განსხვავდება მისგან.

* * *

შორისდებულები სარეცელსა და სარეველას შორის
იქნებ ქრებიან და იწყება
ურთიერთობების ხსოვნაშიგადასვლის ისტორია,
რომელიც განაპირობებს უწყვეტი კავშირების მოშლას
და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ჩემი მდგომარეობა
საბოლოოდ არ დაემთხვევა ამ ხის მდგომარეობას.

* * *

ბავშვმა ბურთი გამოაგორა ჩემსკენ
და მისკენ გამოიშინა.
მომიახლოვდა და ბურთი დაავიწყდა,
თვალეებში მიყურებს –
ჩემი ხედვაცევა ახლა ისეთი აშკარაა
მისი გამოხედვიდან.
ერთ ფოთოლს ვუწვდი მას.
ისიც მართმევს.

* * *

ვუსმენ სემინარს მემარცხენე ქრისტიანობაზე
 და ვფიქრობ როგორ გაგრძელდება ჩემი
 ხესთან იდენტიფიკაციის უწყვეტი პროცესი.
 მღვდლები, რომლებიც არ წამოვიდნენ ქარხნებიდან
 განკვეთა ეკლესიამ – არ ვიცი
 რა აქვს ამას საერთო ფოთლების შრიალთან.

* * *

არავინ ელოდა ბარ „დუბლინში“ ხის გამოჩენას,
 მაგრამ არავინ შეიმჩნია.
 ძველი მეგობრებიც ძველებურად მილიმოდნენ.
 მედიდურად ვიჯექი მაგიდასთან
 და ვცდილობდი გაადამიანურებას
 ლუდის სმითა და მოსანევიტ.

* * *

მეტროს ბოლო მატარებლით
 ვბრუნდები მე – ხე.
 ჩემს ჩრდილქვეშ თავი მოუყრიათ
 დაღლილი სახის ადამიანებს.
 ვდგები და ვყვირო:
 „ფეხები ცეკვის ფრთებია“
 ყველა გაკვირვებული მიყურებს,
 არავის მოუსმენია ეს ფრაზა ხისგან.
 ესკალატორით ავდივარ ლამეში.

* * *

მიღებ კარს და ხედავ შენ წინ ხე ამოზრდილა.
 თითქოს არაფერიო, მთელი დედამინის ზურგზეშენს
 ერთადერთ და განუმეორებელ ზურგს მაქცევ
 და ოთახში უჩინარდები. უკან მოგყვები,
 ვიცი საწოლში მაგრძნობინებ:
 გაზაფხულს, ზაფხულს და შემოდგომას.
 სიზმარში ვხედავ უღრან ტყეს
 და თავს კი ველარ ვცნობ.

ა.ჩ

ქეთი თუთბერიძე

პიანინო ანუ რიტუალი არიელისთვის

her C. M. Schröder,

იუდეველთა საიდუმლო უნდა მოგაფცქენა შავი ტანიდან!
 იქნებ რამდენი ათწლეულია

რაც ამ ცივ კედელს მიეჩვიე და

მეზობლების სიზმრებს ისმენ უცხო ენაზე.

მუნჯი კადრივით ყელში იგუბებ მათ წყვეტილ ბგერებს –
 იოგებშორის.

ეს ერთადერთი პროტესტია,

ძვირფასო Schröder,

უმოდრაობამ ფორმა დაკარგა გზისპირა სახლში.

ეგ შენი ძვლები წინადაცვეთილი მამაკაცის ნარჩენებია.

და მე კი,

Schröder,

ერთადერთი მოჩვენება ვარ შენს სიჩუმეში,
 სადაც ფანჯრები ოდნავი სუნთქვით ტრანსფორმირდება.
 გათენებისას მოდიან მკვდრები
 და ფიჩხებივით ნაგროვებ დღეებს კართან გვიყრიან.
 მე,
 ერთადერთი შენი ფრაუ და მოჩვენება,
 ძველი ტილოთი გნმენდ შიშებისგან
 ყოველ შაბათ დღეს,
 თორემ ეს ხმებიც სადაცაა ჭერს დაბზარავენ.
 მე მოგცემ ჩემს ხორცს,
 ამ თმებს,
 თხელ ძარღვებს...
 მოირგე კანის ყველა უჯრედი,
 თორემ შენს მხარეს დიდი ხანია
 ერთფეროვნება მიეძალა ინფექციებად.
 ჩაიდგი ხორხი,
 რომ იყვირო სისხლისდენამდე
 და ქალაქები დაივინყონ მაგისტრალებმა,
 თითების მსგავსად რომ იშვერებ ჰაერში სახლებს,
 ქვიანი ენით რომ ლოკავენ ახალ ეპოქას კარამელივით.
 მოირგე ჩემი კიდურები!
 და გზა,
 რომელიც დატეხილია ოთხივე მხარეს,
 ფეხისგულეზე უნდა აიკრა.
 her C. M. Schröder,
 ჩემთან დატოვე ეგ მტკრიანი, შავი ნალები!
 დაბრუნებამდე გადაგინახავ.

თამთა დოლიძე

თუ

თუ ეს მინაა, მაშინ ჩიტებს
 რატომ ვაბიჯებთ,
 თუ ცაა, რატომ ვიზრდით მუცლებს
 დასამძიმებლად,
 შუბლზე ვინიშნავთ
 მაჯისცემის არეულ ნაბიჯს,
 ვალსის რიტმივით,
 სადაც უნდა, იქით წაგილებს.
 იქ, სადაც მინა სახადივით
 გადამდებია,
 ვთამაშობთ ოჯახს,
 უნებლიე ბავშვის გაჩენით,
 (ხელბურთის მსგავსად)
 დაჭერიდან გადაგდებამდე,
 ვისი ჯერია?!
 ნაკლებია შანსი დარჩენის
 ასე გულღია ჭრილობასთან,
 დროს რომ აჩერებს,
 და გიჭირს ვინმეს მისამართით
 თითის გაშვერა.
 თუ ეს სახლია,
 მაშინ რატომ არა მყავს დედა,
 ყოველ დილით რომ მოჭრილ ფეხზე
 ცივ წყალს მასხამდა,
 თან ლოცვასავით ბუტბუტებდა
 ერთ სიტყვას – „ნეტავ“
 და ისტერიულ ნაბიჯებით...
 ვიდრე, გაცლამდე.
 მამა კი, ფანქრის ერთი მოსმით,

(კედლის პროფილი),
 იაფფასიან ქალღმერთად
 თვალებს აცეცებს,
 მის დანახვაზე მახსენდება
 სიტყვა „ყოფილი“
 და ზამთრის ჩიტი ჩამომჯდარი
 პურის ნამცეცთან.
 არ ღირს ტარებად,
 თვალებთან რომ, თითქოს, დაგექცა,
 ნყალი, რომელიც ატკიებულ
 გულთან მიგქონდა,
 ან ეს უდროო პორიზონტი
 შუბლის დაღმართზე,
 უნებართვოდ რომ შეგისახლდა
 და შენც, დამარცხდი.

ბელა ჩეკურიშვილი

ღია ბარათი
ანუ, მე ვხედავ დედას

მე ხომ მატყუარა ვიყავი და
 სკოლის მაგივრად სკვერში ვიჯექი,
 რომ თვალდახუჭულს მზისთვის მეცქირა,
 მოჭადრაკე პენსიონერებს კი ვეუბნებოდი,
 რომ დედა საქმეზეა წასული აქვე,
 ძმა კი ოკეანეებს სერავდა გემით.
 მატყუარა ვიყავი და
 პატარა ბიძაშვილებს ვუყვებოდი
 კარადიდან გადმოვარდნილ ჩონჩხებზე
 და შავხელებიან მამაკაცებზე,

ისინი იზაფრებოდნენ და
 სახლში დაბრუნებისას ტიროდნენ.
 მატყუარა ვიყავი და
 პირველ სექტემბერს
 მეგონდოლე ბიჭების სიმღერებს ვმღეროდი,
 ვყვებოდი წყალში ფესვგადგმულ სახლებზე
 და ნისლში მოტივტივე ხიდებზე,
 საიდანაც მითიური არსებების ხმები აღწევდა.
 მატყუარა ვიყავი და
 კბილს ვიტკიებდი
 როცა ჩემს მეგობარ ბიჭებზე მეკითხებოდი,
 მერე კი მაჯას ნიერის კბილებით ვიხვევდი
 და შეძლებისდაგვარად ვკვნესოდი კიდევ.
 მატყუარა ვიყავი და
 გასასუხობდი,
 რომ ქოთნები აივნიდან რახანია შემოვიტანე
 და ფანჯრის რაფებზეც ჩამოვალაგე,
 არც გამათბობელს ვტოვებ ჩართულს
 და თაფლის ჭამაც არ მაფინყდება.
 მატყუარა ვიყავი და
 ყოველთვის ვახერხებდი,
 ჩვენს შორის აღმართული კედლები
 გამჭვირვალე ფერად გადამეღება,
 ვახერხებდი, რომ
 ჩემს თვალეში, ჩამონგრეული მერცხლის ბუდეები კი არა,
 ყვავილებით სავსე კალათები დაგენახა,
 და თუ ხანდახან
 ჩემი ხმიდან შეშინებული ბაჭიები გადმოხტებოდნენ,
 უძილობას ვაბრალებდი და
 ნანწავების რხევით ვაქრობდი.
 ჰოდა, ახლაც,
 იმედია, შევძლებ, დაგარწმუნო,
 რომ ხელებს საშველად კი არ ვიქნევ ჰაერში,
 ცეკვაა ასეთი, უხეში და თანამედროვე...

სალომე შენგელიძე

„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“

ათიოდ თაობა ჩემი წინაპრების
და ცოტა ნაკლები – შთამომავლების
იგულისხმება ალბათ სისხლში,
მე კი არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო,
როგორ ვწერო და როგორ განვიცადო
ეს ამსიყვითლე შემოდგომა,
რომელმაც შეაგროვა ნაწილ-ნაწილ გაბნეული ყოველი ეჭვი
და თქვა: ყველაფერი თავიდან იწყება,
როგორც ყოველთვის, ჭკნობით.

*„შემოდგომამშვიდობისა, ჩემო ცხოვრებაე,
ჩემო მუდმივადცვალებადო, ჩემო მოუხელთებელო,
ჩემო თითქმის არაჩემო არსებობაე“*

ზვიად რატიანი

„სალომე, გამოტოვე ეს კადრი!“–
ამბობს ფოლადის მამა და
სალომე რთავს თავისი ცხოვრების ფონოგრამას,
რომლის მუსიკა დანერა მამამ
ნანა, მეუღლე:
ზუსტად ასეთი მელოდია უნდა ყოფილიყო:
სიყვარულის კი არა,
მორჩილების და მოვალეობების
გახამებული აკორდებით აწყობილი,
ისეთი ცხადი,
სულ მეშინია,
ამ კლავიშიდან არ ამოხტეს სამზარეულო,
აქედან – უთო და პერანგი,
აი, იქიდან, იმ მოლიპული კლავიშიდან

ჩემი ბასრი და ყოჩაღი მეზობელი

ციგურებით და ათასი ჭორით:

ფეხი არასდროს დაუცდება.

სწორედ ასეთი მელოდია უნდა ყოფილიყო:

არა - სიყვერულის, - მორჩილების,

რომელსაც მართლმადიდებლური მოტივით

შემომახვევდი ჩადრივით

და კვანძის შეკვრისას თითები

შეუმოსავ ხორცს თუ შეეხებოდა შემთხვევით,

ბოროტად გეტყოდი:

ჩემო ქრისტიანო, მუსლიმო და ბუდისტო ქმარო,

ნადი იერუსალიმში, მექასა და მედინაში

ანდა ტიბეტში:

შენ რელიგიით ქართველი ხარ.

ზუსტად ასეთი მელოდია უნდა ყოფილიყო:

ყველაზე დიდი მოვალეობის -

შვილების აღზრდის.

გახამებული კლავიშებით უკრავდი თიკოს,

ზაზას, სალომეს

და მხოლობითში იყო სამივე:

არ ახსენებდი მათ ნახევრებს სამომავლო მისამღერებში.

ასე გეგონა:

ემორჩილება ყველა შვილი ლითონის მამას,

განსაკუთრებით მაშინ, როცა

ლითონი უჟანგავია.

შვილებიც იყვნენ ლითონისები,

თავისნაირად მონყობილები:

სისხლთან და ხორცთან რეაქციაში

ვერცერთი შედის.

მდგრადია კოროზიისადმი
 ალუმინის თიკო, –
 სახლის მუანგავი ატმოსფერო ვერაფერს აკლებს.
 მას ბავშვობიდან ხან რომელ წიგნში გაელვიძება
 და ხან – რომელში.
 სულ არ ადარდებს, რომ ოჯახის ჰიმნს
 მორჩილად მღერის:
 სამაგიეროდ მისი ფიქრები
 შორია და პარალელური.
 ზაზაც, სალომეც – ნატრიუმი.
 ოლონდ სალომე ჯერ იწვის და
 მერე ფეთქდება
 (ოჯახის ჰიმნს საგანგებოდ ხმამალლა მღერის
 და საგანგებოდ ამახინჯებს.
 ის საგანგებოდ სალომეა.),
 ზაზა ფეთქდება და მერე იწვის
 (იმ მელოდიის რომელიმე მისამღერს თუ წაილიღინებს, –
 არის, არც არის.).
 ჩემი ოჯახი, მეტალთა ჯგუფის,
 აქ მთავრდება და იმის იქით
 არის ალბათ სისხლი და ხორცი,
 აი, თუნდაც სამეზობლოში.),
 რომლის ტექსტი დაწერა მამამ
 (თიკო, უფროსი ქალიშვილი:
 პატიოსან ოჯახში ტელევიზორიც კი პატიოსანი –
 (პორნოარხები დაბლოკილია) –
 იგულისხმება ალბათ ტექსტში,
 მე კი არ ვიცი ასე გვიან
 რა მინდა,
 როგორ მინდა და
 რატომ მინდა
 სუსხიანი ზამთრის შემოდგომის შუალამეში.

რომელი დროა მაშინ,
 როცა ფანჯრების მიღმა არის ზამთარი,
 ჩემს ნოველებში – ფოთოლცვენა და
 მამას ლექსში – გაზაფხული?!.
 ხსნაა, რომ ყველგან შუალამეა და
 გამელვიდა სუსხიან ზამთრის გაზაფხულის შემოდგომაში.
 ასე, ხანდახან გამოლევინებული
 ვლილინებ შხაპისას,
 ჭამის წინ და შემდეგ,
 თარაზულად და შეეულად
 მამაჩემის უცნაურ ტექსტს,
 რომელიც ნაღმა და უკულმა,
 მარცხნიდან მარჯვნივ და
 მარჯვნიდან მარცხნივ
 იკითხება უნაკლოდ პატიოსნად,
 ერთფეროვნად და
 ხმამაღლა
 და ვერაფერს მოვუხერხებ,
 გარდა ჩემებული ინტერპრეტაციისა:
 „პატიოსან ოჯახში ტელევიზორიც კი პატიოსანი“.
 მე კი საკუთარი ნოველების ტავტოლოგია ვარ
 და აღარ ვიცი, სად ვიცხოვრო:
 ამსიმცირე ნოველებში,
 იმსიმაღლე ოჯახის ჰიმნში თუ
 იმსიდიდე დედამინაზე?..),
 მერე ოჯახი ხმის ჩამწერ სტუდიაში
 ნაიყვანა
 (ზაზა, ვაჟი:
 სუპერსტუდია სუპერტექნიკით,—
 ჩვენ არაფერი გვევალება ყავის სმის გარდა.
 ყავაც ტექნიკური და უგემური:
 თუ გსურთ რაიმე ნატურალური,
 სისხლი იგემეთ,
 თქვენივე სისხლი, ბატონებო!

ანდა ჩემ სისხლზე დამეწვიეთ:
 თეტრი, ნახევრადმშრალი,
 ოცდაექვსწლიანი დაძველებით,—
 შემომრჩებოდა ორიოდ ჭიქა.
 თიკომ ჩამოიცვა ყურსასმენები და
 მიკროფონთან მლერის თავის წილ ცხოვრებას,
 რომელიც ძალიან გავს ჩვენსას.
 „არ მოკვდე და თუ გინდა,
 ჩემ მაგივრად იყავი,“—
 მეხვეწებოდა
 ორი ათეული წლის წინ.
 მე კი ვიყავი ექვსი წლის,
 ძალიან მტკიოდა ბრმანაწლავი და
 სულ არ მინდოდა თიკობა.
 ეხლა კი, რალა მნიშვნელობა აქვს,
 ვინ ვიქნები ამ სუპერსტუდიაში:
 თიკო თუ
 სუპერტექნიკა.)
 და მათ მაგივრად იმღერა
 (სალომე, უმცროსი ქალიშვილი:
 ეს ალბათ მხოლოდ მე უნდა გითხრა,
 როგორც უმცროსმა,
 ასაკის გამო ასე თამამმა:
 „შემოდგომამშვიდობისა“, მამაჩემო,
 გარეთ ზამთარია
 და რომელიმე შორეულ გაზაფხულზე
 ყველაფერი თავიდან დაიწყება
 ჩვენით და სავარაუდოდ, ჩვენებურად.
 გადანყვეტილია:
 „ჩვენი ჩვენებურად“ უნდა იყოს
 „შენი ჩვენებურად“
 წელიწადის ნებისმიერ შორეულ დროს.
 მე კი, თიკოს მსგავსად,
 არეული ვარ დროებში,
 განსაკუთრებით— გრამატიკულად.

ეამბობ:

„ხვალ მოთოვა“

(მომავალი წარსულში სრული დრო),

„დღეს მიყვარდა“

(ანმყო წარსული განგრძობითი),

„გუშინ დავწერ“

(წარსული მომავალში).

ეგულისხმობ:

უდროობა.

უდროობაში ის შორეული გაზაფხული

ნეტა რომელი ინტუიციით,

ნეტა რომელი ლოგიკით ანდა

რომელი გრამატიკით

გამოვიცნო?!

მე კი არეული ვარ დროებში,

განსაკუთრებით – ვერბალურად:

მე – თმაჭალარა ახალგაზრდა

დღეს,

ხვალ

და გუშინ –

მამამისს ასე ესალმება:

„შემოდგომამშვიდობისა“, მამაჩემო,

გარეთ ზამთარია და

უდროობა.

გულისხმობს:

მრავალი „შემოდგომამშვიდობისა“ კიდევ,

მამიკო,

მაგ კადრს კი იმ შორეულ გაზაფხულამდე

გამოვტოვებ.).

ისინი კი ამოძრავებდნენ მხოლოდ ტუჩებს

და ზუსტად ერთნაირ ცხოვრებებს იზეპირებდნენ.

რეზო გეთიაშვილი

ზღვის პოემა

„და დაკარგულ ქმარს, სიზმარში, უკან
ყელგამოჭრილი მიყვება ფარა“.
თეა თოფურია

ეს ნავი ვერსად დაბრუნდება, შიშობ კი არა,
იცი (უბრალოდ, არსაიდან არ წამოსულა).
ეს ზღვა დილამდე პატარა ზღვას იმშობიარებს,
იცი (ცალხაზა ჰორიზონტმა დააორსულა).

ეს ქარი, სარეცხს (ჰორიზონტებს) თოკზე რომ აშრობს,
სულაც რომ ზურგი ქარი იყოს, ზურგის ბუნდოვან
ცნებას ვერაფერს მოუხერხებ, უბრალოდ, სახლი
არა გაქვს (იცი), სულ სახლია (იცი), სულ დროა

ნასვლის, რადგან არ დაღამდება, თუ არ იარე
და თუ იარე, გაჩერდები და თუ არასდროს
არ დაღამდება, აღარც ეს ზღვა იმშობიარებს
მორიგ ნაშიერს, ნივილით რომ შემოგთავაზოს

მარშრუტი: ერთი გაჩერება, კურსი ქვემოთ და
ადგილი – ფსკერზე და მინისკენ – უმოკლესი გზა
(ქვემოთ), ცხადია, რომ სიზმარში ეს უკვე მოხდა,
რაც ცხადში მოხდა, ყველაფერი მხოლოდ გესიზმრა

და როცა სინჯავ დასასრულის მსუბუქ არომატს
(აქ თავი უნდა მოიკეთილთვისებინო)
და ელოდები ზღვის მშობლიურ მშობიარობას,
თავისუფალი ადგილი რომ იმშობიაროს

შენთვის, საკუთარ სიღრმეებში, ფსკერის ენდემებს
შორის და როცა იმას ხედავ, რასაც უყურებ,
თვალის განვდენის ნახევარზე ცეცხლი ენთება,
გულის განვდენის ნახევარზე გრძნობ, რომ შუქურა

გამოჩნდა (მოკლედ – ამ შუქურის შესახებ: ბინდი
როცა თვალების ბოლომდეა და საზღვრის პირას
მყუდროდ ენყობი დაშლილ ნავში, დაბლა რომ მიდის,
ხედავ შუქურას, უფრო სწორედ, შუქურა-მირაჟს

და გრძნობ, ისე გრძნობ, და ისე გრძნობ, რომ ეგ შენი ზღვა
გულის ჯიბეში ჩაეტევა და თუ იცი რომ
არ ჩაეტევა, შეგიძლია პირზე შეისხა
და ქაფი ღრუბლის ხელსაწმენდით ჩამოიცილო.

შენი სისხლიდან, წამის წინ რომ ფსკერის ბინადრებს
შორის მიგქონდა, გადმოდიან, ვინც გზას კი არა,
დროს გაუყენა ერთმა წამმა, ახლა სინათლედ
რომ გელოდება, ამ დროს წყალზეც რომ გაიარო,

დასაშვებია, ნაპირამდე ფეხით გახვიდე,
მაგრამ როგორც კი დაიჯერებ, დღეებს, წლებს, რიგებს
გასცდი და ცოტაც და სახლში ხარ, ქრება, აქედან
გამომდინარე, არც აპირებ) და ველარ იგებ,

რა მოხდა, ან იმ თეატრამდე როგორ მიხვედი,
ინთება შუქი, ქრება ღამე, ციდან ცალ-ცალად
იპარებიან ვარსვლავები და ზღვა ისეთი
გასუსულია, თითქოს მართლა მკვდრები დაყარა...

ამ დროს წკაპუნით სადღაც მორიგ ფანჯარას ხსნიან,
იქ გოგო ღამეს ცეცხლს უტოვებს, წვება და ისევ
იმ სიზმარს უცდის, დაკარგულ ქმარს (სულ ცოტა გვიან)
ყელგამოჭრილი ცხვრის ფარა რომ ბლავილით მისდევს.

თეა თოფურია

წასვლა დაინყო

აფეთქების ხმა არავის გაუგია,
 მაგრამ მას შემდეგ სამყარო ფართოვდება.
 და სხეულები (ეიური და არა მხოლოდ)
 შორდებიან ერთმანეთს,
 მიიწევენ სამყაროს იმ კუთხეებისკენ,
 სამყარო ჯერ თვითონაც რომ არ ყოფილა.
 წასვლა დაინყო!

ის საგანიც კი,
 რომელიც ამ წუთას ხელში გეჭირა,
 ყველგან ხედავდი,
 ხანდახან უნუგემოდ ქრება,
 პიანინოს თავზეც კი არ არის
 (ყოველთვის ვამბობდი,
 სახლში, სადაც პიანინო არაა,
 ყველაფერი იკარგება).
 გზები,
 რომელიც ადრე საძოვარივით იყო,
 საცალფეხოა
 (ყოველთვის მეგონა,
 საცალფეხო გზაზე
 ცალფეხა ხალხი დადის-მეთქი).
 წასვლა იწყება,
 როგორც კონცერტი
 ან რეფორმა

და იძულებული ხდები,
 ყველაფერი მეხსიერებაში გადაიტანო,
 იმ თვალებით, რომელსაც ცის ფერი
 დიდი წვალეებით შეუნარჩუნდა.

სანამ გამოქვაბულიდან გამოვიდოდი
 და ვიტყოდი,
 რომ მზე მზეა,
 ცა ცაა,
 ლამის მეშინია...
 ვისწავლიდი ბგერებს და სიტყვებს,
 სამყარო იყო ახალი
 და მიწა მოუხნავი.
 მერე, როცა გამოქვაბულს გამოვეპარე,
 ისარგაყრილი ტახებით მოხატულს
 (ადრე მეგონა, გულის ხატვა არ იცოდნენ
 და ტახს ხატავდნენ)
 და ვთქვი ყველა ნასწავლი სიტყვა,
 ისე, როგორც ველურებს სჩვევიათ,
 მითხრეს, რომ ჩემი სიმართლე
 ჩემსავით შიშველია და უტიფარი.
 მას შემდეგ, როცა მინდა, ვთქვა
 ის, რაც ერთხელ ვთქვი,
 ვყლაპავ ნერწყვს და
 ვაქებ ლიმონს ჩაის ჭიქაში,
 ან ვამბობ, რომ ყვავილი,
 მთელი ცხოვრება რომ ია მეგონა,
 ფურუსულა გამოდგა...
 მერე კი იწყება ნასლა
 და გამოქვანულში დაბრუნებული,
 ვხატავ ტახს, რომელსაც ისარი გაუყარეს.

მინა გადმოსწიეთ,
 ოღონდ ფრთხილად, მთები არ დაიშალოს!
 ისე გიყურებ, როგორც ფერეიდნელი ბავშვი
 საზღვრის იქით გაშენებულ ვენახს.
 შეიძლება გავძვრე კიდეც ცისარტყელას ქვეშ,
 სირბილით ვიარო და მოვიდე,
 რომ ვიცოდე, მარტო მე არ მენატრები,
 რომ ვიცოდე, ეს მართლა ვენახია
 და არა დაუკრეფავი, რომელშიც არ უნდა გადავიდე.
 რომ არ ვიცოდე ის, რაც ზუსტად ვიცი –
 შენ მხოლოდ მითმენ,
 მეტი არაფერი.

ნასვლა დაინყო!
 ძველი, დაჟანგული მატარებელი
 იდგა გაუქმებულ ლიანდაგებზე,
 იმ მინდვრის პირას,
 რომელიც მიჩვეული იყო
 მატარებლების ჩავლას.
 მატარებლები მიდიოდნენ
 ზოგი სად და ზოგი სად,
 მინდორი მათ ველარ წვდებოდა.
 მინდორი ელოდა, რომ ესეც ჩაივლიდა.
 დიდხანს ელოდა
 და მერე თვითონ ჩაუარა გაბეზრებულმა.
 როცა გათენდა, მატარებელმა ნახა,
 მინდორი აღარ იყო.

როცა ხიდს ვჭრიდი,
 მდინარე ყავისფერი მოდიოდა,
 თითქოს მის წყლებში
 ყავეხანის ჭურჭელი გაერეცხათ.
 რა შუაში იყო,
 მაგრამ გამახსენდა,
 რომ სტუდენტობისას
 ძალიან გამხდარი ვიყავი,
 საკუთარ ჩრდილზე შეიძლება ცოტათი მეტი.
 როდესაც ნასვლა დაიწყო,
 მაშინაც,
 რა შუაში იყო,
 მაგრამ გამახსენდა,
 შუადღის თბილ ამინდში
 როგორ გავდივარ ხოლმე სახლიდან.

შენ ამას შეესწრები,
 თუნდაც იმიტომ, რომ დარწმუნდე,
 დამბრუნებელი აღარა ვარ.
 გტოვებ ისეთს, როგორიც აგილე,
 ბევრი არაფერი მომიკლია.
 სულ მინდოდა მეკითხა
 (მაგრამ, ახლა რალა აზრი აქვს).
 სულ მინდოდა მეთქვა
 (ან თუნდაც ამას).
 რა გამოვიდა, ერთხელაც კი ვერ მოგეფერე...

იმ იხვივით ვარ,
გადამფრენი იხვივით
ტბა რომ გაყინული დახვდა;
იმ ძალღვივით, პატრონი რომ გაეპარა სახლიდან,
ის კი მაინც კედლებს დარაჯობდა,
თაგვებს უყეფთა და ობობებს...
გვიან გაიგო, პატრონის წასვლით
მისი წასვლაც რომ დინყო,
რომ სამშობლო იქ არ არის,
სადაც დაგაბავენ.

სხეულები
(ციური და არა მხოლოდ)
მიიწვევენ სამყაროს ბნელი კუთხეებისკენ,
სადაც სამყარო თვითონაც არ ყოფილა.
მე მომინევს, დავათვალიერო ეს სიბნელე
ჩემი ნაკლებად ცისფერი,
და სამკუთხა თვალებით
და ვთქვა,
რომ თუმცა არავის არაფერი გაუგია,
მოხდა დიდი აფეთქება
და მას შემდეგ ერთმანეთს ვცილდებით.

კოკა არჩვაძე

კეთროვანთა

1

ამ ქუჩაზე კარლო კაჭარავა დაყვებოდა ვამპირებს;
 თავის ტუტუც სამშობლოს,
 ნათესავეებს დასავლეთიდან ჩაი ჩამოჰქონდათ
 და აღმოსავლეთიდან ჩურჩხელა,
 ტუტუცი სამშობლო დაჰქონდათ ჩვენს სახლში.
 ბაკურაძე დადიოდა ამ ქუჩაზე
 და თავის სიკვდილის ხომალდს ყიდდა ფიცარ-ფიცარ,
 ბიძაჩემივით შავი, მანდარინების დიეტის შემდეგ
 და ორი ტყვია მაჩუქა დაბრუნებულმა.
 ასანთის კოლოფებში პლანი და ტყვიები ჰქონდათ
 და ტუტუც სამშობლოს გაურბოდნენ.

2

ჩვენი სამშობლო პერპესია – კოცნით გადადის.
 ო, მაკოცე რომ არ დამავინყდეს ჩემი სამშობლო,
 როგორც ქავილი,
 რეციდივი,
 თავს მახსენებდეს!
 ო, მაკოცე რომ არ დამავინყდეს!
 მაკოცე როგორც აკოცებდი აკაკის ცხედარს,
 განაცრულ კანზე,
 სველი ტურებით,
 რომ მუდამ მახსოვდეს
 მაკოცე როგორც აკაკის ცხედარს,
 ოღონდ ტურებში.

3

ყვარელის მთებს ვერ ქაჩავდა მისი მკერდი,
 ურალის ქედვივით მორიდებული ბავშვობას ფარგლავდა,
 და ხეობაში ცხვირი დავდე, თვალი დავხუჭე,
 კეთროვანად რომ გამლვიძებოდა
 კარლო კაჭარავას ქალაქში, ვაგზლის მოედანთან,
 სადაც მისი ვამპირებიდან ყველაზე საცოდავები იკრიბებოდნენ
 და ყველაზე საყვარლებიც.
 მე დავხუჭე თვალები ამ ხეობაში და სუნთქვა გამითანაბრდა.
 მისი შვილი კი ძმძმ-ს მეძახის როდესაც კარლო კაჭარავა მკვდარია
 და მისი ტუტუცი სამშობლო ვაგზლიდან ყველაზე სანყლებს ყრის
 და ყველაზე საყვარლებს.
 დეზერტირების ბაზარი არის ჩემი სამშობლო
 და დამპალი ხილ-ბოსტნეულის სუნი მუდმივ ტალახში.
 ასეთი უნდა გიყვარდე.

4

დროა იცოდე შენი სამშობლოს ყველა სიმპტომი
 და კანი გქონდეს მანდარინივით.
 მანდარინია შენი სამშობლოს ნამდვილი სახე,
 ციტრუსოვანი ნაბიჭვარი და არა ვაზი.
 ყურძნის მტევანი არის ტყუილი რომელსაც მუდამ
 შენ გასწავლიდნენ იმისათვის რომ დაივიწყო;
 მანდარინია შენი ჯიშის კაცთა საკვები.
 ამიტომ გიჭირს სიყვარული,
 ამიტომ ცქმუტავ.
 მოდი გაკოცებ, რომ არ დაგავინყდეს.
 პეი, მოდი გაკოცებ!
 დროა ისუნთქო სავსე მკერდით და
 კანი გქონდეს მანდარინივით.

5

კაჭარავას ვამპირებს არასოდეს ჰგავდნენ
 დავით ჩიხლაძის ვამპირები,
 თუნდაც ლიპებით.
 მას შესაძლოა არანაკლებ უყვარდა,

მაგრამ არასოდეს ესმოდა მათი
 და მათი პროვინციიდან, მანდარინის ყუთებით
 ჩამოტანილი დარდის, არაფერი გაეგებოდა.
 ჩიხლაძემ თავისი ტუტუცი სამშობლო
 მანჰეტენზე წაიღო
 და უკან ჩამოიტანა,
 შენ კი რატომღაც გგონია რომ არ გაგყვება
 და ბილეთზე მაჩალიჩებ.
 ხორბლისფერი კანი გაქვს
 მაგრამ მანდარინის სუნი ასდის.
 უწვრთნელი ნაგაზიც კი მიხვდება.

6

7
 აფხაზეთიდან დევნილებმა
 თავი „დეზერტირების“ ბაზრის განაპირას მდგარ
 სასტუმრო „კოლხეთს“ შეაფარეს,
 რომლიდანაც მათ მალე გაასახლებენ,
 მაგრამ ამ ეგზისტენციალურ აბსურდზე
 რომ გაგეცინოს
 ყველა შეურაცხყოფილი დარჩება,
 გასასახლებლებიც და გამსახლებლებიც.
 შენს სამშობლოში ბლიუზი და ჯაზი
 რჩეულთა ხვედრია,
 არავის ესმის შენი სამშობლოს მონების ლილინი.

8

ნება მომეცი გაკოცო ხორბლისფერ მკერდზე,
 აქ დავასვენო ჩემი მანდარინისფერი გოგრა.
 ეს ჩემი გოგრის ბოსტანია,
 საგოგრე ზონა,
 ასეთი ტუტუცი ვარ
 ჩემს სამშობლოსთან ერთად.
 მოდი გაკოცებ,
 შენ არ მოგიკლავს ილია და
 დიმიტრი ყიფიანი,
 მოდი გაკოცებ.
 მე დავხუჭე თვალები ამ ხეობაში
 და სუნთქვა გამითანაბრდა.

ნინო სადღობელაშვილი

სახედარი

დავიბადე თუ არა,
 შენც იმ დღესვე შემოგაგდეს
 ჩემს ეზოში,
 ჩგარედან კარი მოგიკეტეს და
 დაგტოვეს სამუდამოდ.
 რა იყო ჩვენი სიმდიდრე? –
 ცოტა პური და მტვრიანი ქერი,
 მე ვიზრდებოდი და
 შენ კი თვალებში
 წყალი გიღრმავდებოდა.
 სანწყალო, სად აღარ გატარე!

აგკიდებდი ხოლმე
 ამდენ პატრონგამონაცვალ ხერხემალზე,
 თუ რამე მეზადა,
 გავშლიდი სიზმრებიდან გადმოხატულ
 რუკას,
 დავხუჭავდი თვალებს და
 დავასობდი საჩვენებელ თითს –
 აი ამ ქალაქს,
 ამ ხეივანს გამატარებ სახედარო!
 – მღვრიედ გეტყოდი...
 ან რა ჩვენი ქალაქი ის იყო,
 ან რა ჩვენი გასაველელი ხეივანი!..
 სულ თავქვე გატარე ცისთვალეზავ,
 როცა უმიზნოდ დაეხეტები –
 თავქვე დადიხარ, აბა რა არის!
 რამდემჯერ უხმოდ ჩაიჩოქე,
 ჩემთვის არც კი ამოგიხედავს,
 ასე მხოლოდ დედები იჩოქებენ
 შვილებს რომ არ დაენახონ,
 ისიც ხანდახან..
 რამდენჯერ მიწაში წარგე ტურჩები,
 სიმწრის ნერწყვით დაასველე და
 იმანაც,
 თითქოს ცამდე ამ სისველით გაფუფულმა,
 წვიმით გინამლა!
 ან როგორ თოვდა შენს გარშემო
 ცაცხვის ფოთოლი!
 ან რა სიმშვიდით მიათრევედი
 ყველაზე მძიმეს სამყაროში –
 ჩრდილის საპალნეს..
 მაგ გამობუგულ ფერდებშიც
 რამდენჯერ მოგხვდა!
 სახედრის წესია –

ურჩობისთვის უნდა დაირტყას
მათრახი!
სახედრის წესია –
ერთი გზით მაინც პატრონის გზას გადაუხვიოს,
ერთი ნებით მაინც მის ნებას ასცდეს,
მერე გიჟივით გახევდეს მზისქვეშეთში და
პატრონს ისაც კი აფიქრებინოს:
ნამი გაქვავდა!
როცა სახედრის პატრონი გქვია,
მათრახიც თან უნდა გქონდეს..
როცა წინ
სიზმრებიდან გადმონერილი რუკა გაქვს
გაშლილი,
მათრახსაც ნიავის გემო აქვს.
თვალეზანთებული მიდიხარ
ქალაქისკენ,
გზა მაგნოლიის ხავერდით გაუსხავს
და
გული – ამდენჯერ პატრონგამოცვლილი
ბებერი სახედარი
ზურგით მაცხოვარს მიატორტმანებს.

ზურა ჯიშკარიანი

ავტოსაგზაო მოძრაობის წესები

(ედღენება პატარა ანონიმური ქალაქების ანონიმურ ტურისტებს და დაპეროინებულ ანონიმურ LADY-ს რომელმაც ანონიმურ კლუბში ყველაზე ლამაზად მომიკიდა სიგარეტზე) (ან იქნებ მომეჩვენა..);)

1.იარე ნელა

როგორც ღრუბლები იცვლიან ფორმებს ყველა შუქნიშანი გაფუჭებულია და არასწორ მიმართულებას იძლევა გუშინ მიტოვებული ბინებისკენ. ყველა შუქნიშანი სინამდვილეში არ არის შუქნიშანი ეს მოძრავი ფერები სინამდვილეში

ურთულესი კომუნიკაციური სისტემებია რომლებიც გვესაუბრებიან სიყვარულზე ამბობენ რომ

ყველა ქალაქში არის სიყვარულის საიდუმლო ოთახი რომელსაც უძინარი ერთეულები პოულობენ ხოლმე ღამის 12-ის მერე

იფიქრე მათზე

იფიქრე სიყვარულის საიდუმლო ოთახზე ნეონური გადაღლილობის ქალაქებში

იფიქრე მასზე, როგორც ვარდისფერ აბზე, რომელიც მოგგვრის სითბოს და ძილს

2.იარე ნელა

როგორც ნვიმა ეცემა მინებს

ან ფრინველები მიფრინავენ იქ სადაც მზეა დაიცავი ტუჩებიდან ტუჩებამდე არსებული მოძრაობის წესები იმისათვის რომ

განუმეორებელი ორგაზმებით შეაღწიო მათ სხეულებში და როცა ისინი დაიძინებენ მათ სიზმრებში მოკლა ხსოვნა შენზე და ნახვიდე როცა გათენდება

მაქსიმუმ წარწერა სიგარეტის კოლოფზე სამახსოვროდ

მხოლოდ ესე შეიძლება გადარჩე მხოლოდ ესე შეიძლება შეინარჩუნო

3.იარე ნელა
 როგორც პეპლები კორპუსებს შორის სალამოს ჩერნობილში
 როცა ტელევიზორით სავსე ქალი ფენს სარეცხს
 და კატები ყეფენ როგორც რადიოშიშინი
 და შეიკარი ღვედები
 მერე რა რომ მანქანაში არ ზიხარ
 შეიკარი ეს ზეცისფერი ღვედები
 შაჰიდის ქამარივით

როდესაც აინთება ნითელი – ყველა აბონენტი გახდება მიუნვედომელი
 როდესაც აინთება ყვითელი – ჩვენ მოგბეზრდება ერთმანეთი და
 მოვასწრებთ
 სიზმრების ნახვას
 ყველაფერი დასრულდება სანამ აინთება შემდეგი.

ს ა ნ დ რ ო ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე

ც ა თ ა მ ბ ჯ ე ნ ე ბ ი

*„ლიმონები და ფორთოხალები – ნმინდა კლემენტის
 რეკენ ზარები“
 ჯორჯ ორუელი*

ჩვენ დავემსგავსეთ შიშველ ცათამბჯენებს,
 ინდუსტრიული კარმის ენერგიით გამოკვებილ
 ტალახისფერ ფაბრიკა-ქარხნებს,
 ჩვენ დავემსგავსეთ ეკლებდამტვრეულ
 გამხმარ კაქტუსებს – ნითელ პრერიებში.
 ყოველი ჩვენი ამოსუნთქვა გავს ძველისძველი
 ავტომობილების ნაცრისფერ გამონაბოლქვს
 და ყოველ დილით, გაღვიძებისას,

ვრახრახებთ და ვწრიპინებთ,
 როგორც გაზონსაკრეჭი მანქანები.
 ჩვენ დავემსგავსეთ საკუთარ ფრჩხილებს,
 უპეგადიდებულ თვალების მიღმა დარჩენილ სივრცეს
 და ქაოსს, რომელიც ვინრო ქუჩებში
 დასრიალებს ჩხრიალა გველივით.
 სანაგვე ურნებში აღმოჩენილ საჭმლის ნარჩენებივით
 გვტკივა და გვიხარია, რომ ვილაცისთვის
 ჯერ კიდევ წარმოვადგენთ სასიცოცხლო მნიშვნელობის,
 თუმცაღა ჯანმრთელობისთვის საშიშ წარმონაქმნებს.
 ჩვენ დავემსგავსეთ ცათამბჟენების ფანჯრებიდან
 უდროო დროს გადმოყრილ გაფუჭებულ საათებს,
 გვიჭირს დავინახოთ სამყარო საკუთარ ქუთუთოებს მიღმა.
 როგორ შეიცვალნენ ბავშვობისას,
 ღრუბლების ფორმებში დანახული არსებები,
 როგორ გაეზარდათ დინგები, რქები, ჩლიქები..
 სადღაც არსებობს პლასტმასის ზარების სამრეკლო,
 პოლიეთილენის გუმბათებით
 და მათი ხმები ლეიტმოტივად ედებიან ჩვენს გაღვიძებას,
 ჩვენს ღიმილებს, იავნანებს და შემდეგ სიზმრებს.
 ჩვენ დავემსგავსეთ კლავიშაქცენილ როიალებს,
 რომლებიც უკაცრიელ გზებზე მარტოდ დარჩენილი
 პიჩპაიკერებივით დაგორავენ ქვაფენილიან დაღმართებზე,
 ხანდახან გვესმის საიდანღაც ძაღლების ქშენა,
 ხანდახან გვესმის.
 და უფრო ხშირად სიჩუმეა, სრული სიჩუმე,
 რომლის გარეშეც ჩვენ ვერ ვხვდებით ვსუნთქავთ თუ არა,
 რომლის გარეშეც ველარ ვხედავთ
 ერთმანეთის ტუჩებს შორის დარჩენილ ნაპრალს
 და უსასრულოდ გაკვივიან ჯართის ქარხნების საკვამურები,
 როგორც დედები, ომში დახოცილი შვილების სასაფლაოზე.
 ჩვენ დავემსგავსეთ ერთმანეთის უნაკლო კლონებს
 და შენ კი მაღლა, ალბათ ახლა

ველარც კი არჩევ მომაკვდავებს ჩვილებისაგან,
რომ საგვამე ორმოები გაუნანილო ადამიანებს.
როგორ ცივა ყოველთვის, როცა თიბავენ ქუჩებს..
როგორ ცივა ყოველთვის, როცა მოთიბული ქუჩების მიღმა
ჩანან ქალაღდის ეკლესიები
და ღმერთი, რომელიც უკვე რა ხანია ჩვენ დაგვემსგავსა.

პ ა ა ტ ა შ ა მ უ გ ი ა

მომხდართა ლოცვა

ერთხელაც მოვხდეთ
და მოვახდინოთ ყველა ჩვენგანი
ისე, როგორც იესომ მოახდინა თითოეული წამი
და არ გამოაცალკევა ისინი
დროის მანქანიდან.
უბრალოდ, მოვხდეთ
როგორც ყოველდღიური რიტუალები,
როგორც დილის მენიუ
და ღამის მენიუ,
ან სამადაშვილის თავის ქალაზე
მიმხმარი ხვლიკის თავის ქალა
და შენი თავის ქალაზე
მიყრდნობილი ჩემი თავის ქალა
და მუზეუმში დაყუდებული
პირველი ევროპელის თავის ქალა
უბრალოდ მოვხდეთ,
როგორც ჩაი და ჩაიდანნი,
როგორც ბურთი და მოედანნი,
როგორც ბონი და კლაიდი,

როგორც ბონი და ბერლინი,
 როგორც ლეონარდო და კეიტ მოსი,
 როგორც ლეონარდო და ვინჩი.
 უბრალოდ მოვხდეთ,
 როგორც ხდება ცრემლი – განშორებისას,
 როგორც ხდება ცრემლი – სინანულისას,
 როგორც ხდება ცრემლი – სიყვარულისას,
 როგორც სიყვარული – სიყვარულისას.
 დე, სხვები მოხვდნენ სამოთხეში,
 და ასკეზას მინდობილებმა
 ზილონ სივრცითი წარმოსახვები,
 სხვებმა აგროვონ ბალახის ფოთლები
 და შეუერთდნენ ეთერულ სიმშვიდეს,
 ჩვენ კი ვისხდეთ ყვითელ სკვერში და
 ხანგამოშვებით მოვხდეთ ხოლმე.
 ისედაც მოხდა მოსახდენი:
 ყველა სიტყვა დაუბრუნდა მნიშვნელობას,
 ყველა სუნთქვა დაუბრუნდა ნესტოებს,
 ყველა გმირი დაუბრუნდა ისტორიას,
 ყველა ცრემლი დაუბრუნდა გუგებს,
 ყველა ჯვარი დაუბრუნდა ქრისტეს
 და ყველა ქრისტე დაუბრუნდა ჯვარს.
 აი, შენც მოხდი და ახლა უკვე
 შენ მიწყობ ღამით სასთუმალზე ლეგალურ სიზმრებს,
 შენ მჩუქნი ღამეს ვარსკვლავიანს
 და ფოთლებაკაპინებულ შემოდგომას,
 შენ მჩუქნი ნებას, რომ გაეულო მათ, ვინც კარებზე
 დიდი ხანია, უიმედოდ აკაკუნებენ.
 შენ მიჩენ იმედს, რომ ურცხვად არ გაინელება
 ქუთუთოებზე გაკიდული მოლოდინები.
 შენ მაძლევ ნიშანს, რომ უსათუოდ
 მოვხდებით, თუკი შეიძლება, რომ

ითქვას და ალბათ შეიძლება, რომ
 ითქვას და თანაც, ისე უბრალოდ,
 როგორც – „უფალი,“
 რომელიც მოხდა.

2008

ინგა ანდლულაძე

დამემატე

ცაზე დანერილ უტოლობებს ამოვხსნი,
 ორივე მხარეს გავატოლებ,
 მინუს უსასრულობებს გავადადებითებ,
 მაგრამ მე მარტო ჯამს ვერ შევცვლი და იქნებ დამემატო.
 ნუგეშინია ფრჩხილებში ჩაგნერ და მერე ამ ფრჩხილებს
 გავაქრობ,
 ტოლობის სხვა მხარეს გადაგიყვან და მე არ დაგიმატებ.
 უბრალოდ ცოტხანით დამიდექი გვერდით, რომ მოვიტყუო და ჯამი
 შევცვალო.
 მერე გაგანილადებ, ერთი სართულით ზემოთ დაგაყენებ
 მიზეზს მოვიგონებ რომ შეგკვეცო და სულ სხვა
 შედეგს მივიღებ მთელი ამ თამაშიდან.
 მერე წრეში ჩაგხატავ სამი ერთაირი გვერდით
 მერე ხაზს მოვიგონებ და გაგყოფ
 და შენი ფერდის ნახევარს ცნობად რიცხვად ვაქცევ, ისეთად რომ
 არავინ იადოს
 ამაზე.
 და იქნები ამოხსნილი,

გატოლებული და პასუხიანი ამოცანა

ვერაინ იფიქრებს რო მოვიტყუე მხოლოდ მიმტომ,რომ
დამემტკიცებინა

გადანაცვლებადობები შედეგცვლილებესაც ინვეეს

იქნებ ის წერტილიც გაგვექრო მინუს და პლიუს უსასრულობებს
შორის

და

ნულის ცარიელი მუცელი გაგვენაყოფიერებინა

მერე ისევ შეგვეკვეცა და გაგვენილადებინა

ჰო, ცოტახნით დამიდექი გვერდით

ნუ გეშინია

რამდენიმე მოქმედების შემდეგ ტოლობის მეორე მხარეს გადაგიყვან

სხვა რიცხვებს მიგინერ გვერდით უფრჩხილებოდ გვერდით

და

იმათთან ერთად გაგატოლებ.

პრობა

ნინო თარხნიშვილი

ქაბულში, ყვავილების ქუჩაზე

ისააკ, ჩემო მეგობარო... ისააკ... შენ ხარ უკანასკნელი ებრაელი, რომელიც ალიმ ქაბულის მინას მიაბარა. მე მივდივარ... ებრაელები აქ აღარ არიან...

* * *

თქვენ გაიხარეთ, ბატონო ისააკ, ჩემი დახმარებისათვის. რომელ ღმერთს შევნირო მადლობა – თქვენსას თუ ჩემსას? აქამდე რატომ არ გიცნობდით, ხომ არ გავიმწარებდი ყმანვილქალობას? – ქალი ისეთი გამეტებით ცდილობდა ისააკისათვის მადლობის გადახდას, რომ შავაბრეშუმა ჩადრი მის ტურებს ველარ ფარავდა, ზედ ეგლისებოდა და ისააკი ცოტათი ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, იქნებ ქაბულელი ქალის ტურების სიმკვრივე ჩადრს მიღმა მაინც ეგემა.

* * *

- რას ხარშავ?
- შენ არავინ გეკითხება.
- არც მაინტერესებს, მაგ აღქიმიკოსობას მანამდე არ მოიშლი, სანამ შენს ცოლს არ დაეურეკავ ისრაელში და არ მოვახსენებ, რა საქმითაც ხარ დაკავებული.
- რა საქმით ვარ დაკავებული, რა საქმით... გირჩევნია ეგ ფარდა კარგად გადააფარო და საკნის შენს ტერიტორიას მიხედო. მე გეკითხები, შენ რას აკეთებ? ჰოდა, შენც შემეშვი რა, – დაძარღვული ხელებით მოინმინდა მთლად ოფლიც არა, შუბლმეჭმუხნულმა ისააკმა; საფეთქლებთან ჩამოკონნიალებული ორი კულული თავის მარჯვე მოქნევით უკან გადაიყარა და საქმე განაგრძო...

„გამო, გამო, გამოდევნე, თვალნი, თვალნი დაუბნელე, გულში ხიჭვი გაუყარე, პირში გემო დაუყარგე... ძუძუები ჩამოუჭკნე, თეძო-მკლავი გაუტყავე, თმები ჩალას დაუმსგავსე, უნაყოფოდ დააბერე...“ მერე

გამურულ მოყვითალო ქვაბში ორი ხელით და ათი თითით მიმხმარ-
მომხმარი ბალახ-ბულახი ჩაყარა, ხის კოვზი ამოიძრო ჩამოთხავებული
შარვლის უკანა ჯიბიდან და მოყავისფრო მასას გამალებულმა დაუნყო
რევა...

რას ჩიფჩიფებს ეგ უწმინდური, სანამ რამე უბედურებას არ დაგვატყებს
თავს, არ მოისვენებს, – ხელები დაიკაპინა თმაყვითელმა ზებულორმა,
დაუანგებული ონკანი გააჭრიალა და წვეთ-წვეთად წამონწკანწკარებული
წყალი სახეზე შეინუნა. მერე რალაც სასწაული ძალით გადაფითქინებული
მიტკლიდან თორა დაიხსნა, გადაშალა და ჩუმ დუდუნს მოჰყვა.

ისააკმა ყური მოჰკრა ზებულორის ლოცვას, წელში გაიმართა, ფარდა
გადასწია და ჭლარანარბებშეკრულმა მიაძახა:

- ეგ თორა ხვალ შებინდებამდე ჩემია.
- სანამ მაგ მჩხიბავობას თავს არ დაანებებ, თორა ჩემთან იქნება!
- რა ვერ გაიგე, შე ხისთავიანო, მჩხიბავი არ ვარ, ქალებს ვეხმარები
ქმრების დაბრუნებაში, ქალებს!

– მაგიტომ მოდიან თავპირნაკრული დედაკაცები საკნის შენს მხარეს
მოთქმა-გოდებით? მაგიტომ მიაქვთ ეგ აყროლებული სანამლავი და მერე
სხვა ქალებს გულ-მუცელს უთუთქავენ? ნახევარი ქაბულელი ქალები შენს
წამალზე ლოცულობენ, დანარჩენი ნახევარი კი შენი წამლის ნაყოფს –
დაფუფქულ გულ-მუცელს, დატყავებულ თეძო-მკლავს და ჩალად ქცეულ
თმას ტირის.

– რა გელაპარაკო, მაგ ცარიელ თავში მაინც არაფერი შეგივა, თორას
კი ხელი გაუშვი, ჩემს მხარეს მიმაქვს, – ისააკმა ხის კოვზი ისევ შარვლის
უკანა ჯიბეში გაიქანა, მოხუცი ადამიანის კვალობაზე ზედმეტადაც კი
გაიშალა მხრებში და ზებულორს თორა ხელიდან გამოსტაცა.

ზებულორი რისი ახალგაზრდა ზებულორი იქნებოდა, გადამხრჩვალ
ისააკისათვის თორა რომ დაეთმო და ატყდა აყალ-მაყალი, დავი-დარაბა,
ტყაპა-ტყუპი, განევ-გამონევა, ჩემია-შენია... და იმდენი ქნეს, სანამ ზე-
ბუნებრივი ძალით გადათეთრებული მიტკალი შავად არ იქცა და სიძვე-
ლისაგან გადაყვითლებული თორა – ნაფლეთებად. მეციხემ (ასე მინდა
ამ კაცს რომ ერქვას, პატარბავშვურად), ძლივს გამონიწკნა ერთმანეთს
მთელს ქაბულში გადარჩენილი ორად ორი ებრაელი, მოხუცი ისააკი და
ახალგაზრდა ზებულორი და დაემუქრა, ამ აურზაურისათვის დაგსჯით –
ფარდას ჩამოგიხსნით და მერე ჭამეთ ერთმანეთი თვალებითო.

ნებო იქ არ იყო, თორა რომ შეეკონინებინათ, და არც ფურთხი, რომ შეენებებინათ – იმ უწყლობაში ისააკიც და ზებულორიც ისე გამომშრალიყვნენ, რომ იმდენი ცრემლიც კი აღარ ჰქონდათ, სატირლად ღირებუ-ლიყო... უცრემლოდ ტირილს კი რა აზრი ჰქონდა...დაიხა თორა, დაიხა.

* * *

ქაბულში, ყვავილების ქუჩაზე, ოღონდ არ ვიცი, რომელი ყვავილე-ბის ქუჩაზე, იქნებ იორდასალამების, ან აზალიების, ან ლიანების, ან მა-გნოლიების, ან ქრიზანთემების, ან უბრალოდ ყვითელგულა გვირილების ქუჩაზე, ხისკარა, არაფრით გამორჩეული, ცისფერი და ოთხკუთხედი, მთელს ქაბულში ერთადერთი სინაგოგა იდგა... და აბა რა გასაკვირია, რომ ყვავილების ქუჩაზე აუცილებლად უთვალავი ყვავილების მალაზია უნდა ყოფილიყო. ჰოდა, ამ ქუჩის (მთელს ქაბულში მარტო ამ ქუჩის) მაცხოვრებლებს, ისეთი ყვავილების სუნი ასდიოდათ, მოსიარულე ადამიანების მონყევტა თუ არა, დაყნოსვა მაინც აუცილებლად მოგინდებოდა. ამიტომ იყო, რომ იქვე, „ქათმის ქუჩაზე“ მცხოვრებ კაცებს, ძირითადად, „ყვავილების ქუჩაზე“ მცხოვრები ქალები მოჰყავდათ ცოლებად... და მერე მთელი ცხოვრება ამ ყვავილა ქალებს ჭრელ-ჭრელი ქათმების დევნა და ოჯახისათვის მსუქან-მსუქანი დედლების ჩახობილის მზადება ჰქონდათ მისჯილი. მოსანყენია არა?... თუმცა, ეგ არაფერი... სამაგიეროდ, ქათ-მისჭამია ქმრები ყოველ სალამოს მეზობელ ქუჩაზე ყვავილების საყიდლად მიდიოდნენ, მერე თბილ აბაზანას ამზადებდნენ, ჩაყრიდნენ შიგნით ფე-რად-ფერად ყვავილებს, თავადაც გაიხდიდნენ, ცოლებსაც გახდიდნენ და სურნელოვან აბაზანაში გულის არანორმალურ აჩქარებამდე ეფერე-ბოდნენ ერთმანეთს მერე აუცილებლად იზადებოდა ერთი ყვავილების სურნელიანი და ერთიც ქათმისჭამია ბავშვი... აი, ასე... ამ „ყვავილების ქუჩაზე“ დამსკდარ და მოყვითალო მიწაზე, ფეხშიშველა, უფრო სწორედ ტიტლიკანა ქაბულელი პატარა ბიჭები ისე დაიქნევდნენ პანია „ჩიტებს“, ვითომც არაფერი, ისე, არც არაფერი...

ჰოდა, ეს ტიტლიკანა, პატარა ბიჭები მიაკაკუნებდნენ სინაგოგის ხის კარზე და თავქუდმოგლეჯილები (ეს ისე, სიტყვის მასალისათვის, თორემ ქუდები სად ჰქონდათ), რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გარბოდნენ და გარბოდნენ. გამოაჭრიალებდა ზებულორი ან ისააკი სინაგოგას კარს, გა-

მოპყოფდნენ თავებს, გაიხედ-გამოიხედავდნენ, თუ ძალიან არ დაეზარებოდათ, ხელებსაც გაიქნ-გამოიქნევდნენ და ისევ უკან შეიკეტებოდნენ.

არადა, ამ დროს ღმერთი ნყრებოდა ქაბულის თავზე, რომელი ღმერთი, ეგ კი აღარ ვიცი. უღვთოდ შავთვალა თალიბები ისე დარიხინებდნენ ჭუჭყიანი „ჰამერებით“ ქაბულის ქუჩებში, რომ ქვის სახლებსაც კი ზან-ზარი გაუდიოდათ. თუ კარგად შეიყნოსავდი ჰაერს, რკინის სუნი გეცემოდა, მაგრამ სულ ტყუილად, რკინა არაფერ შუაში იყო... სისხლის სუნით ყარდა ქაბული...

- ზებულორ, აქ ხარ? ჩვენს მეზობლად აიდა რომ ცხოვრობდა გახსოვს? ცამეტი წლის ბიჭი ჰყავდა, სულ ერთად დადიოდნენ. ხალხი ამბობდა, ეგენი ისევ ჭიპლარით არიან გადაბმულები, ექიმმა ვერაფრით გადაჭრა და ბოლოს თქვა - რა ვენა, განა არ შეიძლება დედამინაზე ერთმა დედა-შვილმა მაინც იაროს სიცოცხლის ბოლომდე ჭიპლარით გადაბმულმარ? - სინაგოგის კარი შეაჭრიალა მესაფლავე ალიმ, რომელიც გამუდმებით რალაცას აცმაცუნებდა და ფრჩხილები კი დღე და ღამე მინით ჰქონდა გამოვსებული - და ეს ფრაზები ისეთი სხაპასხუპით წარმოთქვა, გაგიკვირდებოდა.

- ჰო, მახსოვს, როგორ არა, აიდა სულ რალაც მელოდიას ღიღინებდა, როცა ფანჯრები ღია გვექონდა, ლოცვაში ხელსაც კი მიშლიდა.

- ჰოდა, ახლა აღარ შეგიშლის.

- რატომ?

- თალიბებმა მოედანზე ჩაცხრილეს, მაგის ცამეტი წლის ბიჭი კი იქვე სახელდახელოდ გამართულ სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს. არ ყოფილან ის საცოდავები ჭიპლარით გადაბმულები. მოედანზე შეკრებილმა ხალხმა თქვა, ალბათ ამ დედამინაზე ყველაზე მეტად ამ დედა-შვილს უყვარდა ერთმანეთი და იმიტომ დადიოდნენ სულ ასე ერთად. რა ვიცი, აბა, მე ლეგენდა ჭიპლარზე უფრო მეტად მომწონდა.

- რას ამბობ კაცო? ის გაჩხინკული ბიჭი ჩამოახრჩვეს? ან როგორ სძლია ტანმა ჩამოსახრჩობად, უწონოს ჰგავდა... რატომ დახოცეს, ჰა, რა დააშავეს?

- ჯაშუშები ხართო, მე ვერ ვერკვევი მაგ ამბებში, მოედანზე გაიყვანეს და ყველას თვალწინ ჩახოცეს.

- ისაკს არ უთხრა ეგ ამბავი, რა გაუძლებს მერე მაგის ჯუჯლუნს. ისედაც მთელი დღეები ცხვირჩამოშვებული დადის, მომაბეზრა თავი მაგ ბებერმა.

- ისევ ჭამთ ერთმანეთს?
- ამოიჩემა, ქაბულში უკანასკნელი ებრაელი მე უნდა ვიყო და ისე მშხამავს, გველს შეშურდება. მალე ოთხმოცის ხდება. იცის, რომ შანსი არა აქვს.
- შენც მაგარი ხარ. შეეშვი რა...
- არა ალი, პატარაობისას სიზმარში მოსე ვნახე.
- რომელი მოსე, კაცო?
- მოსე, მოსე, ჩვენი მოსე... შენ არ გეცოდინება. იმან მითხრა, იცოდე, ქაბულში უკანასკნელი ებრაელი შენ უნდა იყო. ჰოდა, ახლა მოსეს სიტყვას ხომ არ გადავუხვევ? ნავიდეს და მდიოს, მოსემ მე ამირჩია...
- თქვენი საქმის თქვენ იცით, მე მარტო ის ვიცი, რომ ერთ-ერთი ჩემი ხელით უნდა დაიმარხოთ, - კარი გამოიჭრიალა ალიმ და მოედნისკენ ნაფლახუნდა... მსოფლიოში ყველაზე მოსიყვარულე დედა-შვილი მზის ჩასვლამდე თეთრ სუდარაში უნდა გაეხვია და მერე ისედაც მინიანი ფრჩხილები კიდევ ერთხელ უფრო მეტად უნდა ამოეტენა მინით.

- ეგ დაუცვეთავეი მახინჯი, ეგა. ერთი უყურე, რა ამბავშია. მოსე ვნახეო. მეტი დარდი არ ჰქონდა მოსეს, მაგის დაბლანდულ თვალებში გამოჩენილიყო. ამ სინაგოგადან სულ ბოლოს მე უნდა გამასვენონ. ეს თორაც გულზე უნდა დამაკრან და თან ჩამატანონ... - ბუტბუტებდა ისააკი და თან თაფლის სანთელს ახვევდა. ხელის გულებს ისე გამეტე-ბით უხახუნებდა ერთმანეთს, ცოტა ხანიც და ცეცხლი ნაეკიდებოდა... ცეცხლი ახლადჩამოქნილ თაფლის სანთელს ნაეკიდა... სინაგოგის კედელზე ისააკის ჩრდილი ჭერამდე წააგრძელა და ფარდის იქით, მეორე კუთხეში მდგარ ზებულორის ჭერზე აგლესილ ჩრდილს შეუერთა... დღეს ზებულორმა სანთლის ჩამოსაქნელი ცვილი ვერ იშოვა და ისააკის სანთლიდან დახლოებით სამი მეტრის და ისიც გახუნებული ცისფერი ფარდის იქით დაშორებით მდგარს მოუნია ჩუმი ლოცვა. ისააკი ისეთ გამარჯვებულ ებრაელად გრძნობდა თავს, წამით ისიც კი გადაავინყდა, რომ მისი დედ-მამის გადამდნარი სხეულების ნაფლეთები გერმანელი ნაცისტების ჩექმების ლანჩებს ეკვროდა.

გახუნებული ცისფერი ფარდით, სინაგოგა, დაახლოებით, ათი დღის წინ გადატიხრეს. ზებულორი და ისააკი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ

დღე-ღამის განმავლობაში ერთმანეთის ყურება მხოლოდ 5 წამის განმავლობაში შეეძლოთ და ისიც მაშინ, როდესაც ერთმანეთისათვის თორა უნდა გადაეცათ. თორის გადაცემის ტრადიციაც დაალოებით 11 დღის წინ დაამკვიდრეს. მიხედნენ, რომ, სხვა შემთხვევაში, თორას გულისათვის ატეხილი ჭიდაობისა და განევ-გამონევის შედეგად, შესაძლებელი იყო, ეს წმინდა წიგნი საერთოდ შემოპფლეთოდათ ხელებში და აი, მერე კი მართლა უნდა დაეხოცათ ერთმანეთი.

ისააკი ოთხმოცის, ზებულორი იმის ნახევარი წლისა იყო. ქაბულის პატარა სინაგოგას ჭერქვეშ კი ერთად სრულიად შემთხვევით, ექვსი წლის წინ აღმოჩნდნენ. ისააკის ცოლმა ველარაფრით გაუძლო თალიბების გრიხინა მანქანების საბურავების ღრჭიალს და ორ შვილთან ერთად ისრაელში გადაბარგდა. ზებულორმა კი ისრაელში დედ-მამა მოიმდურა და ქაბულში გადმოსახლდა. ეს სინაგოგაც სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა. ქაბულის ბაზარში ვაშლის საყიდლად გამოსულ ორკულულა ისააკს შორიდან მოჰკრა თვალი, უკან აედევნა და სინაგოგასაც მოადგა. მერე ისააკი ნამუსზე შეაგდო, შემომიკედლეო. ისააკმაც, დაახლოებით, ხუთწუთიანი ფიქრისა და თვალების ღამის ცაზე მიმტერების შემდეგ, ზებულორი თანამესინაგოგედ გაიხადა... და ერთკვირიანი მშვიდობიანი თანაცხოვრების შემდეგ ჭერი გაიხსნა სინაგოგას თავზე. ისააკმა ზებულორისაგან მოსეს სიზმარში ნახვის ამბავი მოისმინა და გაგიჟდა კაცი. კედლებს ურახუნა ჭლარა თავი. მოკვდები და ჩემამდე შენ გაგიტან მკვდარს ამ სინაგოგადან, ბოლო ებრაელი ქაბულში მე ვიყავი და ვიქნები კიდევცო.

მას შემდეგ რამდენჯერ გაუშველებიათ მეზობელ მუსულმანებს თავპირდალენილი ებრაელები, ალაც კი ახსოვთ. ყველამ იცოდა, თუკი მათთვის გაუგებარ ენაზე ბოხი ყვირილი და ბათქა-ბუთქის ხმა ისმოდა, ე.ი. ისააკი და ზებულორი თორას ვერ იყოფდნენ. მუსულმანები უკვე იმასაც ველარ ითვლიდნენ, რამდენჯერ გადაარჩინეს სინაგოგა ჩანვა-ჩაფერფელას, იმის გამო, რომ ზებულორი და ისააკი სანთლის დასანთებ ადგილზე ვერ თანხმდებოდნენ. სძულდათ ერთმანეთი ისააკს და ზებულორს, ისე სძულდათ, რომ ერთმანეთის დანახვაზე ტანზე უცნაური ხორკლები გამოსდიოდათ და სანამ ექვსქიმა ვარსკვლავთან თავჩალუნულები ლოცვას არ წაიკითხავდნენ, ეს ხორკლები არადა არ უქრებოდათ.

* * *

თოთო ბავშვივით უცრემლოდ შესტირა ქაბულის ცამ. მოიღრუბლა, შეიმშუშნა, დაიმანჭა, ჩამობნელდა კიდეც, მაგრამ ბლავილი კი ვერაფრით გადანყვიტა. ერთ ზენარში გადაახვია ალიმ გულგამოგლეჯილი დედა და თვალბდაჭყეტილი უნონო ბიჭი. ერთი კაცისათვის გათხრილ საფლავში ჩაეტივნენ ორივენი... მერე უსაშველოდ ფხვიერი მინა მიაყარა მკვდრებს და ნავიდა...

...გუფტამ კი ლაბეტი, გუფტ ლაბამ ობჰეყოტ

გუფტამ დეჰანეტი, გუფტ ზეჰი ჰაბ ნაბოტ

გუფტამ სოკჰტეტიუ, გუფტ ჰაფეზ გუფტო

შჰოდი ჰამე ლატიფე გუყონ სალუოტ...

ქაბულშიც დაინყო მზემ ჩასვლა. ფანჯარა გამოალო ზებულორმა, არსად ისმოდა აიდას ლილინი, მართლა მოუკლავთ იმ თალიბებს აიდა და მისი საშინლად გამხდარი ბიჭი... გარეთ გამოვიდა ზებულორი, „ყვაილეების ქუჩას“ ქვევითკენ ჩაუყვა – ყაყაჩოების პლანტაციისაკენ, ბალა-ჰისარის ციხესიმაგრის გარშემო გაშენებული ყაყაჩოების ზღვისკენ... მიუხედავად იმისა, რომ თალიბები ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანას შარიათის კანონების დარღვევად თვლიდნენ, ქაბულში ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან და სარფიან საქმედ მაინც ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანა ითვლებოდა. თან ისეთი ლამაზი იყო იქაურობა, ერთხელ თუ ნახავდი, მერე მთელი ცხოვრება ყოველ დღე თუ არა, ყოველ მეორე დღეს მაინც დაგესიზმრებოდა ეს შავხალა ყაყაჩოები. თავპირნაკრული ქაბულელები ნაკუზულები მუშაობდნენ პლანტაციებში. დღისით პლანტაცია მიკროსკოპში დანახული სარკომიანი ადამიანის სისხლს მოგაგონებდა – ნითელ მინდორზე ამოყრილი მუსულმანების თეთრი უკანალებით, ღამით კი, აი, ღამით...

დალამდა ქაბულში...ყაყაჩოების ნითელ მინდორზეც დალამდა. ნეტავ სულ არ მოსულიყო ზებულორი აქ, ნეტავ თალიბებს იმ დედა-შვილის მაგივრად ეს დაეხვრიტათ და ჩამოეხრჩოთ, ნეტავ ისააკს მართლა ჯერ ეს გაესვენებინა სინაგოგადან და მერე თვითონ მომკვდარიყო, ნეტავ ალის ცოცხლად დაემარხა თავისი შავფრჩხილებიანი ხელებით ზებულორი, ოღონდ აქ არ მოსულიყო ეს ებრაელი...

ჯერ თვალები კარგად მოისრისა, მერე იფიქრა, ალბათ ყაყაჩოების სუნმა გამაშტერაო და გაიყურსა, რა ვიცი, იქნებ მართლა ყაყაჩოების

ბრალი იყო... აბა, ამ სიბნელეში, ამ სიშავეში რას აკეთებდა ეს გოგო? ან თავზე რატომ არაფერი ეფარა? ან ასე უღმერთოდ გრძელი და შავი თმები როგორ გაიზარდა? ან ცალი თვალი კატისას რატომ მიუგავდა და მეორე შავი მაყვლისას? ან გრძელ თითებზე წამოცმულ ბეჭდებს ძირს რატომ ყრიდა და მერე ისევ თავიდან იკეთებდა? ან ამ ღამეში ასე თეთრად რატომ მოჩანდა? ან ტანზე ყაყაჩოსფერი სიფრიფანა ფარჩის გარდა რატომ არაფერი ეცვა? იქნება სულაც ყაყაჩო იყო - ქალი ყაყაჩო... მუსულმანი ქალი ყაყაჩო... ყაყაჩოდან ამტვერებული ქალი-ყვავილი... ან სულაც ბალა-ჰისარის კედლებიდან გადმოსული მოჩვენება... არ იცოდა ზებულორმა, ვინ იყო ეს ქალი, არც ის იცოდა, მოჰკლავდა თუ გააცოცხლებდა მასთან მიახლოება, მაგრამ ის კი ნამდვილად იცოდა, რომ თუ არ შეეხებოდა, მერე მთელი სიცოცხლე ამაზე იდარდებდა... შეეხო კიდევ...

* * *

ყოველ საღამოს, როცა სისხლში თეთრი ბურთულაკები მინიმუმამდე მცირდებოდა და ნითელი სითხე ჯანმრთელი ადამიანის სისხლად იქცეოდა, ზებულორი ყაყაჩო-ქალას მტერიან ფეხისგულებს ებრაული ენით ბალა-ჰისარას ციხის კედელთან ლოკავდა და სულ არ ადარდებდა, ეს მუსულმანი კატ-მაყვალ-თვალა ქალი ტვინის დაქვეითებამდე რომ უყვარდა. მერე რა, ერთმანეთის ენა რომ არ ესმოდათ... სამაგიეროდ ხაოიანი ენის სისველეს ერთმანეთის სხეულებზე გრძნობდნენ... მეტი რალა უნდოდათ...

სინაგოგაში აყალმაყალმაც იკლო. ზებულორს აღარ სცხვლოდა ისააკ-თან საჭიდაოდ. თან ფარდის ჩამოფარებამაც ხელი შეუწყო დროებით დაზავებას... თან ყაყაჩო-ქალამაც...

არ ღირდა ბალა-ჰისარას ციხესიმაგრესთან ხუმრობა. ჯერ მარტო იმიტომ, რომ ქაბულელები იქაურ ავსულებზე ათას ლეგენდას იგონებდნენ და კიდევ იმიტომაც, რომ თალიბებმა ის ტერიტორია რამდენიმე წლის წინ ისე გულიანად დანალმეს, ეშმაკსაც გაუკვირდებოდა...

* * *

სიზმარი ნახა ისააკმა, ცუდი სიზმარი. დილით წამოდგა, ფარდა გადასწია, ზებულორის მხარეს გაჰყო თავი და გასძახა:

- ვერა ვნახე კარგი სიზმარი, ნითელი ქუდი გეფარა თავზე, მოსეს შენკენ ხელი გამოეშვირა, შენ კიდევ გაჰკიოდი, სინაზე მე უნდა ავიდე, შენ თავი დამანებო. ცუდის ნიშანი უნდა იყოს ესა, ცუდის ნიშანი...

ზებულორმა ყური მოიყრუა, გულში კი მოხვდა ისააკის სიტყვები. ნეტავ სულ არ ამოსულიყო იმ დღეს მზე ქაბულის ცაზე, საღამოთი ხომ მაინც ატირდებოდა ზებულორის ცოდვით...

* * *

ვის გინახავთ თეთრი ყაყაჩოები? შავხალეა თეთრი ყაყაჩოები?
ბალა-ჰისარას კედლებს და ზებულორს ისე შეესხა ყაყაჩო-ქალას სისხლის ნვეთები, თითქოს ცივ ქვებსა და ზებულორს ყაყაჩოებმა გამოაყარაო. ისე გაქრა ყაყაჩო-ქალა, რომ ზებულორს შვიდი ნვეთი სისხლის მეტი აღარაფერი დაუტოვა... ნალმზე აფეთქდა ყაყაჩო-ქალა... მაშინ განვიმდა ქაბულში...

* * *

საღამოთი თალიბები დაადგნენ ზებულორსა და ისააკს, ავტომატის კონდახებით დაუტეხეს თავები, ხაკისფერ მანქანაში ჩაყარეს ორივე და სინაგოგას ცეცხლი მიუქიდეს... ზებულორი სიცივემ გამოაფხიზლა, ბნელი საკნის შმორიან იატაკზე პირქვე იწვა და ცხვირიდან სისხლი სდიოდა. გვერდით ისააკი გამოტილიყო გულალმა, ხელში კი თორა ჩაებლუჯა.

* * *

ჰოდა, ეს თორა დახიეს ზებულორმა და ისააკმა ნუხელ. ძალით არა, ისე, შემთხვევით შემოეხიათ და ახლა რალა აზრი ჰქონდა ტირილს, როცა ზებულორს უკანასკნელი ცრემლები ბალა-ჰისარას კედლებთან დასცვივდა ყაყაჩო-ქალას სისხლის ნვეთებთან ერთად... აღარც ისააკს ჰქონდა ცრემლები... ცეცხლნაკიდებულ სინაგოგას მიაყარა მუჭებით, იქნებ ჩავაქროო...

* * *

დღეს ქაბულის ციხისთვისაც გაიმეტა მზემ ერთი სხივი... ზებულორის და ისააკის საკანში ზოლად შევიდა და დაძინილი ფარდა შუაზე გახსნა. სიჩუმე იდგა. შუადღემდე ზებულორი საკნის საკუთარ მხარეს იჯდა გამტერებული და თორას დახვეის ამბავს დარდობდა...ეს სიჩუმე რომ ველარ აიტანა, ისააკს გასძახა:

- ახლა ხომ ხარ კმაყოფილი? ხომ მიიღე რაც გინდოდა, იჯექი ახლა და შესცქირე მაგ დაფხრენილ თორას, ჩამოვა მოსე და გაგიმრთელებს. ხმა ამოიღე, არ გესმის?

მდინარე ქაბულს ჩაუყვა, მზე ჩავიდა, გადავიდა, მოსალამოვდა. რკინის გისოსებიან სარკმელს ნითელგულა პანია ჩიტი შემოაფრინდა. ზუსტად იმ-ფერ-გულა, რა ფერის ფარჩაც ყაყაჩო-ქალას ეცვა ხოლმე. სიჩუმისაგან ენადაბუყებულ ზებულორს ხელისგულებზე დააფრინდა. ცხვირთან მიიტანა ზებულორმა მუჭადშეკრული ხელისგულები და გათეთრდა - კატ-მაყვალ-თვალა ჩიტი მოფრენილიყო ამ ებრაელთან. ფარდა გადასწია ზებულორმა და სიბნელეში, საკნის ცივ და მაგარ სანოლზე განოლილ ისააკს გასძახა, მოვიდა ისააკ, ისევ მოვიდა... გესმის ისააკ?

- ისააკ, მოკვდი?

- ჰო, მოვკვდი...

ისააკი ერთადერთი მიცვალებული იყო დედამიწის ზურგზე, რომელიც მიხედა, რომ მოკვდა და ხმამაღლა აღიარა...

გურამ მეგრელიშვილი

ჯვარცმობანა

დუმახი

მათი ჯვრები ჯორებმა ამოიტანეს, ღმერთისა კი – ვილაც ადგილობრივმა. ისე აღმოჩნდა, ერთი ძელი ზედმეტი იყო, რადგან ჯარისკაცებმა არ იცოდნენ, რომ დამნაშავე შეინყალეს და დრტვინავდნენ, რაკილა ჯვარი ისევ უკან უნდა ჩაეთრიათ და გამწარებულებმა ცემა დაუნყეს სიკვდილმისჯილებს. სხვა დროს, იქნებ პასუხი გაეცა დუმახს, მაგრამ ახლა იმედი ჰქონდა, ღმერთი, რომელიც მის გვერდით იდგა, პასუხს გასცემდა მათ. ამიტომ მდუმარედ იტანდა შოლტებს.

ხალხი ბევრი არ იყო – რამდენიმე ცენტურიონი, სამი-ოთხიოდე უსაქმური, რომელიც ყველა სიკვდილით დასჯას ესწრებოდა, ერთი ადგილობრივი ლოთი, ღმერთის დედა, დეიდა, დები და მისი ორიოდე მონაფე. უკან კიდევ ჩანდნენ ვილაცეები, მაგრამ დუმახმა თვალი ვერ მოკრა მათ, რადგან მოშორებით იდგნენ.

პირველი ღმერთი აცვეს ჯვარს. ყრუდ ისმოდა ხეში ჩაჭედებული სამსჭვალის ხმა და გიშიეს კენესა.

„მარჯვნივ თუ მარცხნივ?“ – ჰკითხეს დუმახს, თითქოს რამე მნიშვნელობა ჰქონდა, სად მოკვდებოდა. დასცინოდნენ და სიმწრით გაიფიქრა: – „ცოტაც, ცოტაც და ამათგან მტვერს აღარ დასტოვებს!“ – „მარჯვნივ“ – უპასუხა ზიზლით და ფეხებთან დაუფურთხა ცენტურიონს.

წამდაუნუმ ცისკენ იყურებოდა, თითქოს იქ უნდა გამოჩენილიყო ნიშანი. „ამათ სუყველას დახოცავს და გაანადგურებს, მაგრამ რალას ელის?“

მეორე ის ჯვარი აღმართეს, რომელზეც, ნესით, ტიმი უნდა ყოფილიყო გაკრული, მერე თვითონ დაანვინეს... მარცხნივ...

მთელი ბავშვობა სამივენი ასე თამაშობდნენ – ვითომ ჯვარზე აკრავენ. ეს გიშიეს გამოგონილი თამაში იყო – ჯვარზე გაკრობანა. ტიმს არ მოსწონდა, ეშინოდა; დუმახს – ართობდა, მაგრამ ყველაზე კარგად, მაინც გიშიეს გამოსდიოდა – დანვებოდა ხოლმე წარმოსახულ ჯვარზე და სხვები ხელისგულებში არარსებულ სამსჭვალეებს აჭედებდნენ.

ნამდვილი ლურსმანი კი გაცილებით მტიკიენეული აღმოჩნდა, ვიდრე დუმახს ნარმოედგინა და როცა რკინამ ხელისგული ატიკინა, პირველად მაშინ შეეშინდა.

„ის ღმერთი არ არის. გაგვაცურეს!“ გაიფიქრა და მისი ჯვარიც აღმართეს. ზემოდან უფრო ცოტა ჩანდა ხალხი და პირველი, ვინც თვალში მოხვდა, მშვიდი სახით მდგარი გიშიეს დედა, მარიამი იყო და ისევ იმედი მიეცა - „აი, ახლა ჩამოვა ჯვრიდან, მასაც იხსნის და შურსაც იძიებს ამათზე.“

მთელი ბავშვობა დედას ეძახდა მარიამს, რომელიც მას გიშიესთან ერთად ზრდიდა, მაგრამ დუმახს არასოდეს ჰყვარებია იგი. შურდა, რომ ასეთი სუფთა და მშვიდიი ქალი იყო, მუდამ მდუმარე და მლოცველი და რივკას, დედამისს არ ჰგავდა, იერუსალიმის ცენტრში რომ მეძავობდა საღამოობით. დუმახს ყოველთვის სძულდა დედა, რადგან მეძავობას ვერ პატიობდა.

ზოგჯერ ისიც კი ეგონა, რომ არც დედას უყვარდა. დილით მიაკითხავდა ხოლმე ტყუპებს ნასვამი და ნათრევი, ხელშიც არ იყვანდა არცერთს, გააღვიძებდა და სახლში მიჰყავდა. მარიამი კალათში საჭმელს და ახალ ტანსაცმელს ულაგებდა ბიჭებისთვის და უხმოდ აწვდიდა. დედა არასოდეს ეუბნებოდა მადლობას და ასეთ დროს, დუმახს ორივე სძულდა - გიშიეს დედა სიკეთისთვის, ხოლო საკუთარი გულგრილობისა და უმადურობის გამო.

მარიამი და რივკა პირველად უდაბნოში შეხვდნენ ერთმანეთს. დუმახის მამა, ლებეია იმ მხარეში განთქმული ყაჩალი და ბანდის მეთაური იყო. მისი ხალხი ეგვიპტისკენ მიმავალ მარიამს და ჩვილ გიშიეს დაესხა თავს. ლებეიასაც ახალშობილი ტყუპები ჰყავდა და შეეცოდა უქონელი გოგო, არაფერი წაურთმევია, მოსასხამი აჩუქა და თავისთან მიიწვია. როგორც მერე დუმახსა და მის ძმას უყვებოდნენ, ლებეიასთან მისულებს, ერთ-ერთი ტყუპისცალი მომაკვდავი დახვედრიათ. რივკა ტიროდა, ვერაფრით შეელოდა შვილს. მარიამს რამდენიმე წვეთი რძე დაუნწვეთებია ჩვილის ტურებზე და ბავშვიც გამოჯანმრთელებულა. არცერთმა ძმამ არ იცოდა, რომელი მათგანი იყო ღმერთის ძეშემტე, მაგრამ დუმახს ყოველთვის მიაჩნდა, რომ ეს თვითონაა, მითუმეტეს, ტყუპისცალს არასოდეს უნამია გიშიეს ღმერთობა, თვითონ კი..., იქნებ ტიშია სწორედ ის, ვინც ბავშვობაში იხსნეს და ახლაც მისი ჯვარი ცარიელია!

მარიამი ღუმახს უყურებდა. თითქოს ასაკი არც დაეტყო, ისევ ოცი წლის გოგოს ჰგავს, ოდნავ ნაოჭები აქვს თვალებთან და აქაც, ჯვარზე გაკრულს, ალბათ საკუთარი შვილისგან ვერ არჩევს მას. დარწმუნებულია, მისთვის ლოცულობს მარიამი და მის თავს ავედრებს გიშიეს, რომელიც ახლა ღუმახისგან ორ მეტრში იტანჯება.

„არაფერიც არ მოხდება! როგორც ჩანს სიკვდილი გარდაუვალია. ერთი დიდი თამაშია ეს ყველაფერი და ყველანი გაგვაცურეს!“ – ღუმახი სასონარკვეთამ შეიპყრო. „ყველაფერი სიცრუეა და ყველა ცრუ.“ მისი საყვარელი ქალიც მოსულა და ოდნავ მოშორებით დგას ტიმთან ერთად, რომელიც ახლა მის გვერდით, მესამე ჯვარზე უნდა იყოს გაკრული. ეჩვენება თუ ზედმეტად ახლოს დგანან ერთმანეთთან? ყოველთვის ეჭვობდა, რომ ტიმსაც უყვარს ჰაია და ვერ ბედავდა ამის თქმას. ალბათ ერთმანეთის სუნთქვაც ესმით. საღამოს განმარტოვებიან და მასსა და გიშიეზე ილაპარაკებენ, როდესაც ისინი სამარხში იქნებიან და ნესტის სუნი არ შეაწუხებთ.

„თუ მართლა ღმერთი ხარ, იღონე რამე!“ – უნდოდა ელრიალა, მაგრამ მარიამის მოერიდა. იმ ნუთებისთვის მოერიდა, როდესაც იგი ძველ ფიცრულში ჩამწკრივებულ ღუმახს, ტიმს, გიშიესა და სამრას ერთი ჯამიდან აჭმევდა. ბავშვობიდანვე ყველამ იცოდა, რომ გიშიე ღმერთია, მაგრამ მარიამს არასოდეს განურჩევია ისინი ერთმანეთისგან, არასოდეს მიუცია ლუკმით მეტი შვილისთვის და ეს აბრაზებდა ღუმახს. ერთადერთი გამორჩეული სიტობითი, პატარა სამრას ეპყრობოდა

ისიც ახლა აქ დგას; მარიამი დაირქვა, როცა ღუმახის დედამ იერუსალიმში წაიყვანა და მეძაობა დაანყებინა. ღუმახისთვის მუდამ სამრად დარჩება, ერთ საწოლში რომ ეძინათ და ერთი თევზიდან ჭამდნენ. ორი წლის წინათ, როცა მაგდალაში მეძავების უბანში გაიარა, ერთერთ სახლში სამრას გადააწყდა. რალაცნაირად გული დასწყდა გოგოზე, ან იქნებ გაუხარდა კიდევ?| ყოველთვის უხაროდა მეძავი ქალის დანახვა. სამრა შინაურულად შეხვდა, სუფრა გაუშალა და ამბები გამოჰკითხა. ღუმახმა მშრალად და მოკლედ გასცა პასუხი და გახდა დაინყო, რამაც სამრა გააოცა.

„რას აკეთებ, ღუმახ?“ – ჰკითხა ქალმა და თვალი აარიდა, თითქოს შიშველი კაცი არასოდეს ენახა.

„რას ვაკეთებ და რაშიც გადავიხადე, ის მინდა მივიღო.“ – უპასუხა ღუმახმა და გააუჰპატიურა. მერე გაიგო, რომ სამრას ჩაქოლვას უპირებდნენ

და გიშიეს გადაურჩენია. მამ, თუკი ეს მეძავი იხსნა, საკუთარ ძუძუმტეს არ გადაარჩენს?!

წამით თითქოს გონება დაკარგა. ტუჩზე წყლიანი ღრუბლის მიდებამ გამოაფხიზლა. დრო აღარ იცდის. ცოტაც და ტიკიელს ველარ გაუძლებენ, ორივე სისხლისგან დაიცლება და მოკვდება.

ტიმი და ჰაია ისევ გვერდი-გვერდ დგანან. ქალი თავდახრილია და დრო გამოშვებით თუ ახედავს მას, ახლა ზიზლით რომ უყურებს ორივეს.

ამ ქალის სახლში დაიჭირეს. თვითონ და ტიმი საჭმელს ჭამდნენ ლამპის შუქზე, როცა ოთხი შეიარაღებული კაცი მიადგა და ხელები გადაუგრიხა. ის ფულიანი ქისა, რომელიც მოკლულს წაართვეს, ცოტა ხნით ადრე ქალაქარეთ გადამალეს და მხოლოდ ორმა იცოდა მისი მდებარეობის შესახებ. ახლა ტიმი გახსნის სამალავს, ოქროც მას დარჩება და ქალიც. ის ეგვიპტელი ვაჭარი კი მოსაკლავი იყო, ფული არაფერ შუაშია, მერე გაიგეს, რომ ფული ჰქონდა, მაგრამ ის, ვის გამოც კაცის კვლის ცოდვა დაიდო, ახლა მის ტყუპისცალთან ერთად დგას და ალბათ საღამოს, ნითელი ღვინით გაბრუებულები, ერთმანეთში აიზილებიან.

„უსამართლობაა ყველაფერი, ღმერთო! და შენც უსამართლო ხარ!“

„რაღა მაინც-და-მაინც ტიმი გაათავისუფლეს? მოწმემ თქვა ერთი კაცი იყო მკვლელობის ადგილზეო და ჩათვალეს, რომ ის ერთი კაცი დუმახია და არა ტიმი, ან იქნებ არც ჩათვალეს, უბრალოდ, ერთ-ერთს დაადეს ხელი და გაათავისუფლეს და ეს ერთი თვითონ არ აღმოჩნდა?“

როდესაც გიშიესთან ერთად გაუყენეს ჩრდილო-აღმოსავლეთის გზას, იმედი მოეცა. მანამდეც იცოდა, ვილაც წინასწარმეტყველთან ერთად უნდა გაეკრათ ჯვარზე და სხვა ვინ იქნებოდა ეს წინასწარმეტყველი, თუ არა გიშიე, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ყველაზე ცნობილი ადამიანი იყო მთელ იუდეაში.

დუმახს, ბავშვობაში, წარმოსახულ ჯვარზე გაკრული ღმერთი გაახსენდა და ძლივს მიატრიალა თავი მისკენ, გახედა. გიშიე რალაცას ბუტბუტებდა. შეკრებილთაგან, ის ოთხი სეირის მაყურებელი ხმამაღლა ეძახდა „მეფეო, იხსენი შენი თავიო“ და დუმახს თვალწინ დაუდგა, როგორ დასცინოდნენ მეზობლის ბავშვები მათ თამაშს. სადაა აბა ჯვარი, სადაა ჯვარიო, ხითხითებდნენ და მაშინ დუმახს რცხვენოდა გიშიესთან და ტიმთან ერთად რომ თამაშობდა და არა მათთან, მაგრამ ღმერთს

რაღაცა ძალა ჰქონდა; უსიტყვოდ მიუახლოვდებოდა ხოლმე ბავშვებს და ერთს შეხედავდა, – ისინი კი ჩუმდებოდნენ. რატომ ახლა არ შეხედავს ამ ოთხ საზიზღარ ადამიანს და რატომ არ ჩაუგდება ენას, ათას საზიზღრობას რომ უყვირიან ქვევიდან.

დუმახმა ერთიც დაიღრიალა. ხმა გაიკმინდეთო, დაუყვირა იმ ოთხეულს და ამან ჯარისკაცები ძალიან გაამხიარულა. ერთადერთი, ვინც ჯერაც ჩუმად იდგა, ის ლოთი კაცი იყო. უცხო ხალხში მოხვედრილი ბავშვით გაკვირვებული უყურებდა ყველას და ერთიდან მეორე ადგილისკენ ინაცვლებდა.

ჯარისკაცები ხორხოცებდნენ. ერთერთმა ღრუბელი ჯერ წყალში, შემდეგ კი ძმარში ჩაანო და ტუჩებთან მიუტანა გიშიეს. ამ უკანასკნელმა პირი აარიდა ღრუბელს და ამან კიდევ უფრო გაამხიარულა ყველა.

დუმახმა ველარ მოითმინა. უძღურებისგან ლამის თავის ქალა გასკდომოდა. ცალი ხელი რომ გაგეთავისუფლებინათ მისთვის და დანა მიგეცათ, გულში ჩაიცემდა. მიუბრუნდა გიშიეს და დაულრიალა: „რალას ელოდები, ხომ მართლა ღმერთი ხარ და გააკეთე რამე, იხენი თავიც და მეც მიხსენი. ანახე მათ შენი ძალა, მოსპე და გააქრე ყველანი. გიშიე! გიშიე!“

ოთხეულმა სიცილი დაიწყო. ეს ალბათ იუდეველთა მეფის ვეზირია, ან მთავარსარდალიო და დუმახმა სხვა რომ ველარაფერი მოახერხა, სიმწრისაგან გინება დაუნყო გვერდით ჯვარცმულს. ეს ალბათ ერთადერთი და უკანასკნელი იმედი იყო იმისა, რომ ღმერთს გააბრაზებდა, მაგრამ გიშიე დუმდა. თავი ჩაექინდრა და წამით, ყველას შეეპარა ეჭვი, ხომ არ მოკვდაო. ერთერთი ჯარისკაცი მიუახლოვდა და შუბით აუნია შუბლი.

„კვდება ეს!“ – თქვა და ფერდში აძგერა.

„მამაო, მამაო, მიუტყვევ ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმნან!“ – ამოიგმინა გიშიემ და ყველა გაჩუმდა. მხოლოდ დუმახი აგრძელებდა მის ლანძღვას. თითქოს სიტყვები მიწაზე ეწერა და ისიც უბრალოდ კითხულობდა.

ოთხეული ისევ აყვირდა. „როგორ მართლა ღმერთივით ლაპარაკობს, შეხედეთ!“ და ბელტების სროლა დაუნყეს ორივეს. ლოთმა იქვე დაგდებული ხის ტოტი მოათრია და ღრიალით დაერია ოთხივეს. „რას ერჩით, რას ერჩით ამ კაცს, რას ერჩით?“ – გაჰკიოდა გამწარებული და სანამ თავში წერაქვის ტარი არ ჩაარტყა ერთმა ჯარისკაცმა, ვერაფრით გააჩერეს.

სამრა ტიროდა.

ჰაიაც ტიროდა.

ყველა ქალი ტიროდა მარიამის გარდა.

ტიმი მუხლებზე დავარდნილი ლოცულობდა. ოთხეული ხმას აღარ იღებდა, ჯარისკაცებიც გაჩუმდნენ. ერთადერთი, ვინც ჯერაც იგინებოდა და იფურთხებოდა, დუმახი იყო.

„განა ასეთი რა დავაშავე, ასე რომ ვისჯები?! ღმერთო, თუკი სადმე მართლა არსებობ, რატომ მექცევი ასე? განა ერთი ეგვიპტელი ვაჭრის მოკვლა იმხელა დანაშაულია, რომ ასე სამარცხვინოდ არ ვიყო ჯვარცმული? განა ცოტა სიკეთე მაქვს სიცოცხლეში გაკეთებული? განა არ ვიმსახურებდი სხვანაირ სიკვდილს?“ დუმახს გაახსენდა, როგორ შეხვდა უკანასკნელად გიშიეს. მაშინ ის მონაფეებთან ერთად ერთ მებაჟეს სტუმრობდა ქორაზინში. ორმა მათგანმა მასწავლებელს სთხოვა შენს მარჯვნივ და მარცხნივ დაგვევი ცათა სასუფეველშიო, მაშინ გიშიემ ჰკითხა, შეძლებთ იმავე ჯვარზე გაეკრათ, რომელზეც მეო? შევძლებთო, უპასუხეს. ეგ შეიძლება შესძლოთ, მაგრამ სასუფეველის მოცემა ჩემგან არ არისო.

„ეგ იყო რა. აკი პირდაპირ თქვა, მე არ ვარ ღმერთი, შემემვითო. როგორ ვერ მივხვდი მაშინვე?!“

ხსნას ელოდა ჯვარზე. ალბათ მართლა ჰქონდა იმედი, რაკი ძმის დანაშაულიც თავის თავზე აიღო და რისთვის?! ასე მწარედ რომ მოტყუებულიყო?!

„რომ შემეძლოს, ჩემი ხელით მოგკლავდი, გიშიე, მთელი ჩემი ცხოვრებისთვის!“ – გასძახოდა გვერდით ჯვარცმულს და მერე მარიამსაც გახედა. რაღა იყო მოსარიდებელი და სასირცხვილო? ერთი საათიც და მოკვდებოდა. ვილასი უნდა მორიდებოდა.

ან რატომ?

„მძულხარ, მძულხარ. მძულხარ, ასე რომ მჯეროდა შენი და მომატყუე!“ – დაუყვირა დუმახმა გიშიეს და ტირილი დაიწყო.

არსაიდან ხსნა არ ჩანდა, არც იმედი. მის გვერდით ერთი ჩვეულებრივი ადამიანი აცვეს ჯვარს, მთელი ბავშვობა ღმერთი რომ ეგონა.

ცა თაფლისფერი გახდა და წვიმა დაიწყო. გიშიე კარგა ხნის მკვდარი იყო, უკვე ჩამოეხსნათ კიდეც. დუმახიც მომკვდარიყო, მაგრამ ჯერ არ იცოდა. ტკივილი გაქრა. სიცარიელემ დაისადგურა თითქოს მის სხეულში,

მაგრამ სხეულსაც ველარ გრძნობდა. უმწეობისგან დაღლილი ადამიანის სახე ჰქონდა ჯვარზე გაკრულს, ძმისკენ და საყვარელი ქალისკენ იყურებოდა და თითქოს ერთადერთი კითხვა მოჩანდა მისი ფართოდგახელილი თვალებიდან: რატომ?

ტუჩები ოდნავ მობრეცოდა ტიმს, თითქოს რალაცის თქმას აპირებდა სიკვდილამდე, სინამდვილეში, სხეულის ყველა ასო, ყველა ნერტილი ერთბაშად მონყვეტილი ჰქონდა და ასეთი ფორმით ეკიდა. გიშიე კარგა ხნის მკვდარი ეგონათ, მაგრამ შეინძრა, თავი თავლისფერი ცისკენ აღმართა და რალაც დაიყვირა.

სანამ სულს განუტყევებდა ტიმი, მისუსტებული ხმით ე ვედრებოდა მის გვერდით ჯვარცმულს, გამიხსენე სიკვდილის მერე და მაპატიე ჩემი ცოდვებიო, რამაც იქ მდგომებში გაკვირვება და სინანული გამოიწვია. ასისტავმა თავისთვის ჩაილაპარაკა, იქნებ მართლა წინასწარმეტყველია ეს კაცი და არ ვიცითო და გამხიარულებულ ცენტურიონებს დაულრიალა, ხმა გაკმინდეთო.

ტიმმა სიყვარულით შეხედა გიშიეს და გული მოუკვდა, მთელი ბავშვობა და მერეც, როცა ყველა ღმერთად მიიჩნეოდა მას, თვითონ ერთი ჩვეულებრივი ხურო ეგონა. მგონი გიშიემაც იცოდა ეს და მარიამმაც, რომლისკენ გახედვასაც კი ვერ ბედავდა ახლა.

სანამ ჯვარზე გააკრავდნენ, არაფრის იმედი ჰქონდა, მაგრამ როცა გიშიემ მასზე მომასხარავე ხალხისთვის ლოცვა დაიწყო და მამაო, მიუტყევე, რამეთუ არ იციან, რას სჩადიანო, წარმოსთქვა, გული სითბოთი და სიყვარულით აევისო. რომ შესძლებოდა, თავისი ჯვრიდან ჩამოვიდოდა და გვერდით ჯვარცმულს გადაეხვეოდა. მომიტყევე ყველაფერი, ძმაო. შენ მართლა ღმერთი ხარ, მე ვგრძნობ, რომ შენში ღმერთია და მომიტყევე ჩემი ეჭვებიცო, ეტყოდა და დაუწოებდა. განა მართლა შეიძლება ასეთი ადამიანის მოკვლა?! თავად, ეგვიპტელი ვაჭრის მკვლელი, იმსახურებს და იქნებ ეს მცირედი სასჯელიცაა, მაგრამ გიშიე?! ვისაც ერთი ადამიანიც კი არასოდეს გაუნანყენებია და ახლა, კიდევ უფრო რომ დაემცირებინათ, ავაზაკთან და კაცისმკვლელთან ერთად აცვეს ჯვარს?!

რა უცნაურია, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ტიმი, შემთხვევითაა ჯვარცმული, სწორედაც რომ ეკუთვნის. მონძეები ამბობდნენ, მხოლოდ ერთი შევნიშნეთ მკვლელობის ადგილზეო და მოსამართლემაც ვერაფრით

დაადგინა, რომელი ძმა იყო ეს ერთი - ტიმი თუ დუმახი. თავიდან აიძულებდნენ, რომ ორივეს ელიარებინა დანაშაული, მაგრამ დუმახი უარზე იდგა. „ის ღამე იერუსალიმელ მეძავთან გავატარე და ჩემმა ტყუპისცალმა თუ ვინმე მოკლა, პასუხი მე რისთვის ვაგოო?“ მერე დუმახი გაამართლეს და მეორეს ჯვარზე გაკვრა მიუსაჯეს. როცა საკანში შეაბრუნეს, ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. ტიმი ნანყენი იყო ძმაზე, ასე რომ განირა, არადა, ხომ ორივემ იცოდა, ის ეგვიპტელი ვაჭარი ერთად მოკლეს და სინამდვილეში, არა იმ ქალის, არამედ სწორედ ფულის გამო, ფულის, რომელიც ახლა ქალაქის გარეუბანში ხის ქვეშ ჰქონდათ ჩაფლული.

ბევრი ცუდი იფიქრა მაშინ ტყუპისცალზე, მაგრამ როცა მცველები გაიკრიფნენ, დუმახი მიუტრიალდა და უთხრა:

- მისმინე, ვიცი, ახლა ნანყენი ხარ, მაგრამ ასე სჯობდა. ერთერთს მაინც დაგვდებდნენ ბრალს. ჩემს თავზე რომ ამელო, შენ უარს იტყობდი და უსასრულოდ გაინელებოდა ყველაფერი ან ორივეს დაგვსჯიდნენ. ჩვენთვის არავის სცალია გიშიეს ამბების ფონზე. შენ დაგაბრალე, მაგრამ მე ნაველ ჯვარზე. ახლა ჯარისკაცი რომ შემოვა, უთხარი, რომ ხარ დუმახი და მორჩა, თავისუფალი იქნები. შენ არ გნამს, რომ გიშიე ღმერთია, მე მნამს! ჯვარს გეაცვამენ და გაიხსნება ცა, ყველა იქ მყოფს გაანადგურებს. გახსოვს, რა თქვა ქორაზანში გიშიემ ზაქეს სახლში რომ ვიყავით? ხოდა, ასე ექნათ. ორი საათი, სულ რაღაც ორი საათი და ისევ ერთად ვიქნებით. ავილოთ ის ფული და გავიქცეთ ამ ქვეყნიდან. ეს ორი საათი კი შენ იყავი დუმახი, თუკი აიტან ამ სახელს.

დუმახმა გადაიხარხარა. ტიმს ბავშვობიდან ტანში ზარავდა ძმის სიცილე. ახლაც პირი აარიდა.

- გაიგე? - ჰკითხა ტყუპისცალმა.

- არა, დარჩეს როგორცაა ისე. თუ ის მართლა ღმერთია, შენც გიშველის და მეც. არ მინდა.

- შენ ვერ გაუძლებ ტკივილს, ტიმ.

- გავუძლებ.

დუმახი გაბრაზდა. გაბრაზებისას სახე უნითლდებოდა და, როგორც ნესი, რალაცებს ამსხვრევდა. ახლა დასამსხვრევი არაფერი ჰქონდა და მშვიდად უთხრა:

„ნუ ხარ ჯიუტი. შენ ფული ამოთხარე და ჰაიასთან დამელოდე.“

ტიმს, ჰაიას გაგონებაზე, საშინლად მოუნდა გაელნია საპყრობილედან. წამით ფეხებზე დაიკიდა ძმაც და ისიც, იხსნიდა მას გიშიე თუ არა. დაეთანხმდები და ფულიც და ჰაიაც მე დამრჩებო, გაიფიქრა, მაგრამ შერცხვა. დუმახს გულით სწამდა გიშიეს ღმერთობა, თვითონ კი იცოდა, რომ ეს ტყუილია. გამოდიოდა, რომ ძმას სიკვდილზე უშვებდა საყვარელი ქალის გამო და თანაც, რაკი ძმის სახელით უნდა ეცხოვრა აქედან გასულს, მაინც დუმახს რჩებოდა ჰაია. რადგან ეს უკანასკნელი ვერასოდეს არჩევდა ტყუპებს ერთმანეთისგან.

„არა!“ – მიტყიცედ თქვა ტიმმა. – „შენ დამელოდე ჰაიასთან. ის თავსაც იხსნის და მეც გადამარჩენს. ორ საათში შევხვდებით.“

მერე ჯვარცმასთან სეირის მაყურებლებთან ერთად დუმახმაც დაუნყო ლანძღვა გიშიეს. მიხვდა, რომ არავითარი ხსნის იმედი არ იყო. არც ცა გაიხსნებოდა და არც ცეცხლოვანი ლაშქარი გამოჩნდებოდა ჯარისკაცების დასასჯელად. ჰაია გაფითრებული სახით იდგა და ხმას არ იღებდა. დუმახი დამხობილ სამრას და სხვა ქალებს მივარდა ლანძღვით. უნდოდა მარიამისთვისაც ეთქვა რაიმე ცუდი, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ ჯვარცმულ გიშიეს მიუბრუნდა. ტალახსა და ქვებს ესროდა, ტყუილსა და კაცის კელაში ადანაშაულებდა. თავიდან ტიმიც ზიზლით უყურებდა გიშიეს, თითქოს მას მიუძღვოდა ბრალი ეგვიპტელი ვაჭარი ფულის გამო რომ მოკლეს ძმებმა. მაგრამ როდესაც ხუროს ძემ მათთვის ლოცვა დაიწყო, გული გაუთბა.

„მამაო, მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმან.“ ლოცულობდა გიშიე. ტიმს სულ უკვირდა, ბავშვობიდან უკვირდა, როგორ შინაურივით მიმართავდა ღმერთს მათი ძუძუმტი. „არა თუ გთხოვ ან გევედრები, არამედ უბრალოდ მიუტევე. ასე ელაპარაკებოდა. იქნებ მართლა ღმერთია?!

„კვდება ეს“ – თქვა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, შუბი ფერდში აძგერა გიშიეს და ცა უფრო ადრე გაიხსნა თუ სისხლმა უფრო მალე იფეთქა, ვერ გაარჩია ტიმმა.

წვიმამ ყველა გამოაფხიზლა. ლოთმა საიდანღაც დიდი ხის ტოტი მოათრია და იმ ოთხეულს დაერია, მთელი ამ ხნის მანძილზე რომ დასცინოდნენ გიშიეს. მერე იმ ჯარისკაცს მიუბრუნდა, ნელან მურნარევ ძმარში რომ დაასველა ღრუბელი და ტურთან მიუტანა ჯვარცმულს. სხვა ჯარისკაცებმა დროულად შენიშნეს ლოთი და თავში კეტი ჩასცხეს.

ჯვრებთან მხოლოდ ქალებილა დარჩნენ. ტიმი აკვირდებოდა მათ. ყველა ტიროდა მარიამის გარდა. მოერიდა მისკენ გახედვა. მთელი ბავშვობა დედას ეძახდნენ დუმახიც, თვითონაც და სამრაც, პირქვედამხობილი რომ ქვითინებდა. მარიამს არასოდეს გაურჩევია ერთმანეთისგან ბავშვები, ერთი ჯამიდან აჭმევდა ოთხივეს. ტიმს ხშირად უნატურია, ნეტა ასეთი დედა მყავდესო. ადრე მასაც რცხვენოდა საკუთარი მეძავი დედის გამო, დილაადრიან იერუსალიმის ცენტრში რომ მიდიოდა და გვიან ღამით ბრუნდებოდა დაღლილი. აიყვანდა ხოლმე ტყუპებს ერთს მარჯვნივ, მეორეს მარცხნივ და გადაჰყავდა სახლში. როცა წამოიზარდა. საკუთარი თავის რცხვენოდა, როცა კბილებჩაცვენილ, ნაადრევად დაბერებულ დედას რომ უყურებდა, რომელიც შვილების გამო ასეთ საქმეს აკეთებდა. მეზობლის ბავშვები ყოველთვის დასცინოდნენ ძმებს. ტიმი იმალებოდა, დუმახი კი ან ქვებით დაეღვენებოდა მათ, ან ტიროდა სიმწრისგან.

ერთადერთი, ვინც მთელი ბავშვობა მათთან ერთად თამაშობდა, გიშიე იყო. მისი უშინოდათ სხვა ბავშვებს, როდესაც მათთან მიდიოდა, თავს ხრიდნენ, ან გარბოდნენ და ძმებიც დაცულად იყვნენ მის გვერდით. ჯვარზე გაკრობანას თამაშობდნენ ხოლმე და წარმოსახულ ჯვარზე მიღურსმულები ზეცას აჰყურებდნენ.

„აქ ჩემი მამაა!“ – ამბობდა ხოლმე გიშიე და ტიმის გარდა, მგონი, ყველას სჯეროდა, რომ ის ნამდვილი ღმერთი იყო. გიშიემაც იცოდა, რომ ტიმს არ სწამდა მისი ღმერთობის, მაგრამ არასოდეს უსაყვედურია. მერე, მოზრდილობაშიც, როცა უკვე ათასობით მიმდევარი გამოუჩნდა უბრალო ხუროს ძეს და ქორაზინში, მეზაყე ზაქეს სახლში შეხედნენ ერთმანეთს, გიშიემ სიყვარულით ჩაიხუტა ძმები და ასე უთხრა: – ჯვარზე რომ გაეკრათ ნებით, თუ სიყვარული და სინანული არ გექნათ, სასუფეველს ვერ ელირსებით, რადგან სასუფეველი ჩემგან კი არა, ჩემი მამისგანააო.

თითქოს ყველაფერი წინასწარ იყო დანერილი – წარმოსახული ჯვარცმა სინამდვილედ იქცა – გვერდი-გვერდ არიან გაკრულები და სხვა ბავშვების მაგივრად, ეს ხალხი უყურებს მათ ტანჯვას. დუმახი ჰაიასთან ერთად ცოტა მოშორებით დგას და დაბლვერილი ათვალეირებს იმ ოთხს, აქ ამოსვლის მერე ენა რომ არ გაუჩერებიათ. ტიმმა იცის, დუმახს უყვარს ჰაია, მაგრამ ქალს ის უყვარს, ვინც ახლა ჯვარზეა გაკრული.

მის სახლში დაიჭირეს. ძმები საჭმელს ჭამდნენ ლამპის შუქზე, როცა შეიარაღებული კაცები მიადგნენ და ხელები გადაუგრიხეს. საპყრობილეში

უთხრეს, ჰაიამ გაგცათო, მაგრამ ტიმს არ სჯეროდა და რომ სჯეროდეს, ძმას მაინც არასოდეს ეტყოდა ამას. ასე რომც იყოს, გოგოს მთელი ცხოვრება სინანულად გაჰყვება ჩადენილი და ალბათ უკეთესი ცოლიც იქნება დუმახისთვის.

პირველად წარმოიდგინა ცხოვრებაში, რომ ჰაია სხვისი, მისი ტყუპის-ცალის ცოლია და გული შეეკუმშა. თვალი აარიდა ორივეს და ისევ ქალებს გახედა. სამრა დაჩოქილი ლოცულობდა. გაახსენდა, ერთხელ დუმახი რომ მობრუნდა სახლში და თქვა: - „დღეს სამრა ვნახე მაგდალაში, მარიამი დაურქმევია და მეძავობს.“ ეს „მეძავობს“ ისეთი ზიზლით წარმოთქვა, შეზარა ტიმს. ერთად იზრდებოდნენ, ერთად ეძინათ და ერთად ჭამდნენ. სამრა მათზე უმცროსი იყო და სულ გაკვირვებული სახით უყურებდა უფროს ბიჭებს. დედინაცვალი ზრდიდა და მანვე გაატანა თოთხმეტი წლის გოგო ტიმის დედას იერუსალიმში სამეძაოდ, იქიდან აღარც დაბრუნებულა სამრა, წავიდა და დაიკარგა. ამბობდნენ, ჩაქოლვას უპირებდნენ შურიანი მეძავეები და გაბრაზებული ცოლები მისი სილამაზის გამო და გიშიემ გადაარჩინაო. მას მერე აღარც მოშორებია ამ უკანასკნელს და ახლა აქ დგას.

„უსიყვარულოდ და უსინანულოდ“ - ჩაესმოდა ყურში ძუძუმტეს სიტყვები და დროდადრო თვალს აპარებდა მისკენ.

„არაფერი არ მოხდება, არანაირი ცეცხლოვანი ჯარი არ გადმოვა“ - ფიქრობდა ტიმი და ღმერთს მაღლობას სწირავდა, ამ ჯვარზე, რომელზეც თვითონ იყო მიღურსმული, დუმახი რომ არ ეკიდა. თავად ხსნის იმედი მაინც არ ჰქონდა, ეს სასჯელიც ეკუთვნოდა და დაისვენებდა იმ ეგვიპტელი ვაჭრის თვალებისგან, დანის ჩარტყმის წინ რომ გაახილა მძინარემ.

ნამდვილი ლურსმანი გაცილებით მტკივნეული იყო, ვიდრე ბავშვობის წარმოსახვითი სამსჭვალი. რკინამ ხელისგულები გაუგლიჯა და როცა ჯვარი აღმართეს, სხეულის მთელი სიმძიმე ოთხ წერტილს დაეკიდა.

პირველად გიშიე აცვეს ჯვარს. ტიმს ყრუდ ჩაესმოდა ხეში ჩაჭედებული ლურსმნის ხმა და მისი ძუძუმტეს კვნესა.

ყველაფერი რაღაცისთვის ხდება. დამთხვევაა ერთ დღეს გვერდი-გვერდ რომ ისჯებიან ძმებივით შეზრდილები?! ტიმმა იცოდა, რომ ოცდაცამეტი წლის წინ, როცა მათ სახლში ღამის გასათევად გაჩერდნენ ყრმა გიშიე და მისი დედა, მარიამმა ჩვილი ტყუპებიდან ერთ-ერთს რძე მისცა და სიკვდილისგან იხსნა. დედა ეტყოდა ხოლმე შენ იყავი ის ბავშვიო, მაგრამ არ სჯეროდა ტიმს, ალბათ დუმახია ნამდვილი ძუძუმტე გიშიესი და ამიტომაც სწამს ასე მისი ღმერთობის, თვითონ სად აქვს მაგდენი რწმენა და თავმდაბლობა, გვერდით გაზრდილს ღმერთი უწოდოს? მაგრამ მთელი

ბავშვობა მაინც დედას ეძახდა მარიამს და ყველაზე მეტად მისი ერიდებოდა. მაშინ სად გაქრა ყველაფერი ეს? გიშიეს და ტიმს ერთად აცვამენ ჯვარს, ერთი შვილია, მეორე - შვილივით გაზრდილი, ქალს შიში და სასონარკვეთა კი არა, უმადურობაც არ ეტყობა. „იქნებ მართლა ღმერთია გიშიე? იქნება მე ვცდებოდი სულ?“ – პირველად აქ გაუელვა ტიმს ამ აზრმა და შეკრებილებს გადახედა.

ხალხი ბევრი არ იყო. რამდენიმე ცენტურიონი, ოთხი უსაქმური, რომლებიც ყველა სიკვდილით დასჯას ესწრებოდნენ, ერთი ადგილობრივი ლოთი, მარიამი, სამრა და გიშიეს ორი მონაფე. უკან კიდევ ჩანდნენ ვილაცებები, მაგრამ ვერ გაარჩია. მისი ძმა და ჰაია იქნებოდნენ, ნელან, აღმართზე ამოსვლისას თვალი მოჰკრა ორივეს.

მარჯვნივ თუ მარცხნივო, ჰკითხეს ტიმს, თითქოს რამე მნიშვნელობა ჰქონოდა სად მოკვდებოდა. დასცინოდნენ, ან ესეც განგების ამბავი იყო.

გაელიმა.

„სულ ერთია, თქვენ გადაწყვიტეთ!“ – უთხრა და მონეტა ააგდეს ჯარისკაცებმა.

მეორე ის ჯვარი აღმართეს, რომელზეც წესით დუმახი უნდა ყოფილიყო გაკრული და ტიმს ჯერ გული დასწყდა თითქოს, შემდეგ თავს ძალა დაატანა და მადლობა ღმერთსო, გაიფიქრა.

მარჯვენა ძელზე მიაღურსმნეს.

ტიმის და დუმახის ჯვრები ჯორებმა ამოიტანეს, გიშიესი კი ვილაცა ადგილობრივმა გამველმა კაცმა ამოათრია. ასე გამოვიდა – ერთი ძელით ზედმეტი იყო, რადგან ჯარისკაცებმა არ იცოდნენ, მესამე დამნაშავე რომ შეინყაღეს და გამწარებულებმა ცემა დაუწყეს სიკვდილმისჯილებს.

ტიმი უყვიროდა მათ. ნუ მირტყამთო, აგინებდა, გიშიე მორჩილად იტანდა დამცირებას.

„ესაა ღმერთი? ამისი სჯეროდა ამდენ ხალხს?“ – გაიფიქრა ტიმმა და გვერდით ჩაჩოქილ გიშიეს გადახედა. ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც ბავშვობაში – მშვიდი და უდანაშაულო. და ტიმს შერცხვა, თვითონ, ეგვიპტელი ვაჭრის მკვლელიც და ესეც, ვილაცის ახირების გამო, ერთნაირად რომ უნდა დასჯილიყვნენ ახლა.

„ღმერთო, უშველე გიშიეს!“ – გაიფიქრა და ჯარისკაცის მოღერებულ შოლტს სახე შეუშვირა.

მარიანა ნანობაშვილი

ჩემი მომავალი მკვლელი

– უკაცრავად, აქ შეიძლება სიკვდილი?

სავარძლიანად შემობრუნდა. თვალმოჭუტვით მილიმის. მერლინ მონ-როს მარკისა ჩანს, მეოცედან. ოღონდ თმა გაუზრდია ნელამდე.

– მობრძანდით.

მის წინ სავარძელზე ვჯდები. ერთხანს თვალეში მიყურებს.

ერთხანს ვდუმვართ. „მანა“, – გამეცნო მერე. „იან“, – ვპასუხობ და ერთმანეთს თითის წვერებით ვეხებით.

– თქვენი გადაწყვეტილება საბოლოოა და გადაფიქრებას არ ექვემდებარება? – მაშინვე დამისვა დებულებით გათვალისწინებული შეკითხვა.

– დიახ.

– მოსაფიქრებლად 24 საათი გეძლევათ. თუკი გადაწყვეტილებას არ შეიცვლით, მობრძანდით და სიამოვნებით მოგემსახურებით. ანგარიში დაბრუნებამდე უნდა გადმორიცხოთ.

– დიახ, ვიცი.

ყურადღებით მიცქერს.

– ხომ არ ლელავთ?

– ოდნავ.

– თქვენ შეგიძლიათ გადაიფიქროთ!

– არა...

– მაშინ, ხვალამდე.

კარი ნაზი ჟღერიალით უჩინარდება და გავდივარ. სახლში ნახვლა არ მინდა. არც ეს 24 საათი მჭირდება მოსაფიქრებლად... ბოლო ორი საუკუნეა მეფიქრება ამაზე, და როგორც იქნა, „მომაფიქრდა“.

სწრაფმავალი ლიფტით ჩემს საყვარელ ზაფხულის სართულზე ავდივარ. ხალხმრავლობაა. რა არის მაინც გენეტიკური მუტაცია... მინაზე ფეხს, პროფესიულად თუ არ სჭირდება, ათნლეულებია, აღარაფერ დგამს. არც წვიმის ქვეშ სველდება, არც ქარი გათოშავს, მაგრამ რაღაც კონომბერი ახლოვდება, აქ მთელი კორპუსიდან იყრის ხალხი თავს, კორპუსის პრეზიდენტით დანყებულნი, დამლაგებელი კომპიუტერების უძრავი

ოპერატორებით დამთავრებული. ეფიცხებიან ჭერიდან მოკაშკაშე ულტრაიისფერ სხივებს, ისუნთქავენ რეზერვუარებიდან მუდმივად განახლებად ზღვის ჰაერს, ისმენენ დინამიკებიდან ზღვის ხმაურს, თვალუნვდენელ აუზში ცურავენ, ირუჯებიან. ყველა სხეული იდეალურია. რა ხანია, თვალი აღარ ეძებს „ჩემს“ ქალს. ყველა ნამლეკავად ლამაზია და ნამლეკავად ერთნაირი... ადრე, გენურ რევოლუციამდე, კარგად მახსოვს, სულ სხვა იყო...

რატომლაც, გადავიფიქრე პლაჟზე ნამონოლა, ჩამწკრივებულ პალმებთან მკვეთრად მოუხვიე და პარკში გავედი. საქანელებთან, სილაში, ბავშვები თამაშობენ, იქვე, სალათისფერ სავარძლებში, დედები ჭორაობენ გატაცებით. აქ არაფერია ჩემთვის ახლობელი – რადგანაც მხოლოდ ერთი ბავშვის გაჩენა შეიძლება, ყოველ ცოლს ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი, ღირდა თუ არა მისგან შვილის ყოლა, და დავრჩი ბოლოს უშვილო. ცხადია, შეიძლება, კოლბაშიც გამოვზარდო. ამას თავისი დადებითიც კი აქვს, მაგალითად, ჩანასახშივე გაუკეთდებოდა გენური „პლასტიკა“, აუცილებლად ინდივიდუალური – ცნობილი მარკები მოდიდან გადადის და აღარ მომწონს, მეც ინდივიდუალური „პლასტიკა“ მაქვს. 10 წლისა ვიყავი, ოპერაციაზე რომ წავედი... აღარც კი მახსოვს ჩემი ნამდვილი სახე. გენური ჩარევები ჩემი დაბადებისას ჯერ არ იყო და არც პოპულარულ მარკებს უშვებდნენ...

ჰო, ჩემს შვილს დიდი შავი თვალები ექნებოდა აუცილებლად, დანარჩენ ნაკვთებს კატალოგიდან შეეარჩევდი. სეროტონინსაც არ შევავყვანიებდი დიდი დოზით, ასე მგონია, „ბედნიერების გენი“ ემოციებს აჩლუნგებს. თუმცა, როცა საფეთქელში ჩიპი გაქვს ჩადგმული, და მუდამ გაკონტროლებს სამედიცინო, პოლიციის, დაზღვევის და დაცვის სამსახურები, ძნელია, დიდი ემოციებით იცხოვრო. ხოდა, ზედმეტი იქნებოდა ჩემი ბავშვი.

ჩემსავით.

ჰმ, აი, დაუშვა კიდეც კოკისპირულმა... სინამდვილეში ეს წვიმის ნკაპა-ნკუპი ჩიპიდან ჩამესმის, ეს ხმა ნონიზე მაქვს დაყენებული. ნონი ჩემი მესამე ცოლი და კარგი მეგობარია.

– გისმენ, – ვამბობ ხმადაბლა. ნონი ჩემს წინ დაინისლა. დივანზე ნახევრად წამოგორებული ფრჩხილებს იპრიალებს.

– სად ხარ? – ამომხედა.

– ვსეირნობ. – შევჩერდი, თორემ ნონის ჩემს წინ და ჩემთან ერთად მოძრავი გამოსახულება თავბრუს მხვევს.

– რატომღაც შენთან ლაპარაკი მომინდა...

– ნახევარ საათში სახლში მივალ და დაგირეკავ.

კარგა გავცილებივარ ცენტრს. უახლოეს ლიფტამდე მისვლას ხუთიოდე ნუთს ვუნდები. ვჩქარობ. ნონისთვის არაფერი მითქვამს და სინდისი მქენჯნის – სეროტონინის ნაკლებობა მაქვს და იმიტომ. ნონი სულ მეჩხუბება, ჩაიტარე ეგ პროცედურა, შენც დაისვენებ და გარემომყოფნიცო, მაგრამ არ მინდა. არც კი ვიცი, რატომ. ახლა, მე რომ სასიკვდილოდ ნავალ, ნონის ძალიან, ძალიან დასწყდება გული, ალბათ, იტირებს კიდევ, შეიძლება, ზოგჯერ მოვენატრო, მაგრამ მაინც დავავინყდები შემდეგ ნოემბრამდე.

ლიფტმა ჩემს სართულზე შეუხვია და მალევე გაჩერდა. იქვე, სუპერმარკეტში სოიოს ტკბილეულს ვყიდულობ და ჩემი ბინისაკენ მივდივარ. კარს ხელისგულს ვადებ და ისიც ნაზი ჟღრიალით მიჭრის კონუსის ფორმის შესასვლელს.

როგორც კი ფეხს ბინაში ვდგამ, თეთრი შუქი ინთება. სატელეფონოში შევდივარ და ნონის ვიძახებ. აციმციმებული კედელი დაკავებას მიჩვენებს. ჭორიკანა ნონი.

როგორც იქა, კედელი განათდა და ნონის სატელეფონოს ვხედავ. მომენტარე, – კივის ნონი და ეკრანზე ერთმანეთს თითის წვერებს ვახებით. ამ დროს უნებურად მეფიქრება, რომ ეს უკანასკნელად ხდება, მაგრამ ნონიმ ეს არ იცის, უცებვე მცილდება, ეჩქარება, ახალი ამბები მომიყვებს.

– ყავა გინდა? – დაფაცურდა.

მაინცდამაინც არ მინდა, მაგრამ თავს ვუქნევ და მორჩილად ვირგებ თავზე გემოსადინარს. ნონი ყავას ადულებს, გემოგადამცემ ჭიქაში ასხამს და მოლოდინით მიცქერს. იქვე, თაროზე შემოდებული ბოთლიდან ნაღვამ წყალს ყავის ჭიქაში ვისხამ და ფრთხილად ვწრუპავ.

– ჯერ ძალიან ცხელია, პირი არ დაგენვას, – მახსენებს ნონი.

ჰო, ცხელია. არ მინდოდა, მაგრამ მესიამოვნა ყავის მძაფრი არომატი. ნონი კმაყოფილია – ცოტა ყოფნის კმაყოფილებისათვის. და იგი ლაპარაკს იწყებს.

ათიოდე ნუთში უკვე ვიცი, რომ ნონის ახალი ოქროს სანვივე აქვს, რომ საძინებლში ჰაერის სატუმბი გაუფუჭდა, ხელოსანი არ მოდის და იძულებულია, ორი ღამე რადიაცია ისუნთქოს, რომ მესამე კონტინენტზე

რომელიღაც ოკანისპირა ქალაქში ცუნამია მოსალოდნელი და რამდენიმე ასეული კორპუსის ლითონის დარაბებით ჩარაზვა მიმდინარეობს...

ნონის საუკუნეა ვიცნობ. ვიდეოჩატით გავიცანი, ჭადრაკს ვთამაშობდით ხოლმე და სულ ვუგებდი. მაგრამ ნონის სეროტონინი აქვს ჭარბად და ამის გამო გული არ წყდებოდა. როგორღაც მალევე დავმეგობრდით. ნონის ეგზოტიკური გარეგნობა აქვს, ეგვიპტელი ნეფერტიტის მარკისაა. ორმოცდაათიოდე წლით იქნება ჩემზე უმცროსი. ახლა ჩვენს კონტინენტზე ცხოვრობს. სადღაც სამხრეთით... ზუსტი კოორდინატები ჩამანერინა, მაგრამ როგორღაც ვერ მოვაბით თავი ერთმანეთთან სტუმრობას მას შემდეგ, რაც 37 წლის თანაცხოვრების შემდეგ დავცილდით ზედმეტი მეგობრობის გამო...

ჩემთან გაყრის შემდეგ ისევ გათხოვდა ნონი, სამი წელი ვირტუალური ოჯახი და სექსი ჰქონდათ, მერე ქმართან ჩავიდა და კიდევ დაცილდნენ ერთ კვირაში. ეტყობა, ის კაცი თეორიას და სექსპროგრამას უკეთ ფლობდა, ნონი კი ყოველთვის საუკეთესო ხარისხის გადამცემ აპარატებს ყიდულობდა...

- იან, - მეკითხება მოულოდნელად ნონი, - ხომ არ იცი, ახალგაზრდობის ელექსირი რა ნივთიერების საფუძველზე გამოიგონეს?

რაში აინტერესებს? სულაც არ ვიცი, მაგალითად, როგორ ფუნქციონირებს გემოსადინარები ან კომპიუსონები, თუმცა მათ გარეშე წარმოუდგენელია დღევანდელ დღეს ცხოვრება...

- პრინციპი, როგორც სკოლიდან მახსოვს, უჯრედების განახლებაშია... - დავინწყე ყოყმანით, ბუნებრივად სისხლისა და ორგანოების უჯრედების განახლება 3-4 წელიწადში ერთხელ ხდებოდა, მაგრამ მომდევნო ნიმუში ყოველი წინა განახლებიდან წარმოქმნილი უჯრედები იყო და ორგანიზმი ბერდებოდა... წარმოიდგინე, ფოტოს ასლიდან რომ კიდევ ასლი გადაიღო, და ასე შემდეგ... ბოლოს რას მიიღებ, ისიც წარმოიდგინე... მერე, გენური ინჟინერიის ოქროს საუკუნეში, აღმოაჩინეს, როგორ უნდა განეახლებინათ უჯრედები უშუალოდ ახალგაზრდა უჯრედებიდან...

- ანატომიას მეც ვსწავლობდი, - ტუჩი გადმოზურცა ნონიმ. - თვითონ ამ პროცესის დასახელება მჭირდება, კროსვორდს ვაესებ...

ხელი ჩავიქნიე.

- კარგი, ნავედი, - ამბობს ნონი. - დღეს მძიმე დღე მქონდა. ხუთი საათი ჩავატარე, სულ მაღალ კლასებში. ბავშვებიც რა რთულები წამო-

ვიდნენ... დღეს სამი მოსწავლე გავითიშე გაკვეთილიდან. შეიკეტებიან მათი მშობლები საოფისე ოთახებში და სულ არ აინტერესებთ შვილები. ჩვენ დროს სულ სხვა იყო...

– ხო, ჩვენ დროს სულ სხვა იყო, – ექოსავით ვიმეორებ.

ნეტა როგორია ნამდვილი ექო, ნამდვილ მთებში. უფრო მეტჯერ მეორდება ალბათ და ზრიალით...

ნონი ქრება.

ვფიქრობ ექოზე და დარჩენილ ოციოდე საათზე. ჩემი ნასვლის შემდეგ რამდენჯერ გამოვცემ ექოს ამ სამყაროში ან და, გამოვცემ კი საერთოდ?..

საინტერესოა, რა პროცედურებია გასავლელი. ალბათ, ფსიქოტესტს ჩამიტარებენ... ან ფსიქოსეანსს... გადარწმუნებას მაიცდამაინც არ შეცდებიან ამ გადატვირთულ დემოკრატიულ დედამინაზე, მხოლოდ ვალს მოიხდიან და კიდევ ერთხელ აგისხნიან, რომ შენი გადაწყვეტილება სერიოზული და შეუქცევადია. რომ გადიხარ ერთადერთ სფეროზე, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ აკონტროლებენ, სადაც ვერ დაგიცავენ და საიდანაც არავინ დაბრუნებულა. მკითხავენ – რატომ გადაწყვიტე სიკვდილი? და თუ მკითხეს, რა ვუპასუხო? არ ვიცი? ასე მინდა? სეროტონინის ნაკლებობა მაქვს? ყველაფერი მომბეზრდა?

ლიფტის ბოლო გაჩერებამდე ხუთნილა დავრჩით. ერთმანეთს შეთქმულებივით გადავხედეთ. უცებ ისეთი სიახლოვე ვიგრძენი ამ ხალხთან, როგორიც კარგა ხანია, არავის მიმართ მიგრძენია. მგონი, პირველ ცოლთან მქონდა რალაც ამდაგვარი განცდა, წესიერად აღარც მახსოვს. როცა სადღაც შიგნიდან გრძნობ შენნაირს. თავის ქალის ჩიპიდან კი არა, სხეულიდან.

უხმოდ გავიარეთ თეთრი დერეფანი, აქ დახურული სივრცეა, არანაირი გაშენებული ფლორა და ფაუნა – მხოლოდ თეთრი კედლები, შემინული დერეფნები და უამრავი პატარა კარი. ზურგზე სიცივე ვიგრძენი, დიაფრამასთან – სპაზმები. უცებვე ავიყვანე თავი ხელში. დერეფანში ყველანი ერთმანეთისგან განცალკევებით მივდივართ, და ჩვენს შორის ისევ გაქრა სიახლოვე...

ნაცნობი კარი ნაზი ჟღერალით გადნა სივრცეში და ისევ მერლინის მიბნედილი ღიმილი მეფეთება. ცხადია, არ უკვირს, ამ 24 საათში არაფერი რომ შეცვლილა.

მაონა სავარძლებზე გვითითებს, ჩვენ ვსხდებით. ალბათ, ყველას ჩემსავითა აქვს პულსი აჩქარებული და გონება არეული. შეიძლება, არც...

მაონა მერლინის ლიმილით მაინც გვიხსნის იმას, რაც ყველამ მშვენივრად ვიცით, მაგრამ ასეა საჭირო, პროცედურული ნიუანსია. დიდხანს საუბრობს, მოკლედ ახასიათებს ეპოქებს და ასარჩევად გვთავაზობს – რომელი მათგანის გამოვლა გვსურს... უფრო სწორად, რომელი მათგანის გამოვლის ნიადაგზე გვსურს სიკვდილი. პრაქტიკულად, მომსახურეობის წინ შეკვეთის შერჩევაში გვებმარება. და უფლებებსაც გვახსენებს.

–...თქვენს მიერ ამორჩეულ ვირტუალურ სამყაროში იცოცხლებთ კიდევ რამდენიმე ათწლეულს, ამ პერიოდის განმავლობაში განიცდით ბუნებრივ დაბერებას და შესაბამის გარდაცვალებას... – აქ მაონამ შიშნარევი თანაგრძნობით გადაგვხედა, – ამ ეტაპის შემდეგ გეკარგებათ ჩიპის გარანტირებული დაზღვევა და იმ სფეროში გადაინაცვლებთ, რომელზეც, ჩვენი ცივილიზაციის განვითარების დონის მიუხედავად, ჯერაც არა გვაქვს ინფორმაცია და შესაბამისად, რომელიც ვერ კონტროლდება.

მაონამ პაუზა დაიჭირა, კიდევ ერთხელ გადაგვხედა და განაგრძო:

– თქვენ გაქვთ უფლება დააპროგრამოთ თქვენი წინამდებარე ცხოვრების საკვანძო ეტაპები, თქვენი წარმატებები და უბედურებები; გაქვთ დუმილის უფლება – ანუ უფლება გამოიყენოთ პროგრამული იმპროვიზაცია, რადგან თქვენი ყოველი სურვილი შეიძლება გამოყენებულ იქნას თქვენს სანინალმდეგოდ; გაქვთ უფლება მოინვიოთ თქვენი ნდობით აღჭურვილი მფარველი ვირტადოკატი, რომელსაც შესწავლილი აქვს ეპოქები და თქვენი ემოციური კოეფიციენტი. თუ არა გყავთ კანდიდატურა, შეგიძლია შემოგთავაზოთ სახაზინო თანამშრომელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაკავებული იქნება თქვენი ცხოვრების კორექტირებით...

მორჩა. ახლა ჩვენ-ჩვენ კამერებში დაგვანვენენ.

– უნდა იცოდეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი ეპოქა და ადგილი, ჩვენი აპარატი გამოთვლის შესაბამის რხევებსა და სიხშირეებს, და გადაიყვანს თქვენს გონებას თქვენს მიერ არჩეულ დროში. თქვენ იმდროინდელ ხალხსა და მოვლენებს შორის დაიბადებით და იცხოვრებთ, იმ ადგილსა და დროს სივრცეში დაფიქსირებულ ყველა სიტყვასა და ბგერას გაიგონებთ, ყოველ გამოსახულებას დაინახავთ. ამასთან, ცხადია,

ცნობიერად არ გეხსომებათ, ვინა ხართ და საიდან, აგრეთვე არ გეცოდინებათ თქვენი სამყაროს ვირტუალურობის შესახებ. თქვენ ემოციურად სინთეზირდებით იმ გარემოში, შესაბამისად, შეიტანთ ახალ ვერსიას უკვე არსებულ ისტორიაში. მაგრამ ეს მხოლოდ თქვენს სამყაროს ეხება. ანუ ცვლილებებს განიცდის არა არსებული წარსული, არამედ თქვენ ხუთნი შექმნით ახალ სამყაროს წარსულის გამოყენებით, რომელიც თქვენთან ერთად მოკვდება, თუმცა ერთმანეთის სამყაროებთან კონტაქტი გექნებათ... ანუ თუ, ვთქვათ, რომელიმე თქვენგანი თავის სამყაროს ისტორიაში რჩება არჩეულ მე-17 საუკუნეში, მე-20-ში დაბადებულს მის შესახებ ინფორმაცია ექნება... გასაგებია?

თავებს ვუქნევთ. ეს ყველაფერი ნებისმიერმა იცის, ვინც ერთხელ მაინც დაფიქრებულა სიკვდილით მომსახურების ბიუროზე.

– ჩვენ არ გვაქვს უფლება დაგიშალოთ სიკვდილი, მით უმეტეს დედამინის დღევანდელი დატვირთულობის კოეფიციენტის გათვალისწინებით... მიუხედავად ამისა, ჩემი ფირმის სახელით ნუხილს გამოვთქვამ, რომ გეტოვებთ. – მაონა-მერილინმა წარბები სინანულით შეყარა, თუმცა მეორე წამში ისეც ღიმილად დაიღვარა – საინტერესო დროსტარებას გისურვებთ, ბატონებო.

...ქალად ვგეგმავ დაბადებას... ქალის სხეულშიც მინდა ცხოვრება გამოვცადო... როგორია, როცა დომინანტი არა ხარ ამ სამყაროში... როგორია, იყო სუსტი და რა სიძლიერე აქვს ამ სისუსტეს...

– მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენ თან დაგყვებათ თქვენი ბუნებრივი გენეტიკიდან გამომდინარე ყველა ძირითადი თვისება, აგრეთვე ავადმყოფობები, პათოლოგიები და ნიჭი. ისე რომ, გაცილებით უფრო ნაკლებ პრობლემებს შეიქმნით, თუკი ამას გაითვალისწინებთ ცხოვრების გზის დაკომპლექტებისას. თქვენი დნმ-ის ისტორიები გამოტანილია თქვენს კომპიუტერებზე, შეგიძლიათ შეკვეთის წინ გაეცნოთ კოდირებულ ავადმყოფობათა და მიდრეკილებათა ნუსხას.

მონიტორზე პუნქტობრივად ჩამოიწერა ჩემი დნმ-ის მთელი ისტორია. სიას გადავხედე. ოჰო! რამდენ ავადმყოფობას ვარ აცდენილი თანამედროვე მედიცინის წყალობით... და რამდენი ნიჭი მქონია არარეალიზებული... ამდენი ხნის განმავლობაში ვერაფერს მივაღწიე... როგორ ახერხებდნენ ამას ადამიანები ერთი ცხოვრების მანძილზე? აი, დღეს, აი, ხვალ... ხვალინ-

დელი დღე მოსწრებაზე აღარ არის... გლობალური ინდიფერენტულობა გიპყრობს... მონოტონური კმაყოფილება... იქნებ, აუცილებელია დროის საზღვრებს ტყავით გრძნობდე, ცხოვრებას კბილებით ებლაუჭებოდე, რომ მას ფასი ჰქონდეს სეროტონინის გარეშე? როგორია, ნეტა, როცა დაბადებიდან იცი, რომ მოკვდები? ვითომ, იმაზე საშინელი გრძნობაა, როცა არა ხარ დარწმუნებული, მოკვდები თუ არა საერთოდ?

ახლა ავირჩევ რომელიმე პატარა ქვეყანას... იმ დროში, როცა უკვე არსებობდა კბილის პასტა და ჰიგიენური პაკეტები, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გენური ინჟინერია და ტექნიკური მეგაპროგრესი, როცა ცუნამისგან ევაკუაცია ლითონების დარაბებით კი არა, ტრანსპორტით ხდებოდა, როცა ექო კლდეებში ზრიალებდა და არა ცათამბჯენების კედლებში, როცა არსებობდა ნაციები და ომები, როცა სიცოცხლე მინის ქვაბიდან გადმოდუღდა, როცა ისახებოდა მიზნები და მიუწვდომელი მწვერვალები, როცა ადამიანებს ერთმანეთი სილამაზის გამოც უყვარდათ, როცა თითის წვერების შეხების ნაცვლად ხელისგულებს უჭერდნენ ან მკლავებს ხვევდნენ, როცა ვირტუალობა ჯერ კიდევ არ იყო რეალობა...

პარადოქსია, მაგრამ ეს ვირტუალობა მაგდება ახლა რეალობაში...

...ნახევარ საათში მაონას იზოლირებულ, ახლა უკვე "ჩემს" კამერაში შევყავარ. გამჭვირვალე კუბოს დანახვაზე ტანში მცრის, მაგრამ უხმოდ ვწვები მოხერხებულ ბალიშებზე. აქ მოკვდება ჩემი სხეული, როცა სადღაც, ათწლეულების შემდეგ, ჩემი სული დაილაფება. შეკვეთა მიცემულია. ახლა დავიძინებ და მომდევნო ნუთიდან სადღაც ჩავისახები.

მამ ასე.

მინდა ვიყო ქალი. არაა აუცილებელი, მერლინის უზადო ნაკვთები მქონდეს, სრულიად საკმარისია ისეთი, კაცებს ცოტაოდენ ტვინს უმღვრევდეს...

მინდა გვერდით ნამდვილი მამაკაცი, ისეთი, როგორც ახლა მე ვარ... ძალიან გვიყვარდეს ერთმანეთი. შეილები მყავდეს... მე თვითონ გავაჩინო, კოლაში კი არ გამოვზარდო... ტკივილიც მინდა მქონდეს, განცდების ფართო ამპლიტუდა რომ გამოვცადო... წინალობები და ცდუნებები... მწერალი მინდა ვიყო... მიქცევ-მოქცევა მქონდეს ჩემს სამყაროსთან...

...ამას ყველაფერს კიდევ ერთხელ ვუმეორებ მაონას და კომპიუტერს. წესია ასეთი, რამე შეცდომა რომ არ გაიპაროს. ერთხელ ორი შეკვეთა ერთმანეთზე დასვეს ერთ ადამიანში და კაცმა შიზოფრენიკად იცხოვრა.

მეზობელ კონტინენტზე კი ვინმე ნოსტრადამუსისათვის მეხსიერების ნაშ-
ლა დაავიწყდათ, საშინელი სკანდალი იყო... ლიცენზია ჩამოართვეს ამ
შეცდომების გამო ფირმებს. იმის შემდეგ კონტროლი გაამკაცრეს..

– კეთილი მგზავრობა მოკვდავობაში, – მილიმის მათნა, – თქვენ
მომდევნო წუთიდან ცნობიერი მეხსიერება წაგეშლებათ, ქვეცნობიერის
ნაწილიც – მთლიანად არ შეიძლება... ამიტომ ინტუიციას სულ „ემახსო-
ვრება“ თქვენი შეკვეთის დეტალები... წინათგრძნობა ერქმევა ამ მოვლე-
ნას... რადგან ქალად დაბადება ისურვეთ, საჭირო ფლუიდებს ნეკნიდან
დაგიმატებთ, – ამბობს და ნეკნზე საინექციო ჩიპს მიმაგრებს. – თუმცა
მამაკაცისგან რალაც მაინც ჩაგრჩებათ ხასიათსა და მენტალობაში. –
ოდნავ მჩხვლეტს, სულ ოდნავ, გულის ფარში.

– მაშ ასე, თქვენი მომავალი სამშობლო?

– საქართველო...

– დაბადების საუკუნე?

– მეოცე...

– თქვენი სახელი?

– მარიანა...

– გვარი?

– ნანობაშვილი...

– თქვენი მომავალი მკვლელი?

კომპიუტერზე სიამ ჩამოირბინა – ადამიანი... სიბერე... ავადმყოფობა...

კატაკლიზმები... უბედური შემთხვევა...

ვირჩევ.

ამორჩეულში ახალ დეტალებს მიგდებს...

ისევ ვირჩევ.

და მოვდივარ!..

კოკა არჩეაძე

თავგასების საიდუმლო ცხოვრება

- მოყვით, ჯოუნს, ნუ ნელავთ. - თქვა მისტერ დოუპსონმა და აგენტ ჯოუნსის მომღიმარ სახეს მიაჩერდა.

- რა გითხრათ, სერ, გატაცებული ბავშვის გარდა, კიდევ ორი ტყვე აღმოვაჩინეთ; ორი წლის წინ გაუჩინარებული მისტერ რიჩარდ ჰამფრი და შარშან ზაფხულში გამქრალი, ატლანტა პოუქსის თავდამსხმელი მაკემბე ლილონგვე. სამივე ფსიქიკა შერყეული, მაგრამ ასე თუ ისე უვნებელი.

- სად მალავდა?

- ბავშვს სხვენზე, სერ, იმ ორს კი სარდაფში. მცირე ზომის ელექტრო-სადგური დაუმონტაჟებია საკუთარი სამზარეულოს ქვეშ, როგორც ჩანს, თვითონ შექმნა. მისტერ ჰამფრი და კალათბურთელი ამუშავებდნენ, ორივე გამორჩეული ფიზიკური ძალის პატრონია, სერ. მგონი, კიდევ უფრო გაძლიერდნენ ამდენი შრომისგან. ასე აიხსნა ეჭვმიტანილის მიერ ელექტროენერგიის ხარჯვის მკვეთრი შემცირება. პრაქტიკულად არ ჭირდებოდა საკუთარის გარდა. აპრილს თუ არ ჩავთვლით. აპრილში მისტერ ჰამფრი ავადმყოფობდა, არაფერი სერიოზული, უბრალო გრიპი, მაგრამ ლილონგვე მარტო მინც ვერ გაუმკლავდა იმავე სიმძლავრეზე დარჩენას.

- ბავშვი? როგორც მახსოვს, ბავშვი უნარშეზღუდული იყო, რა მდგომარეობაშია?

- უფრო ჭკვიანი არ გახდა, სერ, ამას თუ გულისხმობთ. - აგენტ ჯოუნსს პირის და თვალების გარდა, ყურებითაც კი გაელიმა. - ჯანმრთელობა რიგზე აქვს, ჭამა-სმა არ აკლდა. თავსატეხებით და კონსტრუქტორებით სავსე ოთახში აღმოვაჩინეთ, თუმცაღა ანყობილი არცერთი იყო. მხოლოდ ერთი საინტერესო დეტალი სერ - თმა საერთოდ არ ჰქონდა, წარბებიც კი მოუპარსავს ეჭვმიტანილს.

- მოკლედ, გიჟია ჯოუნს?

- ო, სერ, თქვენ ჯერ კიდევ არ იცით.

ის, რომ მოკლე ვარ და თავი ტანთან შედარებით ძალიან დიდი მიჩანს, არასოდეს მავიწყდება, ანდა ვინ დამავიწყებს; სკოლაში ხან თავგასას

მეძახდნენ, ხან შუბლას. იმდროინდელი მეგობრები არც ახლა მაკლებენ. გამელოტებით კი სულ ახლახან გამელოტდი, მაგრამ გული მიგრძნობს, ამასაც მივეჩვევი, მიმაჩვევენ ჩემიანები.

ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ ქრისტეს შობიდან ყველაზე სასაცილო წელი 2007, განსაკუთრებით კი შემოდგომა, ინტერნეტში ქექვაში გავატარე. მახსოვს, იმ საღამოს სტუმრები მყავდა და რომ დაიძალნენ, გადანახული „პიტაჩოკი“ ამოვიღე და კომპიუტერს მიუუჯექი. მუსიკის მოსმენა მინდოდა, მგონი ოკენფოლდის, მაგრამ სადაც ვეძებდი იმ საიტს ფორუმიც აქვს და რა ჯანდაბამ დამანყებინა კითხვა არ ვიცი.

თემას, რომელმაც დამინტერესა „მართმადიდებლური ვს. კათოლიკური ეკლესია“ ერქვა, უცხო მტაცებლის წინააღმდეგ, რალა. ვილაც აჟიტირებული ლლაპი, ბიბლიიდან ციტატებით ებრძოდა კათოლიციზმს და რეფორმაციას, თუმცა არც კათოლიკე ჩანდა სადმე და არც პროტესტანტი. მთელი თემა ინტელექტის შადრევანი იყო, როგორც ხვდებით, მაგრამ ერთერთმა პოსტმა მაინც განსაკუთრებით გამართო:

„ნარსულშიც და დღესაც მრავალი ბოროტი ძალა ცდილობს განხეთქილების ჩამოგდებას მართმადიდებლურ ეკლესიაში, მაგრამ ეს არასდროს არ მოხდება...“

რადგანაც თვით იესო ქრისტე ამბობს შემდეგს:

„...და მას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას!“

გაკადნიერდება ვინმე და იტყვის რომ ეჭვი ეპარება უფლის ამ სიტყვებში?!

ჩვენთან არს ღმერთი!!!

ამინ „განხეთქილების ჩამოგდება მართმადიდებლურ ეკლესიაში“ მართლაც რთული საქმეა; ჩვენი ჰერმეტიულად დახუფული თავები, ვერც რუსული მართმადიდებლობის სიბნელემ „განხეთქა“, ვერც ბერძნულის ხელმრუდობამ და ვანდალიზმმა. ჩვენთან არს ღმერთი! რა აზრი ჰქონდა ჩიო 87-ისთვის იმის თქმას, რომ „კლდე“ პეტრე მოციქული, რომის პირველ პაპად ითვლება? ღმერთი მაინც მასთან დარჩებოდა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ინტერნეტი ძირითადი წყარო გახდა ჩემი შთაგონების. არანაკლებ მხიარულ ხასიათზე, რომელილაც ონლაინ ბიბლიოთეკას ვსტუმრობდი. თვალში მომხვდა ავტორის სახელი – ჯერი მილერი.

იქნებ ჩემთვის უცნობი მოგვარება მეთქი ვიფიქრე, მაგრამ ნაწარმოებებს რომ გადავხედე, მივხვდი, რომ შეცდომა იყო. საიტის ადმინისტრაციისადმი რალაც სხვა საქმეზე მინერილ წერილს, იქ შეცდომა გაგეპარათ, ჰენრი ჰქვია მაგ კაცს მეთქი, მივაყოლე. პასუხმა აღმაფრთოვანა – ჰენრის სხვებიც ჰყავდა გვარშიო, მოკლედ მომიჭრა ადმინმა.

გიო 87-ის საკონტაქტო ინფორმაცია მივანოდე. სხვა რა მექნა.

2007-ის შემოდგომა, როგორც აღვნიშნე, ადამინური იდიოტიზმის კუთხით, საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. რთველმაც თავისი ქნა; გამოლაგდა ათასობით გასხვიოსნებული, ან მერამდენე რევოლუციის მოსახდენად, როგორც 15 წლის წინ ზუსტად ისე „ტირანი, ტირანი“-ს ყვირილით და როგორც მაშინ, ვილაც მორიგი მელვინის დემაგოგიას აყოლილები.

მაჭარი ულიტინებდათ.

ახალი ტირანი ძველზე ჯიუტი აღმოჩნდა – გაურუმბა თავები და დაიშალნენ, ისე ჩქარა, რომ ვერც მივხვდი ვისკენ ვიყავი...

ამ და სხვა წმინდა ქართული შედეგების გარდა, რა თქმა უნდა საზღვაგარეთიც მახარებდა; მუჰამედის კარიკატურების გარშემო ატეხილი სკანდალი, როგორც მოსალოდნელი იყო, აფეთქებებით დასრულდა. თავზე ბომბით გამოსახულ მუჰამედს, მაჰმადიანთაგან განსაკუთრებით ნეტარებმა, ბომბებითვე უპასუხეს.

ვისთან არს ღმერთი?

აგენტი ჯოუნსი კაკუნის გარეშე შემოსეირნდა უფროსის კაბინეტში.

– მთელი ქსელია, სერ! – თქვა მან და მისტერ დოუპსონის მაგიდაზე რამოდენიმე საფოსტო მისამართებით აჭრელებული ფურცელი დადო.

– spinoza2000 yahoo.com, genius-jim@hotmail.com, brightmind@gmail... მეილებია. და როგორ გავიგოთ ეს?

– რალაც საერთო იდეოლოგიით, იქნებ რელიგიური წარმოდგენებითაც კი გაერთიანებული ადამიანების ინტერნეტპორტალია. ამ პორტალის მომხმარებელთა მეილების სიაა. ჩვენი ეჭვიმიტანილი ერთერთი ყველაზე აქტიური იუზერი იყო, სერ. აიპი მისამართების გამოყენებით დადგენილ იქნა კიდევ რამდენიმე მომხმარებლის ვინაობა. უკვე დავკითხეთ მასაჩუსეტსში, როუდ-აილენდზე და კონექტიკუტში მცხოვრები სამი იუზერი. ჩატარდა ჩხრეკა. ბოსტონელის სახლში დაახლოებით იგივე სურათი დაგვხვდა რაც ჩვენი ეჭვიმიტანილისაში, ოლონდ ბავშვის გარეშე. მასთა-

ნაც აღმოვაჩინეთ ტყვე, რომელიც ახალი ეჭვმიტანილის სახლში რემონტს აკეთებდა, იძულებით რალა თქმა უნდა. ეს ეჭვმიტანილიც ჩუმადაა. ჩვენი სპეციალისტები პორტალს შეისწავლიან, კონტენტი დაბლოკილია, აიქიუ ტესტებით – მაღალ ქულას თუ ვერ დააგროვებ, შინაარს ვერ გაეცნობი – თუმცა ერთი რამ ნათელია; პორტალი ქართველმა, რუსების მონათესავე ერია ეგეთი...

– ვიცი ჯოუნს. განაგრძეთ.

– დიახ, ქართველმა, ვინმე რატი ფერაძემ შექმნა და ჩვენი აზრით სერ, პასუხებიც საქართველოში უნდა ვეძებოთ.

– კეთილი მგზავრობა ჯოუნს. – თქვა მისტერ დოუპსონმა და ჯოუნსის მოტანილ საფოსტო მისამართების სიას ჩაულრმავდა. აგენტმა ჯოუნსმა უხმოდ დატოვა კაბინეტი.

თომა აქვინელი აქ ჯერ არ დაბადებულა. გარშემო ზღაპარია და ხალხიც ზღაპარში ცხოვრობს. თეთრ, თუ გნებავთ ქრისტიანულ სამყაროში, საქართველოზე ზღაპრული ქვეყანა მხოლოდ რუსეთია, თავისი მესიანისტურ-დათვური დოსტოევიჩით და რა ბედი გინდა კაცს, ეს ორი ქვეყანა ერთი ქვეყანა რომ იყო და შენ მანდ და მაშინ დაიბადე.

„ჯერი მილერი“, ამპარტავენი გაუნათლებლობის პირმშო. უძველესი ქრისტიანული ერის ყველაზე თვალმისაცემი თვისება – ამპარტავენება.

გონებაშეზღუდული ბრბო დროებით და პლაკატებით ხელში, „საქართველო პრეზიდენტის გარეშე“ ან რამე მსგავსი.

ერთი ლოგოკრატიული მთავრობა ცვლის მეორეს და ბრბო ინერწყვება იმედით... საინტერესოა, ჰქონდათ თუ არა პავლოვის ძალღებს იმის იმედი რომ ხორცის მორიგი ნაჭერი წინაზე გემრიელი იქნება?

ვინ იყო სინამდვილეში ფსევდო-დიონისე არიოპაგელი? რა მნიშვნელობა აქვს? პეტრე იბერიდან მერაბ მამარდაშვილამდე, დაკარგულები ვართ დიდ-თავა ადამიანები, მომიტინგე მიკროცეფალთა თავებში დარღვეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მსხვერპლნი.

ძალლი უკვე სიგნალის გარეშე ინერწყვება.

ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ ნათესავი ჩამოვიდა მარტვილიდან ამ გაგანია გალიაკში. ახლა კომპთან ზის და ნარდს ეთამაშება ვილაცას ემესენით. მე სანოლზე ვგდივარ გალიმებული სახით, საკუთარი აზრები მართობს. წინა ორი აბზაცი ხმამალა ამოვთქვი, ნათესავი სიცილით დაიხრჩო და სუნთქვა რომ დაიბრუნა გაკლიაო.

მე რატი ფერაძე ვარ. დღეს 2009 წლის 9 აპრილია. გუშინ აგენტი ჯოუნ-სი გავიცანი.

სულ თავიდან დავიწყეთ: ჩემი გარეგნობა სიტყვებით რომ აღვწერო, უცხოპლანეტელს ვგავარ ძალიან, უფრო სწორად უცხოპლანეტელებზე პოლიოვუდის წარმოდგენას. დაბალი ვარ, მინდა, მაგრამ ვერ ვარ „საშუალო სიმაღლის კაცს“ რასაც ეძახიან, მეტრით და სამოცდარვა სანტიმეტრით „საშუალო სიმაღლის ქალი“ უფრო ვარ. მაქვს დიდი თავი, რასაც ჩემი სიმაღლე, უფრო სწორად კი სიდაბლე, კიდევ უფრო უსვამს ხაზს და როგორც უკვე ვთქვი, გავმელოტდი, ისე, რომ გვერდებში დარჩენილი თმა არ მიხდებოდა და ისიც მოვიპარსე. ახლა კვერცხივით სლიპინა თავი მაქვს. არც ტანი მაქვს თმიანი, თითქმის ქოსა ვარ, ძალიან გამხდარი, განუფითარებელი მუსკულატურით. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ფერმკრთალი ვარ, ლამის ნაცრისფერი. უცხოპლანეტელები კი ან მწვანეები არიან ან ნაცრისფერები. მე ნაცრისფერი ვარ. რუხი.

იმას, რომ უცხოპლანეტელი ვარ დიდხანს ვხედებოდი, საბოლოოდ გიო 87-მა მიმახვედრა. პატარა, დიდთავა უცხოპლანეტელები თანამედროვე ადამიანთან შედარებით ევოლუციური კიბის უფრო ზედა საფეხურზე მდგომი რასაა, სუსტები, ჭკვიანები. მე და ჩემნაირები უფრო ახლოს ვდგავართ მათთან, ვიდრე დანარჩენი კაცობრიობა.

გიო 87-ს კი ევოლუციური კიბის ქვეშ სძინავს და ღმერთზე ფიქრობს.

ან არ სძინავს და ჩემი ფანჯრების ქვეშ ქუჩა აქვს გადაკეტილი თავისნაირ ნეტარებთან ერთად.

მე ვარ რატი ფერაძე, ახალი რასის წინასწარმეტყველი, წმინდა იყოს სახელი ჩემი. მე შევექმენი tavgas.ge, საიტი ჭკვიანი ადამიანებისთვის, თანამედროვე სამყაროს ყოვლისმომცველი იდიოტიზმით გადაღლილმა.

სულ ეს იყო; დიდთავა, ქოსა ადამიანები ევოლუციის მონინავე ხაზს წარმოვადგენთ მეთქი და ჩვენთან არს ღმერთი თქო. ერთი-ორმა შიგნაკრავმა გულთან ახლოს მიიღო, მაგრამ მე რა დავაშავე თუ აღარც აიქიუ ტესტები გვიცავენ კრეტინებისგან?

სანამ საიტზე შეხვიდოდი 150 ქულა მაინც უნდა მიგელო, მე თვითონ 148 მაქვს, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, თავი დავიზღვიე. მერეც, ყველა სტატიაზე და ფორუმის თემაზე პაროლად აიქიუ ტესტი იდგა და წმიდათა წმიდა, ახალი რასის დაბადების ამბავიც, მხოლოდ რჩეულთათვის ცხადდებოდა.

აგენტ ჯოუნსს თუ დაუფერებთ, სწორედ ჩემი პორტალი გახდა, თან-მომდევრობით: მონათმფლობელობის, კიდნეფინგის და ელექტროენერჯის მოპოვების ორიგინალური ხერხის გამოგონების მიზეზი. დიდთავა ბავშვის გატაცება მეც კი არ მომივიდოდა აზრად. ძლიერ გაერთო აგენტი ჯოუნსი.

– თვითონ უწყინარი გიჟია, უკანონო არაფერი ჩაუდენია, მარიხუანას თუ არ ჩავთვლით, მაგრამ ეგ უკვე ჩვენი საქმე არ არის, ხომ მართალი ვარ, სერ?

– რა თქმა უნდა. რა მარიხუანა? – გაღიზიანდა მისტერ დოუპსონი – საქმეზე ილაპარაკეთ, ჯოუნს. კიდევ ერთხელ; თავი დიდთავა უცხოპლანეტელები ჰგონიათ?

– არა სერ, ევოლუციური ნახტომის მაგალითებად მოიაზრებენ თავს, უცხოპლანეტელებთან მიახლოებულებად. რამდენიმე თვისებას გამოყოფენ: ტანმორჩილობა, დიდი თავი, თმიანი საფარის სიმცირე...

– მაგათ უცხოპლანეტელები ქოსებად წარმოუდგენიათ?

– როგორც კინოში, სერ.

– ალფაცენტავრელები არ უნახავთ მაგათ.

– დიახ, სერ, ალფაცენტავრელებისგან კარგი ქურქები გამოვიდოდა.

– ნუ ხართ რასისტის, ჯოუნს.

– მაპატიეთ, სერ.

დათა ფირცხალავა

კროსვორდი

„მხოლოდ სიკედილია ის კამარა,
რომლითაც ჩვენ
ჩვენს თავს შევიპყრობთ!“
ბესიკ ხარანაული

Mr. horizontal

კარს ვკეტავდი, ტელეფონმა რომ დარეკა და გინებით შევბრუნდი ოფისში.

- გისმენთ
- გიას თხოვეთ?
- გია გასულია.
- ირაკლი?
- ასეთი არავინ მუშაობს ჩვენთან.

მესამე ცდაზე გამოიცნო ჩემი სახელი: "ზოდა, გაფრთხილებ, მალე დაგერხევა!" – ჩამყვირა ყურმილში და გათიშა.

უტყობა, რომელიმე გადაგდებული კლიენტია – მეთქი, ვიფიქრე და გავედი. ვიდრე კარი გადავკეტე, მეზობელი ოფისის თანამშრომლები ლიფტში შეცვივდნენ. სახლში მეჩქარებოდა და სხვა რა გზა მქონდა, კიბეებს ჩავუყევი. მეორე სართულზე ჩვენი ძველი კლიენტი შემხვდა, რომელსაც პირობები აინტერესებდა რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით. ორიოდ ნუთი მან წამართვა. ჩამოვედი დერეფანში, დარაჯს დავემშვიდობე, ქუჩა ნახევრად გადავკვეთე და... მხოლოდ ის მახსოვს, რომ საჭესთან ქალი იჯდა. არადა, შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო: რომ არა ჩვენი ძველი მდივნის გონებაშეზღუდულობა, არ მოვიყვანდი მის შემცველს, რომელმაც დაბნეულობისგან ოფისის გასაღები სახლში გაიყოლა. მე აღარ მომიწევდა უჯრების ქექვა და მეორე გასაღების ძებნა. რა თქმა უნდა, გამოვიდოდი გაცილებით ადრე. შესაბამისად, ვერ გავიგონებდი ტელეფონის ხმას, გამოვიძახებდი ლიფტს. ვერც კლიენტი გადამეყრებოდა მეორე სართულზე, გავივლიდი დერეფანს, მშვიდად გადავიდოდი ქუჩაზე და ტაქსის გავაჩერებდი. მაგრამ ახლა რა აზრი აქვს.

20 მეტრის რადიუსზე ვყრივართ: მე, კონტრაქტებით სავსე ჩანთა და „პიერ კარდინი“-ს უახლესი მოდელის წყვილი ფეხსაცმელი. ქუჩის უნებლიე პიკეტირება გამომდის.

რა უხერხულია.

პ.ს. დაგაჯგი ენაზე, ვინც არ უნდა ყოფილიყავი ტელეფონზე!

Mr. vertical

უცნაურია, მაგრამ ისტორიის მოყოლა ბებიარჩემით უნდა დავიწყო, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. მალე ოთხმოცს მიუყაკუნებს, მაგრამ რად გინდა: სმენა? – რაც ანყოფს, ის ესმის. მადა? – იცოცხლე. მხედველობა? – სათვალეს არ ხმარობს. მთელი დღე ზის და რაღაც ჟურნალებს ავსებს, მეტი რა საქმე აქვს. დაჯდება და დაიწყებს: „ როგორი უნდა იყოს მამაკაცი, თქვენი გული რომ მოიგოს?“ ან „ხართ თუ არა ზედმეტად ეჭვიანი თქვენი მეორე ნახევრის მიმართ?“ მოკლედ, ერთობა. ტესტები და კროსვორდები ყოველ დღე.

ერთ დღესაც, ხელში ჩამიკუჭა პენსიიდან შემორჩენილი ორლარიანი და ჟურნალზე გამგზავნა ჯიხურში. ის ამომიტანე, ბევრი ტესტი და კროსვორდი რომ აქვსო – გამაფრთხილა. მეც ამოვიცივი შარვალი და ჩავედი-ამოვედი. ხურდა და ჟურნალი ხელიდან გამომგლიჯა და საქმეს შეუდგა.

– ესე იგი.. ზუთი, თხუთმეტი, ოცი, ოცდაათი, ენახოთ, ერთი რა არის: „საკუთარი სტილი ვერ გექნებათ, იმიტომ, რომ არ გიყვართ საკუთარი თავი. არასოდეს მოგნონთ, როგორც გამოიყურებით.“ – რაებს ბოდილობენ გამაგებინა ერთი! – გაბრაზებულმა ფურცელა დაუნყო ჟურნალს.

– ავდარში შეირთე, კარგ დარში გამოგადგება. ოთხი ასოა

– არ ვიცი.

– ცოლი. – დამრიგებლური ტონით ნარმოთქვა. – ვინ არის თქვენი შვილების დედა?

– საყვარელი.

– ცოლი. – იმავე ტონით. – შვილო, დროა დაოჯახებაზე იფიქრო. – უშნოდ ჩამიკრა თვალი.

– კარგი რა, ამ გაჭირვებაში რა დროს ეგ არის.

– იქნება, ყველაფერი იქნება. მიზეზი გჭირდება, რომ ასწიო ერთი ადგილი და სამუშაო იშოვნო. ცოლი, გელაპარაკები მე შენ! თავმობეზრებული გამოვედი სამზარეულოდან და მალევე დავექეი. ათას აბსურდულ რამეზე ვფიქრობდი, მაგრამ რატომღაც ბებიას სიტყვები ჭკუაში ჩამიჯდა:

ცოლი.. ჰმ, რატომაც არა ?!

Mr. horizontal

მსგავსი ყურადღება და პოპულარულობა ბევრმა ცოცხალმა ინატროს. მთელი ქუჩის გამვლელ-გამომვლელები ბუზებივით მეხვეოდნენ და აღშფოთებას ვერ მალავდნენ. სასწრაფომ, ჩვეულებისამებრ, ოციოდე წუთით დააგვიანა. თუმცა, რაღა აზრი ჰქონდა, არსად არ მეჩქარებოდა.

აგვიკრიფეს მე და ჩემი აქსესუარები და მანქანაში შეგვაღაგეს. პროზექტურაში, სავარაუდოდ, ციოდა. ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ჩემს დასათვალისწინებლად შემოვიდა და კრემიან დონატს მიირთმევდა, თავზე დამადგა და რალაცების ჩანერა დაიწყო, თან ჭრილობებს მითვალისწინებდა. შემდეგ წელსქვევით გადაფარებული ზენარი ამინია და ისეთი სახე მიიღი, თითქოს პირველად ენახა. სახეს ვინ ჩივის, ყველაფერთან ერთად დონატის ლუკმა

გადასცდა და ახლომახლო დამხმარე რომ ვერავინ ნახა, ზუსტად სამჯერ შეასკდა ზურგით კედელს. ცნობისმოყვარეობამ მომკლა, ცოტა დავიბენი კიდეც. ლამის წამოვდექი და მეც დავიხედე აღნიშნულ ადგილას. სული რომ მოითქვა, ისევ განაგრძო ანექტის შეესება. ის-ის იყო, მეორედ აპირებდა ჩემს ფეხებშორის შეხედვას, რომ უნიფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა შემოყო თავი. ოჯახის წევრები არიან მოსულები და დროზე დაამთავრო - უბრძანა და გაბრუნდა.

რა გაუძლებს ახლა მათ ისტერიკას და „ვაიშვილოესრამოგსვლია“-ს მოსმენას.

Mr. vertical

ბოლო თვეების მანძილზე, მგონი, პირველად ავდექი დილის ათ საათზე. სახე დავიბანე, წვერი გავიპარსე, ჩაი მოვიდულე და სავარაუდო საცოლეებზე დავიწყე ფიქრი. ბოლოს მომბეზრდა, რადგან არანაირი იდეა არ მომდიოდა თავში და ლუღზე ჩასვლა გადავწყვიტე. მარკეტიდან საკმაოდ მიმზიდველი გოგონა გამოვიდა, პროდუქტით დატვირთული.

სახე გამიბრწყინდა და ვითომდა უნებლიედ, მთელი ძალით შევასკდი. ჩემმა იდეამ გაგრძელება ვერ ჰპოვა, ანუ გოგონას ხელიდან არაფერი არ გაუვარდა და შესაბამისად, ვერც მე მივეხმარე აკრეფაში. ცოტა არ იყოს, დავიბენი, მაგრამ მალევე მოვედი გონზე. მოკლედ - ელენე, დაახლოებით ოცდახუთი წლის. ცოტა ხანი გამოველაპარაკე და სალამოს ყავაზეც დავპატიჟე. თან მეგობარი გოგონას წამოყვანაც შევთავაზე, თავი უხერხულად რომ არ იგრძნო-მეთქი და დამთანხმდა. ასე ჯობია, არჩევანის სა-

შუალეზა მექნება. – გავიფიქრე დამშვიდობებისას და მარკეტში შევედი.

20:00 დღე იგივე

გაიცანი – ტატა. ელენეს მეგობარი, რომელიც გამოჰყვა ჩემთან შესახვედრად. დანახვისთანავე დამავიწყდა ელენეს არსებობა. ელენემაც იგრძნო, რომ ზედმეტი იყო და მალევე, საკმაოდ დემონსტრაციულად ადგა. ტატაც აპირებდა, მაგრამ მე არ გავუშვი. ვისხედით მე და ტატა, ვსაუბრობდით. ელენესთან ეუხერხულებოდა და თავს დამნაშავედ გრძნობდა, მე მეკიდა. მალევე გადაედო ჩემი განწყობა ამ თემასთან დაკავშირებით. რამდენიმე დღე გადაბმულად ვხვდებოდით ერთმანეთს. ვსეირნობდით ვაკის პარკში, ვჭამდით ბამბის ნაყინს და ბევრს ვლაპარაკობდით. ერთმანეთი შეგვიყვარდა.

ერთ ჩვეულ საღამოს, საკმაოდ სერიოზული წინადადება შევთავაზე: ამოღებული არ მქონდა ბებიაჩემის ნაქონი ბეჭედი ჯიბიდან, რომ ტატამ მარჯვენა ხელის არათითით ლამის თვალი ამომთხარა.

გავაცილე და გახარებული დავბრუნდი სახლში. გეგმებს ვალაგებდი: საეარაუდოდ, ტატას მამის ფირმაში დავინყებდი მუშაობას და საკმაოდ მაღალი ანაზღაურებაც მექნებოდა. კმაყოფილს ჩამეძინა.

Mr. horizontal

მაგიდა – იგივე, ხალხიც: მე, მამუკა, ბიძინა, ლამა და დავითი. მხოლოდ განსხვავებული ადგილმდებარეობით: ზაფხულში, ჩემი სახლის იტალიურ ეზოში ვისხედით ამ მაგიდის გარშემო, ბანქოს ვთამაშობდით და ლუდს ვწრუპავდით. პირველად მიწევს მაგიდაზე წოლა. ბიჭებს ცრემლები მოსდით. დედას მეზობლები ამშვიდებენ გვერდით ოთახში. ჩემი და – მარია-მი, მეგობრებთან გულს აყოლებს. მამას მესიჯი გაუგზავნეს ბერლინში. პასუხი არ მოსულა. მე – ვწევარ, როგორც უკვე მოგახსენეთ. სახლში სიცარიელეა, სიცარიელეში – მონყენილობა.

Mr. vertical

საკმაოდ ვიწრო წრეში აღინიშნა ჩვენი დაქორწინება, გაცნობიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ.

ტატას ოჯახს არ მოეწონდა. სახლში მისვლაც კი აუკრძალეს, ასე რომ ჩემი ოცნება – ოცნებად დარჩა. თავს კი ვიტანდით სხვადასხვა საშუალებებით, მაგრამ როდემდე? ბებიას პენსიას უგვიანებდნენ, ჩემი მშობლები გამოყარეს არალეგალურად ჩასვლის გამო საბერძნეთიდან და მამაჩემს

კიდევ ერთი სარჩენი სული რომ დახვდა სახლში, ლამის ტვინში სისხლი ჩაექცა. ყოველდღე ვჩხუბობდით მე და ტატა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. განსაკუთრებით ძილის წინ გვექონდა დაძაბული დიალოგები, არ ვიცოდით მეორე დღეს რა გვეჭამა. მეც ვერ ვშოულობდი სამსახურს, არადა, თითქმის ყველა ორგანიზაციაში გავგზავნე ჩემი მონაცემები მეილით. უკან მიდიოდა ჩვენი საქმე და მეც ვხვდებოდი, რომ დიდ შარში გავყავი თავი. საბედნიეროდ ტატა არ ფეხმძიმდებოდა. თავს დავდებ რომ ჩემი ბრალი არ ყოფილა ეს ფაქტი.. თუმცა, ვინ იცის.

ჩუმად ვინექი ყოველ ღამე და ტატას მოშიშვლებულ ზურგს ვუყურებდი.

Mr. horizontal

არაფერი განსაკუთრებული: უამრავი ყვავილი. გვირგვინი. ტირილი. ტირილი. ტირილი. შევწუხდი! დედაჩემი იჯდა და უემოციოდ უხდიდა მადლობას სამძიმარზე მოსულებს. დაიქანცა დედა. მარიამი მეზობელ ბავშვებთან იყო გასული. გასვენების წინა ღამეს, როგორც წესი, ბიჭებმა გამითენეს.

ყვებოდნენ სხვადასხვა ისტორიებს, შიგადაშიგ იცინოდნენ, შემდეგ კი მორცხვად იფარებდნენ პირზე ხელს. დედა ოთახში იყო ასული დასაძინებლად.

ბიჭებმა რომ ამონწურეს ყველანაირი თემა – მანქანებით დაწყებული და ქალებით დამთავრებული, დიდი ხნის დაკარგულმა მამუკამ, რომელიც საბედნიეროდ ცოცხალი აღმოჩნდა, მორცხვად იკითხა, ვინ რას საქმიანობთო და ბიჭებს მიაპტერდა.

ბიძინა: მე კერძო კომპანია მაქვს, უცხოელი ინვესტორები ჩამომყავს და ახალ პროექტებს ვამუშავებთ. ახლაც ველოდები ფინელს, საკმაოდ დიდი თანხის ჩადება გადანყვიტა საქმეში და ვნახოთ..

დავითი: მე მაგისტრატურას ვამთავრებ მამუკ, იესემ-ში, მერე ალბათ ლონდონში წავალ სახელმწიფო პროგრამით. დაფინანსებას მივიღებ, იმედია.

ღამა: გორის გუბერნატორის მოადგილე ვარ, მაგრამ ძირითადად სულ აქ ვარ რა. თვითონ აგვარებს საქმეებს. რაც არ უნდა მოხდეს, სულ რომ ახალი მთავრობა მოვიდეს ან ძველი დაბრუნდეს, მე ფეხები მომჭამონ, სუფთა ვარ.

როცა დადგა მამუკას ჯერი და მან სანყლად თქვა, რომ არაუნის ქარხანში მტვირთავად მუშაობდა, მაშინ ატყდა მთელი ამბავი. ბიჭები სიცილით გადაყირავდნენ, დედას გაელვოდა და შეწუხებული ჩამოვიდა საძინებლიდან, მაგრამ როცა ლაშამ მოუყვა მამუკას ამბავი, დედას უარესი დაემართა, ერთმანეთს ასულიერებდნენ. იცინოდა მამუკაც.

ვისლა ვახსოვდი მე, მაგრამ არ მწყენია, პირიქით, ამ ამბის გახსენებაზე მეც მეცინება ხოლმე ჩემს ფუნქციონირებად გულში. ბიჭებს და დედას ჩაეძინათ. მალე გათენდება.

Mr. vertical

წელიწადნახევარი გავიდა. უკეთესობისკენ არაფერი არ იცვლებოდა. გაუთავებელი ჩხუბები. გულმონყალე მეზობლების ხარჯზე გადაგორებული დღეები, ისტერიული დამეები. დაიღალა ტატა, დავიღალე მეც.

ერთ დღესაც, საშინელ პახმელიაზე გაღვიძებულს, ლოგინის ცარიელ მხარეს წერილი დამხვდა. ტატა მწერდა, მომბეზრდა ამ გაჭირვებაში ცხოვრება, გთხოვ, გამიგო, ჩემი სახელი დაივიწყე და ა.შ.

თავიდან ვერ მოვედი აზრზე, მეგონა მეხუმრებოდა, მაგრამ სამზარეულოში რომ გავედი და ბებიას ცრემლიანი თვალები, მამაჩემის კმაყოფილი სახე და დედაჩემის არაფრისმთქმელი გამომეტყველება დავინახე, ყველაფერს მივხვდი. საშინლად გავბრაზდი, მერე უცებ მოვტყდი და დავსევდიანდი. აღარ მახსოვს რას ვაკეთებდი, აბაზანაში ჩავიკეტე, თავის მოკვლამ გამიელვა თავში, მაგრამ ვინ მომცა მე მაგხელა გამბედაობა.

Mr. horizontal

ზედხედით რომ დაგეხედათ ჩვენი ეზოსთვის, საკმაოდ ლამაზ კადრს დაიჭერდით. ეზო სავსე იყო ქოლგებით: ჭრელი, შავი, გამჭვირვალე. ზოგს ქოლგების ნაცვლად ცელოფნის პარკები ჰქონდათ თავზე ჩამოცმული და მელოდებოდნენ. დედამ ბოლო ძალებით გამომიტირა და მეც გამოვჩნდი: მუხის კუბოში ჩასვენებული, საკმაოდ სიმჰათიური, რადგან ავარიის დროს სახით არ დავცემულვარ, აქეთ-იქიდან ბიჭებს ვყავდი ხელში ატაცებული. კატაფალკაში აღარც ვჩანდი, იმდენი სველი ყვავილი და ვენოკი მეყარა. მეც დავსველდი. საბურთალოს სასაფლაოსკენ

ავილეთ გეზი. ერთი პერიოდი, ვიდრე საზღვარგარეთ გაემგზავრებოდა, მამაჩემს ჰქონდა ამოჩემებული მალე მოვკვდებო და წინასწარ იყიდა მინა სასაფლაოზე. ამჯერად კი მე მინევდა ნითელი ლენტის გაჭრა. რა პატივია.

ცერემონიამ ჩვეულებრივად ჩაიარა. ვერც ვხედავდი რამეს. დედაჩემის ქვითინი და ხრეშიანი მინის ბრაზხუნი მესმოდა კუბოს თავსაფარზე. პატივისცემის გამოხატვის უკეთესი ფესტი ხომ ვერ გამოვიგონეთ ადამიანებმა. როგორია: თან გმარხავენ, თან ქვებს გესვრიან. ცუდი შეგრძნებაა!

Mr. vertical

ისევ სამზარეულოში გავედი. ბებიას ვეჩხუბე, სულ შენი ბრაღია ყველაფერი-მეთქი. ჟურნალი გამოვტაცე ხელიდან, რედაქციის მითითებული ნომერი ამოვიკითხე-ავკრიფე და პასუხს დაველოდე...

- გისმენთ?!

- გაის თხოვეთ?

- გას გასულია.

- ირაკლი ?

- ასეთი არავინ მუშაობს ჩვენთან.

როგორც იქნა გამოვიცანი სახელი: ხოდა გაფრთხილებ, მალე დაგერხევა! - ჩავეყვირე ყურმილში და გავთიმე.

Mr. horizontal

ამ სიტყვების გაგონებამ თავზარი დამცა. არა, თითქოს ჩემს საფლავს მეხი დასცემოდა. მინდოდა ამოვმძვრალიყავი მიწიდან და მიმეხრჩო.. მაგრამ მალევე დავმშვიდდი, გავითვალისწინე რა მისი სევდიანი ისტორია, რომელმაც სიმართლე რომ ვთქვა, გული ამიჩუყა და სმენა გავნაგრძე...

3 საათით ადრე, ვიდრე სმენა გავნაგრძე

ხალხი დაიშალა. გამიჭირდა ახალ გარემოში აკლიმატიზაციის გავლა. ნვიმამ სავარაუდოდ გადაიღო, ვილაც კაცი კი, ჩემგან მალლა და ოდნავ მარჯვნივ ჩამოჯდა. ალბათ ამობურცული მიწით მიხვდა, რომ ახალი ვიყავი და თავისი სევდიანი ისტორიის მოყოლა დაიწყო, რომელსაც ჩემი ამბების პარალელურად ზემოთ მოგახსენებდით...

Mr. vertical

სახლის კარი გამოვიჯახუნე და გამოვიქეცი. მარკეტში შევედი, ვალად სამი ბოთლი არაყი ავიღე და სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, თამარაშვილის ქუჩიდან საბურთალოს სასაფლაოსკენ ავიღე გეზი. აი, ეზივარ ახლა შენს საფლავზე და გიყვები ჩემს ისტორიას, რომ იცოდე, როგორ მინდა შენს ადგილას ყოფნა. გგონია, დიდი განსხვავებაა ჩვენ შორის? გეშლება. უბრალოდ, შენ მუდამ ერთ პოზაში იქნები, მე კი ხანდახან ვერტიკალურსაც მივიღებ..

რომ არა ბებიჩემი.. არა, რომ არა ის წყეული ჟურნალი, ბებია არ ჩაიცვიკლებოდა ჩემს დაოჯახებაზე. მეც არ მომივიდოდა თავში ეს სულელური იდეა. არ გავიცნობდი შემდეგ მალევე დაკიდებულ ელენეს და მისი მეშვეობით ჩემს საყვარელ მეუღლეს, რომელიც ღმერთმა იცის, სად და ვის აძლევს. ვიქნებოდი მშვიდად და მყუდროდ.

Mr. horizontal

მართალია, მენატრება ჩემი ძველი საქმიანობა, ოჯახის წევრები, სამსახური, ჩემი დაბნეული მდივანიც კი, მაგრამ აქაც არაფერი მიჭირს. ყოველ შემთხვევაში, სანამ ჭიები სხეულში შემიძვრებიან. ერთი კია, უამრავი დრო მაქვს საფიქრად და ისტორიების მოსაყოლად. იმდენად ბევრი, რომ თავად ხართ მონმე, ჩემი ამბის პარალელურად სრულიად უცხო (თუმცა, რაღა უცხო) ადამიანის ისტორიაც მოვყევი, რომელსაც წარმოდგენა აქ აქვს, რომ იმ ჟურნალის რედაქტორი მე ვიყავი. რა არის ისე ცხოვრება, ვილაცის ბედი შეიძლება დაბნეულმა მდივანმა გადაწყვიტოს, ვილაცის კი – უბრალო კროსვორდმა. ერთი კი ნათელია: უმიზეზოდ არაფერი ხდება...

ახლა, ალბათ, ბალახი ნამიანია, ამინდი – მზიანი. მსუბუქი სიო არხევს საფლავებს შორის ჩამდგარ ვინრო ხეებს, ჩემს ტერიტორიაზე კი სძინავს მამაკაცს, გამოცლილ არყის ბოთლებთან ჩახუტებულს, რომელმაც მთელი ღამის განმავლობაში, დაახლოებით ოცჯერ მაინც ინატრა ჩემს ადგილას ყოფნა.

რას არ გაიგებს კაცი, მითუმეტეს – მკედარი.

ნესტან-ნენე კვინიკაძე

დევები მთებში წვანან

დილაა.

დევი მობილურ ტელეფონს ფეხაკრეფით აძვრენს დედის ჩანთიდან. მხრებში მოხრილი ტუალეტში მიიპარება. ფეხით კარს იჭერს და ხელის-გულს შლის. თეთრი ქალაღდის ნაგლეჯზე მინერილ ნომერს კრეფს.

გოგი გამარჯობათ, მე გუშინ გესაუბრეთ მანქანის თაობაზე..

ხმა თითქოს არ ემთხვევა მის გარეგნობას, და ეს ტონიც სრულიად ზედმეტია საპირფარეშოსთვის, სადაც ამოტეხილ კაფელებზე საიდუმლო დამწერლობის კოდებს გაშიფრავ, მუქ ყავისფერ მეტლახზე კი, კარგად თუ დააკვირდები, დაძველებული შარდის ანარეკლებსაც გადააწყდები.

- გადაეწყვიტე, მაინც ვნახო!.. დიახ, დღესვე... კარგი, სამზე მანდ ვიქნები.

დევი უნიტაზს ჩარეცხავს. გამოვა და მობილურს დედის ჩანთაში ჩააბრუნებს.

ჯიშინი ცხენი რომ გამოძვრება უსასრულო სტეპიდან და ყორღანებიდან, საქარავნო გზებს რომ გაივლის, ასე ნება-ნება გამოსრიალდა ახლადდაგებული ასფალტით მოლიპულ ეზოში ბატონი გოგის CHEVROLET HHR. 52 ათასი კმ გარბენით და კლიმატკონტროლით. ეს დალოცვილი მანქანა მართლაც ისეთი იყო, როგორც ფოტოზე, რომელსაც მთელი საღამოს მანძილზე უცქერდა დევი წინა დღით მეზობელთან, რომელსაც უკაბელო ინტერნეტი კი აქვს, მაგრამ ოჯახის ნევრებს მაინც არ ჰყოფნით, - ახლა კიდევ დევი, თავისი გატაცებებით... მით უფრო, რომ დევის ხელოვნური დამეგობრება მასზე რვა წლით უმცროს ალბინოს მიშოსთან ოჯახის არც ერთ ნევრს არ სიამოვნებს. და ალბათ ამიტომაც, სწორედ მისი სტუმრობისას გადაიქცევა ხოლმე ეს სახლი ნამდვილ ინტერნეტ კაფედ, დევის ჯინაზე ყველა კომპიუტერს ჩასცქერის თვალებში და შეგნებულად ანელე-ბენ სისწრაფეს, რომ დევიმ, რაც შეიძლება მეტი ინვალოს მანქანების ძებნისას, რომ აღარ მოვიდეს და ამ ინტელექტუალურ ოჯახში, მისი უინტელექტო ინტერესები არ დაიკმაყოფილოს.

მიშო, შენ იმეცადინე უკვე? – განგებ იკითხავს დედა და მერე ბებია.

მიშოს ტყუპ ძმებს ძინავთ. თითქმის სულ ძინავთ. მიშოს დედა ამბობს, რომ ძალიან იღლება და რომ ძიძა უკვე აუცილებელია.

– კაპოტიც ავხადო? – ეკითხება დევის შუახნის, სანდომიანი გარეგნობის მამაკაცი, რომელსაც „გადანახულებაზე“, სავარაუდოდ, შეილიშვილიც ნამოჰყვა და რომელიც პატარა ცერებზე იწევა, უფროსების მსგავსად, მანქანის ნაწილებში რომ ჩაყოს თავი.

– ხარაშო, გასაგებია... – დევი გოგის სიგარეტს ეწევა.

– მეჩქარება, თორემ ამ ფასად? რას ამბობ... – დაძაბული ამბობს გოგი.

– კაი, დაეჯდები ეხლა და გავივლი, – დევი თან სიგარეტის ნამწვავს იქვე მიაგდებს.

გოგი გასაღებს უწვდის და შეილიშვილთან ერთად დევის მანევრებს ადევნებს თვალს.

მიქრის CHEVROLET HHR სწორ გზაზე. დევის მოღუშული სახე ნელ-ნელა დუნდება და ბოლოს ღიმილი ეტყობა. ახლა უხვევს და დევის თავიც მექანიკურად იქით ეხრება. შორს გოგი და მისი შეილიშვილი ჩანან გაურკვეველი მოლოდინით სავსენი.

დევი მათ ფეხებთან ამუხრუჭებს.

– კარგია, – ამბობს მრავლისმთქმელად. მოვიფიქრებ და დაგირეკავთ. შეხვედრა მთავრდება.

მიშოს ძმებს დღესაც ძინავთ.

სანამ დევი მიშოს კომპიუტერთან იკავებს ადგილს, მის ზურგს უკან მიშოს დედას ძიძების ქასტინგის მესამე დღე აქვს.

– ხუთი დღე შემიძლია ვიმუშაო, შაბათს ჩემს თავს უნდა მივხედო და კვირა... კვირა კი, – აქ პაუზა გააკეთა ძიძამ, – ერთი დღე ხომ უფალს უნდა მივუძღვნათ? მეც სწორედ მთელი კვირა დღე ეკლესიაში ვიქნები.

მიდი და გაიგე ახლა, ეს სამოც წელს გადაცილებული ხმადანვრილებული ქალი როცა უფალს ამბობს, იესოს გულისხმობს თუ იელოვას?

სანამ შავი ფონია, დევი, ოსტატურად, მონიტორზე არეკლილ მიშოს ლამაზ დედას უყურებს, სამი შეილი რომ გაუჩენია და ასეთი თხელი და მიმზიდველია ისევ. ოდნავ წითური გაშლილი თმა მხრებზე დაუყრია.

დევი ფიქრობს, იქნებ დედამისს თმა რომ შეელება, ისიც ლამაზი ყოფილიყო.

და წარმოიდგინა უცებ ლამაზი დედა, ადრე დაქვრივებული, მაგრამ მაინც ლამაზი. რომ მათი ოთახნახევრიანი, კედლებგახუნებული სახლი, ოთხოთახიან ევრორემონტიან ბინად არის ქცეული.

ყველაფერი თავის ადგილზეა.

დევის საკუთარი მობილური აქვს და კომპიუტერიც. უფრო მეტიც, კომპიუტერი დედამისსაც თავისი აქვს, და სხვადასხვა ინტერნეტ მალაზიებიდან ძვირფას სამოსს იწერს. დევისთვის ძალით ყიდულობს ძვირიან მანტოს, თითქოს დევის არ უნდა... და ამ თემაზე კამათობენ.

მერე დევი წყვეტს ფიქრს და უკვე ავტომობილების მექანიკურ ძებნას აგრძელებს.

ვაშლიჯერის ასახვევთან დათქმულ შეხვედრაზე, სრულიად მოულოდნელად, დევის მამის ყველაზე ახლო მეგობარი შერჩება.

- ბიჭო, ხმაზე როგორ მეცნე, ამხელა გამხდარხარ, დაკაცებულხარ, - ეხვევა TOYOTA RAV 4-ის პატრონი, - ეჰ, ცხონებული მამაშენი...

- როგორ ხართ? - დევი მორცხვად ეკითხება, არ ვიცოდი, თქვენ თუ იყავით... დედა თუ შეგხვდათ, არ უთხრათ... ჯერ არ იცის, მანქანის ყიდვას რომ ვაპირებ.

- თუ იყიდი, არც შენ უთხრა... მაინც და მაინც... ჩემგან რომ იყიდე. რა ვიცი, უხერხულია, - ფამილარობა გადაეჭიმა სახეზე TOYOTA RAV 4-ის მძღოლს, რომლის მანქანაც ისეთი სისწრაფით გააქროლა დევიმ დიღმის მიმართულებით, რომ მამის მეგობარს გული შეუნუხდა.

მერე რომ ფიქრობ, - ხომ შეიძლებოდა, უფრო კარგად შეხვედროდი, უფრო თბილად მომეკითხა და მივფერებოდი ამ ადამიანს, რომელსაც სრულიად უმოტივოდ, ცივად შეგხვდი.

მაგრამ მე არ ვიცი, რომელი მათგანი ფიქრობდა ამას.

მეტი საქმე არ ჰქონდათ მიშოს მშობლებს, რუსი ძიძა შეეშვათ სახლში.

მშვიდი და ოდნავ ეშმაკური იერის, საშუალო სიმაღლის და შავთმიანი ქართველი ქალბატონი ულებს კარს დევის, რომელიც, ინტუიციით ხვდება, რომ ეს ტყუპების ძიძაა.

რა უცნაურია, ბავშვებს დღეს ღვიძავთ.

დევის მიშოს დედის აღმაცერი მზერა მიყვება. მიშოს მამა საერთოდ ზედ არ უყურებს.

ირგვლივ მურა ფასადებია.

ავკიანებს JEEP Grand Cherokee.

დევი სიგარეტს ეწევა. ახლა ისეა, სამსახურში ადრე რომ მიხვალ და არავინ დაგხვდება. სამსახურია, აბა რა არის. ყოველდღე ერთი და იგივე. უბრალოდ, ამაში ფულს არავინ უხდის. არც უნდა. ოღონდ ასე იყოს სულ და სხვა არაფერი უნდა. სხვა არც არაფერი ხდება მის ცხოვრებაში.

დევი შორს მთებს ხედავს. ახსენდება, რომ მანქანის ტარება მამამ სწორედ მთაში ყოფნისას ასწავლა. მერე ისიც ახსენდება, ბავშვობაში დედა რომ უმღეროდა – „გარეთ ქარი ზღაპარს ყვება და დევები მთებში წვანანო“, იმ ნამსვე მისი პატარა ფანტაზია რატომღაც საკუთარ თავს სხვნივითან (დევებთან) ერთად, პატარა მთაზე მნოლიარეს წარმოიდგენდა. თუ სხვა ბავშვებისთვის ეს დევები ავსულები იყვნენ, რომლებსაც დედები შორს, მთაში ამწესებდნენ, ჩვენი დევისთვის იდენტიფიცირების ხატი გახლდათ.

თითქოს სწორედ ის მთა ადგა და მოვიდაო – იმხელა ჯიპი შერჩა დევის.

– შენ კიდე არ გიყიდა მანქანა? – სიცილით გადმოვიდა ჯიპიდან მსუქანი კაცი, უფრო სწორად, ჯერ ფეხები გადმოდგა, შემდეგ კი ნასუქი სხეულით ჩამოიღვენთა მანქანიდან, – დევის ყოფილი ნაცნობი შერჩა, რომლის სხვა მანქანით ერთხელ უკვე ესეირნა და ახლა, როცა ამ კაცს მანქანაც შეეცვალა და მობილური ტელეფონის ნომერიც, დევიმ ველარ გათვალა...

– კი, მაგრამ ის გავყიდე ისევე, – სიმწრისაგან არ დაიბნა ახალგაზრდა. ბოლო ფასია? – ესეც მიაყოლა მეტი დამაჯერებლობისთვის.

კაცს ასანთის ღერი გაერჭო კბილებში და ცალყბად პასუხობდა.

– ჰო. თენდება.

გურამ ნაეროზაშვილი

უნივერსალური სალენი-სადრესელა

MO-700

სავარაუდო ალიოშა და გენადი ვასილევჩის ოცნებები

ნანილი I

„იდეა ისეთი თვითმფრინავის შექმნისა, რომელიც, აუცილებლობის შემთხვევაში, გადაიქცეოდა ავტომობილად, ახალი არაა.“
„მეცნიერება და ტექნიკა“ ივნისი, 1959

ერთი, ორი, სამი, ოთხი – რიგზე ითვლიდნენ სალენი-სადრესელას დგუშები და კომუნისტური მომავლის იმედს ერთი-ორად უმყარებდნენ ტრაქტორისტ გენადი ვასილევჩის, რომელსაც ბერკეტების წინ და უკან მოძრაობის გამო ხელზე კოჟრები ამოსდიოდა, თუმცა იგი ამას ყურადღებას არ აქცევდა.

არარსებული რაიკომის შენობაში, მეორე და მესამე სართულებს შორის, სადაც ერთსაბანქევმ მცხოვრებთა ადგილობრივი კრება მიმდინარეობდა, ხალხი ფუსფუსებდა. სიტყვით გამომსვლელი ამხანაგი დამსწრე საზოგადოებას იმ სიტყვით მიმართავდა, რომლითაც გამოდიოდა და გალიფეს გარღვეული

უბის დამალვას სწრაფჩამკერი საქალაქის აფარებით ცდილობდა.

ბალდასარიანი, კეკელიძე და კელაპტრიშვილი პროკლამაციებს იმ ფურცლებზე ბეჭდავდნენ, სამოცდაათიანი წლების ბლუზის, საბჭოთა კოსმოსისა და ქართული რენესანსის ერთგვარ სინთეზს რომ მოეტანა მათთვის.

გენადი ვასილევჩი კი მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობდა – უკვე მოძველებულ სალენ-სადრესელას ჰიდრაულიკური ტრანსმისია, სამი ბურდოსაბერტყი და ტიტანის შენადნობისგან დამზადებული ჰიდრაულიკური ტუმბო პქონოდა, სამი ნასლექითა და 2 სმ. დიამეტრის მქონე ოთხი ნასვრეტით, ზედმეტი წნევისა და ზეთოვანი ნარჩენების გამოსადევნად.

გენადი ვასილევჩის სალენ-სადრესელა ძალიან ძველი იყო და კომუნისტური მომავლის იმედიც ნელ-ნელა ქრებოდა, თუმცა გ. ვასილევჩი

ოპტიმიზმს არ კარგავდა და საბჭოთა ინჟინერთა მოხერხებულობაზე დიდ იმედებს ამყარებდა.

*საბჭოთა ინჟინერთა IV რიგგარეშე ყრილობა, ურალი.
(მდივან არკადი მ. ერმოლაევის პირადი ჩანაწერებიდან)*

– მაშ, ასე, ამხანაგებო!

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება, დასახულია, გადიდდეს შვიდწლედში თითქმის ერთიორად. ყველაზე მაღალი ტემპით ვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, როგორც არის მძიმე მანქანათმშენებლობა, ხელსაწყომშენებლობა და საავიაციო ძრავების წარმოება. ასევე, ჩარხმშენებელი მრეწველობა... – გაჰკიოდა სხდომის თავმჯდომარე, რომელიც უშვილძიროდ გადაეგო და რომლის ცხოვრების მიზანიც დიხელის მ-ცილინდრიანი ტურბინული ძრავის აგება იყო. თუმცა მან მიზანს ვერ მიაღწია. დასაუღეთში დამზადებული ძრავები უფრო სწრაფად ატრიალებდნენ ლილვებს.

სინთეზური პროკლამაციების ნაგლეჯები პროსპექტზე ეყარა. იეზიდი მეეზოვე, რომელსაც ალბათ ალიოშა უნდა რქმეოდა, ნაგლეჯებს აგროვებდა და ერთმანეთზე ანებებდა. ალიოშას ინტელექტი ვერ სწვდებოდა ინტელექტის საზომი შკალის მაღალ ნიშნულებს, ამიტომაც ბევრი ვერაფერი გაიგო წერილიდან, თუმცა დაგვას ენერგიულად განაგრძობდა.

მე და ლეილა

აცვენილ ასფალტს მიუყვებოდა ბოზილამარა,
ის მიდიოდა თავჩაქინდრული, ნიფხვის ამარა.

(ეპიტაფია, ნაპოვნი კიროვბადის ძმათა საასფლაოზე, 1947 წლის 14 მაისს)

ლეილას ქერა თმა და დიდი მკერდი ჰქონდა და მიტროფანოვის ცოლს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მიტროფანოვი ნაგავტრესტის დირექტორად მუშაობდა და ერთგვარი სიამაყეც კი ეუფლებოდა, როდესაც მის გვარსა და თანამდებობას ერთ წინადადებაში ახსენებდნენ ხოლმე.

სავარაუდო ალიოშა მიტროფანოვის მეზობელი იყო.

მიტროფანოვმა სავარაუდო ალიოშას სამსახური უშოვა, რითაც მისი მადლი მოიხსნა, ალბათ სიცოცხლის ბოლომდე.

იმ საღამოს, ლეილა პროფკავშირების შენობის წინ მოდიოდა და ძლიერ განიცდიდა, სახლში მუავე კომბოსტოსა და ორი კოლოფი უფილტრო სიგარეტის მეტი რომ ვერაფერი მიჰქონდა. მზრუნველი და გულისხმიერი ქალი იყო ლეილა.

სავარაუდო ალიოშა ლეილას ეტრფოდა, რადგან ლეილა მიტროფანოვის ცოლს არაფრით ჩამოუვარდებოდა, ხოლო მიტროფანოვის ცოლის სიყვარული საშიში იყო; დიდი კაცი იყო მიტროფანოვი.

ლეილას სკოლის წლებიდან ვიცნობდი. როდესაც ლეილა მეტ-ნაკლებად მნიფე წლებში შევიდა, სავარაუდო ალიოშა, რომელიც საკლასო ოთახში მარად ლეილას უკან იჯდა, მისი ბიუსტპალტერის თასმებს ერთგვარი მონინებით ქაჩავდა ხოლმე თავისკენ. ლეილა ბრაზდებოდა, სავარაუდო ალიოშა კი ბედნიერი იყო.

საბოლოოდ, ალიოშა სკოლიდან გარიცხეს, ლეილა კი მიტროფანოვების მეზობლად დასახლდა. სავარაუდო ალიოშას თვალები უბრწყინავდა სიხარულისგან და აღარ იბნეოდა, როდესაც დილაობით სიგარეტს მთხოვდა.

„მთვრალი კომუნისტი“ და ეპიტაფია ძმათა სასაფლაოზე

მიტროფანოვის ფარული ვნებები

მიტროფანოვი იატაკქვეშა პოეტური ორდენის – „მთვრალი კომუნისტის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და პარტიულ ნომენკლატურას ებრძოდა. ამონარიდი იატაკქვეშა პოეტური ორდენის ბეჭდური გამოცემიდან: (კიროვაბადში მცხოვრები ლამარა კ. -ს არქივიდან)

ნომენ კლა ტურა

ნაწყვეტი ეპოსიდან „ამბავი ნომენისა და ტურისა“

ნომენ

ნომენ

ნომენ

(ძირს)

ტურა

ტურა

ტურა

(ძირს)

ნომენ კლა ტურა!

სისა

სისა

სისა

(ძირს)

სისა ტურა

სისა ტურა

სისა ტურა

(ძირს)

ახმაურებდნენ კოსმონავტები

ჟანგიან კლავიატურას

სი ბემოლიდან ლა მაჟორამდე

და პირიქით.

პირი ქვისკენ მიქნიაო,

თქვა იურიმ და გაფრინდა.

სავარაუდო ალიოშა სწორედ იმ წელს დაიჭირეს, მიტროფანოვმა იატაკქვეშა გაერთიანება რომ შექმნა და ლექსების წერა რომ დაიწყო.

სავარაუდო ალიოშას დაპატიმრებას მალე მიტროფანოვის გამგზავრებაც მოყვა, ერთგვარი შავი ფერის ავტომობილით, „ჩორნაია ვარონას“ რომ ეძახდა ფიზიკის მასწავლებელი, მოხუცი ანტისემიტი ვაშეკ ბოროვიცკი.

უნივერსალური სალენო-სადრესელა MO-700

ოცნება გენადი ვასილევჩისა

ბოსტნეულ კულტურათა თანაყვავილედის გასაღენად შექმნილი მანქანა, გარდა თანაყვავილედთა ლენვისა, სადრესელაზე სტაფილოს თესვების გამოხეხვასაც აწარმოებდა.

– ბიშტი თქვენ! – მიმართა გენადი ვასილევჩი დასავლელ ინჟინრებს და მცირე საბერტყი დაფა ერთი ხელის მოსმით გაასუფთავა გამომხეხილი სტაფილოს ნარჩენებისგან.

ბაქნიანი ბურდოსაბერტყები ქმენა-ქმენით ამოძრავდნენ და გენადი ვასილევჩიმა მეორე ბიშტი გაუგზავნა დასავლელ ინჟინრებს.

გენადი ვასილევჩის ოცნება ახდა.

დაკარგული მიტროფანოვი, ციხიდან ახლადგამოსული ალიოშა და კოსმოსის თავისებურებანი

სავარაუდო ალიოშას სასიყვარულო მოქმედების რადიუსი ერთ-ორად გაიზარდა, რადგან საშიში მიტროფანოვი დაპატიმრებული იყო და მისი ცოლის ალტერ-ეგოს – ქერათმიანი ლეილას დევნის მაგივრად, ისიც უკვე პირდაპირ მიტროფანოვის ცოლს დასდევდა.

ქერათმიანი ლეილა უცნობ ჯარისკაცს გაჰყვა ცოლად, რომელსაც, თავის მხრივ, ლამარას ლექსით დამშვენებული ეპიტაფია ამშვენებდა და ლეილაც ბედნიერი იყო ამ მონაპოვარით.

– ლეილა, მიყვარხარ! – ამბობდა მიტროფანოვი და კოსმოსის უკიდვანო სივრცეებში პარაბოლური პოეზიის სანყისებზე ფიქრობდა.

– გაგრძელება იქნება! – უპასუხა სავარაუდო ალიოშამ, რადიოგადამცემის მიკროფონი გათიშა და ჩაიდანი ცეცხლზე შემოდგა.

ჰოლოგრამული რელსები

ნანილი II

– კომეტამ ჩაგვიქროლა, ამხანაგო მიტროფანოვო...

– ამ ჩემს ფეხებს, – მიუგო ამხანაგმა მიტროფანოვმა.

ჰოლოგრამული რელსების ცვეთის შესახებ

1948 წელს, როდესაც დენის გაბორი საკუთარ კაბინეტში, ბანალური მწვანე მაუდით დაფარულ მაგიდასთან იჯდა და ჰოლოგრაფიული პრინციპის არსი ფურცელზე საბოლოოდ გადაჰქონდა, საბჭოთა სინამდვილის შემქმნელები სამუშაო სააათების დასრულების შემდეგ კინოთეატრებში დადიოდნენ და შავ-თეთრი ფილმების ყურებით იქცევდნენ თავს.

– ამხანაგო მექანიკოსო, ანთეთ სინათლე დარბაზში! – შესძახა კინოთეატრ „სტახანოველის“ კონტროლიორმა და დარბაზში შეიჭრა.

– ვერ ავანთებ, ნათურაა გადამწვარი... ამხანაგო კონტროლიორო...

– მექანიკოსი ასლამაზიშვილი მთვრალი იყო და პირიდან მუავე კიტრის სუნი ამოსდიოდა.

- მაშინ დაველოდოთ იმ კადრს, სადაც მფრინავი უთურგაიძე ცაში აიჭრება. საბჭოთა ცა ნათელია და მისი სინათლე დარბაზსაც გაანათებს!

- ჯერ ანგარშიც კი არ მისულა, მანქანაში ზის მხოლოდ...

- რა მარკის მანქანაა?

- „პობედა“, ამხანაგო კონტროლიორო.

- მომეცით მანძილი A პუნქტიდან B პუნქტამდე, ავტომობილის მოძრაობის საშუალო სიჩქარე და დრო, რა დროშიც უნდა მიაღწიოს დანიშნულების ადგილს მფრინავმა უთურგაიძემ, რათა გამოვთვალოთ, თუ როდის განათდება დარბაზი.

- ეს კინოა, ამხანაგო კონტროლიორო...

- მაშინ... მაშინ მომეცით თქვენი კინოპროექტორის გრეიფერის ბრუნვის სიჩქარე! Ты! Даешь скорость? როგორც იტყოდა ჩვენი კინოთეატრის დირექტორი, ამხანაგი მალაკელიძე...

- გრეიფერი წამში 48 ბრუნს აკეთებს, ამხანაგო კონტროლიორო და ჩარჩოს წამში 24 კადრის სიხშირით ფარავს...

- და რას გვაძლევს ჩვენ ეს ინფორმაცია, ამხანაგო მექანიკოსო?

- იმას, რომ ჩვენ ბუნებრივ, აუჩქარებელ გამოსახულებას ვღებულობთ... ამხანაგო კონტროლიორო...

- ასე არ ივარგებს... По диким степям Забайкалья... где золото роют в горах.... პამ-პამ-პამ... ხო, რას ვამბობდი... ჩვენ უნდა გავზარდოთ გრეიფერის ბრუნვის სიჩქარე, რათა დავაჩქაროთ მფრინავ უთურგაიძის აფრენა. ამხანაგო მექანიკოსო, ნელან რა განათდა?

- მფრინავი უთურგაიძე ცაში აიჭრა, ამხანაგო კონტროლიორო...

- Бродяга Байкал переехал, Навстречу родимая мать... პამ-პარამ...

- კონტროლიორომა სტროფი დაასრულა – კარგი, მაშინ ასე ვქნათ:

ამხანაგებო! ჩვენს კინოსეანსს ესწრებიან პიონერები, რომლებიც აგრერიგ უყვარს ამხანაგ მალაკელიძეს... თუმცა, პიონერები შატალოზე არიან, როგორც სკოლის დირექციამ მოგვახსენა, სხვათა შორის...

- კონტროლიორომა ერთგვარი სიამაყით ჩაახველა – პიონერებო, მე თქვენ ვერ გხედავთ... გამოდით თქვენი პიონერული ნებით და დატოვეთ დარბაზი და დაუბრუნდით სკოლის მერხებს!

პიონერებს სკოლაში დაბრუნება არ უნდოდათ და არ დგებოდნენ. უთურგაიძე კი ციმბირის სტეპებს გადაჰყურებდა ჯერჯერობით ვერგამოგონებული რეაქტიული თვითმფრინავის ლუკიდან.

* * *

გაბორი ნიჭიერ და ნარმატებულ მეცნიერად ითვლებოდა ევროპის მეცნიერულ წრეებში. 1979 წელს, როგორც კი მეცნიერი გარდაიცვალა, კოსმოსის ბაიკანურელმა მჭედლებმა მისგან უცვლელი ჰოლოგრამული რელსების იდეა მოიპარეს, შექმნეს მაგისტრალი, რომელსაც სახელად „ტრიოლიტერა - H“ უწოდეს და კომერციული რეისებით დაიწყეს კოსმოდრომის ბიუჯეტის შევსება.

- ჩვენ გავფრინდებით, - ამბობდნენ საბჭოთა კოსმოსის მჭედლები.

როგორ გაემგზავრა ნაგავტრესტის დირექტორი მიტროფანოვი ტრიოლიტერას მაგისტრალზე

მე ციხის უფროსი ვარ, - თქვა ციხის უფროსმა და ყურმილი დაკიდა.

მიტროფანოვი ციხეში იჯდა და არც იქ ეშვებოდა ლექსების წერას.

- მე, ჩემო თანამესაკენებო, მალე ახალ ჟანრს შევექმნი პოეზიაში!.. და ეს ჟანრი იქნება პროკლამაციური პოეზია!.. - გაჰკიოდა მიტროფანოვი და ციხის ბიბლიოთეკიდან გამოწერილი „კაპიტალის“ ერთადერთი ეგზემპლარის უკანა ყდაზე, რომლიდანაც გოსტი, ქალაღდის ზომა 60X92, ტირაჟი 320.850, ფასი 7 მან. 00 კაპ. და სტამბის მისამართი (მარტენის ქ. № 14b) ილიმებოდნენ, ლექსებს წერდა.

- მიტროფანოვ, მოიჩოჩე აქეთ, მიტროფანოვ... - ნაგავტრესტის დირექტორს უღვაშებინა და მოსვირინებულშუბლიანმა თანამესაკენემ დაუძახა.

მიტროფანოვმა მიიჩოჩა.

ც. ლიმონოვის სახელობის კოლმეურნეობა, ურალი, 19 წლის გვიანი შემოდგომა

ცივი ზამთარი მოდიოდა, შემოდგომაც, შესაბამისად, მიდიოდა, ურალელ საეკულიანტებსა და გადამყიდველებს კი ქურქები და შალის ჟაკეტები შემოჰქონდათ აღმოსავლეთ გერმანიიდან.

დეიდა ნატაშა, რომელიც, სამი მეტად აქტიური მცდელობის მიუხედავად, ვერც ერთხელ ვერ გათხოვდა, სამოვართან იჯდა, შიშკინის უინტერესო პეიზაჟს მიშტერებოდა და თავის პირველ სიყვარულზე - ტრაქტორისტ გენადი ვასილევჩიზე ფიქრობდა.

ვასილევჩი თავის საოცნებო სალენ-სადრესელასთან ერთად სადღაც გამქრალიყო.

ბოსტნეული კულტურები გაველურდნენ, ჯავშნოსანი ხოჭო და აფრიკული კალიის ზოგიერთი სახეობა მთელ კოლმეურნეობას მოედო, მცირე შეპელათა და ცხვირფოსტალას რიგ სახეობათა გამრავლებაზე ზრუნვა კი არავის ადარდებდა.

სამაგიეროდ, დეიდა ნატაშას თვალზე ცრემლი ადგებოდა და შიშკინის ტილოს მაინც არ აცილებდა თვალს.

ფორსირებული ძრავი, ბაქნიანი ბურდოსაბერტყები და ჰოლოგრამული რელსებიმაგისტრალი „ტრიოლიტერა – H“

– აამოძრავეთ ბერკეტები, ამხანაგო ტრაქტორისტო, ჩვენ მალე კოსმოსში გავიჭრებით, გავალთ მთვარის ორბიტაზე, დავიკავებთ მის ერთ მეექვსედს, რის შემდეგაც გადავალთ ცენტავრა ფემინას თანავარსკვლავედში, გავარღვევთ ორიონის მარყუჟს და, სინათლის სიჩქარის განვითარების შემთხვევაში, ტრიოლიტერას გალაქტიკასაც მივალნეთ! – ამხნევებდა ტრაქტორისტ, ახლა კი უკვე პილოტ გენადი ვასილევჩის ნაგავტრესტის დირექტორი და ციხიდან ნამოღებულ „კაპიტალის“ ყდაზე თითებს ნერვიულად ათამამებდა.

ბურდოსაბერტყები ნასლექებს აფართოებდნენ, ფორსირებული სალენი-სადრესელა ჰოლოგრამულ რელსებზე მიქროდა, ზღვრული ცვეთის ინდიკატორზე მწვანე ნათურა ციმციმებდა, ნაგავტრესტის ყოფილი დირექტორიც ბედნიერი იყო.

შუბლმოსვირინგებული ამხანაგი, რომლის სახელიც მიტროფანოვის გარდა არავინ იცოდა, სტაფილოს თესლების სახეხ დაფაზე იყო მიყუდებული და ჩეფირად წოდებულ მაგარ ჩაის სვამდა. შუბლმოსვირინგებულ კაცს სახეზე მხიარული ღიმილი დასთამამებდა და მიტროფანოვს ყელგამონეული ეხვანებოდა, რომ პროკლამაციური პოეზიის ერთი ნიმუში მაინც წაეკითხა მისთვის, თუნდაც ხმადაბლა. მიტროფანოვი ლექსებს არ კითხულობდა და ცვლადსიხშირიანი რაციით ცდილობდა სავარაუდო ალიოშასთან დაკავშირებას. მიტროფანოვის ყოველი მცდელობა „ტრიოლიტერა – H“-ის სარადარო სადგურის სიხშირეზე ჩართვით სრულდებოდა.

– Не засоряйте эфир... Не засоряйте эфир.... как поняли, прием... – ამბობდა ოპერატორი გოგონა „ტრიოლიტერა – H“-ის სარადარო სადგურიდან და კავშირის 10 დღეში აღდგენის პირობას დებდა.

ელექტრომწყემსი ნანილი III

პოლოგრამული მისრე ცენტავრა ფემინას თანავარსკვლავედიდან „მესამე ლადს ხელი აუშვი, შე ვირიშვილო!“ ქალაქის კონსერვატორიის უშტატო თანამშრომლის შეგონება გენადი ვასილევჩი სადრესელას სამართავ პულტთან იჯდა და პოლოგრამულ რელსებზე მიაქანებდა ტრანსპორტს.

შუბლმოსვირინგებულმა კაცმა თქვა: „ცუდად ვარ“. მერე კაცის ზურგი სტაფილოს სახეხ დაფას მონყდა და კაცი ძირს დავარდა.

მიტროფანოვი ფიქრობდა, რომ თანამგზავრის ცუდად გახდომის მიზეზი ჩეფირის კონცენტრაციაში იყო და, ამ ფიქრების პარალელურად, თავის შვილზე დარდობდა, რომელიც საექვო წარმომავლობის ადამიანთა მფლობელობაში მყოფი მანქანებით ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე დაშლიგინობდა. მანქანებიდან ისმოდა სიტყვები: „ბოზიშვილი ვიყო“, „გვაგვიანდება შეჩემა“, „უთო ხო ექნება სახლში მაგას?თუ ჩემი უთო ნამოვილო“ და სხვა მსგავსი რამეები.

ცენტრალურ პროსპექტზე მოსიარულე მოქალაქეებს ეს არ მოსწონდათ, რადგან ზოგიერთი მათგანი, ღიად თუ ფარულად, თავად წარმოადგენდა უთოს მფლობელს. უთოებს მანქანაში მჯდარი ადამიანები ავიზრახვებით იყენებდნენ და უთოს პატრონებსაც ეშინოდათ. მიტროფანოვს კი თავისი შვილი უყვარდა და ნერვიულობდა.

მიტროფანოვი ამბობდა:

– მე ელექტრომწყემსთან მივდივარ, მე შევექმნი პროკლამაციურ პოეზიას!...

მე ტრიოლიტერას გალაქტიკას მივალწევ!

მერე იღებდა ციხიდან წამოღებულ გიტარას და ლ. უტიოსოვის სიმღერების დაკვრას იწყებდა.

მფრინავი უთურგაიძე კი, კინოთეატრის კონტროლიორისა და მექანიკოს ასლამაზიშვილის დავალებით, სალენი-სადრესელას კვალს მიყვებოდა და რადიო „თავისუფლების“ სიგნალის მიღებას ცდილობდა, თუმცა, ამაოდ.

გენადის საერთოდ არ გაკვირვებია, როდესაც უთურგაიძემ პირდაპირ სადრესელას კაბინას ჩაუქროლა და თავისი ჯერვერგამოგონებული რეაქტიულძრავიანი თვითმფრინავიდან ხელიც კი დაუქნია.

შუბლმოსვირინგებულ კაცს ეგონა, მოხუცი ტრაქტორისტი გამარჯობასაც ეტყოდა უთურგაიძეს, მაგრამ კაცი შეცდა – ტრაქტორისტს გამარჯობა არ უთქვამს. ზოგადად, ტრაქტორისტი იშვიათად ამბობდა ხოლმე გამარჯობას.

მიტროფანოვის დღიური, ნაპოვნი ნაგავტრესტის საარქივო მასალებში

დღე პირველი

ჩვენ პროკლამაციური პოეზიით მოვხიბლეთ კოსმოდრომის მუშაკები და ტრიოლიტერას მაგისტრალზე უფასოდ გავედით. ჩვენი ეკიპაჟი ბედნიერია. მიზანი ერთია – ჩვენ უნდა ვნახოთ ელექტრომწყემსი და ვთხოვოთ პოლიტიკური თავშესაფარი.

დღე მეორე

ჩვენ მივექანებით ტრილიტერას მაგისტრალზე. პოლოგრამული რელსების ცვეთა მინიმალურია.

დღე მესამე

ახალგაზრდა გოგონამ ტრიოლიტერას სარადარო სადგურიდან გვითხრა, რომ მაგისტრალზე გამოჩნდა პოლიტიკურად ანგაჟირებული მენსრე. ჩვენ არ გვეშინია, თუმცა, სიფრთხილეს ვინარჩუნებთ. ნეტავ როგორ არის ჩემი ლეილა. ლეილას დიდი და ლამაზი მკერდი აქვს და მე მიყვარს მისი მკერდი. ლეილა ლამაზი ქალია. ამ დღეს სავარაუდო ალიოშაც გამახსენდა. ალიოშას ჩემი ცოლი მოსწონს. ძალიანაც კარგი. ესე იგი, ლამაზი ცოლი მყავს.

დღე მეოთხე

მიშა ავად გახდა. მიშა სვამს ბევრ ჩეფირს და მერე გული ანუხებს. ბებერმა პილოტმა მოასულიერა მიხეილი და ჩვენ ისევ განვაგრძობთ გზას.

დღე მეხუთე

ვხედავთ ცენტავრა ფემინას გალაქტიკას. კავკასიელი პილოტი თავს არ გვანებებს და ჯოუტად მოგვყვება. მათ არ იციან, რომ იჩქარეს. რეაქტიული ძრავის გარეშე ჩვენ ვერ დაგვეწვებიან. ჩვენ გვაქვს ბურდოსაბერტყები, სამნასლექიანი ლილვებით და სამი ბაქნით. უთურგაიძეს აქვს ჟანგისანი საბჭოთა მოტორი, რომლის ცხენის ძალა არის ძალიან ცოტა.

დღე მეექვსე

გენადი ვასილევიჩი ამბობს: „მგონი გზა შეგვეშალა, едрена мать“ და რამდენიმე წუთის მერე კიდევ ამბობს: „ეს ის გზა არ არი, რაც მე და ნატაშას დაგვესიზმრა ურალში“

დღე მეშვიდე

შეჩვენებულმა უთურგაიძემ მოისაზრა, რომ მცდარ გზას ადგა, უკან გაბრუნდა და მეორე ლიანდაგს გაჰყვა.

დღე მერვე

მიშა ისევ ნაიქცა. გენადიმ გადაწყვიტა, რომ თერმოსებიდან ჩაი გადასახას, რადგან მიშა სულ ძირს ვარდებდა.

დღე მეცხრე

რეკავს გოგონა სარადარო სადგურიდან. დაფარული სიხშირით გვიკავშირდება, რადგან როგორც ამბობს, უთურგაიძეს მოკლელთა ლიანი რადიომიმღები აქვს ბორტზე და მოსმენას შეძლებს. გოგონა გადმოსცემს, რომ სადგურში, ინდიკატორებმა აჩვენეს ჩვენი გზის მცდარობა და პოლიტიკურად ანგაჟირებული მთავრის გააქტიურება. მე მივხვდი, რომ ბებერი გენადი მართალი იყო, როცა ამბობდა: „მგონი გზა შეგვეშალა, едрена мать“

შეხვედრა ელექტრომწყემსთან

მაგისტრალიდან მონაბერი სიო გენადი ვასილევჩის თმას აფრიალებდა და სალენი-სადრესელა „ტრიოლიტერა – H“-ისკენ მიექანებოდა.

იმ მანქანიდან, რომელშიც მიტროფანოვის შვილი იჯდა, ისევ ისმოდა „ბოზიშვილი ვიყო“ და მანქანები კვლავ ელვისებურად დაქროდნენ ქალაქის პროსპექტზე, რომელზეც, თავის მხრივ, ფოთლები და ქონიანი ცელოფნებიც დაქროდნენ. მიტროფანოვის ნერვიულობის შკალა, რომელიც მას წარბებზე, წამწამებზე და თვალებზე ჰქონდა გამოსახული, ნითლად ელვარებდა. მიტროფანოვის ეშინოდა ცხენისფეხებიანი ქალების და არ უნდოდა ცენტავრა ფემინას გალაქტიკაში შესვლა. ამ შიშს გენადი ვასილევჩის ეჭვებიც აძლიერებდა, რომელიც კვლავ იმეორებდა: „მგონი გზა შეგვეშალა, едрена мать“

მფრინავმა უთურგაიძემ, როგორც იქნა, დაიჭირა რადიო „თავისუფლების“ სიხშირე თავის მიმღებზე, რადგან ტრიოლიტერას მაგისტრალზე საბჭოთა დამხშობი სადგურების ძალაუფლება ვერ ვრცელდებოდა. „თავისუფლება“ უთურგაიძისთვის უცხო ხილად მიჩნეულ კარლ პერკინსის სიმღერებს ატრიალებდა ეთერში. კარლ პერკინსი ამბობდა: dont you step on my blue suede shoes.... dont you step on my... შემდეგ სიგნალი შეწყდა, რადგან დამხშობი სისტემა მაინც ამოქმედდა.

ზღაპარი ელექტრომწყემსზე, რომელიც მხოლოდ საბჭოთა
სინამდვილეში არსებობდა

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისკენ საბჭოთა ნამდვი-
ლები ერთობ პროდუქტიულ ნაბიჯებს დგამდნენ და უმთავრეს მიზნად
საძოვრების სწორ დაგეგმარებასა და მწყემსთა მარგი ქმედების კეოფი-
ციენტის გაუმჯობესებას ისახავდნენ. საძოვარი ნაკვეთების ხე-ტყით
შემოლობვა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და საბჭოთა ნამდვი-
ლებმა ნაკვეთებს ალუმინის მავთულის ღობე შემოავლეს, რომელშიც
მცირეოდენი ძაბვაც გაუშვეს და შემდეგ ბრეზენტის მინდვრებზე ალუ-
მინისავე კიტრების დათესვასაც შეუდგნენ. ვიქტორ ცოი იმ დროს ჯერ
დაბადებულიც არ იყო, მაგრამ ნამდვილები მაინც ბეჯითად თესა-
ვდნენ ალუმინის კიტრებს. ალუმინის მავთულისგან შექმნილ ღობეს
საბჭოთა ნამდვილებმა „ელექტრომწყემსი“ უწოდეს და მრავალი წლის
განმავლობაში ხარობდნენ მისი წარმატებულობით, ვიდრე ერთ-ერთმა
ტრაქტორისტმა დიდი ამბები არ დაატრიალა საძოვრებზე.

ტრაქტორისტს ერქვა გენადი ვასილევინი.

ერთსაბანქევმ მცხოვრებთა ერთ-ერთმა (ან იქნებ, ერთადერთმა)
გაერთიანებამ მას ძველი და უანგიანი ტრაქტორი გამოუყო, რითაც
ტრაქტორისტი უკმაყოფილო იყო.

– მამამისი რომ არ გაეციმბირებინათ, ეს ამბავი არ მოხდებოდა, –
ამბობდა ციმბირელი ნატაშა.

ვასილი ომამდე გააციმბირეს, მაგრამ რალაც მანქანებით, დაუძვრა
ხალხთა ძმობისთვის მებრძოლებს, მავნებლისა და ხალხის მტრის სტა-
ტუსის მოხსნაც მოახერხა და რეაბილიტირებულ იქნა, ვინაიდან დიდ
სამშობლოს უჭირდა.

ვასილი ფრონტზე გაუშვეს. გენერლები ვასილის და მის თანამე-
ბრძოლებს არაყს ასმევდნენ, მერე გენერლები ამბობდნენ: „წინ“ და ვასი-
ლიც წინ მიწევდა. ვიდრე არათუ წინ, არამედ საერთოდ, სადმე გაიწევდა,
ანუ ვიდრე ვასილის ფრონტზე გაუშვებდნენ, ვასილი თავის ვაჟს უყვებოდა,
რომ ციმბირში იყო ღობე, რომელსაც ეწერა „Стой! Опасно для жизни“ და
რომელშიც გადიოდა დენი.

ვასილიმ არ იცოდა, დენი რა იყო, თუმცა წარწერის ღალადისისა კი გუ-
ლწრფელად სჯეროდა.

გენადი ვასილევჩი გაბრაზდა, სალენი-სადრესელა დაქოქა და გაუჩინარდა, რადგან არ ეჯერა, რომ ელექტრომწყემსი მხოლოდ ალუმინის მავთული, ხოლო ელექტროსამწყსო კი მსხფილფეხა საქონელი შეიძლებოდა ყოფილიყო.

და გენადი ვასილევჩი ელექტრომწყემსის საძებნელად გაეშურა.

*ამბავი აცრემლებული გოგონასი და მფრინავი უთურგაიძისა,
ასევე სხვათა და სხვათა*

მექანიკოს ასლამაზიშვილისა და კინოთეატრის კონტროლიორის მცდელობა, უკან მოებრუნებინათ ციხიდან გენადი ვასილევჩის მეთაურობით გაქცეული შუბლმოსვირინგებული კაცი და ნაგავტრესტის დირექტორი მიტროფანოვი, უშედეგოდ დასრულდა.

მათ მიერ გაგზავნილი მფრინავი უთურგაიძე პოლიტიკურად ანგაჟირებული მეისრის მეცადინეობით, სწორედ „ტრიოლიტერა - H“-ის გალაქტიკისგენ გაფრინდა, რომელსაც არც არასდროს უარსებია და ვერც იარსებებდა, რადგან სამი ასოს მიმართულებით წასული და უკან მობრუნებული, საბჭოთა სინამდვილეში ჯერ არავის ენახა. პინერები, რომლებსაც კონტროლიორი კინოდარბაზიდან გაძევებას უპირებდა, ჯიუტად ისხდნენ წითელი მაუდით გადაკრულ სკამებზე და უთურგაიძის დაშვებას ელოდნენ.

უნივერსალური სალენი სადრესელა კი გამეტებით მიექანებოდა ცენტავრა ფემინასკენ (რაშიც, ასევე პოლოგრამულ მეისრეს მიუძღვოდა წელილი) და ეკიპაჟის სამივე წევრი, ცხენისფეხებიან ქალებთან შესახვედრად მიჰყავდა.

უთურგაიძე, პერკინსის სიმღერების ნაცვლად, ახლა მიტროფანოვის მიერ გამოგონილი პროკლამაციური პოეზიის საღამოებს უსმენდა რადიოში, რომლის ჩანანერებიც, მხოლოდ იმ გოგონას ჰქონდა, „ტრიოლიტერა-H“-ის სარადარო სადგურში რომ იჯდა და ზოგჯერ რომ ნა-მოიტირებდა კიდეც, პროკლამაციური პოეზიის მოსმენისას.

დასასრული

ვებ-გვერდის ზომა 1024×768

პირობით ფორმათა რაოდენობა 3, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 7.

ხელმონერილია დასაბეჭდად 05.03.2009 წ.

უე 02800

შეკვ. № 12 ტირაჟი – განუსაზღვრელი, ფასი – შეუზღუდავი

ISBN 32917-09-0

გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საქმეთა საბჭოს სტამბა №3,
მიტროფანოვის ქ. №

2009.03.06

ჯუბა ზარქუა

ზაზუნას თვითმკვლელობა

მკითხველს

(ავტორის რჩევები ნაწარმოების უკეთ აღსაქმელად)

– ძვირფასო მკითხველო! მინდა შენი ყურადღება რამდენიმე ნიუანსზე გავამახვილო, რაც დაგეხმარება ჩემი ნაწარმოების აღქმაში.

ნაწარმოების კონცეპტუალური ლერძი მეტისმეტად რთულია და სწორედ ამიტომ ვაძლევ თავს უფლებას, ჩავერიო შენს წარმოსახვაში.

– ძვირფასო მკითხველო, გთხოვ, კარგად გაისიგრძეგანო ბუბუსა და მაკას ურთიერთობა. დაიმახსოვრე, რომ მაკას უყვარდა ბუბუ! ეს კი მოგეხმარება იმის ამოცნობაში, – ბუბუც განიცდიდა მაკას მიმართ იგივეს, თუ არა;

– საინტერესოა მაკასა და მამუკას ურთიერთობაც. მამუკას უყვარდა მაკა, მაკას კი უყვარდა ბუბუ. ისმის კითხვა: მაშ, რატომ იყვნენ შეუღლებულნი? და ამაზე ფიქრიც შენთვის მომინდვია.

– ძვირფასო მკითხველო, გთხოვ, ნაწარმოების ავტორი არ დაძრახო მკრეხელობაში. ავტორს არანაირი მკრეხელური ქვენა ზრახვა არ ჰქონია. ხოლო ის ფაქტი, რომ მამუკა ღმერთს ემუქრებოდა, ბუბუმ თავი მოიკლა და ა.შ. და ა.შ., მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული წარმოსახვაა და სხვა არაფერი. მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, ისეთი, როგორიც უნდა იყოს ნამდვილი ქართველი მწერალი... მე შენი რწმენისა ვარ, მკითხველო!

– ნაწარმოებში რამდენიმე სიმბოლური დეტალია, რომლებსაც არ განვმარტავ, რადგან აღარ იქნება საინტერესო, მხოლოდ მიგანიშნებ: მათეს წერილი და მამუკას წერილი! დანარჩენი შენთვის მომინდვია...

– ძვირფასო მკითხველო, გთხოვ ნუ დაძრახავ და შენად მიმიღე, მუდამ შენს სამსახურში!

პატივისცემით, ავტორი.

სამედიცინო გამოკვლევა

- ბატონო კოტე, ბატონო კოტე! სასწრაფოდ მობრძანდით, პრობლემა!
- რა ხდება, ქეთი?
- გადაუდებელი საქმეა!..
- და მაინც რა არის ასეთი გადაუდებელი, არ მეტყვი? ვერ მხედავ, არ მცალია, დაკავებული ვარ! - ოთახში დაუპატიჟებლად შემოვარდნილ ახალგაზრდა, ლამაზ, რეზიდენტს სამი მამაკაცი მისჩერებოდა. ორ მათგანს ხელში ჭიქა ეჭირა, მესამე კი, - ბატონი კოტე, კლინიკის ყველაზე გამოცდილი მეან-გინეკოლოგი, შეჭმუხვნილი ნარბეხით უმზერდა გოგოს.
- იცით, ბატონო კოტე, რაშია საქმე? - მორიდებულად დაიწყო ქეთიმ,
- სურათს ვერ ვარჩევ...
- კაი რა, ქეთი, კაი რა... რა სურათს ვერ არჩევ, მეორე კურსის სტუდენტი ხო არ ხარ, კაი რა, რეზიდენტი ხარ თუ ვინ ხარ? ექოზე ნაყოფის დანახვა თუ არ შეგიძლია, საერთოდ რალა პრეტენზიები გაქვს, ეეჰ, კაი რა... - იმედები გაუცრუვდა ბატონ კოტეს.
- არა, ბატონო კოტე, მასე მარტივად არაა საქმე, რალაც უცნაურობა ხდება, მერნმუნეთ!
- და რა ხდება ასეთი მაინც? რა უცნაურობა შეიძლება მოხდეს, ერთი გამაგებინე რა. რა პერიოდია?
- ოცდამეთოთხმეტე კვირა...
- და ნაყოფს ვერ ხედავ? აუუ, შევმცდარვარ შენში, შევ-მცდარ-ვარ!
- ბატონო კოტე... - კინალამ ატირდა რეზიდენტი.
- ჰო კაი, ნამოვალ, ჯანდაბას შენი უვიცი თავი, რა მოგისმენს მთელი დღე?!
- ბატონი კონსტანტინე, ამაცად და მსუბუქი ირონიული ღიმილით, სახე-გაბადრული ქეთის თანხლებით მიაბიჯებდა დერეფანში. როდესაც პაციენტთან შევიდნენ, მეან-გინეკოლოგმა იმ წამს მონიტორს დახედა. ხუთი წუთი უტყვად იდგა.
- ქალბატონო! - ამოღერლა ძლივს-ძლივობით.
- დიახ, ექიმო, მითხარით დროზე, გიორგია თუ ნინო? - გაიღიმა ქალმა.
- ექიმი კარგა ხანს მიმტერებოდა მონიტორს... შემდეგ კი საყელო გაისწორა, ღრმად ჩაისუნთქა და მელოგინეს წინ გაიჯგომა. რალაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა.

– მასეც ვერ ვიტყვით, ქალბატონო.

– რას გულისხმობთ, ექიმო?

– რას ვგულისხმობ და მასეც რომ ვერ ვიტყვით, იმას! – ბატონი კონსტანტინე პაციენტებთან კამათისას, რკინისებური არგუმენტების მოყვანიტაც იყო სახელგანთქმული.

– აბა, რას ვიტყვით? – დაიბნა ქალი.

– მოკლედ, რაშია საქმე: ვფიქრობ, ეს არის ერთადერთი და უნიკალური შემთხვევა, რომლის მსგავსიც არანაირ ლიტერატურაში არ გახლავთ აღწერილი. ეს არის შემთხვევა, როცა თქვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს თქვენი შვილის სქესს, რადგან სქესი მაშინ აინტერესებთ ხოლმე, როდესაც ნაყოფი ადამიანია, ხოლო თქვენს შემთხვევაში კი, ჯერ გასარკვევია ნაყოფი ზაზუნაა, ვირთხა, ვირთავა, ზღვის გოჭი თუ სხვა რომელიმე ამის მსგავსი ცხოველი და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია მის სქესს მივხედოთ.

– მაშ, ზაზუნა? – დასევდიანდა ქალი და ცრემლი მოადგა.

– სავარაუდოდ.

ქალმა ტირილი დაიწყო და ექიმის ხელში ჩარგო თავი.

– ვიცი, ვიცი, რომ ჩემი ბრალია, ვიცი ექიმო, მაგრამ იქნებ, ჩემს მეუღლეს ცოტათი რბილად და უმტკივნეულოდ გააგებინოთ? – სლუკუნებდა ქალი და ბატონ კონსტანტინესაც გული აუჩუყდა.

– შევეცდები გენაცვალე, თქვენ კი ნუ ინერვიულებთ. შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

ქალი ნავიდა, – ცოტათი დემორალიზებული და ცოტათი სასონარკვეთილი.

ბატონი კოტე კი მოსაცდელში გავიდა, სადაც ერთი კაცი იჯდა მხოლოდ და დაინახა თუ არა თეთრხალათიანი კაცი, ყურებამდე გაბადრული ღიმილითა და ფარული ნერვიულობით შეეგება მას.

– ექიმო, ბიჭია?

– შეიძლება ბიჭიც იყოს.

– რას ქვია, მერვე თვეშია და ნაყოფის სქესს ვერ ადგენთ?

– სქესის დადგენაზე ჯერ არც გვიფიქრია მეგობარო, რადგან...

– რატომ? – გაანყვეტინა ანერვიულებულმა მამამ.

– რადგან ჯერ ისაა გასარკვევი, თქვენი ცოლი ზაზუნოფილია, ზღვის გოჭოფილი, ვირთხოფილი თუ ვირთავოფილი!

- ეგ რაღას ნიშნავს?

- გენაცვალე, თქვენ სავარაუდოდ ზაზუნა შეგეძინებათ, რომლის სქესსაც, ვეჭვობ, რამენაირი მნიშვნელობა ქონდეს თქვენთვის.

კაცი განითლდა. სიმწრის სიცილმა გადაკრა.

- ახ, ესე იგი, მასე, არა? - ჩაიბუტბუტა თავისთვის და უკანმოუხედავად გავარდა გარეთ.

ექიმ კოტეს კი სხვაგვარად არ შეეძლო თქმა. მერე რა, რომ ქალმა სთხოვა, - რაც შეიძლება ნაკლებმტკივნეულად გააგებინე ჩემს ქმარსო, ეს ხომ სრული აბსურდი გახლდათ? ცხადია! რადგან შეუძლებელია, ძეხორციელმა „ნაკლებმტკივნეულად“ აღიქვას ის ფაქტი, რომ მას, ცოტა ხანში ზაზუნა შეეძინება, მით უმეტეს, თუ დარწმუნებულია, რომ თავად სულაც არ არის ზაზუნა და საკუთარ გენეტიკურ ხეშიც არც ერთი ზაზუნა ნინაპარი არ ჰყოლია. რთულია ექიმობა!.. - ამ ფიქრებით დამძიმებული კოტე, ლოდინით გატანჯულ თანამესუფრეებთან დაბრუნდა კაბინეტში.

განშორება

მთელ დღეს გადაუღებლად წვიმდა. ოთახი ნახევრად ჩაბნელებული იყო. ქალი, რომელსაც გამობერილი მუცელი ქონდა, სავარძელში იჯდა და ტირიდა. კაცი ბოლთას სცემდა და ნერვიულად ქაჩავდა სიგარეტს. ოთახში, მაგიდაზე გალია იდგა, სადაც მოხუცი ზაზუნა იჯდა, რომელსაც ნამდაუნუმ უყურებდნენ ხან ცოლი... ხან ქმარი.

- შენ მე მილალატე! - იღრიალა კაცმა.

ქალმა ხმა არ გასცა. ტირილს აგრძელებდა, თავჩაქინდრული.

- შენ მე გამცვალე! და ვისში? ვისში? არა რა, ამის წარმოდგენისას ჟრუნატელი მივლის ტანში და ადგილს ვერ ეპოულობ. ამაში? - გალიისკენ თითი გაიშვირა კაცმა, - ამაში გამცვალე? ამ... ამ... ამ ნაგავში, არაადამიანში! შენც ამისთანა ხარ!

ქალმა ტირილს უმატა.

- სიტყვებს ვერ ეპოულობ, როგორ შეგეძლო, როგორ? განა მე ამას ვიმსახურებდი შენგან? განა ეს მერგებოდა მე წილად? რა დავაშავე ღმერთო, სამაგისოდ, რა? თუმცა, არც ღმერთი არსებობს ჩემი შემწე, ან კი, თუ არსებობს, მართლა გულღრძო ყოფილა!

- კაი რა, მამუკა, მასეც ნუ ამბობ. - სლუკუნებდა ქალი.

– ჩემად! ხმასაც იღებ? არა, ბედავ და ხმასაც მცემ? საოცარია, საოცარია! დღე-დღეზე ზაზუნა უნდა გააჩინო და ახლა ბედავ და ხმასაც მცემ? – კაცი აივანთან გაჩერდა.

ხუთ წუთს უბრად იყვნენ. მტანჯველი დუმილი ისევ კაცმა დაარღვია.

– მაკა! – მიუახლოვდა ქალს და მუხლებზე დაიჩოქა. – მაკა, გთხოვ, გულწრფელად მითხარი, როდის მოხდა ეს ყველაფერი? გთხოვ, მითხარი და გაპატიებ. ოღონდ, არ მომატყუო! ძალიან გთხოვ, მაკა, არ მომატყუო! მე ხომ ვიცი, რომ შენი ბრალი არ ყოფილა, რომ ძალა იხმარა შენზე! მე ხომ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ გაცდუნა, დაგათრო, გაგათიშა, ხო, მაკა, ხო, ძვირფასო?

მაკა დუმდა და ტირილს განაგრძობდა.

მამუკამ ღრმად ამოისუნთქა და კვლავ აიენისკენ გაემართა. კბილებს აკრაჭუნებდა. უცებ, ქალისკენ შემოტრიალდა და სწრაფად მიაყარა:

– და მანც, რა ნახე ამაში ასეთი? რამ მოგანონა, როგორ შეძელი მის გვერდით დანოლა? მაკა, ბანჯგვლიანები ხო არ გიყვარდა ახალგაზრდობაში? გახსოვს, მაკა, როგორ მეუბნებოდით, – ბენვები ნერვებზე მშლისო? გახსოვს? და ახლა რა ხდება, – თურმე არ გშლის? მატყუებდი? გონს მოდი, მაკა, რას ჩადი, შენ ახლა ვერ აზროვნებ, მესმის შენი, მაკა გამოფხიზლდი და მითხარი, რომ ეს ყველაფერი ტყუილია!

მაკა კი კვლავ სულმოუთქმელად ტიროდა.

– მოგვლავ! – ჩაიდუდღუნა მამუკამ და გალიისკენ გაემართა. ქალი ნამოხტა და წინ გადაუდგა.

– მე არ მოგცემ ამის უფლებას! რაც არ უნდა იყოს, იგი... – სიტყვა გაუნყდა.

– რა იგი? რა იგი? დაამთავრე, რისი თქმა გინდოდა, რომ იგი შენი შვილის მამაა? ეს ნაგავი?

ზაზუნა კომბოსტოს იცმურცლებოდა ნერვულად და წინ და უკან დადიოდა.

– მამ გიყვარს?

ქალმა თავი მეუღლის მხრებში ჩარგო.

– გიყვარს. რა გაენყობა. ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულა!

კაცი კარებისკენ გაემართა. ოცდახუთ წამში კარის გაჯახუნების ხმა გაისმა. ქალი კი გალიასთან დაიხარა და საყვედურებით აავსო პარტნიორი:

– შენ გამო ოჯახი დავანგრეე! და ეს ყველაფერი შენი უყურადღებობისა და წინდაუხედავობის გამო! მოსაკლავი ხარ, მოსაკლავი, გესმის? მიყვარდი, გივლიდი, თავს გვევლებოდი და შეილიც კი მყავს შენგან, პო, პო, ექიმმა მითხრა დღეს, რომ შეილი მყავს შენგან!

ქალი დადუმდა და ზაზუნას ჩააჩერდა თვალებში, აინტერესებდა, რა რეაქცია ექნებოდა ამ ამბის გაგებისას. ზაზუნა კი გალიის კედელს აეკრო და პირი დააფრინა.

– ტყუილად გიკვირს, ვითომ არ გინდოდა! აკი ყოველთვის მეუბნებოდი, რომ ჩვენს ურთიერთობას შეილილა აკლდა და პა, ბატონო! შენ შეილი გეყოლება! და რად დამიჯდა მე ეს ყველაფერი? არა, თუ ხედები, რამხელა მსხვერპლი გავილე საამისოდ? ნაგვები ხართ ყველანი, ერთმანეთზე უარესი ნაგვები! – შეჰკივლა ქალმა ისტერიკულად და სავარძელში ჩაემხო. ზაზუნა ფურცლებში შეიმალა.

მთელი ღამე წვიმდა და მთელი ღამე სავარძლიდან ფეხი არ მოუცვლია საბრალო ქალს.

მკვლელობა

ერთ თვეს არ გამოჩენილა სახლში მამუკა. ქალს კი მუცელი სულ უფრო და უფრო ეზრდებოდა და დღე-დღეზე მშობიარობას ელოდა. ფიქრობდა, რომ განცდილ უბედურებას პატარის აღერსი დაავინწყებდა. მთელ დღეს ეფერებოდა თავის მუცელს, ელაპარაკებოდა, ეალერსებოდა...

ერთხელ, ბავშვის მამასაც კი მისცა შვილთან კონტაქტის საშუალება. ქალი ნელ-ნელა ცდილობდა მამუკას დაინწყებას და დღითი-დღე უკეთ გამოსდიოდა ეს, თუმცა...

თუმცა, ერთ მშვენიერ, მთვარიან ღამეს, სახლის საკეტზე ვიღაცამ გასაღები მოარგო და კარები გააღო. სახლის გასაღები კი, მაკას გარდა, მხოლოდ ერთ ადამიანს ჰქონდა – მამუკა!

მაკას უშფოთველად ეძინა. მამუკა ფეხაკრეფით მიიპარებოდა სასტუმრო ოთახში. თვალები არეული ჰქონდა, – გაგიჟებულიყო ამ ერთი თვის მანძილზე! ექიმებს მისთვის მწვავე პარანოიის დიაგნოზი დაესვათ.

მამუკა კომოდთან მივიდა და ფურცელი და კალამი მოიძია. თითქოს არაფერი შეიცვალაო, თითქოს ყველაფერი ისევ ისეაო! – ამის გაფიქრებამ გულის არეში ძლიერი წვა აგრძნობინა მამაკაცს.

„ძვირფასო მეუღლე! - მამუკამ რალაც წერილის წერა დაიწყო, - ჯერ კიდევ მაქვს უფლება, ასე მოგმართო. მინდა გითხრა, რომ ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო წლები, შენთან გატარებული წლები იყო და არასოდეს დამავინწყდება, თუმცა... თუმცა მკვდარს მხსნიერება ხომ არ აქვს და შესაბამისად, არც აქვს მნიშვნელობა, მე რა დამავინწყდება და რა - არა, რადგან ფაქტი ერთია: მე ასე ცხოვრება არ შემიძლია და ამიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემს რაყიფთან ერთად გამოვესალმო სიცოცხლეს!

მაკა, როცა შენ ამ წერილს ნაკითხავ, მე და შენი ზაზუნა ამქვეყნად აღარ ვიქნებით.

მშვიდობით!“

მამუკა ქალის საძინებელში შეიპარა ფეხაკრეფით და შუბლზე აკოცა მეუღლეს. შემდეგ იქვე, ხის ტუმბოზე მდგარი გალია აიღო და აივნისკენ გაიკვლია გზა.

ბნელი ღამე იყო, თუმცა, საკმაოდ ხშირი ელვა, გზას უკვალავდა თვით-მკვლელსა და ამავდროულად, მკვლელს! ზაზუნას ეძინა. სანყალი, ვერც ხვდებოდა, თუ რას უპირებდნენ. ვერ ხვდებოდა, რომ თვალს ველარასოდეს გაახელდა, რომ შვილს ვერასოდეს იხილავდა, რომ მაკას აღერსს ველარასოდეს ეღირსებოდა, - იგი სასიკვდილოდ იყო განწირული!

აივნის კარები გააღო მამუკამ და მოაჯირზე შედგა. გალიიდან ზაზუნა ამოიყვანა და მკერდის ჯიბეში ჩაისვა. შემდეგ კი ცას ახედა და იღრიალა:

- ღმერთო, შე ლაჩარო, შე მშიშარა, მე მოვდივარ შენთან, მიფრთხილდი! მთელი ცხოვრება მეზიზღებოდი და ახლა კი საბოლოოდ მინდა შენთან დავასრულო. ღმერთო, მოვდივარ!

ცისკენ ააფურთხა მამუკამ ზიზლით და ფეხი გადადგა წყვდიადში. ელვას ნვიმა მოჰყვა...

დილით, პოლიციელებმა აღმოაჩინეს მინაზე გულ-მკერდით დამხობილი კაცი, რომელსაც მარჯვენა გვერდი სულ ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად ჰქონდა წამოწეული. ასნიეს და გულის არესთან რალაც გამომბერილი შენიშნეს. გვამის ჯიბიდან უსულო ზაზუნა ამოიყვანეს.

მშობიარობა

- მამუკა! ბუბუ! ვაი, მეეეე!!!

ეს ყველაფერი კი ასე მოხდა: დილით, ცხრა საათისთვის გაიღვიძა ქალმა და თვალებით გალია მოიძია, თითქოს გუმანი კარნახობდა, რომ რალაც არ იყო ნესრიგში. აღმოაჩინა, რომ გალია გამქრალიყო!

მაკამ უცბად მოიცვა ტანისამოსი და გარეთ გავარდა. რატომღაც გრძნობდა, რომ უბედურებას გარეთ უნდა ნაწყდომოდა. - ქალური ინტუიცია!

მაკა სწრაფად გამოვარდა სადარბაზოდან, შეშლილი სახე ჰქონდა. ქუჩაზე გავიდა თუ არა, პოლიციელები დალანდა, ყვითელი ლენტი, სირენები, სასწრაფოს მანქანები...

- მამუკა! ბუბუ! ვაი, მეეეე!!!

ქალს არ უშვებდნენ შემთხვევის ადგილთან, თუმცა, მას შემდეგ, როცა გაიგეს, რომ დალუპულების ახლო ნათესავი იყო, ხელი აღარ შეუშლიათ.

- დამშვიდდით ქალბატონო, ცხოვრება გრძელდება!

სხვა რალა უნდა ეთქვა პოლიციელს? ნამდვილი ჯოჯოხეთი სუფევდა ირგვლივ!

- მუცელი! ჩემი მუცელი!

ქალი ჩაიკეცა და მუცლის ტკივილი მოიმიზეზა.

- სასწრაფო გამოიძახეთ! - ილრიალა პოლიციელმა.

- აგერ ვართ, მიგვიშვით!

მინაზე გაშოტილ ქალს ექიმები დაეხვივნენ.

- ბუბუ, ბუბუ, შენი შვილი, ბუბუ! - ბოდავდა ქალი.

- ყველაფერი კარგად იქნება, ქალბატონო, ახლა სამშობიაროში გადაიყვანთ და ყველაფერი კარგად იქნება!

ქალი სასწრაფოს მანქანაში ჩასვეს და ახლომდებარე სამშობიაროსკენ გააქანეს.

- სასწრაფოდ მოამზადეთ სამშობიარო განყოფილება! დაუძახეთ ბატონ კონსტანტინეს!

ქალი მეორე სართულზე აიყვანეს, სადაც სამშობიარო ბლოკი იყო მოთავსებული.

- მარტო ხართ, ქალბატონო? გახლავთ ვინმე?

- ბუბუ, ბუბუ, შენი შვილი, ბუბუ!

ქალი სამშობიარო სანოლზე მოათავსეს. ბატონი კონსტანტინე გასინჯვას შეუდგა.

– კეფით წინ მდებარეობა, პირველი პოზიცია, ნაყოფის თავი ჩამოსულია მენჯის ღრუში, წუთი-წუთზე დაინყება, ბავშვებო!

სამი სტუდენტი მისჩერებოდა მშობიარე ქალს. ნერვიულობდნენ, რადგან პირველ მშობიარობას ესწრებოდნენ.

– ღრმად ისუნთქე, გენაცვალე, ღრმად, მოხერხებულად მოთავსდი. ასე გირჩევენია? – ბებიაქალი პოზის არჩევაში ეხმარებოდა მაკას. – ახლა ჩაისუნთქე და დაიწყე გაჭინთვა. აბა, მიდი, შენ იცი...

– ააააა!

– მიდი, მიდი, მიდი, ყოჩაღ, ყოჩაღ, კიდევ ცოტ... გამოვიდა!

ქალს ხელში ძალიან მცირე ზომის, თეთრი ფერის ზაზუნა ეჭირა.

– ჰმ, ზაზუნა მაინც, ესე იგი... – თქვა ბატონმა კონსტანტინემ და მიულოცა ქალს.

შვილი მკერდზე მიუწვინეს დედას. პატარამ ტირილი დაიწყო. ტიროდნენ სტუდენტებიც, რადგან ვერ იკავებდნენ მოზღვავებულ ემოციებს. ტიროდა მაკა.

ტიროდა ბატონი კონსტანტინე. მხოლოდ ბებიაქალი მუშაობდა და პლაცენტის ნარჩენებს აცლიდა ქალის საშვილოსნოდან.

მშობიარობამ ნარმატებით ჩაიარა, ბავშვს მათე დაარქვა დედამ და სამ დღეში განერეს კიდევ სამშობიაროდან...

დრო კი გადიოდა. მათე სწრაფად იზრდებოდა. მეორმოცე დღეს, როგორც წესი, მონათლეს.

ერთი თვისამ ისწავლა სიარული.

ხუთი თვისამ თქვა პირველი სიტყვა – დედე!

ერთი წლისა კი ნებისმიერ წინადადებას აწყობდა და ნებისმიერ ადგილას გადაადგილდებოდა.

მაკა არ აკლებდა არაფერს, ცივ ნიავს არ აკარებდა. ოთხი წლისა სკოლაში შეიყვანა.

მათე ადვილად შეეწყო თანაკლასელებს და ბავშვობას უდარდელად ატარებდა. უყვარდა ფეხბურთის თამაში. სპორტული ბავშვი გამოდგა. კლასში პირველი იყო ყველანაირი ფიზიკური მაჩვენებლით. სირბილში, ხტუნვაში და სხვა სპორტულ სახეობებში, ვერაფერს შეედრებოდა.

მათე უყვარდათ გოგოებსაც. მეხუთე კლასში პირველი შეყვარებული გაიჩინა. შემდეგ სხვა. შემდეგ კიდევ სხვა, – სიმპათიური ყმანვილი გახლდათ მათე, არ დაეწუნებოდა არაფერი.

სწავლითაც პირველი იყო კლასში. განსაკუთრებით მათემატიკური აზროვნებით გამოირჩეოდა. მასწავლებლების საყვარელი მოსწავლე!

შემდეგ ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩააბარა. ინსტიტუტშიც გამოჩენილი სტუდენტი გახლდათ. არ ტოვებდა კონფერენციებსა თუ სემინარებს, ყველგან იყო, ყველას უყვარდა, ყველგან სჭირდებოდათ...

მოკლედ, ერთი შეხედვით, ბედნიერად მიდიოდა მათეს ცხოვრება, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს, სახლში გაცოფებული არ მოვარდა.

– დედა! – იყვირა შემოსვლისთანავე.

– ხო, შვილო, რამ აგაფორიაქა?

– დედა, სიმართლე მითხარი!

– რაზე, შვილო?

– ვინაა ჩემი მამა?

აქ კი ქალი დადუმდა და ტირილი დაიწყო.

– დედა, არ დამიმალო, შეუძლებელია უმამოდ გავჩენილიყავი!

– მამაშენს ბუბუ ერქვა! კაი ზაზუნა იყო, ყველას უყვარდა.

– და სად წავიდა?

– მოკვდა.

– როგორ?

– მოკლეს.

– ვინ?

ქალმა ტირილი გაამძაფრა.

– ვინ-მეთქი, დედა?

– იყო ერთი ბიჭუნა, სახელად მამუკა, – დაიწყო ქალმა...

იმ ღამეს არ ეძინა საბრალო მათეს.

თვითმკვლელობა

„დედა, მე შენ მიყვარხარ, მაგრამ აღარ შემიძლია ამქვეყნად ყოფნა. დედა, მე თავს ვიკლავ!“

აღბათ გამიგებ, რადგან უმამოდ გაეიზარდე, მამა მომიკლეს თურმე და მომიკლა იმ არსებამ, რომლისნაირების გვერდზეც ვცხოვრობდი აქამდე. შენც მაგათნაირი არსება ხარ, დე! მე თქვენთან ერთად ცხოვრება აღარ შემიძლია! მე გადაფურთხებულს ვერ ავლოკავ, დე! მე ზაზუნა ვარ, მე ნამდვილი ზაზუნა ვარ და სხვაგვარად მოქცევა არც შემიძლია! ღირსება არ მასვენებს!

დედი! რაც ეგ ისტორია მომიყევი, მთელი ღამე არ მეძინა მას შემდეგ, რადგან ვფიქრობდი, რა მექნა. ერთი პირობა ისიც კი გავიფიქრე, ხო არ მომეკალი, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე, რადგან მივხვდი რომ მიყვარხარ.

...და დავწყევლე ჩემი გაჩენის დღე, რადგან უნებურად შემიყვარდა მტერი, რადგან ჩემს ძალებს აღემატება ჩემი გრძნობების კონტროლი, რადგან არ შემიძლია შურისძიება!

დავწყევლე ჩემი გაჩენის დღე, რადგან მივხვდი, რომ ყველაზე უბედური ზაზუნა ვარ დედამინაზე და მე აღარ მინდა ასეთი სიცოცხლე! არ შემიძლია და მორჩა!

დე, როცა ამ წერილს წაიკითხავ, მე უკვე მკვდარი ვიქნები! ილოცე ჩემთვის, რომ ღმერთმა გამონაკლისი დაუშვას და მამაჩემის გვერდით, სამოთხეში მომახვედროს! მე მჯერა, რომ ის იქაა.

სიყვარულით, მათე

მათემ აივნის მოაჯირზე თოკი გამოაბა, ყულფი გამონასკვა და თავი გაუყარა...

ერთ წუთში შეწყდა მათეს გულისცემა...

ერთ წუთში ჩაიჩუტნენ მათეს ფილტვები...

ერთ წუთში გაჩერდა მათეს ტვინი...

ერთ წუთში, მათე იქცა არარაობად და შეერწყა აბსოლუტს...

რატო რატოიანი

Bravo Pour Le Clown

2009 წლის 28 მარტი – 2 აპრილი

თითქმის ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფილმის გადაღების დაუოკებელი სურვილით შეპყრობილმა ძველმა მეგობარმა, რეჟისორმა, რომელსაც პატარა, ბედნიერი ოჯახი ჰქონდა, სადაც ორი თვის შემდეგ ახალი წევრის შემომატებას ელოდნენ, დამირეკა და თავისი ჩანაფიქრი გამანდო. მგონია, უარესს ვერ მოიფიქრებდა, ჩემისთანა ადამიანს რომ მიანდო სცენარის დანერა. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ სიტუაციის მთელი ტრაგიკომიკულობის გაცნობიერებას, თუ საკუთარ თავს ორიოდ სიტყვით აღვწერ. ზედმეტი შრომისთვის თავი რომ ამერიდებინა, რაც ზარმაცი ადამიანისთვის პირდაპირ მისწრება იქნებოდა, „გამოუსწორებელი იდიოტი“ თავისუფლად შეცვლიდა მოსწრებული და არცთუ საქებარი გამოთქმების ხროვას, რომელსაც, როგორც წესი, ამ „ორიოდ სიტყვაში“ ატყვენ ხოლმე. მაგრამ ეტყობა სინდისი მანუხებს, რომ მკითხველს ამგვარი თავსატეხი არ გავუჩინო და „გამოუსწორებელი იდიოტების“ მრავალფეროვან სპექტრში ჩემი თავი არ ვაძებნინო.

თავის შეცოდება არც მიფიქრია, არა. რამდენიმე უხეირო მოთხრობის ავტორს, წერის ჭია მხოლოდ მაშინ ანუხებს, როდესაც საყვარელმა მიატოვა, ყველა მეგობარს ნაეჩხუბა, შუქი გადაუხდელობის გამო ჩაუჭრეს, გახსაც მალე გაუთიშავენ, მაღაზიაში გამყიდველს მოთმინება ეწურება, სიგარეტის ვალი კი ელვის სისწრაფით იზრდება. თითქოს აქამდე ურმის გადაბრუნებას ელოდა, არაყს სვამდა, ჩხუბობდა, ტიროდა, წუნუნებდა, ზამთარს უჩიოდა, ტვინს რომ უყინავდა, ბარომეტრი „სასონარკვეთილებასა და უმოქმედობას“ უჩვენებდა, ცხოვრებას მხოლოდ წერილმანი სიამოვნებები უხალისებდა. საპნის ბუშტებივით ჩნდებოვნენ და ქრებოდნენ ადამიანები და ილუზიები. ზამთარი, ზამთარია ყველაფერში დამნაშავე, უკვე მეორე ზამთარი. დიას, გუბუნებით თქვენ, ვინც სინანულით სავსე მზერას მაყოლებთ და სასარგებლო რჩევებსაც კი აღარ მაძლევთ, ვისაც განუხებთ ჩემი ბედი, მე თქვენ მიყვარხართ. მერე რა, რომ ხელი ჩაიქნით ჩემზე და საკუთარი თავის ანაბარა დამტოვებთ – ეს საუკეთესო სამსახურია, რაც გამინიეთ!

ფილმი არა, მაგრამ პატარა ნიკოლოზი დაიბადა, უკვე ორი წელი გავიდა, მეორედ დადგა გაზაფხული და მე წერა დავიწყე - Bravo pour le clown!

ერთი მეგობარი მყავს, რაც თავი მახსოვს, ბარმენად მუშაობს „ნოეს კიდობანში“. მიყვარს მასთან ლაპარაკი, უფრო მეტად კი - მოსმენა. მოვა და გადმოაფრქვევს ხოლმე ჩემს ულიმდამო ცხოვრებას, ერთი შეხედვით, დაუჯერებელი, ბრჭყვიალა, აბსურდული ისტორიების ნაკადს. სიგარეტის კვამლისა და გაზისგან გამურულ სამზარეულოში ახალი წელი დგება, პეტარდები ფეთქდება, მუსიკა მხიარულ, გაურკვეველ ბგერებად გრიალებს და ფერადი ქალღმერთების წვიმა მოდის. ვზივარ და სიგარეტის ნაცრისფერი, ნახევრად გამჭვირვალე ბოლის ფარდის მიღმა რიალებენ მხიარული, აბეზარი, მთვრალი, ჭკუიდან შეშლილი ლანდები „ნოეს კიდობნიდან“ და თუმცა ვიცი, რომ მათ ჩემი მეგობრის ფანტაზიის ფილტრშიც გაიარეს, ამით მხოლოდ მომხიბვლელობა ემატებათ. ვერასოდეს გამოაცოცხლებდა ასე მწერლის სამყაროს ბანკებსა და კრიალა ოფისებში გამოჩეკილი, ცისფერ ან ნარინჯისფერ ჰალსტუხიანი მუშია, პრიალა ლამინატზე სიარულს მიჩვეული, ფეხს ნამოკრავდა ნახევრადაგლეჯილ ლინოლეუმს ჩემს სამზარეულოში, თვალები აუჭრელდებოდა მახინჯი კედლების დასამალად გაკრული პლაკატების, ნახატებისა და გულუბრყვილო თვითნაკეთი სამშვენისების შემხედვარეს, მერე ერთს ჩაიფრუტუნებდა, თავკუდმოგლეჯილი გავარდებოდა სუფთა ჰაერზე და პირდაპირ თავის წინა დღეს გარეცხილ მანქანაში დურთავდა თავს.

სად გეჩქარებათ? არსად არ გადამიხვევია და სათქმელიც არ დამვიწყებია. მე ხომ ახლა დავიწყე წერა, მაშ, მისმინეთ. აქამდე ხომ ისე ვჩქარობდი, რომ ვერაფრის თქმას ვერ ვასწრებდი, სული ყელში მებჯინებოდა და, შედეგად, არაფერიც არ მითქვამს. სცენარის წერა უკვე დაგვიანებულია. მე არ მეჩქარება.

ცხოვნებული პოლ ბრეგი ამტკიცებდა, შიმშილი გონებას ხსნისო. თუ შიმშილი დიდი მოაზროვნების საუკეთესო თანაშემწე ყოფილა, მაშინ გაჭირვება, დაცემა, სასონარკვეთა და სხვა მრავალი უბედურებაც გვერდით უნდა ამოვუყენოთ, რადგან უამისოდ ცხოვრება მეტად მოსაწყენი იქნებოდა, იმ ადამიანებისთვისაც კი, რომლებიც თოკის გარეშე არასოდეს ეშვებიან ხიდიდან. ვთქვათ, ამ საიმედო ბაგირის ერთი ძაფია წიგნები, მეორე - კინო, მესამე - თეატრი და ასე შემდეგ. მერე რა, რომ თოკს სწორედ თავიანთი წინდაუხედაობის წყალობით ფსკერზე მოკალათებული

სულელები წნავენ.

„ნოეს კიდობანი“ ტყუილად არ მიხსენებია. მოხუცთა სახლი, სადაც ქალბატონმა ეკამ თავისი ცხოვრების ბოლო და ალბათ ყველაზე ბოძოქარი წლები გაატარა, სწორედ ისეთივე თავშესაფარია ლატაკი მოხუცებისთვის, როგორც ნოეს კიდობანი – ყველა სულდგმულისათვის, „ნოეს კიდობანი“ – რუტინას თავდაღწეული ალკოპოლიკებისთვის. ცხოვრება აქ აწყობს თავის პატარ-პატარა ფიქრებს, გიჟურ გამოხდომებს, მე კი ვზივარ ფსკერზე მყუდროდ მოკალათებული, სიგარეტის კვამლში გახვეული და ექოდ მომდის ზალპის ხმა.

როდესაც თავისი ჩანაფიქრი გამანდო, ჭონემ მოხუცთა სახლში მომხდარი ორიოდ სხვა ამბავიც მოაყოლა. ეს ისე, ჩაფიქრებული სცენარისგან დამოუკიდებლად. ამურის ისრებს იქ ეკას გარდა ბევრი სხვა სულიც დაუჭრია. ეჭვი მაქვს, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით სერიალის გულისამაჩუყებელ გმირებს.

მოხუცთა სახლის ნახევრადბნელ ფოიეს ტელევიზორის დარბაზი ესაზღვრება – მომცრო ოთახი, პარტერის მსგავსად ჩადგმული სკამების რიგებით, სადაც განსაზღვრული გრაფიკით იკავებენ ადგილს სერიალის, საინფორმაციო გამოშვებისა და თოქშოუების ერთგული მაყურებლები. სადარბაზო კარის პირდაპირ, ფოიეს მეორე ბოლოში სასადილო ოთახია, სადაც მუდამ ვერმიშელის სუპის სუნი დგას. მეორე სართულზე დირექციის ოთახებია, მესამეზე კი იმ მოხუცების, რომლებიც აქ ცხოვრობენ, ყველა კი არ ცხოვრობს მოხუცთა სახლში, მხოლოდ ისინი, ვინც უმადურმა შვილებმა, რძლებმა, ცოლებმა და ქმრებმა სახლებიდან გამოაგდეს. დანარჩენები სადილის საჭმელად, ტელევიზორის საყურებლად, საჭორაოდ, სულიშემხუთავი მარტოობისა და უკიდურესი სილატაკისგან თავდასაღწევად დადიან. საერთოდაც, ეს არის ადგილი, სადაც ხალხი ჯერ მთლად არ შეშლილა ჭკუიდან, სადაც არ შემოუღწევია ახალი დროის დაუნდობლობასა და ბარბაროსობას, სადაც ჯერ კიდევ ესმით შენი ენა – ელემენტარულ ჭეშმარიტებათა ენა. მშია – ამბობ. არავის აზრად არ მოუვა, რომ შინ მაცივარი სავსე გაქვს – სადილამდე ორი საათი დარჩა. – მცივა – ამბობ და უძღურ სხეულს გამათბობელს მიაფიცებ. მთავარია, აქ ყველას გადასარევად ესმის შენი, რადგან თავადაც შიათ და სცივათ.

ფოიეში გამოდის კიდევ ერთი კარი – სამოთხის კარი, თვითშემოქმედების კლუბის, მათი საკონცერტო დარბაზის კარი. მოხუცთა სახლის

პატარა პლანეტაზეც აქვთ თავიანთი კასტები; იყოფიან გაცილებით ახალგაზრდებად, ენერგიულებად, მორცხვებად, ურცხვებად, ფეთხუმებად, პენენიკებად, დავრდომილებად, იყოფიან სასონარკვეთილების ხარისხების მიხედვით, თუმცა ორი ძირითადი – სუსტებისა და ძლიერების კლასი აქაც ისევეა შენარჩუნებული, როგორც დანარჩენ შემლილ სამყაროში. ყველაზე ყოჩაღები მაღალ კასტას ქმნიან – ისინი მომღერალთა გუნდში მღერიან, ცეკვავენ და უკრავენ, სათანადო ნიჭის უქონლობის შემთხვევაშიც კი. აი, მოხუცები სკოლის მერხის დროს უბრუნდებიან, ბავშვებივით უხარიათ და სწყინთ თავიანთი ღმერთის – მასწავლებლის – თვითშემოქმედების გუნდის ხელმძღვანელის ყოველი შენიშვნა თუ შექება.

საკონცერტო დარბაზი სასადილოს შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია.

აქაური ექიმი მზეთუნახავია, თუმცა, საცაა, 50-ს მიუკაკუნებს, გადაბმული წარბები, წითელი თმის ბულული და მობილური ტელეფონი აქვს. შეგიძლია, მის კაბინეტში ნებისმიერი წვრილმანი ჩივილით, წნევის ან პულსის გასაზომად შეხვიდე. ვერ შეამჩნიო, როგორ ემანჭება სახე ზიზლისგან, როდესაც შენ, ოთხმოცი წლის ბაბუას დორბლი მოგდის ალგზნებისგან, მისი თითები რომ გეხება და თეთრი ხალათიდან მისი ჯერ კიდევ ახალგაზრდა სხეულის სითბოს გრძნობ. ბევრს ის სძულს და უყვარს ერთნაირად, რადგან უკვე ვეღარასოდეს იქნებიან თანასწორნი.

მხოლოდ აქ შეგიძლია ვინმე შეიყვარო, ვინმემ შეგიყვაროს უიმედო, ცალმხრივი, ორმხრივი სიყვარულით! აშენო ოცნების კოშკები და ქალაქები და შეყვარებულს დაბადების დღეზე, ისეთი რამ აჩუქო, რაც ადრე თვალითაც არ უნახავს...

რა გეჩქარებათ? როგორ იქნა, განკიცხული, მხდალი სულების ქუჩაზეც დადგა გაზაფხული. მაშ, მისმინეთ.

ეს კაცი უდიდესი არქიტექტორი იყო. მერე რა, რომ არც ერთი ჩანაფიქრი, არც ერთი პროექტი არ განუხორციელებია. სად მოვიდოდა ზაპა შადიდი და დუბაის მოცეკვავე კოშკები მის „ხეებზე გაშენებულ ქალაქთან“? დიახ, ათასწლოვან ტყეში, ბებერი ხეების ფართო ტოტებზე მოკალათებულ აპარტამენტებთან, რომლებსაც ერთმანეთთან თოკის კიბეები და ხიდები აკავშირებს. ტოტებზევეა შემოსკუპებული მუზეუმები და სასამართლოს შენობა, თეატრები და ცირკი, რაც მთავარია, ყველაზე

დიდი, ლამაზი, ნათელი და ფართო მოხუცთა სახლი. მერე რა, რომ ეს კაცი მხოლოდ ხანდახან, ვერმიშელის სუპის საქმელად თუ მოსწყდებოდა მუშაობას და მერე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა სასადილოდან ახალი ნაგებობის დასაპროექტებლად. მხოლოდ მისი გაქანებისა და ფანტაზიის მქონე ადამიანს შეეძლო მიერთმია დაბადების დღეზე არნახული საჩუქარი საყვარელი ქალისთვის. შინაბერა იუბილარმა, რომელსაც იმ დღეს (რა დღე იყო, არ ვიცი) 67 წელი შეუსრულდა, ჯერ გაზეთის ფურცლებში შეახვია სასადილოს მაგიდიდან აღებული პური, მერე საგულდაგულოდ გამოკრა პარკში, ჩანთაში საიმედოდ შეინახა და სადარბაზო კარს მიაშურა. მისი დაბადების დღე არავის გახსენებია, მგონი თვითონაც არ ახსოვდა. მხოლოდ ერთხელ, რამდენიმე თვის წინ იმ აბეზარმა გიჟმა გამოსტყუა ეს თარიღი, ხეზე რომ აპირებდა სახლების აშენებას, მაგრამ შინაბერას არც ეს შემთხვევა ახსოვდა. უეცრად სადარბაზო კარი გარედან გაიღო. გაზაფხულის მშვენიერი, თბილი საღამო იყო, როგორც ახლა. ზღურბლზე არქიტექტორი იდგა, უჩვეულოდ დიდი, კინკრიხოზე გამელოტებული თავი წითელი, სანვიმარი ლაბადის საყელოდან ამყად ამოეყო, ფეხზე მხოლოდ წინდები და ფეხსაცმელი ეცვა. „გიჟი თავისუფალიაო“ – იფიქრა იუბილარმა და ლაპარაკი რომ არ გაება, გასვლა დააპირა, მაგრამ არქიტექტორი მთელი ტანით ჩამდგარიყო კარში და უცნაურად ილიმებოდა. ვიდრე ქალი რამის თქმას მოასწრებდა, ლაბადა შეიხსნა. მერე რა, რომ კნაჭა ფეხები ჰქონდა, დახეული მაისური ეცვა, შარვალი და ნიფხავი კი – არა. სამაგიეროდ, მომჩვარულ სარცხვინელზე წითელი ბაფთა ეკეთა და მორცხვად მიულოცა დაბადების დღე თავის რჩეულს.

სად მოვიდოდა დუბაის მოცეკვავე კომპები ან თვით ვენეცია მის „ხეების ქალაქთან“?

ორი დღის წინ მტკიცედ გადაწყვეტიტე ხელი მომეკიდა დეტიქტივის ან სასიყვარულო ისტორიის წერისათვის, ფარატინა ჟურნალებში დასაბეჭდად, მილიონიანი ტირაჟით რომ გამოდის და ხელიდან ხელში გადადის. მშვენიერი, ამალეღვებელი ამბებისათვის Happy End-ით. ფულს ვიშოვნოდი და სახელს მოვიხვეჭდი. მაგრამ რა ჯანდაბად მინდა ან ერთი და ან მეორე, თუკი დიდი ხნის წინ ცურვის უცოდინარმა თოკის გარეშე ვისკუპე ხიდიდან? მაგრამ ჭონემ ეს არ იცის, არ მითქვამს, არავისთვის არ მითქვამს.

ჭონემ სცენარის მონახაზი მომცა, ნახევარი გვერდი:

„ქალბატონი ეკა მოხუცთა სახლში 19... წელს მივიდა. თავიდან მარტოხელა, ხელმოკლე მოხუცი მოკრძალებისა და სიმშვიდის განსახიერება იყო, ვიდრე სიყვარული არ ეწვია. ეკას წარმოსადეგი, სიმპათიური და სხვებთან შედარებით ახალგაზრდა მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი შეუყვარდა. გუნდის ლოტბარს მანამდეც ეკეკლუცებოდა სახლის ბევრი ბებია, მაგრამ ეკას გრძნობა გაცილებით ღრმა აღმოჩნდა. ის მომღერალთა გუნდშიც ჩაენერა და ცეკვის შესწავლაც მოინდომა. საქმე იქამდე მივიდა, რომ დირექცია დაიყაბულა ერთ-ერთ ქორეოგრაფიულ სტუდიაში მისთვის რეკომენდაცია გაენიათ. მოხუცს უჩვეულოდ მოემატა სასიცოცხლო ძალები. ცეკვა ახალგაზრდებზე უკეთ ისწავლა. ერთ დღესაც, როდესაც ჩათვალა, რომ ამის დრო უკვე დადგა, თავის რჩეულს სიყვარულში გამოუტყდა. საუბედუროდ, კაცს უკვე ჰყავდა მეგობარი ქალი მოხუცთა სახლში, თანაც სულაც არ მოსწონდა თავისზე 20 წლით უფროსი ეკა. უარყოფილი მოხუცი საკუთარ თავში ჩაიკეტა და გაავდა. უმიზეზო სკანდალებს აწყობდა და დირექტორს სთხოვდა, ლოტბარი სახლიდან გაეგდოთ.

ერთ მშვენიერ დღეს, მომღერალთა გუნდმა საჩვენებელი კონცერტი მოაწყო. ეს მნიშვნელოვანი დღე იყო. დირექციამ რამდენიმე მაღალჩინოსანიც მოიწვია, ვისზეც მოხუცთა სახლის დაფინანსების ბედი ეკიდა. კონცერტმა საუცხოოდ ჩაიარა, მომღერლებმა, თუ რამდენიმე დეტონაციას არ ჩაეთვლით, თავი არ შეირცხვინეს. ის იყო, დარბაზში ხალხი აიშალა, რომ სცენაზე ქალბატონი ეკა გამოჩნდა, მაცურებელს თავი დაუკრა, პიანინოსთან მდგარ ლოტბარს მიუბრუნდა და განაცხადა, რომ ცეკვას, რომლის შესრულებასაც აპირებდა, საყვარელ კაცს უძღვნიდა. ქალი მომაკვდავი გედივით აფარფატდა, შუა ცეკვის დროს კი გაოგნებული მაცურებლების წინაშე სცენაზე დაეცა და სული განუტევა“ (ამ აბზაცზე საავტორო უფლებები ჭონეს ეკუთვნის).

– გულისამაჩუყებელი ისტორიაა, – ვიმანჭები მე – კარგი იქნებოდა, რომანტიკის საბურველი ჩამოგვეცილებინა და უფრო მრავალფეროვანი გაგვეხადა.

– მე სწორედ ასეთი მომწონს – გაუზიარებელი სიყვარული სამოცდაათი წლის ასაკში და ეფექტური სიკვდილი, – აულელებლად ამბობს ჭონე – არც ბევრი პერსონაჟი მინდა, ქალი და კაცი საკმარისია. სად

არის აქ ტუალეტი? – შვიდი თვის ორსულია და წარამარა ეფსმება.

– არ გეთანხმები! თუნდაც არქიტექტორი რად ღირს! დერეფნის ბოლოში.

გადაწყდა, რომ ყოველდღე რამდენიმე საათს გავატარებთ მოხუცთა სახლში – გვინდა იქაურობას კარგად გავეცნოთ, როგორც იტყვიან, სამუშაო მასალა შევისწავლოთ.

ჭონესა და გოგისთან ერთად მოხუცთა სახლში სიარული დაიწყე. უნდა გენახათ, თქვენი მონა-მორჩილის ყალბად საქმიანი სიფათი, ხელში დიქტოფონს რომ ატრიალებდა და საჭირო დროს ჩართვა ავიწყდებოდა. აზრიც არ ჰქონდა – კასეტა გაფუჭებული იყო, ელემენტები – დამჯდარი. პირველ დღეს ფოიეში იქაური ექიმი დაგვხვდა და თავისი კაბინეტისკენ გაგვიძღვა.

– არ ვიცი, რატომ დაგაინტერესათ ამ ისტორიამ. ჩვეულებრივი ბებია იყო, ბოლოს ჭკუაზე შეირყა, ხო, მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი შეუყვარდა, ამის ნიადაგზე... რამდენი რამეა გაცილებით საინტერესო, ცოტა ხნის წინ წიგნი გამოვიდა კაცზე, ჯურღმულში ცხოვრების ნახევარი რომ გაატარა, აი, ამაზე მართლაც შეიძლება ფილმის გადაღება. სასწაულებს წერს!... ბიჭს ელოდებით თუ გოგოს? მართლაც, შვილი – შვილია... ხო, ეკას რაც შეეხება... ბევრი არაფერი ვიცი. აქ რომ მოვიდა სრულიად ნორმალური ადამიანი იყო, მათემატიკის მასწავლებელი. გათხოვილი? გათხოვილი არასოდეს ყოფილა, თუმცა ვინ იცის... კიდევ რა... ხო, ყოველთვის მონესრიგებული, მის ტანსაცმელზე ვერასოდეს ერთ ლაქასაც ვერ ნახავდით. თავიდან მხოლოდ სასადილოდ მოდიოდა, მერე საკონცერტო დარბაზში სიარულსაც მოუხშირა. ბოლოს, სიმღერა დაიწყო, თუმცა ხმა არ ჰქონდა. მაშინ ცეკვის შესწავლა მოინდომა. ვიდრე ცეკვის სტუდიაში არ მივალვინეთ, არ მოგვეშვა. თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი მონდომებული იყო, რომ გამოუვიდა! ცოტა ხანში შესანიშნავად დაიწყო ცეკვა! და ყველაფერი იმ კაცის გამო... ალბათ იცით, რომ მას აქ ქალი ჰყავს... ხო... ისინი უკვე წლებია ერთად არიან. აქ ეს ყველამ იცის... დიახ, ეკამაც იცოდა. ნელიკო ძალიან აქტიური ქალია, თუმცა დიდი ხნის წინ, როდესაც აქ მოვიდა, ერთი საცოდავი, დათრგუნული არსება იყო, ინვალიდი ქმარი, ჭკუასუსტი შვილი და სილატაკე ბოლოს უღებდა – ძონძების გროვას ჰგავდა. უცნაურია, მაგრამ სწორედ ამ დროს შენიშნა ის გუნდის

ხელმძღვანელმა და თითქმის ძალით ჩააბა გუნდის საქმიანობაში. ამის შემდეგ ქალი გარეგნულადაც ძალიან შეიცვალა, ნელში გაიმართა და უზარმაზარი ამბიციები გაუჩნდა. მათი სურათები პოლში გვერდიგვერდ ჰკიდია. ვინმემ რომ გაბედოს და სხვა ადგილას დაკიდოს, ნელიკო ალბათ სახეს ჩამოკანრავს...

ჭონე ნიგნაკში იხედება:

- გუნდის ხელმძღვანელი? ახლაც აქ მუშაობს?

- ის ახლა ჩვენი ერთ-ერთი მოხუცია, გუნდის ხელმძღვანელი სხვაა. როდესაც ეს ამბავი მოხდა, მაშინ ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა და ხელფასს იღებდა, თუმცა სხვებივით აქ სადილობდა. ძალიან წარმოსადგევი, სიმპათიური კაცია - ექიმი რატომღაც საკუთარი ფრჩხილების თვალიერებას იწყებს - თანაც აქაურებზე ბევრად ახალგაზრდა. ყველა ბებია ეპრანჭებოდა, მაშინ ხომ თანამდებობის პირი იყო - ქვედა ტუჩი დამცინავად ჩამონია თუ მეჩვენება? - მაგრამ ეკასავით არავინ გაგიჟებულა. ყოველდღე შემოდის ჩემთან, შეუძლოდ ყოფნას იმიზეზებდა, სინამდვილეში იმ კაცისა და მისი ქალების ლანძღვით გულის მოფხანა უნდოდა. დიახ, დიახ! ქალების - ერთის კი არა, ყველასი! ჩემზეც კი ეჭვიანობდა... იცით, რა ძნელია... რა ძნელია ეს ყველაფერი! - ექიმი ადგა, გაოცებულებს ზურგი მოგვაქცია და ფანჯრის რაფაზე ქოთნის ყვავილების მორწყვას შეუდგა.

სად გეჩქარებათ? ძველი სახლის კედლები მობრეცილა და ქარის ყოველ დაბერვაზე სახიფათოდ იზნიქება, მაგრამ რა მესაქმება, გაზაფხულია, ვნერ.

მომღერალთა გუნდის რეპეტიციას დავესწარით. მოხუცები გვათვალიერებენ, როგორც რალაც უცხო ხილს, იმ შემთხვევაში, მაინც სასურველი სამყაროდან მოსულებს, ზოგი ხელსაც გვაგვლებს, აინტერესებთ, ნამდვილი ადამიანები ვართ თუ არა. ჭონემ არხეინი მასლაათი გაუბა ერთ-ერთს, გოგი ცნობისმოყვარეობით აკვირდება ყველაფერს, ალბათ უკვე ოპერატორის თვალთა აფასებს. რას ვაკეთებდი მაშინ? გითხარით მაშინ, რომ მეც იმ დიდი სამყაროს გერი ვარ? თქვენსავით გაფურბივარ მას, საკუთარ პლანეტაზე. მაგრამ, თქვენგან გასხვაებით, პატარა პრინცივით მარტო ვიყავი და მხოლოდ ერთი პატარა ყვავილი მქონდა, რომელსაც წყალსაც არ ვუსხამდი და უმონყალოდ ვაჭკნობდი. აი, უნდა ვნერო თქვენზე და

ყველაზე ცოტა ადგილს გითმობთ, მაგრამ განსხვავებაც ცოტაა.

გუნდის ხელმძღვანელი, ძველი ქართული ფილმებიდან გადმოსული პერსონაჟი თავზე ტალღოვანი თმის ბულულით, სცენაზე დგას და ნახევარწრედ მდგარ მომღერლებს მოძღვრავს:

- სუნთქვა მანდ კი არა... გაფრინდი შავო მერცხალოოოო... აი, აქ უნდა, - მერე სადილის მოლოდინში დროის გასაყვანად ჩამოსკუპებულ მოხუცებს უბრუნდება:

- შენ ხომ გინდოდა გუნდში სიმღერა? აი, შენ, შენ... სახელი დამავინწყდა, - შუა რიგებში მჯდარი, გაქუცულ და ძლიერ შელახულ ბენვის ქურქში გამონყობილი მოხუცი მორცხვად ხითხითებს და თეთრი ბერეტის ქვეშიდან უყურებს მამალმერთს:

- ემა... რა ვიცი...

- სადილი! სადილის დროა! - დარბაზის კართან აჩქარებული მოხუცების რიგი დგება. ერთმანეთს გასვლას არ აცდიან.

- ნუ ჩქარობთ, სუპი არ გაიქცევა, - მშვიდი სიცილით ამბობს ვილაც.

სასადილოში ხარბად იხვრიპება წვნიანი. თითოეულ მაგიდაზე მოზრდილი საპურეები პურის დიდრონი ნაჭრებითაა სავსე მოტრაპეზები ხშირ-ხშირად იწვდიან ხელს საპურისკენ. ზოგი წვნიანში იყრის, ვისაც კბილები შერჩენია, ისე ჭამს. მორჩენილი პური მარდად უჩინარდება ჩანთებში, პარკებსა და ჯიბეებში.

წვნიანს ჩვენც გვთავაზობენ, მაგრამ ვუარობთ. მე არ მშია, თუმცა უარს არ ვიტყვოდი ენის სალათზე, დუქან „რაჭაში“ ყველაზე გემრიელად რომ ამზადებენ და შოკოლადის ტორტის ნაჭერზე ლიტერატურულში, ჭონემ ცოტა ხნის წინ ორ მოზრდილ ხორციან ღვეზელს მოუთავა ხელი და კიდევ იმდენივესთვის თავის გასაწირადაა მზად, გოგის წვნიანი არ უყვარს.

სად გეჩქარებათ? წვნიანი არ გაიქცევა. მაშ, მისმინეთ.

- როგორ არ მახსოვს! ისეთი ამბები ტრიალებდა, რა დამავინწყებს... - შალის პალტოში ჩაფუთნული დაბალი, ჯმუხი ქალი ჭრელ ქათამს მაგონებს. დიდ, მომწვანო-ჭროლა თვალეებში, ეშმაკურად რომ შემოგვცქერის, შავით თეთრზე წერია - იმაზე მეტს ვერ დამტყუებთ, რის თქმასაც თვითონ ჩავთვლი საჭიროდ.

- კარგი, კეთილი ადამიანი იყო, მაგრამ ძალიან უცნაური. კრიჭაში

ჩადგომა იცოდა. თუ ვინმეს აითვალწუნებდა, არ გაახარებდა. იცით ალბათ ხომ, მაშინდელი გუნდის ხელმძღვანელი რომ შეუყვარდა? ხოდა, სანყალ კაცს მოსვენებას არ აძლევდა, სულ კუდში დასდევდა. რა გასაკვირია, წარმოსადეგი კაცი იყო, ძალიან სიმპათიური, აქაურებს კი არ ჰგავდა, – ტუჩს იბზეკს ნელიკო. არც ერთი გადაკრული სიტყვა მათ სასიყვარულო კავშირზე. ჩვენც დელიკატურად ვუვლით გვერდს ამ თემას – ადრე სამხედრო აკადემიის ორკესტრის დირიჟორი იყო, „მაღალ სართულებშიც“ ბევრს მოწონდა, – ჩვენკენ იხრება და გასაიდუმლოებული სახით დერეფნისკენ იცქირება. მეორე სართულზე, დიდ ჰოლში, დივანზე ვსხედვართ, დერეფანში კი ექიმის, დირექტორისა და კოსტიუმების შესანახი ოთახების კარები გამოდის. – მერე სიყვარული სიძულვილით შეეცვალა და კაცს სიცოცხლე გაუმწარა. დღე არ გავიდოდა, რამე საბაბით ჩხუბი არ აეტეხა. მგონი მაგ დროს უკვე გაფრენილი ჰქონდა. ხო, იმ დღეს მეც იქ ვიყავი. სცენაზე გამოსვლა ვერ მოასწრო სანყალმა, რომ ხალიჩას ფეხი წამოკრა და დაეცა. აღარც ამდგარა... მართლა ფილმს იღებთ?

ჯერ არა, მაგრამ იმედი გვაქვს... მწვანე შალის ჩამოშლილ ფოქს კეკლუცად იგდებს მხარზე და ქუდს ისწორებს:

– ვინ უნდა ათამამოთ?

შუა შემოდგომის თბილი, გარინდული, გამჭვირვალე, მატყუარა ამინდი დგას, როდესაც გგონია, ზამთარმა თვენახევრით მაინც დაიხია უკან. გამვლელებიც უჩვეულოდ უწყინარნი არიან, თითქოს თავიანთი ყოველდღიური ბოღმა სადღაც კუნჭულში მიუჩქმალავთ და ღიმილის უნარი დაბრუნებულია. ღიმილის, და არა ისტერიული ჟესტების, ჩვეულებისამებრ, სიცილსა და სიხარულს რომ ცვლის. ასეთ დღეებში ადამიანს თვალიდან ღიბრი შორდება, ყველაფერს ძალიან მკაფიოდ აღიქვამს. ასფალტიც აღარ არის უფსკრულივით სახიფათო – ზედ უსაფრთხოდ სიარული შეიძლება.

მაეანი ნ. უკვე სამი წელია, სტანდარტ ბანკის ერთ-ერთ ფილიალში მუშაობს, თეთრ პერანგზე ნითელი ჰალსტუხი უკეთია და მოსწონს, შესვენებაზე ამ ჰალსტუხით რომ გამოდის ქუჩაში. ამ ფერის ჰალსტუხები მხოლოდ სტანდარტ ბანკის თანამშრომლებს უკეთიათ, მაგრამ ეჭვი რომ არავის შეეპაროს, არც სამკერდე ნიშანს იხსნის. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ სხვა მრავალივით, ამ ფინანსური კრიზისის დროს, ის შემცირებაში არ მოუყოლებიათ და ასფალტის მხვინელ-მთესველ უმუშევართა არმიასთან

არაფერი ესაქმება, მაღალი ხელფასი და კობტა ბინა აქვს. მართალია, დროდადრო კრედიტს აჭარბებს, მაგრამ ეს დიდი უბედურება არ არის. თუ ჯერ არ ჰყავს მზეთუნახავი მეუღლე და ცისფერთვალეა, პატარა ბიჭი, მალე ეყოლება – ნუნს ვერავინ დასდებს.

აი, მავანი ნ. შესვენებიდან ბრუნდება. მის წინ მომცრო ტანის, მოხდენილი ქალიშვილი სწრაფი ნაბიჯით მიდის. უჯრულა მანტო აცვია და მწვანე ბერეტი ახურავს. თმა არ უჩანს, ფუმფულა ნაბლისფერი ან სწორი, ყავისფერი თმა ექნება, შეიძლება – ქერაც. მერე რა, რომ მხარზე ცოტა უცნაური ჩანთა აქვს გადაგდებული – ახლანდელ გოგონებს ხომ მოსწონთ ბებიების ნაქონი ნივთები. დაბალყელიან, ყავისფერ ფეხსაცმელს ქუსლები აქვს მოცვეთილი – მერე რა მოხდა. რამდენია ქვეყანაზე ასეთი მოკრძალებული მზეთუნახავი, ჩაცმულობის თავისებური, განუმეორებელი მანერით. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს ურჩევნია ბუტიკებში გამოპრანჭულ ქედმაღალ ლამაზმანებს. ქალიშვილი სწორედ მისი ბანკისაკენ მიემართება, ალბათ ტელეფონის ფული უნდა გადაიხადოს, ან სტიპენდია აიღოს, ასეთები ხომ თავს აკლავენ სწავლას. ნ. გალანტურად ეწევა და კარს უღებს:

– მიბრძანდით, ქალიშვილო! – მინის კარი უხმაუროდ, ზანტად ტრიანლებს ანჯამებზე და ნ. ქალიშვილის რქისჩარჩოიან სათვალესა და პიგმენტურ ლაქებს მისჩერებია მის ბებრულ ხელებზე.

ბანკში დიდხანს ემახსოვრებათ ეს ამბავი და უამრავ არცთუ უწყინარ ხუმრობას დაატეხენ თავს მავან ნ.-ს, რომელსაც ამიერიდან ქალიშვილების წინაშე დაუძლეველი შიში შეიპყრობს და ვინრო ჯინსში გამოკრულ, ათსანტიმეტრიან ქუსლებზე შემდგარ მდედრს მხოლოდ წინიდან მისი კარგად შეთვალეირების შემდეგ ირწმუნებს.

რა ბრალი მიუძღოდა წითელჰალსტუხიან მოხელეს, თუ იმ დროს მოხუცთა სახლში ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი, წარმოსადეგი, სიმპათიური და სხვებზე ახალაზრდა მამაკაცი, რომელმაც უკლებლივ ყველა ბებიის, უფრო მეტად კი ერთის გული დაიპყრო. თუკი იმ ერთმა ბანკიდან ორი კვარტლის მოშორებით, იტალიური ეზოს მესამე სართულზე, მასზე საუკუნით უფროს ქრიალა სასტუმრო ოთახში სწორედ წინა საღამოს გადმოშალა მაგიდაზე ახალგაზრდობისდროინდელი ფოტოები და შუალამემდე ათვალეირა, დილით კი

საგულდაგულოდ გამოენყო საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი რეპეტიციისათვის. თუ გზადაგზა სრულიად უწყინარი ერვენებოდა ეს მტრული, შეშლილი სამყარო და ელექტროობის ბოძზე გაკრულ განცხადებას, ნებისმიერი ასაკის მსურველებს რომ ინვევდა ქორეოგრაფიულ სტუდიაში ხალხური და სამეფლისო ცეკვების შესასწავლად, ტელეფონის ნომერი მოახია. ის ხომ ბრძოლის ჟინით იყო შეპყრობილი და ფერხულში მეტოქის ჩამოტოვებას აპირებდა.

რა ესაქმებოდა ქალიშვილს ბანკში? მხოლოდ თვეში ერთხელ, პენსიის ასაღებად თუ მივიდოდა.

სად გერქარებათ? ხვალ ნვიმა და ქარია გამოცხადებული, დღეს კი შუა შემოდგომის თბილი, გარინდული, გამჭვირვალე, მატყუარა ამინდი დგას, როდესაც გგონია, ზამთარმა თვენახევრით მაინც დაიხია უკან. გამვლულების ნაცვლად საყვარელი სახეები მივლიან გვერდს და ზურგს უკან უჩინარდებიან. არ ვიხედები, არც ვენევი, გზას განვაგრძობ, რადგან ყველა კრედიტი ამომენურა. მაშ, მისმინეთ.

- არ ვიცი, ვისზე მეუბნებით... - გაკერპდა ყოფილი თანამდებობის პირი და საკუთარ ფეხსაცმელს ათვალიერებს.

ვუყვებით, რაც ვიცი. წლებსა და სახელებს ვახსენებთ.

- არ ვიცი, არა, არაფერი არ მახსოვს. მოიცადეთ, მგონი მივხვდი. კი, იყო ასეთი, გუნდში მღეროდა, შესანიშნავი ხმა ჰქონდა. ჩემგან რა გაინტერესებთ? - ნიშნისმოგებით მოგვჩერებია. მაღალი, ხმელ-ხმელი კაცია. ასეთებს არწივივით ცხვირი და ძველმოდური ულვაში უხდებათ. ცხვირი ბუნებამ შესაბამისი დაანათლა, ულვაშზე თვითონ იზრუნა. ოდნავ შემელოტებულ თავზე სვანური ქუდი ახურავს და შლაქები აცვია. მოტეხილი ჩანს, მაგრამ ეტყობა, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ქალების კერპი იქნებოდა.

თუ შეიძლება, იმ დღეზე რომ მოგვიყვეს, როდესაც ტრაგედია მოხდა.

იმ დღეს ის აქ არ ყოფილა, ავად იყო და არაფერი იცის, საერთოდ არაფერი. მხოლოდ მერე გაიგო, რომ სცენაზე ქალი მოკვდა. სიტყვა მომღერალთა გუნდის ახლანდელ ხელმძღვანელზე გადააქვს. კი, შესანიშნავი ადამიანია, თავისი საქმე იცის, რა თქმა უნდა, ისე არა, როგორც ზოგიერთმა უსამართლოდ ჩამოქვეითებულმა, მაგრამ...

კი, მაგრამ...

საინტერესოს ვერაფერს გვეტყვის, თანაც სადილზე აგვიანდება.

რაც მართალია, მართალია – არაფერი იცის და არ უნდა იცოდეს კუდიან დედაბერზე, რომელმაც, ნახევარ განაკვეთს ვინ ჩივის, სიცოცხლე გაუმნარა! ჩია, ინტრიგან და მატყუარა ავსულზე! რა იცის ამ სამმა ცხვირ-მოუხოცავმა, ტრაგედია რომ დაუჩემებიათ და სხვის ნარსულში იქექებიან? ტრაგედია კი არა, კომედია იყო, სამარცხვინო ფარსი. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო. არადა, რა უწყინარად დაიწყო ყველაფერი.

რამდენიმე წლის წინ დიდების ზენიტში იყო – „მაღალ სართულებთან“ დაახლოებული პერსონა, თითქმის ადმინისტრაციის წევრი. ის თუ იციან ამ ლანჩაქებმა, რომ თავის დროზე კაპელაში უკრავდა, მერე კი ტრამვაის მძღოლთა გაერთიანების ეოკალურ-ინსტრუმენტული გუნდის ხელმძღვანელი იყო? მერე რა, რომ ტრამვაი აღარ დადის და ქალაქში ცოტა ხნის წინ უკანასკნელი ლიანდაგი აყარეს?

თუ აქაურებს პატივს სდებდა და სადილზე დაენვეოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ უარი ქედმაღლობაში არ ჩამოერთვათ და ბოროტი ენებისთვის სალაპარაკო არ მიეცა. აქ გაიცნო ძალღივით ერთგული ნელიკო, რომელიც, ცოტაოდენი სითბოსა და იმ დიდების ფასად, რაც გუნდის ხელმძღვანელთან სიახლოვემ მოუტანა, სახლის ყოველდღიური, მოსაწყენი საქმეებისგან ათავისუფლებდა მარტოხელა მამაკაცს.

როდის ამოიზარდა ეშმაკი სოკოსავით წინა რიგებში, ზედ ფორტეპიანოსთან? რატომ იცინოდა ასე ხმამაღლა მის ყოველ ზუმრობაზე და სად მალავდა კუდსა და რქებს? ყველაფერს თავისი დრო ჰქონია.

გუშინდელი დღესავით ახსოვს „ხანუმას“ რომ დგამდნენ. რეჟისორი თვითონ იყო, მთავარ როლებს კი ის და ნელიკო თამაშობდნენ. ნელიკოს საცეკვაო ნომერიც ჰქონდა. მთელი დარბაზი იცინოდა, ტაშს უკრავდა, ეკას გარდა. ეს კარგად ახსოვს. მაშინაც წინა რიგებში იჯდა. სათვალის უკან გაყინული მზერით სადღაც შორს იყურებოდა. მაშინდელი სურათები ახლაც ჰკიდია შემოსასვლელში, საპატიო დაფაზე.

სად გეჩქარებათ? ჭერი აბლაბუდას დაუფარავს, ობობები გამაღლებით ქსოვენ ბადეებს, რა მესაქმება? გაზაფხულია, ვწერ.

ჭორები დაირხა, ავსული გუნდის ხელმძღვანელის სულის დაპატრონებას ცდილობს და ცეკვის სტუდიაში სიარული დაიწყო. ეს ამბავი სენსაციად იქცა. ქორეოგრაფმა ექიმს დაურეკა და დიდხანს ელაპარაკა, იმან

კი ჯინაზე მთელი დარბაზის გასაგონად ხმამაღლა გამოაცხადა, კუდიანმა ცეკვაში ახალგაზრდებს აჯობაო. დედაბერი ფრთაშესხმულივით დაფრინავდა, მინაზე ფეხს არ აკარებდა. მოხერხებულ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, თავისი წარმატებებით არ ეტრაბახა. ერთი-ორჯერ საჩვენებელი გამოსვლაც მოაწყო.

ორი მდედრი ერთმანეთს ეჯიბრებოდა, მამრი კი განზე იდგა და ეს ამბავი არ ეხებოდა, ვიდრე ეშმაკი სადარბაზოში არ ჩაუსაფრდა და ერთ მიყრუებულ სკვერში არ შეიტყუა. ჯერ შორიდან მოუარა, საზღვარგარეთს გადაწვდა, იქ ასაკს მნიშვნელობა არა აქვსო, ხალხი ოთხმოცი წლისა იწყებს ცხოვრებასო. მართლაც, რამ უნდა შეუშალოს ორ მარტოხელა ადამიანს ხელი, მით უმეტეს, თუ თავზე არ აწვიმთ თავიანთ სახლებშიო. მერე თავისი ბინის ისტორია მოჰყვა, როგორ შეიერთა დიდი ხნის წინ მეზობლის მეორე ოთახი და მყუდრო ბუდე მოიწყო. სამწუხაროდ, აქამდე მარტო იყო, შემლილობამდე, სიგჟემდე მარტო, მაგრამ ახლა გამოჩნდა ადამიანი, რომელთანაც ბედნიერი იქნება. ზუსტად იცის, რომ იქნება. რატომ? იმიტომ, რომ... არ იცის სიტყვებით, როგორ გადმოსცეს... იმიტომ რომ, მის გვერდით ყველაფერი სხვანაირია. არ იცის, რანაირი, მაგრამ ისეთი არა, როგორც მანამდე, უფრო სწორად ახლა ყველაფერი კარგი, რაც ქვეყანაზე არსებობს და რაც ამდენი წლის განმავლობაში ბნელით იყო მოცული, სინათლეზე გამოვიდა და მტვერი გადაიფერთხა, ასეთი შეგრძნება ახალგაზრდობის, არა, იტყუება, ბავშვობის შემდეგ არ ჰქონია და სხვა და სხვა.

რაც მთავარია, ის ადამიანი ახლა გვერდით უზის.

სად გეჩქარებათ? მერე რა, რომ გაზაფხულია. აღდგომამდე ნასესხები დღეები დგება. მაშ, მისმინეთ.

კუდი გრძელზე გრძელი ჰქონია და რქები წამახული, ეშმაკს! ჯერ მოხუცთა სახლის დირექტორმა დაიბარა და, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა ჰკითხა, რამე ხომ არ მოხდაო? რა უნდა მომხდარიყო? დირექტორამდე ხმები მივიდა, თითქოს... თვითონაც არ სჯერა ამ ყველაფრის, თითქოს მან ერთ-ერთ მოხუცზე იძალადა და შიდსი შეჰყარა! სასაცილოა, არა? რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ რამე ხომ არ აწყენინა იმ მოხუცს? არა, რა თქმა უნდა. ასეც იცოდა. საქმე დახურულია, გამოძიება დამთავრებული, - გულიანად იცინის დირექტორი და ხელს ართმევს.

სადილზე უარს იტყოდა, მაგრამ დამნაშავესავით ხომ არ ამოიძუებს კუდს და დედაბერს დაუთმობს ასპარეზს. მას კი მისი აქედან გაგდება

უნდა, ხმებს ავრცელებს, თითქოს გუნდის ხელმძღვანელმა გააუპატიურა, სადაც დაინახავს დუჟმორეული ილანძღება, მარტო მას კი არა, მოხუცთა სახლის სხვა ბებებიცაც ცუდ დღეში აგდებს, საკმარისია, რომელიმე მათგანი რამდენიმე ნაბიჯზე მიუახლოვდეს. ნელიკოს ყველაზე მეტად ერჩის, მაგრამ პირდაპირ არაფერს ეუბნება, სხვებზე იყრის ჯავრს. მოხუცთა სახლი ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ჯიბრზე, გუნდს სწორედ იმ დღეებში უნდა ემუშავა ყველაზე მეტი კონცერტისთვის, რომელზეც მოხუცთა სახლის დაფინანსების ბედი გადაწყდებოდა. ეს კარგად იცოდნენ „მაღალმა სართულებმა“ და მათთან დაახლოებულმა პირებმა.

ექიმის ვინრო კაბინეტში, ნამღების კარადის თავზე გამოხუნებული პლაკატია გაკრული. ყველა შემომსვლელს თვალში ხედება. ექიმი გამალებული ფუსფუსებს, მაგიდის უჯრებში ცნობილი ხალხის სამადლობელ წერილებს ეძებს:

– ეს ერთი კინომსახიობი ქალისგანაა, სახელსა და გვარს ვერ გავიმხელთ, ახლა ძალიან მოხუცია და ხელმოკლედ ცხოვრობს. თავის დროზე ვარსკვლავი იყო, – მერე, ლაპარაკში შემთხვევით გვიმხელს კიდეც სახელს, – ერთ დღეს დამირეკა და ნამღები მთხოვა. აქ მოსვლა ერიდებოდა და სახლში ვესტუმრე. ამის შემდეგ მომწერა ეს წერილი, რომელსაც ჩემს არქივში ვინახავ და როგორც ისტორიულ დოკუმენტს, ისე ვუფრთხილდები. დიახ, ორმოცდაათი წლის შემდეგ, როცა აღარც ადრესატი იქნება ცოცხალი, აღარც – ავტორი. – სხვა წერილებს გვერდს უვლის, იქნებ ისინი არც არსებობს? უჯრებიდან მთელს თავის არქივს ალაგებს და მაგიდაზე მსუქან საქალაღდეებს ახვავებს – პაციენტების ლექსებსა და წერილებს, უმრავლესობა მოხუცთა სახლის ბებია-ბაბუების კალამს ეკუთვნის. აქ არის გულუბრყვილო სასიყვარულო წერილები, რითმიანი ლექსები, ოდები სულისა და ხორცის მკურნალს და სხვა და სხვა.

– წიგნის გამოცემაზე არ გიფიქრიათ? – ვეკითხები მე, – ბევრი გამომცემელი დაინტერესდება ასეთი... ორიგინალური ნაწარმოებებით, – მოვაჯექი ბედაურს და მივაჭენებ. მერე რა, რომ გამომცემლები ჩვენს დროში მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვით შოულობენ ფულს და აქა-იქ, მრავალფეროვნებისთვის, დიდების ზენიტში მყოფი მწერლების წიგნებზე ნაუცდებათ ხოლმე ხელი. საკუთარი იდეით აღფრთოვანებული ვპირდები, რომ თავად მოვკიდებ ხელს კრებულის მომზადებას, მერე კი ენას ვიკებნ. საბედნიეროდ, ექიმი მეტად თავმდაბალია სახოტბო ლექსების სააშკარაოზე გამოსატანად, თუმცა ვატყობ, ამ პერსპექტივას მინც ვერ უყურებს გულგრილად, ამიტომ პირში წყალს ვიგუბებ. ჭონვ დასახული

მიზნისაკენ ზიგზაგების გარეშე მიდის და ექიმსაც კალაპოტში აბრუნებს:

– ხო, იმ ისტორიაზე რაც ვიცოდი, უკვე მოგიყუევით. რაც იმ კაცისგან უარი მიიღო, ეკას ფსიქიკა შეერყა, ხედავთ იმ პლაკატს? – კარადისკენ გვითითებს, – შიდსის დღისადმი მიძღვნილი პლაკატი. ერთხელ, ვიდრე ეს ამბები დაინწყებოდა, მკითხა, შიდსი რას ნიშნავსო. ავუხსენი. მერე კი აიკვიატა, შიდსი მჭირსო. საიდან უნდა დამართოდა შიდსი? საიდან და გამაუპატიურესო, ყველამ იცით, ვინცო. მოკლედ, ურევდა. მგონი ამას იმიტომ აკეთებდა, რომ იმ კაცს ყველა ჩამოშორებოდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სისულელე იყო, მაგრამ მაშინ...

არაფერი უნდა იცოდეს იმ კუდიანზე, მაგრამ დროის უკან დაბრუნება რომ შეეძლოს, სიკვდილს არ აცდიდა, თავად მოუღებდა ბოლოს.

პარლამენტარი და კიდევ რომელიღაც კომიტეტის თამჯდომარე წინა რიგებში დასხეს, მესამე სართულის ექესი, საგანგებოდ გამოწყობილი ბე-ბია კი – დარბაზის ბოლოში. სამაგიეროდ, იმ დღეს სამზარეულოში ქათმის ბულიონი და სოიოს კატლეტები მზადდებოდა, ყვავილებიანი პლასტმასის თასები კი მანდარინით აევსოთ. იმ დღისთვის საგანგებოდ ამოაწყვეს მოხუცებმა ნაფტალინში ჩანყობილი საგარეო პალტოები, კაბები და შარვლები, ყველაზე ფეთხუმებსაც კი დაკემსილი წინდები და შალის ნაჭრით გაპრიალებული ფეხსაცმელი ეცვათ. ყველაზე თვალისმომჭრელად კი მაინც ორი ქალი გამოწყობილიყო, ერთი – ჭრელ კაბასა და მწვანე შალში, მეორე კი – მთლად თეთრებში.

იმ დღეს მოხუცთა სახლის არსებობის ბედი წყდებოდა და კონცერტი თავიანთი საუკეთესო ქმნილებით – „ხანუმათი“ გახსნეს. ჭრელკაბიანი განსაკუთრებით ბრწყინავდა მაჭანკლის როლში – ერთი-ორმა დანამდეილებით გაიგონა, როგორ გადაულაპარაკეს სტუმრებმა ექიმს, ასეთ რამეს თეატრში ვერ ნახავო. თეთრკაბიანმა ჩვეულებრივზე ამაღლევებლად ნაიკითხა ორი ლექსი, არავისთან უჩხუბია და, საერთოდ, სანაქებოდ ეჭირა თავი. მომღერალთა გუნდმა ბოლო ნომერი შეასრულა ხალხური, ნეტარი სიმღერების რეპერტუარიდან და ის იყო მაყურებლები ნამოიშალნენ, თეთრკაბიანი სცენაზე დაბრუნდა. ვის დარჩა მიკროფონი ჩართული? კუდაბ-ზიკა ნამყვანს, ტელევიზიიდან რომ მოიწვიეს. რატომ გამოსცა მანამდე უხეირო აპარატურამ ასეთი მკაფიო, მაღალი ბგერები, როდესაც თეთრკაბიანმა მიკროფონი ჩაბლუჯა? რატომ იდგა ისევ ფორტეპიანოსთან გუნდის

ხელმძღვანელი და მოლოცვებს იღებდა?

კუდი გრძელზე გრძელი ჰქონია და რქები წამახული, ეშმაკს, რომელმაც სუსტი, ბებრული ხელის მტევანი კანკალით გაიშვირა მისკენ და თქვა: – ამ ცეკვას საყვარელ კაცს ვუძღვნი! მერე კი ველური, უსახელო როკვა დაიწყო სცენაზე. ვალპურგელ კუდიანებს ეცოდინებათ, რას ცეკვავდა იმ დღეს, როდესაც მოხუცთა სახლის დაფინანსების ბედი წყდებოდა. ალბათ თავისი კუდი თუ გაებლანდა ფეხებში, ან სცენის ხალიჩას წამოკრა ფეხი. დაეცა და აღარც განძრეულა.

მერე რა, რომ სასწრაფოს ექიმებმა ტყუილად უშხაპუნეს წამლები და პულსი უსინჯეს, მერე რა, რომ საკაცზე დადეს, მწვანე პლედი გადააფარეს და ჯანდაბისკენ გააქანეს. სხვამ თუ არავინ, მან ხომ მაინც დანამდვილებით იცოდა, რომ ეშმაკები არ კვდებიან.

სად გერქარებათ? ამ აღდგომასაც იწვიმებს. მაშ, მისმინეთ.

– რატომ ჩამოაქვეითეს? არ ვიცი, – მხრებს იჩეჩავს ექიმი, – დირექტორმა გადაწყვიტა ასე.

რატომ ჩამოაქვეითეს? იმიტომ, რომ ეშმაკები არ კვდებიან და მოხუცთა სახლის დირექცია იძულებული გახდა, სათითაოდ ყველასთვის გამოკვლევა ჩატარებინა და სისხლის ანალიზი აეღო – მოხუცებს შიდასით სიკვდილის ემინოდათ და უსადილოდ დარჩენის საფრთხეც ვერ აიძულებდათ მის დაკრულზე სიმღერასა და ცეკვას. გუნდი რომ შეენარჩუნებინათ, ახალი ხელმძღვანელი მოიწვიეს, მგონი ოფიცერთა სახლიდან.

სადილზეც უარს იტყოდა, მაგრამ ხომ უნდა დაემტკიცებინა ამ ბებრებისათვის რომ არავითარი შიდასი არ სჭირდა და ყველაფერი ავსულის ოინების გამო მოხდა. მერე რა, რომ ამ სახლის იქით გზა არ აქვს? რომ ტრამვაი აღარ დადის და ქალაქში ცოტა ხნის წინ უკანასკნელი ლიანდაგი აყარეს?

თავიდან მოსწყდნენ ეს ლანირაკები!

სად გერქარებათ? ცოტა ხნის წინ ხომ მტკიცედ გადავწყვიტე, ხელი მომეკიდა დეტექტივის ან სასიყვარულო ისტორიის წერისათვის, ფარატირა ურნალებში დასაბეჭდად, მილიონიანი ტირაჟით რომ გამოდის და ხელიდან ხელში გადადის. მშვენიერი, ამაღლევებელი ამბებისათვის Happy End-ით. ფულს ვიშოვნიდი და სახელს მოვიხვეჭდი. მაშ, მისმინეთ.

რა ბრალი მიუძღვოდა მზეთუნახავ ექიმს, თუ 1 დეკემბერს ახალთახალი,

პრიალა პლაკატი წამლების კარადაზე ააკრა, მერე კი პირველივე შემოსულ პაციენტს დაუფიქრებლად ეხუმრა, მომაკვდინებელი ვირუსია და ჰაერიოთაც კი გადადისო. მაგრამ ამ უწყინარ საიდუმლოს საფლაგში ჩაიტანს, მსახიობი ქალის წერილისგან განსხვავებით, ისტორიულ დოკუმენტად გახდომა რომ უნერია.

დიდი, იტალიური ეზოა, სამი მხრიდან სახლებით, მეოთხე მხარეს კი დაბალი, ნახევრად დანგრეული, ნაცრისფერი კედლით შემოზღუდული. სხვა მსგავსი ეზოებისგან ამ ადგილს რალაცნაირი ლატაკური უდაბურება გამოარჩევს. არ ისმის მეზობლების ხმაური, არ ფენია სარეცხი. სამივე სართულის ფანჯრები და აივნებიც კი გადარეცხილია და უპატრონო გეგონება. მხოლოდ ორი რამ იქცევს ყურადღებას – გაკრიალებული მეტალოპლასტიკის ფანჯრები პირველ სართულზე, რომლებიც მკვეთრ კონტრასტს ქმნის გახუნებულ ხის დარაბებთან და აივნების რიკულებთან და უზარმაზარი, ძველი შავი კადილაკი. ასეთი მანქანა არასოდეს მინახავს. ფანჯრის მინას საჩვენებელს თითს ვუსმევ და სალონში ვიხედები. სალონი ორადაა გატიხრული, სავარძლები კი ისეთი ფართო, რომ შიგ ალბათ ძველი დროის გოლიათები თუ სხდებოდნენ.

მისამართი ექიმმა მოგვცა. ეზოში სიცოცხლის ნიშანწყალს ვეძებთ. მხოლოდ ახალ ფანჯრებში ანთია შუქი და ტელევიზორის ხმა ისმის. ფარდიდან ვიღაც ქალი იხედება. ჭონეს მუცლის დანახვაზე მშვიდდება და კარს აღებს:

– ვის ეძებთ?

ეუხსნით, ვინ ვართ და რა გვინდა. თუ შეუძლია, გაიხსენოს ქალი, რომელიც აქ ათიოდე წლის წინ ცხოვრობდა და მოხუცთა სახლში გარდაიცვალა. ქალს სახე ემანჭება და ხელებს გულზე იკრეფს:

– მოგცლიათ ერთი! ბებერი ჯაშუში! მთელი სიცოცხლე ოთხ კედელში გამოკეტილმა გაატარა და მეზობლების პოლიციაში დაბეზლებით ერთობოდა. რამდენი რამ ხდება უჩვეულო ამ ქვეყანაზე, აი, ის კაცი, კომუნისტების დროს 20 წელი ჯურღმულებში რომ გაატარა. ახლახან წიგნი გამოსცა... აი, ვის ცხოვრებაზე შეიძლება ფილმის გადაღება! სად ცხოვრობდა? მესამე სართულზე, კუთხის ბინაში, – კუთხის ბინის უფარდო ფანჯრები ჩარაზულია, მინები მრავალი წლის წვიმების კვალს დაუფარავს.

– ისე, ვინ გითხრათ, რომ სცენაზე მოკვდა? ტყუილია, ჩემო კარგებო, მატარებელში დაემართა გულის შეტევა, სოფელში, ნათესავებთან მიემგ-

ზავრებოდა.

იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ამ დიდ, შეშლილ სამყაროში ადამიანებმა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი, მის მინიატურულ მოდელებს ქმნიან. იქნებ ამიტომ, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად მირჩეენია ჩემს პლანეტაზე მარტოდმარტო ცხოვრება, საკუთარი შეშლილობა სხვებს რომ დაეუმალო.

სად გეჩქარებათ? როდესაც სარკეში ვიხედები საკუთარი, განუმეორებელი, სრულყოფილი მე-თი დასატკობად, განა იქიდან ის ადამიანი არ მიყურებს, რომელსაც არ ერთი ჩანაფიქრი, არც ერთი პროექტი არ ნუხორციელებია, მეტიც – ობობასავით გახვეულა საკუთარი წარმოსახვის ბადეში და მერე რა, რომ ხანდახან თავი მწერალი ჰგონია? რომ ხანდახან უსირცხვილოდ ცრუობს? განა დაუსრულებლად არ იღებს ნდობის, სიყვარულის, მეგობრობის კრედიტებს და ვალს იშვიათად აბრუნებს? მერე რა, რომ კბილის პასტა გათავდა და შამპუნიც აღარ არის? სამაგიეროდ, სახლის დაბზარული კედლებიდან გაზაფხული შემოდის და ზამთარსა და სიგარეტის კვამლს ანიავებს. მე ვწერ და გიძღვნი

ჩემს ორსავე ნატალიას

ჭონეს, გოგისა და ნიკოლოზს

სიყვარულით

რატი რატიანი

ალეკო ცქიტიშვილი

შემჩნეული შეცდომების გასწორება

I

კიდევ ერთხელ სცადა მთვარის ჩამოღება. ფანჯარასთან სკამი მიიდგა და ვარსკვლავებით მოჭედო ცას ააცქერდა. დიდხანს უკირკიტებდა. მერე ხელი გაიშვირა და ის-ის იყო, მთვარისათვის უნდა ჩაეელო, რომ უცებ საკუთარმა სიმძიმემ გადასძალა. შეკრთა, ნაბარბაცდა და უკან გადმოვარდა. ყველაფერი ნამებში მოხდა. სანამ ინერცია სკამიდან გამომავლებდა, ეზოში გადახედვა მოასწრო. ნაგვის ბუნკერზე მანანწალა კატას მოჰკრა თვალი. ხელისგულები ოფლით დაეცვარა. გონს რომ მოეგო, თვალწინ დაუდგა კატა და მთვარე, რომლის ჩამოღება ვერ მოახერხა. ფიქრი მაინც უფრო კატას გაჰყვა. თითქოს ხელიც გადაუსვა და ოფლიანი ხელისგულებით შეიგრძნო მისი ზურგის ბენვი, აპრეხილი კუდი. ბავშვობაში სულ ცდილობდა, ხელებზე მიკრული ბენვები მალევე მოეცილებინა. დედაც არიგებდა, სასწრაფოდ დაებანა, თორემ ბენვს თუ ჩაყლაპავდა, ჭიები გაუჩნდებოდა. ახლა ხშირად ტანჯავს შეგრძნება, რომ მუცელი ჭიებით აქვს სავსე.

ჩაეძინა.

კიდევ ერთხელ ნახა ადამიანები, რომლებიც მის დაჭერას და დაკბენას ცდილობდნენ. დაამახსოვრდა უზარმაზარი შენობა – ჩაკეტილი გასასვლელებით, რომელთაგან ერთ-ერთი ღია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ პოულობდა. ისინი გაშვერილი ხელებით დადიოდნენ და მისკენ ინევდნენ. ცარიელი, თეთრი თვალები ჰქონდათ. მერე კისერზე ძარღვს უსინჯავდნენ და თავს უგრეხდნენ, რომ მოხერხებულად ეკბინათ. ბოლო ნამებში ძლივს ახერხებდა ძლიერი მკლავებიდან თავის დაღწევას. ასე გრძელდებოდა ორი საათის განმავლობაში. შენობიდან გასასვლელი კი ის ერთადერთი, უზარმაზარი მინის კედელი აღმოჩნდა, რომელიც ძალიან ჰგავდა თავისი ოთახის ფანჯარას. აქედან იწყებოდა ძალიან გრძელი, მორკალული ხიდი, რომლის მეორე ბოლო არ ჩანდა და ვერ ხედავდა, სად გადადიოდა. თუმცა, მთავარი ახლა აქედან გაქცევა იყო. ერთი ნაბიჯიც და ჰაერში აღმოჩ-

ნდა. მოულოდნელად ხიდიც და შენობაც გაქრა. შეშინებული ალივლივდა. ჰაერი რძის სუნით იყო გაჯერებული. დაიძაბა. უნდოდა, უფრო მძაფრად ეგრძნო და დაენახა, საიდან მოდიოდა ეს სუნი.

გაელვიძა.

თვალი გაახილა თუ არა, მაგიდაზე ფინჯნით თბილი რძე დაინახა, თითქოს მის გაღვიძებას ელისო. მადისალმძვრელი ორთქლი ასდიოდა.

დილით რძე შეუუტანე და მაგიდაზე დაუუტოვე. თვითონ იატაკზე ეძინა. იქვე ნაქცეული სკამი ეგდო. მგონი, ისევ მთვარის ჩამოღება უნდოდა და სკამიდან გადმოვარდა. დაეკვირდი, ხომ არაფერი იტკინა-მეთქი. ნერვულად სუნთქავდა და ოდნავ შესამჩნევად ხტოდა, თითქოს ძილში ვიღაც მისდევდა. არაფერი ჰქონდა ნატკენი და აღარ გავაღვიძე. თანაც იატაკზე ძილი უყვარს. სკამიდან რომ არ გადმოვარდნილიყო, ალბათ, მაინც იატაკზე დაიძინებდა. რამდენჯერ მინახავს ასე ემბრიონის მსგავსად მოკუნტული, დაცვარული შუბლით, მშფოთვარე, ან პირიქით – ძალიან მშვიდი, თითქოს ბრძოლის ველიდან დაბრუნდა და ახლა ისვენებსო.

ერთხელაც სრულიად შიშველს გადავანყდი. თავიდან ვერ მივხვდი, რატომ გაშიშვლდა. მერე სპერმის სუნი ვიგრძენი და გამახსენდა, რომ ონანიზმი მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გატაცება იყო. დედამისმაც ასე გვითხრა. როგორც ჩანს, ორგანიზმის განცდის ნამებში ჩაეძინა. შევეცადე, თვალი მომერიდებინა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დამძლია და ცოტა ისე შევათვალე... როგორ ვთქვა... ქალურად. შიშველ კაცს პირველად არ ვხედავდი, მაგრამ ეს სრულიად სხვა შემთხვევა იყო – ჩემს წინ ეძინა ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის გარეგნულ ღირსებებზე მანამდე არასოდეს დაფიქრებულვარ. დახვეწილი, მაგრამ სუსტი სხეული ჰქონდა. არავითარი კუნთები. მუცელზე განივი, გრძელი ნაიარევი შევნიშნე – სქელი ნანიბური ზედ ჭაბზე გადადიოდა. გადაპარსულ თავზე თმა ოდნავ ამოსვლოდა. თავი მკლავზე ედო და ძილში ოდნავ შესამჩნევად ილიმებოდა. გავიფიქრე, ნეტავ რას ხედავს ეს ჩანასახივით უმწეო კაცი მეთქი.

ასეთ დროს გულზე ლოდი მანვება ხოლმე – თითქოს სხეულის ენითაც დაცვას და შევლას მთხოვს, როგორც იმ ნუთებში, როცა სანიტრები დამანყნარებელ ნემსს უკეთებენ. ეს აუცილებელი პროცედურა ჩემზე დამთრგუნველად მოქმედებს, როცა ვხედავ, როგორ ფართხალებს სხეუ-

ლის ყველა ნაწილით და როგორ ყვირის გამყინავად. ბოლოს, როცა ყვირილით იღლება, ხავილს იწყებს. სწორედ ამ დროს უკეთებენ ნემსს. მერე ერთიანად ეშვება, ფითრდება და მზერა უშტერდება, თითქოს მოკვდა და თვალები გახელილი დარჩაო. მე კი თვალს ვხუჭავ. არ შემძლია!

ფინჯანს ხელისგულებში იქცევს და ცდილობს, მის კედლებს ცოტაოდენი სითბო წაართვას. რძის სმა მისთვის განსაკუთრებული რიტუალია. თითოეულ ყლუპს აგემოვნებს და სიამოვნებისგან თვალებს ნაბავს, თითქოს ღრმა ფიქრებში იძირება, მაგრამ სინამდვილეში პირიქითაა – რძის სმის წუთებში ყველანაირი ფიქრისგან იცლება, ყველა ტკივილისგან თავისუფლდება. მის ძარღვებში სისხლის ნაცვლად რძე რომ ტრიალებდეს, იქნებ მორჩენილიყო კიდევ. თუმცა, მკურნალობის ასეთ მეთოდს მედიცინა ჯერ არ იცნობს.

მის ქცევებს გამოწველივით სწავლობენ, იმასაც კი აკვირდებიან, როგორ და რა ფერზე შარდავს, რამდენიმენაირ ნამალს ასმევენ, საჭიროებისამებრ, ნემსებსაც უკეთებენ, მაგრამ ყველაფერი უშედეგოა. გარკვეული პერიოდის შემდეგ მაინც დგება ის ღამე, როცა ფანჯარასთან სკამს იდგამს და მთვარის ჩამოლებას ცდილობს. ეს ფანჯარაც თითქოს სპეციალურად მისთვის შექმნეს – ერთიანი, სქელი მინით, რომელიც არც ტყდება და არც იღება. შიშობენ, ფანჯრიდან არ გადახტეს, რადგან მთვარის ჩამოლების სურვილის გარდა, მძლავრი სუიციდური მიდრეკილებებიც აქვს. თუმცა, აქაც განსაკუთრებულ თვისებას ავლენს – თავის მოსაკლავად მხოლოდ მჭრელ საგნებს ირჩევს და ყოველთვის მუცლის გამოფატვრას ცდილობს.

მთვარე კი შორსაა. იმ ბედნიერ წამებში, როცა მისკენ ხელს იწვდის, ფანჯარა ღია ჰგონია. ხელისგულებით ცივ მინას შეეხება თუ არა, მომენტალურად ფიზილდება და უკან ვარდება. ზოგჯერ მინასთან შეხებამდეც ვერ ინარჩუნებს წონასწორობას, იმდენად დაძაბულია – სკამიდან ვარდება და როგორც მოულოდნელად გაღვიძებული მთვარეული, შეშინებული აცნობიერებს, რომ ისევ თავის ბნელ ოთახშია. შუქს ფანჯარასთან სკამის მიდგამამდე აქრობს, რადგან სიბნელიდან მთვარე უფრო ნათელი და ხელმისაწვდომი ჩანს. მერე დაცარიელებული სხეულით იატაკზე ეშვება და რამდენიმე წამში იძინებს.

მისი სიზმრების ახსნა არ მიჭირს. ნანახს და განცდილს ისეთი მშვიდი, დალაგებული მეტყველებით და დეტალური ცნობებით გადმოსცემს, ზოგჯერ მგონია, კარგად ესმის, რა და რატომ ესიზმრება. თუმცა, ეს ასე

არაა. თანაც, არც ისე ხშირად ლაპარაკობს. დღეები ისე გადის, ერთი სიტყვაც არ დასცდება პირიდან. რამდენჯერმე მიაბმო ვამპირებით დასახლებული უზარმაზარი შენობის შესახებ, საიდანაც გაქცევას ცდილობს და ბოლოს ახერხებს კიდევ. ამ სიზმრის ახსნა თვითონაც კარგად შემეძლო, მაგრამ დამაინტერესა, როგორ გაშიფრავდა მას ნეიტრალური სპეციალისტი. ამიტომ ჩემს მეგობარ ფსიქოლოგს მივწერე და დახმარება ვთხოვე.

პასუხი ელექტრონული ფოსტით მივიღე: „მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის სტანდარტული სიზმარია და იმ აგრესიულ გარემოს ასახავს, სადაც მას უწევს არსებობა. ეს გარემო სავსეა ხილული თუ უხილავი საფრთხეებით, რომლისგან თავის დაღწევას ცდილობს, მაგრამ სულ ამაოდ. ამაზე მიაწინებს ერთი და იმავე სიუჟეტის რამდენჯერმე დასიზმრება. მეორე მხრივ, საინტერესოა, რომ თითოეული სიზმარი ბედნიერად მთავრდება – ის შენობიდან გარბის. ეს ალბათ იმეღია, რომელიც მას სადღაც შემორჩა – გულის სიღრმეში, ან ტვინის უკიდურეს ღრმა ნერტილში. მე არაფერი ვიცი სხვა, წინამორბედი სიზმრების შესახებ. ამიტომ სრულყოფილად ვერ მოვახერხებ, სრული სახით წარმოგიდგინო მისი სულიერი მდგომარეობა. ფაქტია, რომ ის თვითონაც მონანიღა იმ აგრესიული გარემოსი, რომელიც დიდი ხანია, სტანჯავს. უსახო, უსხეულო ადამიანები კბენენ, მაგრამ ეს აგრესია მასშიც იჭრება, იზრდება და ვითარდება. გირჩევ, დაუკვირდე მსგავსი სტრუქტურის სხვა სიზმრებს და დაადგინო, რამდენად გამკვეთრდა აგრესია, საიდან მიიღეს ასეთი შემზარავი ფორმა სიზმრისეულმა ფანტომებმა. და კიდევ, ცხადია, რომ ეს სიზმრები ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა, ერთგვარი თავდაცვითი მექანიზმია. ჩვენ რა ვიცით, იქნებ კომპარებიდან გამოღვიძებულს ცხადში ყველა სირთულე და დაბრკოლება ბევრად უფრო ასატანი და იოლად გადასალახი ეჩვენება? ის ხომ ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდება იქიდან – დიდი ბრძოლიდან. იფიქრე ამაზე...“

კი, ვფიქრობ, სულ ვფიქრობ და ზოგჯერ მგონია, რომ აქ მოსული ადამიანი წიგნივითაა, რომელსაც ვკითხულობ და გზადაგზა კორექტურულ შეცდომებს ვპოულობ. თუმცა, შეცდომების გასწორება გვიანია – წიგნი უკვე გამოცემულია და მე მხოლოდ იმის საშუალება მაქვს, ფურცელი ავიღო და წიგნს ცალკე დაეურთო „შემჩნეული შეცდომების გასწორება“.

იატაკზე ზის, სხეულის თანაბარი მოძრაობით წინ და უკან ირწევა და მონოტონურად იმეორებს ერთსა და იმავე, უცნაურ, თითქოს რალაც ჯადოსნურ სიტყვებს:

- ასტრა ფლირა რაბეი ვა თობა... ასტრა ფლირა რაბეი ვა თობა... ასტრა ფლირა რაბეი ვა თობა...

არასოდეს არავისთვის უთქვამს, რას გამოხატავს ეს სიტყვები, საიდან მოიგონა. როცა ჰკითხეს, მოკლედ უპასუხა: „ეს ისაა... რა ჰქვია?.. ხო - ვედრება... ღმერთს ვევედრები. ის მომარჩენს და მერე ცოლს მოვიყვან“.

ახლაც უკვე თითქმის ერთი საათია, ზის და „ღმერთს ვევედრება“. მერე ჩერდება. რამდენიმე წუთის განმავლობაში სრულიად გაშეშებულია, თითქოს საკუთარ თავს უსმენს და ცდილობს, გაარკვიოს, რამე შედეგი თუ გამოიღო ვედრებამ. მერე მოულოდნელად დგება და კარზე აბრახუნებს. რამდენიმე წუთში კარის შუაში დატანებული პატარა სარკმელი იღება და სანიტარის უემოციო სახე ჩნდება.

- რა გინდა?!

- დანა!

- დანა?

- ხო, დანა... დიდი დანა!

- ხომ იცი, რომ დანას არავინ მოგცემს?

- მომეცით რა, ოპერაცია უნდა გავიკეთო... ჭიები მყავს მუცელში... რატომ არ გეცოდებით?! ჭიები...

სიტყვა გაუნწყდა, რადგან სანიტარმა უეცრად სარკმელი დაკეტა. მიჯახუნების ხმამ გამოაფხიზლა, მოეშვა და ისევ იმ ადგილას დაბრუნდა, სადაც რამდენიმე წუთის წინ იჯდა. კარგა ხანს, ძალის გამოცლამდე ისმოდა მისი ვედრების ხმა:

- ასტრა ფლირა რაბეი ვა თობა... ასტრა ფლირა რაბეი ვა თობა... ასტრა ფლირა რაბეი ვა თობა...

II

ჩულურეთში ძველ, მე-19 საუკუნის ბოლოს აშენებულ ორსართულიან სახლს მივადექი. დილით გადავწყვიტე, დედამისი მენახა. მანამდე მხოლოდ ერთი-ორჯერ შევხვდი კლინიკაში და ისეთი დამნუხრებელი იყო, თითქმის ვერაფერი ვათქმევინე. არადა, ბევრი კითხვა მაქვს.

სახლის მისამართი ანკეტიდან ამოვინერე. ნაცნობი სურათია: მოუვლელ აივნებზე ქაოტურად გაკიდებული თოკები, ჭრელ-ჭრელი სარეცხი, წელსზემოდ შიშველი კაცები, ნარდი, ერთმანეთში არეული სხვადასხვა საჭმლის სუნი, ქალები ჩითის ხალათებით, ფუსფუსი, მტრედები, მთვლემარე ეზოს კატები, ბავშვები – პატარა თბილისური ეზო. საერთო ონკანთან ფაშფაშა ქალი ჭურჭელს რეცხავს. ჩაცმულობაზე ეტყობა, ქურთია, ან აზერი. მასთან ვაზუსტებ, სად უნდა დავაკაქუნო.

კარის გაღებამდე სახლში სკამების გადაადგილების ხმა მესმის.

– ახლავე, – მპასუხობს ცოტა ხნის შემდეგ. მერე კარს ნახევრად აღებს. სახეზე ერთდროულად ანერია გაკვირვებაც და შემფოთებაც.

– მე თქვენი შვილის ექიმი ვარ, ქალბატონო, – ვახსენებ თავს.

– ვიცი. მოხდა რამე?! – ჩემი სტუმრობა გაუკვირდა. ვიგრძენი, ცუდ ამბავს დაუკავშირა.

– არაფერი. უბრალოდ, თქვენთან საუბარი მინდოდა.

შემოდო, მანიშნა. თანდათან დამშვიდდა.

ზღურბლს ფრთხილად, ფეხაკრეფით გადავაბიჯე. ერთადერთ პატარა ოთახში მოვხვდი. „სულ ესაა სახლი?!“ – გავიფიქრე. მერე საკუთარ თავს მივმართე: „თამამად! განა სამძიმარზე ხარ?!“

– ყავას მოგიმზადებთ.

თავი დავუქნიე და იქვე, ძველებურ სკამზე ჩამოვჯექი. ერთადერთ ოთახში, რომელსაც ცალკე არც სამზარეულო ჰქონდა და არც საპირფარეშო, პირველ რიგში, სწორედ ძველებური ავეჯი მომხვდა თვალში, განსაკუთრებით, კედელზე მიდგმული უზარმაზარი კაკლის მაგიდა, ოთახის თითქმის მეხუთედს რომ იკავებდა. ამ მაგიდასთან დაჯდომა მხოლოდ ორი მხრიდან იყო შესაძლებელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას პირდაპირ ებჯინებოდა და, თავის მხრივ, ფანჯარამდე გრძელდებოდა მაღალი, მყარი ტახტი – ერთადერთი სანოლი ოთახში. ამ კედლის მოპირდაპირე მხარეს, შემოსასვლელთან, კარადას ერთი კარი ჩამოვარდნოდა და დიასახლისს იქვე მიეყუდებინა. აქაურობას მამაკაცის ხელი აკლდა. ერთადერთ ფანჯარაზე სუფთა, მაგრამ გაცრეცილი ფარდები ეკიდა. მზის სხივები ოთახში კარგად ვერ აღწევდა, რის გამოც ნათურის ანთება დღისითაც იყო საჭირო. კუთხეში ტაბურეტზე ორკამფორიანი პატარა გაზეურა შევნიშნე, ზედ – ქვაბი და ტაფა. სულ ეს იყო ამ სახლის სამზარეულო, თუ არ ჩავთვლით ჭურჭელს, რომელიც იქვე, ფიცრებით სახელდახელოდ გაკეთებულ თაროზე ენყო.

კედელზე, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, ორი ფოტოსურათი ეკიდა – პლასტმასის ცხენზე ამხედრებული ბავშვისა და ერთმანეთზე სიყვარულით თავმიდებული წყვილისა. ბავშვი უთუოდ ჩემი ახლანდელი პაციენტი უნდა ყოფილიყო, წყვილი კი – მისი მშობლები, რომელთაგან ერთ-ერთი ამჟამად მადულარადან ფინჯანში ყავას მისხამდა, მეორე კი რამდენიმე წლის წინ ერთიანად მოტყდა და გარდაიცვალა. ამ დროს მათი შვილი სკოლას ამთავრებდა, მაგრამ უეცრად უკურნებლად დაავადდა და ერთხელაც მამის თვალწინ მუცელი მთელ სიგრძეზე გადაიჭრა დანით. როცა ეს ამბავი პირველად მოვისმინე, მუცელში ყრუ ტკივილი ვიგრენი, თითქოს ის დანა მე გადამისევს. ეს ტკივილი ავადმყოფობის ისტორიის ნაკითხვის დროსაც მახსენებს თავს.

ყავა თვითონაც დაისხა და მაგიდასთან მიმინვია. ხელის მტევნებზე სიბერის ნიშანი – გამობურცული ძარღვები ეტყობა. ახლა დედაჩემის ხელებიც ასეთია – დაღლილი, დარდიანი და თბილი. თმები – მთლიანად გაჭალარაეებული. თვალები – უიმედობით გამოჭმული.

– ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი შვილის ექიმი სახლში მესტუმრებოდა, – ჩემად, თითქოს თავისთვის ამბობს.

– არის ზოგიერთი საკითხი, რომელზეც მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ გვიპასუხოთ. მაგალითად, ეს სიტყვები – ასტრა ფლირა რაბეი ვა თობა, ალბათ, სადმე წაიკითხა, ან მოისმინა. როგორც ვატყობ, თვითონ არ გამოუგონია.

– კი, ნამდვილად ასეა. სკოლა რომ დაამთავრა, გვირჩიეს, ალაიანში წაგვეყვანა იქაურ ექიმბაშთან, რომელიც თითქოსდა ადვილად განკურნავდა. წავიყვანეთ. მამამისი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ორივენი ამ იმედს ვებლაუჭებოდით. ექიმბაში ერთი ჩვეულებრივი თათარი გლეხი აღმოჩნდა. კი გაგვიკვირდა, ავან როგორ უნდა მოარჩინოსო, მაგრამ იქ იმდენი მადლიერი ადამიანი დაგვხვდა – ზოგი განკურნებული და მადლობის სათქმელად მისული, ზოგიც მკურნალობის შედეგით კმაყოფილი, რომ ამ გლეხის სასწაულების ვირწმუნეთ. თან გულისყურით მოგვისმინა, ჩვენი გასაჭირი გულთან მიიტანა, მერე თაროდან რალაც ფხვნილი აიღო, პატარა ნაჭერში გამონასკვა და ჩვენს ბიჭს ყელზე შეაბა. ბოლოს კი ის სიტყვები დაგვიწერა, თქვენ რომ ასე გაინტერესებთ და დაგვაავალა, დილით გაღვიძებისას და საღამოს დანოლის წინ ეთქვა სამ-სამჯერ. არც კი ვიცით ამ სიტყვების მნიშვნელობა. მას შემდეგ სულ ლოცვასავით იმეორებს, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველა. მამამისიც დარდმა მოკლა.

- სკოლაში კარგად სწავლობდა, როგორც ვიცი.
 - კი, მასწავლებლები სულ აქებდნენ.
 - აი, ეს ნერილი დაწერა თქვენთვის. მე ვთხოვე. მაინტერესებდა, რას დაწერდა. კი გაუკვირდა - დედა ხომ მოვა ჩემს სანახავეად, რატომ უნდა მივწეროო. ძლივს დავარწმუნე, რომ თქვენთან სტუმრობას ვაპირებდი და მხოლოდ ამიტომ უნდა დაეწერა, მეტი არაფერი.

არაფერი თქვა, დედა აღარავინ მკბენს ცოლი თუ მომიყვანე მოვრჩები მაგრამ, როცა ტკივილია ნემსი ყელში მიჭერს და ტკივილია, მაინც ვერაფერი ვნახე ვიღვიძებ და უკვე გამჭრალია ფანჯრიდან, სინათლეა და მთვარე მიყურებს იქნებ, ეს არ არის ჩემი ცოლი, თანაც ექიმმა თქვა მოკვდაო, დედა, რატომ აღარ მნახე მე სახლი მინდა ვნახო და გახსოვს მამამ გითხრა გაცივდესო, სითბო მერე მქონდა და ექიმმაც თქვა კატა მოკვდაო და ეს ბენვებიც დაივინყყო, ოპერაცია არ მჭირდება, მაგრამ მე სულ აღარ მინდა ვიყო აქ კედლები მკბენს, ფანჯარა სულ ღიაა, სულ ვვარდები და ტკივილია, თუ ყელში მიჭერს, ტკივილია შენ ვევედრები ვიცი, მე დაგინახე კედელთან შენი ზურგით, იდექი და მღეროდი იქ ყვავილები დატყეპნეს, ხელები პქონდათ გაშვერილი და მწარე კბილები ჭერიდან ეკლიანი ცა დამანვა, გული ჩერდება როგორც საათი მინდა, გავალო ეს კედლები, არა ასე არ ვვარდები, შენ მაინც მოდი, მუცლიდან მესმის ის ხმა ხანდახან, გაჭრა ადვილია, მაგრამ ტკივილია, ექიმს რომ არ ეშინოდეს, მე არ მეშინია მთვარეს ჩამოვიღებ მნახე.

III

„მინდა, კიდევ ერთხელ მოგწერო ჩემი პაციენტის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობა ყველა წესის დაცვით უტარდება, კვლავ ნულოვანი შედეგი გვაქვს. დღეს ვინახულე დედამისი და შევეცადე, ჩავღრმავებოდი ოჯახურ ისტორიას. ხელჩასაჭიდი ვერაფერი ვიპოვე. ყველაფერი, რაც მისგან მოვისმინე, ისედაც ვიცოდი.“

დაბადებისას არანაირი ტრამვა არ მიუღია. სკოლაში კარგად სწავლობდა და ფიზიკურადაც ჩვეულებრივ ვითარდებოდა. ოჯახში არასოდეს ყოფილა კონფლიქტი მშობლებს შორის და არც განსაკუთრებულად მძიმე სოციალური ფონი. გარდატეხის ასაკში დედამ მისი გულჩათხრობილობა შენიშნა, რაც თანდათან გაუმძაფრდა. ბოლოს მოზარდმა სრულიად დაანება

თავი სწავლას. თანდათან დასჩემდა უძილობა. დიდხანს იდგა ფანჯარასთან და მთვარეს შეჰყურებდა. დედამ ასევე შეამჩნია, რომ შვილი ცოტა არეულად საუბრობდა, უმიზეზოდ იტკიებდა მუცელს და ამბობდა, რომ კატის ბენვები ჩაყლაპა და ჭიები გაუჩნდა. ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ მხრივ სრულიად ჯანმრთელი იყო. მოზარდი მაინც თავისას ამტკიცებდა. ერთ დღესაც მუცლის გამოფატვრა სცადა, თითქოსდა იქიდან ჭიების გამოყრის მიზნით. ძალიან აღგზნებული იყო. რამდენიმე დღის შემდეგ ფსიქიატრიულ კლინიკაში შიზოფრენიის დიაგნოზი დაუსვეს. დაუნიშნეს მკურნალობა, რაც პირველ ხანებში შედეგიანად მიმდინარეობდა, ვიდრე პაციენტმა მშობლების ურუმრად წამლების მიღება არ შეწყვიტა. აბებს პირში მალავდა და შემდეგ აგდებდა. სკოლის დასრულების შემდეგ, მამამ გადაწყვიტა, შვილისთვის ოჯახი შეექმნა, იმ იმედით, რომ თითქოს მზრუნველი ცოლი მოუგვარებდა სულიერ პრობლემებს. გარკვეულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულმა ამ იდეამ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. შესაძლოა, სწორედ ამ დროიდან დასჩემდა ონანიზმისკენ მძაფრი მიდრეკილება, რაც, როგორც ჩანს, წარმოადგენს რეაქციას დაოჯახების განუხორციელებელ სურვილზე.

ეს არის მისი ავადმყოფობის მოკლე ისტორია. წარმოიდგინე, ამ ცარიელი სიტყვებს უკან ისეთი საიდუმლოებები იმალება, რაზეც ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს. ფსიქიატრია საკუთარ ტყავში იხარშება. შიზოფრენია, ციკლოფრენია, სენილური და პრესენილური ჭკუასუსტობები... მსგავსი სადავო და ორანზროვანი ნოზოლოგიების სია ძალიან გრძელია და ყოველთვის იწვევს სხვადასხვა სახის უნდობლობას. სხვა სამედიცინო დარგების შემთხვევაში, ადვილია ნორმის დადგენა და, შესაბამისად, პათოლოგიის. ფსიქიატრიის შემთხვევაში კი საქმე რთულდება: როგორ შეიძლება ნორმების დადგენა ადამიანის სულისთვის? როგორ ვუმკურნალოთ „სულიერ დაავადებებს“, როცა ზუსტად არ ვიცით, არსებობს თუ არა ადამიანის სული? სად ვეძებოთ დაავადების მიზეზი, როცა ხელჩასაჭიდი არაფერი გვაქვს?

ბოლო დროს ბევრს ვფიქრობ ერთ საკითხზე: შესაძლებელია თუ არა ხელოვნურად შექმნილი მოულოდნელი სტრესის, ან ფსიქიკური შოკის შემთხვევაში, გაურკვეველი გენეზისის შიზოფრენიის მქონე ადამიანის ტვინში მოხდეს ისეთივე უცნაური ცვლილება, როგორც ეს მოხდა დაავადების დასაწყისში – იმ განსხვავებით, რომ ეს ცვლილება მიმართული იქნება მისი გამოჯანმრთელებისკენ?“

რძემ ისევ წაართვა ფიქრები. ახლა ორივე ხელით ცარიელი, ჯერ კიდევ თბილი ფინჯანი უჭირავს და დაჟინებული მზერით უყურებს – თითქოს მის კედლებზე გამოსახულ ალუბლებს სწავლობს, ან იმ სითბოს უსმენს, რომელიც ხელებზე გადმოედო. კარგა ხანს ზის ასე უმოძრაოდ, უფიქრებოდ, თვალდადაბული. მერე უცებ თვალებს ხუჭავს და საიდანღაც ფიქრის ერთი ნაგლეჯიც ჩნდება, ვთქვათ – თბილ ფინჯანზე, რძეზე. იქვეა ახალგაზრდა ექიმი, თეთრი ხალათით, გამობურცული ძუძუებით... რძით?.. და მამა, რომელიც მოკვდა. ჯერ კუბო სამჯერ მიაბრახუნეს კარზე და მერე გააღეს, ეზოში გავიდნენ. იქ თავდახრილი კლასელები იდგნენ... წვიმდა. ახსოვს გალუმპული შავი ქოლგები, ტალახი, გაჭრილი საფლავი, კუბოზე მინის ბელტების დაცემის ხმა... რძე ტვინში მიდის? თუ მხოლოდ კუჭში, სადაც მას ჭიები სვამენ... მაისურს იწვეს და მუცელზე განივად განელილ თეთრ ზოლს აკვირდება. ეს იმდღევანდელია, როცა მამამ უთხრა, სადაცაა სკოლას დაამთავრებ და მერე ცოლი მოიყვანეო. ეს კი წამოვარდა, დანას ხელი დაავლო და იმწამსვე მუცელზე გადაისვა – „ცოლი როგორ მოვიყვანო?!.. ხომ ხედავ, რამდენი ჭია მყავს მუცელში?!“ ხელები სისხლით აევსო. სისხლის სითბო წებოვანია, ბლანტი და მტკივნეული. რძე კი ხელებს სხვანაირად ათბობს. „შენ არ მოკვდე“, – სთხოვა დედას, როცა სასაფლაოდან შინ დაბრუნდნენ. დედამ მკერდზე მიიკრა – „ოღონდ, შენ გამოჯანმრთელდი“.

რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ჭიას მთვარესთან?

რით აიხსნება და როგორ უკავშირდება ერთმანეთს ორი სრულიად სხვადასხვანაირი სურვილი – მუცლის გამოფატვრა და მთვარის ჩამოღება?

იქნებ, მთვარეც რძით სავსე ფინჯანია?

უნწყინარი კატის ბენვები რატომღა ასე საშიში?

დექსტოპზე აინშტაინის ენაგადმოგდებული სურათი მიგდია. კომპიუტერი, როგორც წესი, შუალამემდეა ჩართული. ბოლოს, როცა ყველა ფაილს ვხურავ, გენიოსის ენა მახსენებს, რომ არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გამიცია. აქამდე სრული მარცხის რეჟიმში ვმუშაობ.

კუჭის წყლულის დადგენა მარტივი ენდოსკოპიით არის შესაძლებელი, მაგრამ შიზოფრენიაზე იგივეს ვერ ვიტყვით. ამ შემთხვევაში, ელემენტარულად, რაიმე მყარი დიაგნოსტიკის საშუალებაც კი არ არსებობს. თუ დაავადებას ორგანოთა რაიმე სახის პათოლოგია უდევს საფუძვლად, მაშინ კვალს რატომ ვერაფერს ვპოულობთ? სარწმუნო მხოლოდ ისაა, რასაც ვხედავთ. აგერ, აინშტაინის გადმოგდებული ენა ფაქტია. მე მისი

ბოლომდე მჯერა. შიზოფრენია კი ფაქტობრივად არ არსებობს.

მეგობრის პასუხი რამდენჯერმე წავიკითხე: „რა თქმა უნდა, სტრესი დაავადების ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია, მაგრამ, ჩემი აზრით, გენეტიკურ, იმუნობიოლოგიურ და სხვა მიზეზებთან შედარებით, სტრესები უფრო იმიტომაა აღწერილი, რომ ყველაზე ადვილად შესამჩნევია. ანუ რა ინვეეს სიგიჟეს? მეცნიერები ვერ პოულობენ დასაბუთებულ ახსნას ორგანიზმში, გენეტიკაში და პირველი, რაც ხელში ხვდებათ და რაც ადვილად თვალშისაცემია, ესაა სტრესი. სინამდვილეში, დაავადების მიზეზი ყოველთვის მულტიფაქტორულია. ამიტომ სტრესით გამონეული აშლილობების სტრესით განკურნება პრინციპულად შეუძლებლად მიმაჩნია. ეს უფრო ლიტერატურის თემაა, ვიდრე მეცნიერების. მართალია, სტრესი ეფექტს ინვეეს, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ეფექტი სხვა დარღვევის სათავე არ იქნება. სტრესულ სიტუაციაში ადამიანი ხშირად ძლიერდება, მაგრამ, განსაზღვრულ მომენტში, ეს სრული გამოფიტვით მთავრდება. თუმცა, კანონზომიერებებიდან გამონაკლისები ყოველთვის არსებობს, ვიდრე ეს გამონაკლისები იქცევიან კანონზომიერებად“.

გადაწყვიტე, მეც გამონაკლისის წესით ვიმოქმედო.

აინშტაინს ენა გამოუყვავი და კომპიუტერი გამოვრთე.

IV

„აქსის ტაუერსის“ სახურავიდან მთვარე ხელის ერთ განვდენაზეა. მე – შეშლილი ექიმი და ჩემი ძვირფასი პაციენტი 34 სართულის სიმაღლიდან დავყურებთ გალაკტიონის ძეგლს. ჯერ კარგად არ ვიციტ, რას ვაპირებთ.

– მარტო მან შეძლო მთვარის ჩამოღება.

– ვინ?

– გალაკტიონმა.

– გალაკტიონმა?... როგორ?

– „გადია, მე ხომ ლამის ლანდები მიგვიანებენ საყვარელ ნდომას, სიკვდილში როდი ვეჭვნიანდები, ვხედავ შეცდომას...“

– შეცდომას?

– შეცდომას!

„აქსის ტაუერსი“ ახლა ყველაზე მაღალი შენობაა თბილისში. მის გარშემო ისევ სამშენებლო მოედანია შემოღობილი, რადგან მშენებლობა ჯერ არ ითვლება დასრულებულად. ქალაქის პირველ ცათამბ-

ჯენს მხოლოდ მოხუცი დარაჯი და მობუზული გალაკტიონი იცავს. დარაჯი თავის თბილ ჯიხურშია შეყუჟული. ალბათ, ისევ ტელევიზორს უყურებს. ჩვენ ადვილად გამოვეპარეთ. სახურავზე ამოსვლა იოლი არ იყო, მაგრამ არც ისე ძნელი, როგორც თავიდან წარმომედგინა.

საბოლოო გადანწყვეტილება დილით მივიღე. გეგმა კარგა ხნის მოფიქრებული მქონდა, ყველა აუცილებელი ნივთი – მომარაგებული, ყველა დამაბრკოლებელი ნიუანსი – გათვლილი. ღამით მორიგე ექიმი ვიყავი და შემეძლო, თავისუფლად მემოქმედა, როცა კლინიკა სანიტრებისა და პაციენტების ძილში ჩაყვინთავდა.

პალატის კარი ფრთხილად შევალე. ნაცნობი სურათი დამხვდა – ფანჯარასთან სკამი მიედგა, ზედ ასულიყო და სავსე მთვარისკენ იხედებოდა. ჩემი შესვლა არც გაუგია. კარი დროებით მოვხურე და ხმადაბლა დავუძახე. ისე მშვიდად გამომხედა, თითქოს ჩემს მისვლას ელოდა. არაფერი გაკვირვებია. მერე ისევ მთვარისკენ გაიხედა.

– ჩამოდი, მივდივართ! – შევეცადე, ეს ორი სიტყვა აუღელვებლად მეთქვა.

– მივდივართ? – გაიკვირვა და ჩემსკენ მობრუნდა, – სად?

– ერთად ჩამოვიღებთ მთვარეს. მე მოგეხმარები, – შინიდან ნამოღებული ტანსაცმელი მივეცი. უხმოდ გამომართვა და მალევე ჩაიცვა.

ვანიშნე, არ ეხმაურა. დერეფანში გავედით, კიბეები ჩავიარეთ და იქვე, კლინიკის კართან, მიბმული ცხენივით მომლოდინე „ოპელში“ ჩავსხედით. თავს ძალა დავატანე, მანქანა დავქოქე და ღამის ქალაქში შევიმალეთ. ნერვიულობისგან საჭეს ძლივს ვიმორჩილებდი. სამაგიეროდ, პირველად ვგრძნობდი აბსოლუტურ თავისუფლებას – ისეთს, როცა, ამავე დროს, გგონია, რომ ჩადიხარ მძიმე დანაშაულს, რომელსაც ადამიანის დაღუპვა კი არა, გადარჩენა შეუძლია.

არსებობს კი ასეთი დანაშაული?!

ყოველ შემთხვევაში, ჩემს სამსახურს ნამდვილად აქ დავუსვი წერტილი. კლინიკაში პაციენტის სტატუსით თუ დავბრუნდები, თორემ ამ გასეირნების შემდეგ, ცხადია, ექიმად აღარავინ მიმიღებს.

დიდხანს ვიარეთ ასე. არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის, როგორც დიდი ხნის მეგობრებს. ბოლოს „აქსის ტაუერსთან“ გაჩერდით.

– ხომ არ გეშინია? – ვკითხე მანქანიდან გადმოსვლისას, – აი, ეს შენი ზურგჩანთაა. მოიკიდე და მომყვი!..

– ეს მთვარე უნდა ჩამოვიღოთ?

– ყველგან ეს მთვარეა.

არ ვიცი, რამდენი საათი ვიარეთ კიბეებზე, მაგრამ სართულები ისე ავამთავრეთ, არც ერთი არ დაველიღვართ.

– აი, უკვე აქ ვართ. ესეც ჩვენი მთვარე!

– დიღია.

– აქედან ძალიან ახლოსაა. ნახე, ჩვენ ახლა ძალიან მალლა ვართ. ერთი ნაბიჯიც და მთვარეს ხელს მოვკიდებთ.

სწორედ ამ ერთი ნაბიჯის იქით მთავრდებოდა სახურავი. ჩვენ ნაპირზე ვიდექით და ზემოდან გალაკტიონის ძეგლს დავყურებდით.

– ჩვენ ამას შევძლებთ!.. „ვინც ღამით დანვავს შოპენგაუერს, რომ უფრო მძაფრად იცხოვროს დღისით...“ – მექანიკურად წარმოვთქვამდი სიტყვებს, თითქოს ვბოდავდი.

ორივემ წინ წავინიეთ. მთვარე მართლაც ძალიან ახლოს იყო, ან, უბრალოდ, ასე გვეჩვენებოდა. ხელები წინ ერთდროულად გავიშვირეთ. შევეცადა, ბოლომდე შეესულიყავი მის შეგრძნებებში.

წარმოვიდგინე, როგორ ვკიდებთ ხელს მთვარეს და თაროზე შემოდგმული საყოფაცხოვრებო ნივთივით ვიღებთ.

ამ დროს ფეხქვეშ სიმყარე გამოგვეცალა და ძალიან სწრაფად დავეშვით ქვემოთ, პირდაპირ გალაკტიონისკენ. ერთმანეთის ხელები ისე გვეკავა, თითქოს მოგვაჭრესო. მის გაფართოებულ, კითხვებით სავსე თვალებს გადავანყდი...

– რა მოხდა?!..

– ნუ გეშინია!.. – მივაძახე და მის გულისპირზე ზონარს ხელი მაგრად ჩამოვკარი, მერე – ჩემსას... ვარდნა უმაღლვე შეწყდა... ვარკვლავებიანი ცა ორმა პარაშუტმა გადაფარა... ორიოდ წამით ჰაერში დავეკიდეთ. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთვარეც ჩვენი პარაშუტების თოკებში გაეხვია და ერთად დავინწყეთ დაშვება.

– ხედავ?

– მთვარე ჩამოვიღეთ!

ბესო ხვედელიძე

ყვითელი ზოლი

„თითქოს ეს ყველაფერი უკვე ბევრჯერ მოხდა და სულ მეორდება...“ – ფიქრობდა დავითი და ავტობუსის ფანჯრიდან გადამხმარ ველს გაჰყურებდა. ხედი რომ მოიბეზრა, ავტობუსის სალონი მოათვალიერა და მზერა ორ ვეებერთელა დედაკაცზე შეაჩერა. ჭრელთავსაფურიან დედაკაცებს სქელ ფეხებთან დასკდომამდე დატენილი ბოხჩები ენცოთ, ავტობუსის ყოველ შერყევაზე ერთმანეთს თანთალა მკლავებით ეხეთქებოდნენ და უაზროდ ხითხითებდნენ. მეტი ავტობუსში არავინ იყო.

დავითი თავის მომცრო ზურგჩანთას დასწვდა და მუხლებზე დაიდო. ცოტა ხანს დაფიქრებით დაჰყურებდა, მერე ისევ ფანჯარაში გაიხედა.

მინდორზე ღრუბლების ჩრდილები მოძრაობდნენ.

დავითი ჩრდილებს დააკვირდა.

„მოიცა, დედამინა ბრუნავს, თუ ღრუბლები მიდიან?“ – შეეკითხა თავს. ვიდრე პასუხს გაიხსენებდა, ავტობუსმა დაამუხრუჭა და კარი ხმაურით გაიხსნა.

დედაკაცები კვლავაც ხითხითით წამოლაგდნენ, ვინრო კარში გაჭირვებით ჩაბობდნენ და სალონს მხოლოდ მძლოლი და დავითი შერჩნენ.

„ორივენიცა!“ – იპოვნა პასუხი დავითმა და ავტობუსიც ისევ ძველებურად აჯაყჯაყდა ქვალორლიან ვაკეზე.

– თქვენ საით მიბრძანდებით, ბატონო? – გამოხედა დავითს მართკუთხა სარკიდან უზომოდ მსუქანმა მძლოლმა და დავითმა ახლალა შეამჩნია, რომ მძლოლი ძალიან ელამი იყო.

„როგორ დაჰყავს ავტობუსი?“ – შიშით გადააცქერდა გზისპირა თხრილს დავითი და პასუხიც იქვე მისცა საჭეს ჩაფრენილ მძლოლს.

– სოფელ ლუჩაევოში. ბონდარენკო გენადისთან!

ამის თქმა იყო და, მძლოლმა ავტობუსი ისე დაამუხრუჭა, დავითს ძალიან ცოტა დააკლდა, სკამიდან ზურგჩანთიანად რომ არ გადმოვარდა.

მძლოლმა თავი მოატრიალა და ერთადერთ მგზავრს ელამი მზერით გამოხედა.

– სოფელ ლუჩაევოში? – იკითხა ნარბშეკრულმა და ამ კითხვაში დავითმა მაშინვე გაკვირება დაიჭირა.

– დიახ. სოფელ ლუჩაევოში. ბონდარენკო გენადისთან! – გაიმეორა დავითმა თამამად, – ხომ არ იცნობთ შემთხვევით? არც კი ვიცი, სად უნდა ჩამოვიდე...

ელამი მძლოლი დავითს კიდევ რამდენიმე ხანს მდუმარედ შემოსცქეროდა.

დავითი ვერაფრით მიხვდა, კერძოდ რომელი თვალით შემოჰყურებდა მძლოლი, ამიტომ განზე გაიხედა და მორიდებით ჩაახველა.

– ყვითელი ზოლის პირველი სოფელია ლუჩაევო... – მოესმა უცებ, – სამ კილომეტრშია გზაჯვარედინიდან... მაგ ზოლში იშვიათად თუ ჩადის ვინმე...

– მე აუცილებელი საქმე მაქვს, – თქვა დავითმა მტკიცედ.

მძლოლი საჭისკენ ხველებით გატრიალდა და ავტობუსი ადგილიდან დაძრა.

დავითმა ცოტა ხანში თვალი მძლოლის სარკისკენ გააპარა და დაინახა, რომ მძლოლი სიელმის გამო რიგ-რიგობით ხუჭავდა თვალებს და ისე მიჰყავდა ავტობუსი.

– სწრაფად თუ ივლით, ნახევარ საათში იქნებით... – გაიშვირა ძალიან მსხვილი საჩვენებელი თითი მძლოლმა მარჯვნივ მიმავალი გზისკენ, – ბონდარენკო გენადის სახლი ადრე სოფლის ბოლოში იყო... ახლაც იქ იქნება... სად წავიდოდა...

დავითი სწრაფად წამოდგა სკამიდან, ზურგჩანთა ზურგზე მოიგდო და მძლოლს ბილეთი გაუწოდა:

– სახლში იქნება ალბათ...

მძლოლმა უცნაურად გამოხედა დავითს. დავითი ამჯერადაც ვერ მიხვდა, რომელი თვალით შემოჰყურებდა მძლოლი და ისევ დაიძაბა.

– საერთოდ არ გცოდნიათ თქვენ ლუჩაევო... – დასკვნასავით გამოუვიდა მძლოლს და ბილეთი გამოართვა. მერე ავტობუსის კარი ღილაკზე თითის დაჭერით შეხსნა და ისევ საჭისკენ გატრიალდა. – რას ქვია „სახლში იქნება ალბათ?..“ სახლში მანდაურები არიან თუ არიან, თორემ მე კი დავრიხინებ ალმა-დალმა უსახლკაროსავით...

– კარგად ბრძანდებოდეთ! – ცივად მოუჭრა მძლოლს დავითმა და ავტობუსიდან ჩახტა. ავტობუსმაც თითქოს პასუხად გემრიელად მიაბოლქვა და ხმაურით ნახრიგინდა ოღროჩოღრო გზაზე.

დავითმა დაბნეულმა გაიხედა მარჯვნივ.

სოფლის გზაზე არავინ ჩანდა.

შორს გადამწვანებული სოფელი ლუჩაევო ილანდებოდა.

სახლები ერთმანეთისგან მოშორებით იდგა.

ღრუბლები სწრაფად სერავდნენ ცას.

მესერისთვის ერთ ადგილას მაღალი ჟანგიანი კარი დაეტანებინათ. კარს არც ზარის ღილაკი ემჩნეოდა და არც რაიმე – დასაკაკუნებელი.

– ბატონო გენადი! – დავითი შეეცადა, რაც შეიძლება ხმამაღლა ეყვირა. თან უკან დაიხია და მესერს მიღმა გაშლილ ეზოს გახედა. ეზო ხეებით იყო დაჩრდილული. ყვირილზე არავინ გამოეპასუხა, მხოლოდ ეზოს სიღრმეში აყეფდნენ ძაღლები.

– ნნ-ნნ-ნნ... – მოესმა ამ დროს უკნიდან და მოულოდნელობისგან შემხტარი სწრაფად გატრიალდა.

მის წინ ძალიან მაღალი დედაბერი იდგა და უკბილო ღრძილებით ზემოდან დაჰღიმოდა.

– გამარჯობა, – თქვა დედაბრის სიმაღლით სახტად დარჩენილმა დავითმა და მაშინლა შეამჩნია, რომ დედაბერი დაკორძილი ხელით რაღაცაზე უთითებდა.

დავითმა ხელს მზერა გააყოლა და იქვე მიგდებული საკმაოდ მოზრდილი ქვა დაინახა.

– ტუუ-ტუუ-ტუუ... – დაიჩიფრიფა დედაბერმა, დაკორძილი ხელი კარისკენ გაიშვირა, მერე გატრიალდა და თავისი გზით ნაჩოჩიალდა.

გაკვირვებულმა დავითმა იქამდე უყურა დედაბერს, ვიდრე ის თვალს არ მიეფარა.

„მე ვიყო ულიანა სემიონოვა...“ – გაიფიქრა მერე, ქვას დახედა, აიღო და შეათვალიერა.

ქვას აქერცლილობაზე ეტყობოდა, რომ კარზე დასაბრახუნებლად იყენებდნენ.

დავითი კარს მიუახლოვდა და ქვა მოიმარჯვა.

მესამე დაბრახუნების შემდეგ ისევ აყეფდნენ ეზოს სიღრმეში ძაღლები. ისეთ ხმაზე ყეფდნენ, ტანით აშკარად დიდები უნდა ყოფილიყვნენ. მერე სხვა ხმაც მოისმა – თითქოს ვიღაც ძაღლებს უცაცხანებდა. ცოტა ხანში დავითმა ნაბიჯების ხმა გაიგონა, რომელიც კართან შეწყდა.

– რომელი ხარ? – იკითხა ძალიან ბოხმა ხმამ.

– გამარჯობა! მე ბონდარენკო გენადი მინდოდა... – თამამად გაეპასუხა დავითი.

– რომელი ხარ–მეთქი? – ისევ გაისმა მკაცრად.

დავითი დაიბნა, თუმცა ძალა მოიკრიბა და ქვა განზე გადაადგო.

– თბილისიდან ვარ ჩამოსული... ინტერვიუზე... ბატონ ბონდარენკო გენადის კოორდინატები მისმა ჯარის მეგობარმა გია ქირიამ გადმოგვცა...

– რაზე-რაზე? – იკითხა ისევ მჟღერმა ხმამ.

– ინტერვიუზე... – გაუბედავად დასცდა დავითს და მესერს მიღმა მან შენვე გულიანი ხარხარი ატყდა.

ხარხარი კაი ხანს გაგრძელდა, მერე უცებ მიწყდა და ურდულის შეხსნის ხმა გაისმა. ჟანგიანი კარი ფართოდ გაიღო და ზღურბლზე არაადამიანური სიმაღლის შავმოსასხამიანი კაცი აღიმართა.

მასთან შედარებით კართან მდგომი დავითი თითისტოლა ჩანდა.

– ნესით ორნი უნდა ვყოფილიყავით, – თავის მართლებასავით გამოუვიდა კაცის სიმაღლით დამფრთხალ დავითს, – მაგრამ ფოტოგრაფი გრიპით ჩანვა და ველარ გამოემგზავრა... ძლივს მოგაგენით!

– გაგიმართლა, ძაღლები რომ დაბმულია... – თქვა შავმოსასხამიანმა ახმახმა და განზე გადგა, – შემოდი... არ ცნობენ არავის უცხოს. შემოდი-მეთქი...

დავითს ბევრი არ უყოყმანია და ეზოში შეაბიჯა. მის უკან კარი ხმაურით მიიკეტა და ისიც შეხტა, თუმცა შეეცადა, არაფერი შეემჩნია.

ეზოს მოკირწყლული ბილიკი შუაზე ჰყოფდა და პირდაპირ ეზოს ბოლოში მდგარი ორსართულიანი სახლისკენ მიემართებოდა.

– სახლისკენ მიბრძანდი! – გაიშვირა ხელი შავმოსასხამიანმა ახმახმა სახლისკენ და დავითიც გაუბედავად დაადგა ბილიკს.

– ბატონო გენადი! – შესძახა სახლთან მისულმა დავითმა მეორე სართულის გამოღებულ ფანჯარას. პასუხად ფანჯრიდან ფრთების ტყლაშუნით უზარმაზარი ბუ გამოფრინდა, კიდევ უფრო შეშინებულ დავითს ფრთა გამოსდო, კინალამ წააქცია, შემდეგ თავზე გადაუფრინა და დაჩრდილულ ეზოს შეერია.

დავითმა შემცბარმა ახედა ღია ფანჯარას და ფანჯარაში გადმოყუდებულ ისევ იმ შავმოსასხამიან ახმახს მოჰკრა თვალი.

„როგორ მომასწრო...“ – ერთი კი გაიფიქრა გაცეცხულმა და ამ დროს ახმახმა ზემოდან ხელი დაუქნია.

– ამო-ამო... – ჩამოსძახა იქვე და დავითმაც პირველი სართულის სანახევროდ ღია კარში ყოყმანის შემდეგ შეაბიჯა.

სახლში ფიჭვის მძაფრი სურნელი იდგა. მეორე სართულზე ორი კიბე ადიოდა. დავითმა ორივე კიბეს რიგ-რიგობით ახედა. მერე დაფიქრდა და მარჯვენას აუყვა. კიბე ხმამალლა ჭრიალებდა და ეს ხმა უსიამოდ დაუდიოდა სხეულში.

კიბე რომ აათავა, გრძელ დერეფანში აღმოჩნდა.

– ბატონო გენადი! – დაიძახა გაუბედავად.

– აქეთ, აქეთ! – მოესმა ახმახის ხმა დერეფნის ბოლოდან და ისიც ხმის მიმართულებით წავიდა.

იატაკს ისევ ჭრიალებდა. მარცხენა მხარეს, ბოლოში მდებარე ხის კარი ღია იყო და დავითმაც იქ შეაბიჯა.

დიდ ლუმელში ცეცხლი გიზგიზებდა.

დავითმა ფრთხილად მოათვალიერა ოთახი და ბოლოსღა მოჰკრა თვალი ოთახის ბოლოში, როიალთან მჯდარ შავმოსასხამიან ახმახს.

– დაჯექი! – თქვა ახმახმა და ჟღრიალა აკორდი აიღო.

დავითი იქვე მდგარ სკამს მიუახლოვდა და ფრთხილად დაეშვა. ახმახმა იგივე აკორდი აიღო და სტუმარს გამოხედა.

– ესე იგი – ინტერვიუ...

– დიახ... ბატონ გენადისთან... უკეთესი იქნებოდა, დიდი საგაზეთო პუბლიკაცია გამეკეთებინა გაგრძელებებით... ასეთ უნიკალურ მასალას სად

ნახავს კაცი... – დავითი ჩანთის გახსნას შეეცადა, მაგრამ ახმახის კიდევე ერთხელ აღებულმა იგივე აკორდმა შეაჩერა.

დავითმა ჩანთა იატაკზე დაუშვა. შემდეგ თავი ასწია, ახმახისთვის მზე-რა რომ გაეხსნორებინა, მაგრამ ვერაფრით შეძლო და გაუბედავად ალულ-ლულდა:

– უახლოეს ნომერში იქნება... მსოფლიო კატაკლიზმების ეპოქაში ძალიან აქტუალური თემაა... არავის უნდოდა წამოსვლა, ისეთებს ჰყვებიან... ჭორია თუ მართალი, ვერ გაიგებს კაცი... არადა, რადიაციის ამხელა მასშტაბებია... როგორც ამბობენ, მუტაცია აქ დიდი ხანია დაიწყო...

ახმახმა ხელი ჩაიქნია და იქვე მდგარ სავარძელში ჩაესვენა.

– დიდი ხანია ლუჩაევოში არავინ ჩამოსულა... ვილას ვახსოვართ და ვჭირდებით ასეთები... ოურა! – დაიგრგვინა უცებ ახმახმა და დავითის გასაკვირრად ცოტა ხანში ოთახში ზუსტად ამ ახმახის კოპიო და მასავით შავ მოსახამში გამოწყობილი მეორე ახმახი შემოვიდა.

დავითს გააჟრჟოლა.

– ბიჭებს უთხარი, მაგიდა გამოიტანონ და ეზოში გაშალონ! ქალებს დაუძახეთ!

– არის, უფროსო! – სამხედროსავით მიიტანა ხელისგული საფეთქელთან მეორე ახმახმა და ოთახიდან ლამის მხედრული ნაბიჯით გავიდა.

– ბონდარენკო გენადის ჯარის მეგობარი გია ქირია როგორაა? – გახედა დავითს პირველმა ახმახმა.

– დიდი მოკითხვა დამაბარა ბონდარენკო გენადისთან... ცხოვრობს თავისთვის, წყნარად... თბილისის იპოდრომზე ცხენებს უვლის...

ახმახი ისევ წამოდგა, კარადიდან მწვანე მაუდგადაკრული ალბომი გამოიღო, გადაფურცლა და ერთ-ერთ ფოტოს დააცქერდა.

მერე დავითისკენ მოტრიალდა და ალბომი გაუნოდა.

დავითმა ალბომი ფრთხილად ჩამოართვა და ფოტოს დახედა. ფოტოსურათიდან სამი პირტიტველა სამხედროფორმიანი ბიჭი იყურებოდა.

– ეგაა? – დაეკითხა ახმახი ზემოდან.

– აგერ ბატონი გია ქირია! რა ახალგაზრდაა ამ ფოტოზე! – შესძახა დავითმა და ახმახს ახედა.

ახმახი თბილად იღიმებოდა.

– და ბატონი გენადი როდის იქნება? – ველარ მოითმინა დავითმა და ალბომი დახურა.

ახმახმა სტუმარს ალბომი ჩამოართვა, ისევ კარადაში დააბრუნა და სტუმარს მოუტრიალდა.

– მე ვარ ბონდარენკო გენადი.

დილით დავითი ზურგზე ხელის შეხებამ გამოაღვიძა. აქერცლილ კედელს თვალისფშენეტით ააცქერდა და შეეცადა, გაეხსენებინა, სად იყო. ეს რომ ვერაფრით შეძლო, უბრალოდ, ამოიოხრა და სახით კედლისკენ მწოლი მკვეთრად გადმოტრიალდა. სანოლთან, დაბალ სკამზე ბონდარენკო გენადი იჯდა და დავითს მშვიდი ღიმილით შემოჰყურებდა. დავითი მასპინძლის დანახვაზე მაშინვე მოეგო გონს და სანოლში სწრაფად წამოჯდა.

– რა ხდება? – იკითხა ნამთვრალევი ხმით და მწირად განყობილ ოთახს დაბინდული მზერა მოავლო.

– სამასვალეები მოვიდნენ, – მშვიდად გაეპასუხა ბონდარენკო გენადი და დაბალი სკამიდან წამოდგა.

– ვინ მოვიდა? – ძალღის ტანივით შეიბერტყა თავი დავითმა.

– სატვირთო მანქანები!.. როგორც დავთქვით! გასვლის დროა უკვე! – შემოუძახა დავითს ბონდარენკო გენადიმ, მის საბანს ბოლოში მოავლო ხელი და სანოლს ბოლომდე გადახადა. მოულოდნელობისგან დავითმა ფეხები მაშინვე მუხლებში მოკეცა.

ბონდარენკო გენადის კაი ხანს ღიმილით ეჭირა საბნის ბოლო.

– გელოდებით! – თქვა მერე, საბანს ხელი შეუშვა და კარისკენ გატრიალდა.

„სამასვალეების“ საბარგულებზე ტყუპებივით ერთმანეთის მსგავსი – ერთნაირად ძალიან მაღალი, წვეროსანი და შავმოსასხამიანი კაცები იდგნენ.

დავითი ბანცალით მიუახლოვდა ერთ-ერთ სატვირთოს. ვილაცამ ზემოდან უზარმაზარი ხელისგული გადმოუწოდა. ის ხელს ჩაეჭიდა და უცებ აღმოჩნდა ერთნაირი კაცების გვერდით. რაც მაშინვე თვალში ეცა – ხელში ყველას ალესილი ნაჯახი ეჭირა.

– ეს შენია! – ხარხარით მიაჩეჩეს კუთხეში მიყუდებული მომცრო ნაჯახი ახმახებმა და მანაც ვერაფრის კითხვა ვერ მოასწრო – მორჩილად

ჩამოართვა ალესილი იარაღი და წონასწორობის დასაცავად მეორე ხელით საბარგულის კიდეს მოეჭიდა.

- ყველა ადგილზეა?! - იღრიალა პირველი „სამასვალის“ საბარგულიდან რომელიღაც ახმახმა.

- ყველანი ვართ, გენა! - ერთდროულად გაეღრიალნენ სამივე სატვირთოდან. პირველი სატვირთოდან ერთ-ერთმა მძღოლის კაბინას ნაჯახის ყუით ჩაუკაკუნა და მანქანაც არახრახდა. წინა ორი სატვირთო ნელა გაუყვა სოფლის შარაგზას.

მესამე კვალად მიჰყვა მათ და სატვირთო მანქანათა მწკრივმა ტყისკენ აიღო გეზი.

ტყეში ჯერ კიდევ ბნელოდა. აქა-იქ თუ გამოკრთებოდა ბაცი შუქი. დავითი სატვირთოს რყევის რიტმში ირწეოდა და ცდილობდა, წინა სალამო გაეხსენებინა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა - გონებაში ფრაგმენტულად უსხლტოდა წინა სალამოს ნაფლეთები და ძალიან ნამთვრალევი მათ ერთმანეთთან ვერაფრით აკავშირებდა.

ამ ნაფლეთებში აშკარად ხედავდა ბონდარენკო გენადის ეზოს შუაგულში მდგარ დიდ მართკუთხა მაგიდას და ზედ განყობილ სქელ თეფშებს. თეფშებზე კომბოსტოს მწნილი, მოხარშული კარტოფილი და დაგლეჯილი პური იყო განაწილებული; იქვე ყურმომტვრეული ჭიქები და ათლიტრიანი ბოცით არაყი იდგა. ვილაც ბონდარენკო გენადის მსგავსი, ანდა სულაც თავად მასპინძელი გამოთქმით ამბობდა მშვიდობის სადღეგრძელოს. იყო ამ ნაფლეთებში ძროხების შორიდან მოღწეული ზმუილიც და მერე ღამურების სისინა ნავარდი. იყო ასევე ბევრი ძალიან მაღალი და ერთნაირი სახის წვეროსანი ახმახი, იყო გაჭრილი ვაშლებივით ერთმანეთის მსგავსი ვეებერთელა ქალების ყვავილებიანი კაბები ღრმად ამოჭრილი გულისპირებით. არყის სხვანაირი გემოც იყო და აკორდეონის ნელვაც და ცეკვაც - ფართო ხელისგულების სქელ ქუსლებზე ტყაპუნით.

სატვირთოები დინჯად მიიწეოდნენ ტყის ბინდიან გზაზე. დილის სინათლე ნელ-ნელა მატულობდა. მერე მწკრივმა უცებ მარცხნივ გაუხვია და მანქანები რიყრაჟის გრილი მზით განათებულ მოლზე შეჩერდნენ. წვეროსნები უცებ ჩახტნენ საბარგულებიდან და ხმაურით შეესივნენ ტყეს.

ვერაფერს მიმხვდარი დავითი საბარგულს შერჩა. მერე თავის ნაჯახს დახედა და ნელა ჩაჭოფხდა ძირს.

ირგვლივ აღარავინ იყო.

„რა დროს შეშა...“ – გაიფიქრა დავითმა და ტყისკენ ნაბიჯის ნადგმას აპირებდა, რომ ადგილზე გახევდა.

ტყიდან შევმოსასახამიან ახმასთაგან ერთ-ერთი გამოვიდა, – ცალი ხელით დიდ ნაჯახს მოაქნევდა, მხარზე კი უზარმაზარი, ლამის საკუთარი სიმაღლის, წითელქუდიანი სოკო ჰქონდა გადებული.

ახმასმა სახტად დარჩენილ დავითს ნარბშეკრულმა გამოხედა და ვიდრე სოკოს სატვირთოს საბარგულზე ააგდებდა, გაღიზიანებულმა შემოჰყვირა:

– რას დამდგარხარ უსაქმოდ?! მოგვეხმარე!

ვიდრე ტყეში შემავალ ერთ-ერთ ბილიკს დაადგებოდა, დავითმა კიდევ რამდენიმე ნაჯახიან და მხარზე უზარმაზარ სოკოგადებულ ახმასს მოჰკრა თვალი. სოკოები ზორბა სოფლებებმაც სატვირთოების საბარგულებზე აყარეს და მაშინვე ტყეში შებრუნდნენ.

ტყე უკვე დილის სინათლით იყო გაჯერებული.

დავითმა მალევე მოჰკრა თვალი თავისზე მალალ ლურჯქუდიან სოკოს. ახლოს მისულმა ჯერ მარცხენა ხელი ჩამოუსვა სქელ ფეხზე, მერე ნაჯახი მოიმარჯვა და ძირში ფრთხილად შემოჰკრა.

სოკო ძალიან ადვილად გადაიჭრა და მოსალოდნელზე გაცილებით მსუბუქი აღმოჩნდა. დავითმა იოლად აიტაცა მოჭრილი სოკო, სხეებივით გაიდო მხარზე და ტყიდან ამაყი სახით გამოვიდა. სატვირთოების საბარგულები წვეროსნებს უკვე სანახევროდ შეევსოთ სოკოთი.

„კინოა, რა...“ – გაიფიქრა დავითმა, თუმცა იქვე გაახსენდა, რომ არანაირი კინო ეს არ იყო და მორიგი სოკოს მოსაჭრელად ისევ ტყისკენ გაემშრა.

ეზოში სამი დიდი კოცონი გიზგიზებდა.

სამივეზე უზარმაზარი, წყლით სავსე ქვაბები იდგა.

ზუსტად ერთნაირი, ვეებერთელა ქალების ნაწილი კოცონს შემას უკეთებდა, დანარჩენები სუფრას აწყობდნენ.

იქვე სატვირთოებიდან ჩამოცლილი დიდი სოკოების უზარმაზარი მთა აზიდულიყო. სოფლის ერთნაირი კაცები ნაჯახით ჩეხავდნენ სოკოს და დანანევრებულებს ქვაბებში ყრიდნენ.

დავითი კუნძზე იჯდა, ნიკაპი ნაჯახის ყუაზე ჩამოედო და ამ ყველაფერს მოღლილი სახით ადევნებდა თვალს.

ქვაბები რომ ათუხთუხდნენ, წვეროსნებმა ნახარში წყალი მინას მოასხეს, ერთხელ მოხარშული სოკოთი სავსე ქვაბები ახალი წყლით აავსეს და ისევ ააგიზგიზეს კოცონები.

ეს ყველაფერი სამჯერ განმეორდა.

– რა ხდება, ბატონო გენადი? – ჰკითხა დავითმა იქვე მდგარ ბონდარენკო გენადის.

– სამჯერ უნდა ადულდეს და წყალიც სამჯერ გამოეცვალოს...

– რიტუალია?

– რა რიტუალი... მძიმე მეტალები და რადიაცია რომ გაუვიდეს...

– და გაუვა რო?

– არ გაუვა და გაიზრდები დიდი ბიჭი ჩენსავით... – გაეცინა ბონდარენკო გენადის, – შენი წილია ეგ, თორემ ჩვენ ხომ ხედავ სხვანაირის ჭამამ რა გვიყო?

მესამეჯერ მოხარშვის შემდეგ სამი სატვირთო მანქანით მოზიდული სამი უზარმაზარი ქვაბი სოკო ისე დაპატარავდა, რომ ერთ მოზრდილ ტაფაზე დაეტია და ისე შეინვა.

მზერაგაორებულმა დავითმა შუალამის ცას ახედა. შუაგულში გამოკიდებული ორი სავსე მთვარე მიდამოს კარგად ანათებდა.

დავითი სუფრიდან გაჭირვებით ნამოდგა და ფეხსალაგისკენ ბარბაცით დაიძრა. ფეხი რომ არ დასცდენოდა გზად ხელით ხეებსა და ბურქებს იხმარდა. მინას ხრამახრუში გაუდიოდა.

უცებ გვერდიდან რალაც ხმა მოესმა. დავითი შეჩერდა და დაელმეზულმა ფრთხილად გაიხედა.

მეზობლის ეზოს მხრიდან ლობეს ორი უზარმაზარი ღორი მოსდგომოდა. ღორებს ბეჭებზე ქათმის ფრთები ჰქონდათ ამოზრდილი.

ეს დაინახა თუ არა, ლობეზე გადაყულებულ დავითს მაშინვე გული აერიო.

– აბა, ღორებო, ჭამეთ! – დააყოლა იქვე ხრიალით.

ლორებიც, თითქოს გაიგონესო, იქით წაგოგმანდნენ და კუჭიდან ამოსული სითხე თვალისდახამხამებაში შესვლივს.

ამ ყველაფერს ცოტა ხანი გამტერებული შეჰყურებდა დავითი. მერე ხელი ჩაიქნია და ფეხსალაგისკენ გაბრუნდა.

ფეხსალაგი გადაღრეცილი იყო. შიგნით ძლივს შემდგარმა, უცებ მოითავა საქმე და უკან გამოვიდა. სავსე მთვარეს ისევ ორად ხედავდა. მერე გაორებული მზერა ინსტიქტურად მთვარეებით გაშუქებული მეზობლის ეზოსკენ გაექცა, მაგრამ ლორები აღარსად იყვნენ.

ლობესთან მიბარბაცებულმა ზედ მკლავები ჩამოანყო და მეზობლის კარმიდამო ყურადღებით მოათვალიერა.

– ლორებო! – დაიძახა ფრთხილად, მაგრამ ლორები მაინც არ ჩანდნენ.

„შედენეს ალბათ...“ – გაიფიქრა დავითმა და ის იყო, გამობრუნებას აპირებდა, ზემოდან რალაც ხმა ჩამოესმა.

ვიდრე აიხედავდა, უცნაურმა ჟრუანტიელმა დაუარა და ცივმა ოფლმა დაასხა. შემდეგ ძალიან ფრთხილად ასწია თავი და ცოტალა დააკლდა, ლობიანად რომ არ აყირავდა.

მის თავზე, მიახლოებით ათი მეტრის სიმაღლეზე, უზარმაზარი დედალი ლორები ეკიდნენ, ბეჭებიდან ამოზრდილ ქათმის ფრთებს სწრაფ-სწრაფად იქნევდნენ და თვალეები მთვარისფრად უელავდათ.

„მეჩვენება, თუ გავგიჟდი?..“ – მოასწრო ნაბუტბუტება დავითმა, ერთიანად აკანკალებული ლობეს მოშორდა და მიწაზე დაჯდა.

მზერაგაორებული დავითი ლორებს თვალს არ ამორებდა და სიცხიანივით ცახცახებდა. ლორები ნარნარით არტყამდნენ წრეს მიწაზე მჯდომს და დაბალ ხმაზე ღრუტუნებდნენ. მერე უცებ ჰაერში ერთნაირად შეიკუნტრუშეს, თითქოს მადლობის ნიშნად რალაც ჩამოიღრუტუნეს და სამხრეთისკენ გაფრინდნენ.

ეს იყო და სოფელში ძაღლების ყმუილი ატყდა.

დავითმა თვალეები მთელი ძალით დახუჭა და ყურებზე ხელისგულებათაგან რებული კიდეე კაი ხანს იჯდა მიწაზე. ნანახისგან გაბრუებულს თვალეებში მანათობელი რგოლები დაუდიოდა.

მერე ყურებიდან ხელისგულები ჩამოუშვა და თვალი გაახილა. ძალღე-
ბი უკვე მინყნარებულყვენ. სუფრასთან ისეე ხმაურობდნენ. მეზობლის
ეზოში მხოლოდ ერთი დედალი ღორი დაღრუტუნებდა და ბეჭებიდან არა-
ნაირი ქათმის ფრთები არ ჰქონდა ამოზრდილი.

ერთიანად გამოფხიზლებულმა დავითმა ცას ახედა და უკვე მხოლოდ
ერთი საღსე მთვარე დაინახა.

„იყო თუ არ იყო?... თუ იყო – ცუდადაა საქმე..... თუ არ იყო – მით
უმეტეს...“ – ამოიხვნეშა დავითმა, წამოდგა და სუფრისკენ უკვე გამარ-
თული ნაბიჯით წავიდა.

ბონდარენკო გენადი არყის ჭიქით ხელში იდგა და მარცხენა მხარზე
ძალიან დიდი ბუ აჯდა.

– სტუმარი ღვთისააო...

– სტუმარი ღვთისააო! – დუღუნით ეთანხმებოდნენ ბონდარენკო გე-
ნადის მისი მსგავსი შავმოსასხამიანი ახმახები.

დავითი სუფრასთან იჯდა და მესერის მიღმა მდგარ სამ „სამასვალს“
მონყენილი გაჰყურებდა.

„რა ჰქვია ახლა ამ ცხოვრებას...“ – ფიქრობდა დავითი, – „თუმცა მე
რომ სხვაგან ვარ, იმას ხომ ქვია...“

სოფლის მეორე გასასვლელში, საგზაო მიმართულების მაჩვენებელი
ფირნიში ერჭო.

ფირნიშზე კირილიცათი, დიდი შავი ასოებით ეწერა:

ЧЕРНОБИЛЬ – 18 КМ.

დათო გაბუნია

ბეჩავი

*So slowly you just slide,
So slowly loose your pride,
Another year's gone by
It's too late now to try...
Die by Tiger Lillies*

შეუმჩნეველად დამენყო. თავიდან გადაღლილობას ვაბრალებდი, რომ ბევრს ვენევი, მთელი დღეები კომპიუტერთან ვზივარ, სუფთა ჰაერზე არ გავდივარ, რაც მანქანა ვიყიდე, ფეხით მხოლოდ სიგარეტის საყიდლად, იქვე მდებარე მაღაზიაში თუ ჩავირბენ, ძალიან დიდ ხანს ვიყავი მარტო, ღამ-ღამობით უფასო, მოკლე პორნოფილმების ქაჩვამ და ორისამჯერ ნძრევამ დამაუძღურა და ამიტომაც არ მიდგება-მეთქი. სანამ ამ ყველაფერს გავიაზრებდი, კარგა ხანი გავიდა, ვერც კი შევამჩნიე, რომ საუკუნეა, სექსი არ მქონია, ნელ-ნელა პორნოს ქაჩვასაც მოვუკელი და საბოლოოდ ერთ დიდ ხაფანგში ვირთხასავით გაბმული აღმოვჩნდი: რომ ვერც კვდები და ვერც თავს აღწევ, გაბმული ხარ და მორჩა. აზრზე ერთმა სულელურმა ქალთა ჟურნალმა მომიყვანა, რომელსაც ჩვენი მედია-პოლდინგი გამოსცემს. რედაქციაში მომჩიე და დაკაბადონებული ნომერი, კორექტორი ავადაა და შენ გადახედო. სტატიას ერქვა "რამდენად ძლიერი მაჩო გინევეთ ლოგინში". გულში ავტორს შევუკურთხე, დაგიფსი სტილზე, ვინც შენ წერის ცოდნა დაგაბრალა- მეთქი. სტატიაში დეტალურად იყო აღწერილი, როგორ უნდა შეუწყოს ქალმა ხელი კაცის სექსუალური პოტენციის ამაღლებას, ათასი და კიდევ მეტი სისულელე ეწერა. თუმცა, სისულელე უძახე შენ და, ისეთი ჩვეულებრივი ამბები გამახსენა, როგორიც დილის ჯანსაღი, უნებლიე ერექცია და შარდვისას სიამოვნების შეგრძნებაა. თვალები ამიჭრელდა, ვერც კორექტურულ შეცდომებს ვამჩნევდი და ტექსტი შინაარსისგან სრულებით დაცლილად მეჩვენებოდა. ირგვლივ დიდი ალიაქოთი იდგა, რედაქცია სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, ფოტოგრაფი ბიჭი ჟურნალისტ გოგოს კერავდა, რეპორტაჟის ნე-

რას რომ მორჩები, ყავაზე დაგპატიუებო; სარეკლამო სამსახურის უფროსი ტელეფონით ლანძღავდა თამბაქოს მწარმოებელ მსხვილ კომპანიას, რა უსინდისობაა, ერთი კვირით დააგვიანეთ თანხის გადმორციხვაო; მძლოლი უაზროდ დადიოდა ოთახიდან ოთახში და ყველას ეკითხებოდა, ჩემთან საქმე ხომ არა გაქვთ, ცოლის დაბადების დღეა და სამსახურიდან დროზე ადრე მინდა წასვლაო. სტატიას კიდევ ერთხელ მივუბრუნდი, ფილოლოგის დიპლომი მავალდებულებდა, რიგიანად ჩამესწორებინა; თუმცა, რალა ფილოლოგი, ხელი უნებლიეთ მაგიდის ქვეშ ჩავაცურე და მომჩვარული მოვისინჯე. ერთადერთი სიტყვა ამომიტივტივდა თავში: დავილუქე! გამტყრებული მივაჩერდი მონიტორს.

ოთახში რედაქტორი შემოვარდა, სტატიის სწორებას თუ მორჩიო. გალიზიანებულმა მივუგდე, მერე რა, რომ ეს იდიოტური ჟურნალი ჩვენი ჰოლდინგისაა, სულაც არა ვარ ვალდებული, ვილაც სულელი ქალის ნაჯღაბნი ვასწორო, მით უმეტეს, რომ კორექტურა საქმეს ვერ უშველის, ხელახლა დასაწერია-მეთქი. რედაქტორმა თვალები აატრიალა, გაბრაზებულმა რალაც ჩაილაპარაკა და ოთახიდან გავარდა.

თავს ძალა დავატანე, ტექსტი კიდევ ერთხელ გადავიკითხე. ამჯერად ყველაფერი დალაგდა, სულაც არ ყოფილა სულელური და ცუდად დანერჩილი, ტყუილად გავლანძღე ავტორი, სტატია საქმის ცოდნით და საკმაოდ სხარტად დაენერა. ნეტავ რას ვერჩოდნი? ავტორი ქალი იყო და ალბათ, ამან გამაღიზიანა. აბა, როგორია, დღისით-მზისით ვილაც ქალი რომ აღმოგაჩენინებს, ფაფუ, დამთავრდა შენი კაცობა, დღეიდან იმპოტენტი გქვია და კარგად მეყოლე! რედაქტორის ოთახში შევედი, სტატია გავასწორე, ბევრი არაფერი სჭირდა და ახლა ის მითხარი, ავტორი ვინ არის-მეთქი. გავარკვიე, თურმე სექსოპათოლოგი ყოფილა და ქალთა უფროსისთვის შეკვეთით წერდა სტატიებს. ტელეფონის ნომერიც მინდოდა მეკითხა, მაგრამ რედაქტორისა მომერიდა. რალაც უაზრობა მოვიმიზეზე და რედაქციიდან კისრისტეხით გამოვევარდი, ჯიბეში მანქანის გასაღები მოვისინჯე. ნეტავ იმ ბედნიერ დროს, როცა სკოლაში ბიჭები ერთმანეთს "ჯიბის ბილიარდის" თამაშის გამო დავცინოდით. მანქანა ავტოსადგომზევე დავტოვე და ფალიაშვილს ფეხით ჩამოვუყევი. მე-9 საავადმყოფო აქვეა, იქნებ შემევილო, სექსოპათოლოგი როგორ არ ეყოლებათ? არა, ჯობია რომელიმე კერძო კლინიკას მივაკითხო, გვარიან ფულს ამახვევენ, მაგრამ სამაგიეროდ ანონიმურობა გარანტირებული მექნება. ის სულელური რეკლამა გა-

მასხენდა, მატლი გაჭირვებით რომ მოლოლავს და უცებ, ჯემს ბრაუნის სიმღერის ფონზე, მხნედ არიკინებული და თვითკმაყოფილი გამოსრილდება. თურმე რა ტყუილად დავცინოდი იმ საცოდავს, ხომ გადამხდა თავს, ნამდვილი მატლ ვარ და არა კაც. თუმცა, რეკლამის მატლი კი გამოძვრა გასაჭირიდან, აი, მე რა მეშველება? რა დროს ჩემი იმპოტენციაა, 32 წლის ვარ, ახლა უნდა ვინყებდე ცხოვრებას, ცოლი მომყავდეს, შვილებს ვაკეთებდე. სადღაც შორს, ტვინის კუნჭულებში დავინახე გაკრიალებული პატარა ფინური კოტეჯი, ფანჯრებში თეთრი, ნითელკოპლებიანი ფარდებია გამოკიდებული, მზიანი დილაა, მწვანე მდელოზე, სახლის წინ, ჩემი ცოლი ფუსფუსებს, თეთრი სარაფანი აცვია, მუცელი გამობერვია, მალე იმპობიარებს. უფროსი ბიჭი 4 წლისაა, ესმის, რომ დედა პატარა დაიკოს ელოდება და ცდილობს, დაეხმაროს. თეთრად შეღებილ უბრალო ხის მაგიდაზე საუზმეს შლიან, ფორთოხლის წვენით სავსე გრაფინი, მალალი, გამჭვირვალე ჭიქები, ახლადმოხარშული, ქაფქაფა ყავა, თეთრი ფაიფურის სარძევე, ტოსტერში დაბრანული პურის ნაჭრები, ნატურალური თაფლი, კარაქი – პატარა, ბლაგვპირიანი დანით... კმაყოფილი და გამომძინებული გამოვდივარ ვერანდაზე, ცოლი მიღიმის და ჰაეროვან კოცნას მიგზავნის, ჩემი ბიჭი მორბის “მამიკო, მამიკოს” ძახილით.

დავილუპე! ეს ყველაფერი სულელურ სარეკლამო რგოლად დამრჩება, მსგავსი არაფერი მეღირსება ცხოვრებაში. თუმცა, ჩემი სპერმით იქნებ ხელოვნურად გაანაყოფიერონ ჩემი მომავალი ცოლი, ბავშვები მეყოლება, მაგრამ სად გინდა იშოვო ქალი, რომელიც იმპოტენტს გაყვება ცოლად? ხომ ვამბობდი, დავილუპე.

ამასობაში უნივერსიტეტამდე ჩამოვალწიე. ქურთუკის ჯიბეში სიგარეტის კოლოფი მოვისინჯე. ამან დამლუპა, ამის ბრალია ყველაფერი, მორჩა, აღარ მოვწეე! რას წერდა ის ჭკვიანი ქალი? თუ შეატყვევო, რომ თქვენს პარტნიორს ერექცია შეუსუსტდა, შეეცადეთ, მოწვევა მიატოვებინოთო. ჰოდა, შევეცდები კი არა, აუცილებლად მივატოვებ. ოღონდ ხვალიდან. ერთი ღერი ამოვიღე და მოვუკიდე. უკულმა ჩამიღია სიგარეტი. აღარ მინდა.

– უკაცრავად, ხომ ვერ მომიკიდებთ? – სიმპატიური გოგოა, დაახლოებით 20-22 წლის, უბრალო, მამაკაცური პერანგი აცვია, მესამე ლილამდე შეუხსნია და დაახლოებით მეორე ზომის ძუძუები მოუჩანს. თხელი, შუაზე

გადაყოფილი თმა მხრებამდე სცემს. ჯიბიდან სანთებელას ვილებ, ჩხაკ, ერთხელ ჩამოვკარი, არ აინთო. მეორედაც - ისევ ვერა. ვწითლდები, გოგოს სიგარეტის ღერი პირში უდევს, ოდნავ წინ გადმოხრილა და მოთმინებით მელოდება. კიდევ ერთხელ ვცადე, ისევ უშედეგოდ. გოგო ხელს ხელზე მკიდებს და მოულოდნელად თამამად მართმევს სანთებელას, მერე ზურგს მაქცევს და ჩხაკა-ჩხუკს აყენებს. უშედეგო მცდელობებით გადაღლილი ჯინსებში ჩატენილი უკანალით ტკობობას აღარ მაცლის და გაბრაზებული მიბრუნებს სანთებელას.

- უკაცრავად, არ ვიცი, რა დაემართა, ალბათ, გაფუჭებულია. - მორცხვად ვუბოდიშებ. გოგო გამგმირავი მზერით მაჯილდოებს, მეოთხე ღილიც ჩახსნია, ძუძუები ლამის გადმოყაროს, აშკარაა, ლიფი არ აცვია. წელში გამართული ამაყად მშორდება.

კარგა ხანს დაბნეული ვდგავარ და ვუყურებ, როგორ მშორდება ჩემი სირცხვილის მომსწრე. მინდა დავენიო და აეუხსნა, რომ სულაც არ მინდოდა მისი გაბრაზება, რომ მზად ვარ ვემსახურო, იქვე ჯიხურში ვიყიდო ახალი სანთებელა და მოვუკიდო, მეტიც - მთელი კოლოფი სიგარეტი ვაჩუქო. მაგრამ გოგო უკვე შორსაა და ვიცი, არც არასოდეს გამოვედევნები, უბრალოდ, ეს ჩემი მორცხვად გამბედავი ფანტაზიებია და მეტი არაფერი.

ვარაზის ხევს ჩავუყევი. იმ ქალმა ხომ ურჩია თანასქესელებს, თქვენი მობერებულ-დაუძღურებული მაჩოები ფეხით ატარეთ, სისხლის მიმოქცევა გაუუმჯობესდებათ და ლოგინში ვულკანებს ამოგიფრქვევენო. ჰოდა, ჯანდაბამდე გზა ჰქონია ჩემს მანქანას, ამ კვირაშივე გავყიდი, სულ ფეხით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვივლი და იქნებ, მეც მემველოს. ნეტავ იმ დროს, ჩემზე უფროს, მანქანიან ბიჭებს რომ შევნატროდი, მაგათ რა უჭირთ, ნაშებს კუს ტბაზე საკუთარი მანქანით აიყვანენ და... ახლა მანქანაც მაქვს და საკუთარი ბინაც, მაგრამ რად გინდა.

ზოოპარკთან მძაფრი, უსიამოვნო სუნი მეცა. ეგ ზოტიკური ცხოველების განავალი გაზაფხულობით განსაკუთრებით ყარს. შესასვლელში ბუშტები, ნიღბები და სათამაშოები იყიდება. ქალები ბავშვებს ასეირნებენ. აქა-იქ კაცებიც გამოერევიან, შვილები ხელში აუტატებიით და წარბშეკრულები იხდიან მამის მოვალეობას. ნეტავ რა არ მოსწონთ, აი, ჩემს დღეში რომ იყვნენ, წარბის შეკვრა და მოშხამული გუნება მერე ენახათ. უნებლიეთ ჩემს თეთრსარაფანიან ცოლს დაეუნყე ძებნა. გამტერებული კარგა ხანს

ვიდექი, სანამ ტალახიანმა BMW-მ არ მომაჩერა ცხვირნინ და საყვირს გაბრაზებული "მოგიტყან ცოლ-შვილი" არ მოაყოლა. სახეზე სისხლი მომანვა, თუმცა, სანამ რაიმე საპასუხოს მოვიფიქრებდი, მძლოლმა აქსელურატორს მიაჭირა და გმირთა მოედნის ქვეშ, გვირაბში შეაქროლა მანქანა. მოიცა, იარე მაგ მანქანით, პირიდან სიგარეტი არ გააგდო და თუ ჩემს ჭკვიან სექსოპათოლოგ ავტორს დავუჯერებთ, ჩემს ცოლს კი არა, მალე საკუთარსაც კი ველარ მოტყნავ წესიერად! კმაყოფილი ავუყევი აღმართს.

მეორე დღეს სამსახურთან, მანქანების გაჩერებაზე გაბრაზებული დარაჯი დამხვდა, შემახსენა, სადღელამისოდ არ ვმუშაობთ და მეორედ თქვენი მანქანა აქ არ დატოვოთ, თორემ პასუხს არ ვაგებო. ბოდიში მოვუხადე, რა უნდა მექნა.

მთავარი რედაქტორის კაბინეტში შევედი, კარი გამოვიხურე და რატომღაც ხმადაბლა დავუწყე ლაპარაკი, თითქოს ვილაც გვისმენდა. ვთხოვე, დამატებითი ფული მჭირდება და იმ ქალთა ჟურნალის კორექტურა მე ჩამაბარეთ, სანამ კორექტორი გამოჯანმრთელდება-მეთქი. რედაქტორმა ინტერესით სავსე მზერა მომაპყრო, კალმით თავი მოიქექა და კეთილი, დამთანხმდა. გამოსვლისას შევატყევე, რალაცის თქმა უნდოდა და ყოყმანობდა. დავაცადე, ნახევრად მოეუტრიალდი და იმანაც გაბედა:

- ფული რაში გჭირდება, ცოლი ხომ არ მოგყავს?

- სხვა დროს გეტყვი, ძალიან სერიოზული ამბავია. - სასწრაფოდ გამოვვარდი ოთახიდან, რომ არ დაენახა, როგორ გავნითლდი.

დერეფანში მძლოლმა მეგობრულად ჩამკიდა ხელი მაჯაში და სამზარეულოსკენ გამიტაცა. სინითლემ გადამიარა.

- შენა, მანქანას ვყიდი და შემთხვევით ხომ არ გეგულება ვინმე? არაა ცუდ მდგომარეობაში, 1998 წლის გამოშვებაა...

- არა, არ მეგულება. მადლობა. - ხელი გამოვგლიჯე და ჟურნალისტების ოთახში დავბრუნდი. ფოტოგრაფი ბიჭი და ჟურნალისტი გოგო ერთ სკამზე ისხდნენ, თუმცა, გვერდზე კიდევ სამი ცარიელი სკამი იდგა. რალაც ფოტოებს ათვალეერებდნენ მონიტორზე, ბიჭს ხელი გოგოს ზურგსუკან გაეტარებინა და მაუსს გაჭირვებით სწვდებოდა. გოგო სულ არ ცდილობდა, წინ გადახრილიყო, ან თვითონ დაეჭირა მაუსი. ჩემი შესვლა არ შეიმჩნიეს.

კომპიუტერი ჩავრთე და გუშინდელ სტატიას დაეუბრუნდი. თათია ჭედა. ავტორის სახელს მხოლოდ ახლა დავაკვირდი. რამდენი წლის უნდა იყოს? ალბათ, ახალგაზრდაა, თუმცა, ძალიან ახალგაზრდა ვერ იქნება, სამედიცინო უნივერსიტეტებში ხომ სასწაულად დიდხანს სწავლობენ, მერე სანამ ლიცენზიას აიღებენ, წლები გადის. ეს კიდე უკვე პრაქტიკოსი ექიმი ყოფილა. ესე იგი, ძალიან ახალგაზრდა ვერაფრით ვერ იქნება. სახელიც რალაც ისეთი ქვია, ცუდად მოფიქრებულ ფსევდონიმს გავს – თათია ჭედა. გათხოვილია ნეტავ? სტატიას ეტყობა, მხოლოდ თეორიული ცოდნით რომ არ შემოიფარგლება ავტორის განსწავლულობა საკითხში. პრაქტიკა ჰქონია...

ფოტოგრაფმა ბიჭმა და ჟურნალისტმა გოგომ ვერც ჩემი შემოსვლა შეამჩნიეს და ახლა ისე გადაირივნენ, რომ ჩემი კლავიატურის კაკუნიც აღარ აფრთხობდათ. ბიჭმა მაუსს ხელი აუშვა, გოგოს მაისურის ქვეშ შეუცურა და ზურგზე, ლიფის შესაკრავის არეში დაუნყო ფერება.

ჰო, პრაქტიკა ნამდვილად აქვს, ალბათ, თავისი საქმის ექსპერტია. ბედნიერი ამისი ქმარი, არც თავს მოაბეზრებს და არც თვითონ მობეზრდება. რჩევა, იცოცხლე, სხვისთვის თუ ბევრი აქვს, სათავისოდ კიდე უფრო მეტი ეცოდინება. ტელეფონი ავიღე და მთავარი რედაქტორის კაბინეტის ნომერი ავკრიფე.

– ჰო, მე ვარ ისევ! – ხმამალა მომივიდა. ფოტოგრაფმა ბიჭმა ჟურნალისტ გოგოს მაისურის ქვეშიდან ხელი გამოუტურა და ისე შემომხედა, თითქოს აპარატი გავუხსენი და გაუმჟღავნებელი ფირი გავუფუჭე, – იცი, რა მითხარი, ამ თათია, მოიცა, რა გვარია, ხო, თათია ჭედას კონტაქტები გაქვთ? რალაც დასაზუსტებელია სტატიაში, ტერმინოლოგიაა სპეციფიკური და არ მინდა, შეცდომა გაიპაროს... ა, უკვე გაუშვით? როდის? გუშინ? მერე მე რატომ არ მკითხეთ? ა, ხო, მართალია... კი, ადრე წავედი... ხო, ვერ ვიყავი კარგად... კაი, არა უშავს, ისეთი სერიოზული არაფერია... მოიტა, აბა ნომერი, დავაზუსტებ მაინც, მომავალში გამოგვადგება... კი, ვინერ... აჰა, აჰა... სამოცდაშვიდი თუ ორმოცდაშვიდი? ა, გასაგებია... კაი, მადლობა.

ფოტოგრაფი ბიჭი ამასობაში ოთახიდან გასულიყო. გოგო ისევ იმ სურათებს ათვალეფრებდა. უცებ შემომიტრიალდა:

– გამარჯობა, როგორ ხარ?

ყველაზე რთული კითხვა. ჩემთვის. გავუღიმე.

– თუ გცალია ერთი წუთით, მომეხმარე რა, ფოტოები უნდა ავარჩიო.

ჰმ, კეთილი. გვერდით დავუჯექი. ერთ-ერთ ცარიელ სკამზე. იმ ბიჭის გადაღებული ფოტოები იყო. არც მთლად გადასარევი ხარისხის.

– გელასებია? ეგეთი გადაღებნილები არ გამოდგება. რა დაემართა ამ ბიჭს, სულ აუშვა.

– ეჭვიანობ? – მიწა გამისკდეს, თუ ვხვდებოდე, იმ წუთას ეს რატომ მკითხა.

– ბატონო?

– შენ გგონია, ვერ ვხვდები, რომ მოგნონვარ? და ახლა გელაზე ეჭვიანობ!

– საიდან მოიტანე? – როგორი მწირი ლექსიკური მარაგი მაქვს, სასწაულია პირდაპირ.

– ჰო, კაი, მომეჩვენა.

– არა, მთლად არ მოგჩვენებია, – გავუღიმე. იმ გახეთქილმა მიწამ თან ჩამიტანოს, თუ ვიცოდე, რატომ.

სალამოს ჩემს მანქანაში რომ ვსხდებოდით, ერთი პირობა გავიფიქრე, ფეხით ხომ არ გაგვესერიანა-მეთქი, მაგრამ სადგომის დარაჯი გამახსენდა.

სოფომ მანქანაში სიგარეტს მოუკიდა და კოლოფი გამომინოდა. მეც ავიღე ერთი ლერი. ანუ, კიდევ ერთი დღით გადავდე ყველაფერი, რისთვისაც აქამდე უნდა დამენებებინა თავი ან სხვანაირად მიმეხედა.

ჩემს სასტუმრო ოთახში, ტახტზე ზის. ნახევრად წევს, უფრო სწორედ. მზადაა. ვუნდივარ. შხაპი მჭირდება, დილით არ მიბანავია. სოფო ცოტა მთვრალია. თურმე მარტინიც ათრობს. მაგიდის მეტისმეტად გალაქულ ზედაპირზე თავის თავს ათვალეერებს. ადგომა ეზარება, თორემ სარკე იქვე კიდია, მოპირდაპირე კედელზე. სასაცილოდ, სადღაც ნასწავლი ჟესტებით, სექსუალურად ისწორებს თმას, მერე ისევ იჩეჩავს და ისევ ისწორებს.

– სოფო, შხაპში რომ შევიდე, ხომ არ გენყინება? – სხვა გზა არ მაქვს.

სოფო თანხმობის ნიშნად რალაცას კრუტუნებს და თმის სწორებას აგრძელებს.

საბაზანოს კარს შიგნიდან ვკეტავ. უფრო რეფლექსია, თორემ სოფო რომ არ შემომივარდება, ვიცი. თუმცა, ყველაფერია მოსალოდნელი.

სასწრაფოდ ვიხდი ტანსაცმელს და პირდაპირ მეტლახიან იატაკზე ვყრი. სასწრაფოდ, ტემპში. სოფო მელოდება. თავის დაბანა აუცილებელი არაა, მხოლოდ ტანი. ესე იგი, ზემოდან ქვემოთ. ყელი, კისერი, მხრები, ილიები, გულმკერდი, ზურგი, მუცელი. მომეჩვენა თუ უბრალოდ, ცხელი წყალი მესიამოვნა? ამაზე ფიქრის დრო არა მაქვს, სოფოს მობეზრდება ლოდინი და აღარ მოვუნდება. იქნებ აქვე მეცადა? ცხელი წყალი აშკარად მეხმარება. აბა, ჰე, მიდი! სააბაზანოს კართან ვილაც დგას, ვგრძნობ. არა, ნაბიჯების ხმა არ გამიგონია, მაგრამ ვგრძნობ, რომ სოფო კარებთან დგას და მეტიც -სადაცაა სახელურს მოქაჩავს. პირსახოცი სასწრაფოდ წელზე შემოვიხვიე, წყალი არ გადამიკეტავს, ისე გამოვედი კაბინიდან და კარებს ყური მივადე.

- შემოვიდე? - სოფოა. აბა, ვინ უნდა იყოს.

უკან ვიხევე. ვითომ არ მესმის. სოფო კარის სახელურს აწვალავს.

- რა იყო, ჩაიკეტე? - ეცინება. ესეც ნასწავლ სიცილს გავს. მეჩვენება, რომ სოფო სინამდვილეში სულაც არაა მთვრალი.

სასწრაფოდ გავიმშრალე ტანი, ნიფხავი ამოვიცვი, ისევ ის, რომელიც მეცვა და საკეტი გადავნიე. სოფო დგას. თითქმის შიშველი. მხოლოდ ლიფი აცვია. მეტი არაფერი. შემოდის. არა, კი არ შემოდის, პირდაპირ მახტება. კიდეც კარგი, უკან მიხედვას და მანძილის მოზომვას ვასწრებ. უნიტაზზე ვეხეთქები, სოფო კალთაში მიზის და გამეტებით მკოცნის მხარზე, რაც არ უნდა უცნაური იყოს. ხელებს ზურგზე ვხვევ და რასაც გელა დღისით ცდილობდა, მე ვასრულებ - ზურგზე ლიფის შესაკრავს ვუხსნი. სოფო მხრებით იკავებს ლიფს, ეტყობა, არ უნდა, რომ გაიძროს. ერთი წამით ჩერდება, ამღვრეული თვალებით მიყურებს და ახლა მეორე მხარზე მებრდღენება გამეტებით. ჩემი ტანსაცმელი ისევ იატაკზე ყრია. შარვალი ნახევრად დგას, რკინისბალთიანი ქაშარი ცალ მხარეს ექაჩება; ცალი ფეხსაცმელი ამოტრიალებულია, მეორეში ორივე წინდაა ჩაჩურთული; პერანგის სახელოები ისეა მოგრებილი, კიდეც კარგი, შიგ ხელები არ მაქვს გაყრილი, თორემ უეჭველად მომტყდებოდა. სოფო ჩერდება. ხო, ახლა ჩემი ჯერია. ტუჩებში ვკოცნი. მენტოლის გემო აქვს. ხელს მუცელზე მადებს და ქვემოთ მიაცურებს. მიაცუროს, კი ბატონო. ისევ ვკოცნი და ახლა გამოცდილი დეგუსტატორივით გემოების მთელ ბუკეტს ვარჩევ: მარტინი, სიგარეტი, მენტოლიანი კევი და შუადღეს ნაჭამი რაღაც კერძი. ვერ ვხვდები, რა. ცოტა ხახვიანი, უეჭველად. სოფო ცდილობს, ნიფხავი

გამხადოს. უნიტაზზე ოდნავ წამოვიწიე, ცალი ხელით სოფო მიჭირავს, მეორეთი ვეხმარები და ნიფხავი მალე ცალ ფეხზე მაცვია, მუხლს ქვემოთ. ფრთხილად, სოფო რომ არ შევანუხო ისე ვიქნევი ამ ფეხს, ნიფხავი არ მცილდება, ფეხის თითებზე გამომედო. სოფო ცალე ფეხს მალა ნეეს და შესაშურად იოლად მადებს მხარზე. მოქნილია. ვერაფერს იტყვი. ხო, ჩემი ჯერია. სოფო ცალი ხელით მარჯვენა ბარზაყზე მეყრდნობა, წონასწორობა რომ არ დაკარგოს, მეორე ხელს კი თავზე მკიდებს და თავისკენ მიზიდავს. თუმცა, სანამ ამ თამამ ნაბიჯს გადავდგამდე, სოფო მოულოდნელად დაბლა სწევს იმ ერთ ფეხს და მეტიც, საერთოდ იატაკზე ჯდება. თავი ჩემს მუხლებსშუა მოუქცევია, და ნელ-ნელა მიახლოვდება, თან ქვემოდან ზემოთ მიყურებს. ლამაზი ფორმის ნარბები აქვს. საერთოდ, ლამაზი გოგოა. სოფო მუცლიდან ნელა ჩადის ბოქვენამდე ენით და ჩემი ასოს წოვას იწყებს. სად წავიდა ცხელი წყლის ეფექტი. ვცდილობ, ლიფის ბრეტელები გადაეუნო, მაგრამ სოფო არ მანებებს. ცოცხალი თავით არ უნდა ამ ლიფის გახდა, ეტყობა. ახლალა ვამჩნევ, რომ თავსახურახდილ უნიტაზზე ვზივარ. ცივია ცოტა. სოფო გაჩეჩილ თმას ცალ მხარეს იწევს და ქვემოდან გვერდულად მიყურებს. რა ქვია ამ რაკურსს, არ ვიცი, მაგრამ ვხვდები, რომ სოფოს ცხვირიც ლამაზი ფორმისა აქვს. ხო, ნამდვილად ლამაზი გოგოა. კიდევ ერთხელ ვასკენი. ფეხი დამიბუჟდა. ფრთხილად ვდგები, სოფოს რომ არ შევანყვეტინო. სოფო მომყვება, ჯერ ისევ მუხლებზე დგას, მერე ფეხზე დგება და ორად მოხრილი აგრძელებს წოვას. 45 გრადუსიანი კუთხით ვუყურებ სოფოს უკანალს. ხელს ვინედენ და ვცდილობ, მოვეფერო, მაგრამ სოფო მოულოდნელად სწორდება, ჩემკენ ზურგით ტრიალდება და ჩემს ხელებს მუცელზე იხვევს. სახეზე მისი აჩეჩილი თმა მედება, რალაც ტკბილი სუნი ასდის. სოფო იატაკზე წამომჯდარ შარვალში დგამს ფეხებს და წინ იხრება, სარეცხ მანქანას ეყრდნობა ხელებით. დგას ასე ცოტა ხანს.

– ახლავე! – მეუბნება უცებ და საშხაპეში შედის. სანამ კაბინის კარს დახურავს, რალაცნაირად მიყურებს.

იატაკზე დაყრილ ტანსაცმელს ვკრეფ და თანმიმდევრობით ვიცვამ – ქვემოდან ზემოთ. ჯერ წინდებს, მერე შარვალს, მერე მაისურს და ბოლოს პერანგს. ფეხსაცმელები ხელში მიჭირავს. სააბაზანოდან გავდივარ.

კართან პატარა, გაპრიალებული აბრაა მიკრული წარწერით:
თათია ჭედია. სექსოპათოლოგი.

- მობრძანდით, - კაკუნზე მიპასუხა. კარი გამოვალე და ოთახში თამამად შევაბიჯე.
- დაბრძანდით, გისმენთ. - არ შევმცდარვარ, ძალიან ახალგაზრდა არ ყოფილა, ჩემი ხნისაა დაახლოებით.
- თქვენ ხართ ქალბატონი თათია?
- დიახ, - ოდნავ ელიმება. ხვდება ეს დამპალი, რომ მის ხელში ვარ, თორემ ასეთ კითხვას არ დავუსვამდი, კიდევ კარგი, თავხედურად არ მომახალა, აბრაზე სახელი ვერ წაიკითხეო.
- ესე იგი, სწორად მოვსულვარ. - ეს იმიტომ, რომ რალაც ვთქვა.
- გისმენთ, რა განუხებთ?
- არაფერი.
- ანუ?
- არაფერი. სექსუალური პრობლემები არ მაქვს.
- ჰოო...
- მართლა არ მაქვს. 32 წლის ვარ, მყავს მეგობარი ქალი, რეგულარულად გვაქვს სექსი... დილის ერექციაც მაქვს, დროზე ადრე არ ვათავებ, პარტნიორს ვაკმაყოფილებ, არ მაქვს არცერთი ვენერიული დაავადება, არც პროსტატიტი... ცოლის მოყვანას ვაპირებ, შვილებიც მინდა. ნუ, ამ საქმეს მალევე მივხედავ, ჯერ ცოტა ფულს დავაგროვებ.
- ჩემთან რატომ მოხვედით? - ისევ ელიმება. ცოტა სხვანაირად.
- თქვენ თათია ჭედია ხართ?
- დიახ! - ცოტა გამკაცრდა.
- ქალთა ჟურნალისთვის წერთ ხომ სტატიებს?
- დიახ! - ისევ მკაცრია, ცოტა დაიბნა.
- ჰოდა, აქ იმისთვის მოვედი, რომ გითხრათ, თქვენ წერა-კითხვა არ იცით, საშინლად წერთ, სტილის გრძნობა არა გაქვთ.
- ბატონო?
- ჰო, მე ჟურნალის კორექტორი ვარ. მართალია, დროებით, იმიტომ რომ ნამდვილი კორექტორი ავადა და დროებით ვასრულებ ამ მოვალეობას, მაგრამ მე ამასწინათ თქვენი სტატია გავასწორე, და არ შემძლია არ გითხრათ, რომ საშინლად წერთ. მეტიც - უგემოვნოდ.

- რატომ მლანძღავთ?

ელიძეა ამ დამპალს!

- არ გლანძღავთ, უბრალოდ, სიმართლე მნარეა და თვალებში უნდა ჩახედოთ. პატარა არა ხართ, ზრდასრული ადამიანი ხართ და რაც არ გეხერხებათ ან არ გამოგდით, აუცილებლად თავი უნდა დაანებოთ. ნუ გგონიათ, რომ რახან თქვენი სფეროს სპეციალისტი ხართ, თუმცა, ეს კიდევ საკითხავია, რამდენად კარგი სპეციალისტი ხართ, ამიტომ ძალიან ადვილად შეგიძლიათ ყურნალისთვის წეროთ. ეს მთელი ხელოვნებაა და თავს ნუ მოიტყუებთ, თქვენ ამ ხელოვნების არაფერი გაგეგებათ!

- დამშვიდდით.

აშკარად მოვებზრდი. ვერ ვაბრაზებ.

- ვერ დავმშვიდდები! ამ ყურნალს ქალები კითხულობენ..... ჩვეულბრივი, რიგითი ქალები და მე არ მინდა, თქვენ მათ უნიჭოდ დანერილი სისულელებით გამოუტენოთ თავი. ვერ ხვდებით, რომ თქვენი ნაჯღაბნებით მკითხველებს გემოვნებას უქვეითებთ?

- ჰოო?

ახლა ალბათ სიგარეტს ამოიღებს და მშვიდად გააბოლებს. გადამრეცს!

- დიახ!

- დიდი ხანია?

- რა არის დიდი ხანი?

- დიდი ხანია განუხებთ ეს პრობლემა?

- რაც თქვენი სტატია წავიკითხე, გუშინნინ, მას მერე გავიაზრე...

- სცადეთ?

- ვცადე, მაგრამ არ გამოვიდა... თქვენი სტატია არ მავინყდება, რამდენჯერაც გამახსენდება..

- საერთოდ არ გამოგივიდათ?

- არა.

- ბევრს მუშაობთ?

- თქვენისთანა ავტორების წყალობით ყურნალში საქმე ყოველთვის თავზესაყრელად გვაქვს.

- კეთილი, მოდი, მე რალაცას დაგიწერო ფურცელზე. თქვენ ეს ფურცელი თან წაიღეთ, სახლში მშვიდად წაიკითხეთ, წითელი კალმით ჩაასწოროთ და მოგვიანებით დამიბრუნეთ.

- ვითომ ეს მიშველის?
- თქვენ თუ არა, მე ნამდვილად მიშველის. წერას ვისწავლი, შეცდომებს აღარ დავეშვებ და ბოლოს და ბოლოს, აღარ შეგანუხებთ ჩემი სტატიების სწორებით.
- თქვენ გგონიათ, ამ პრობლემას ასე ადვილად მოეველება?
- დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ თუ ერთმა ფურცელმა არ გაჭრა, ისევ მოხვალთ ჩემთან და ყველაფერს გავიმეორებთ. - რეცეპტების ფურცელზე გამალებით შეუდგა წერას.
- გათხოვილი ხართ?
- რაში გაინტერესებთ? - წამით შეწყვიტა წერა და გაკვირვებულმა ამომხედა.
- არა, ისე...
- ზუსტად 3 წუთი წერდა. ბოლოს კალამს თავსახური ჩამოაცვა, ფურცელი მოხია და ღიმილით გამომიწოდა.
- არა ვარ გათხოვილი.
- ყოფილხართ?
- კი.
- თქვენს ქმარს მანქანა ჰყავდა?
- არა.
- მე მყავს...
- კარგი გამახსენეთ, შემთხვევით ხომ არ გეგულებათ, რომ ვინმე მანქანას ყიდდეს? ძველი იყოს, ბევრი ფული არა მაქვს.
- არ ვიცი, მაგრამ გავიკითხავ სამსახურში.
- წინასწარ დიდი მადლობა.
- არაფერს. ნახვამდის.

პირველივე აფთიაქში შევედი. ხომ ვამბობდი, კერძო კლინიკა ძვირი დამიჯდება-მეთქი, ჯობდა რომელიმე სახელმწიფო საავამდყოფოში მივსულიყავი, მანდ ძველებურ და იაფ წამლებს გამომიწერდნენ. არა, ფული ნამდვილად მჭირდება. ჯერ მკურნალობა, მერე - ცოლი, შვილები... ეხუმრები შენ?

თამთა მელაშვილი

სხვა ფერი

ახლაც კი, ის წუთები რომ მახსენდება, როცა პირველად დავინახე, ისეთ სიმძიმეს ვგრძნობ მკერდთან, – სუნთქვა მიძნელდება. ნინა მეუბნება, რომ ეს სიმპტომია, რომელიც თავისთავად გამივლის. ნინა ჩემი საუკეთესო მეგობარია. ზოგჯერ მჯერა მისი, ზოგჯერ იძულებული ვარ, მჯეროდეს. ნინა ამბობს, რომ მე დრო, სულიერი სიმშვიდე და წყნარი გარემო მჭირდება და რომ ორმოების ჩიჩქნა, ველური ქრიზანთემების დასარგავად, ჩემი დის ბაღაში, დიდი შვებაა. სადღაც შორიდან მესმის ნინას ხმა მობილურ ტელეფონში. ის ერთსა და იმავეს ისე მიმეორებს, თითქოს მლოცავს. და მე ვამბობ: – ჰო, ნინა. ჰო, დრო მჭირდება. ჰო, სიმშვიდე მჭირდება. ჰო, რალა თქმა უნდა, წყნარი გარემოც მჭირდება და ორმოებს ვჩიჩქნი.

სევდაა მისი გახსენება. სახლში მივდიოდი, ცარიელი თავითა და პროექტის ფურცლებით დატვირთული ხელებით. იგი კი ჰოლში, სარკის წინ მდგარი, ამაოდ ცდილობდა თავისი ცისფერი შარფის გათავისუფლებას, ზურგზე დიაგონალურად გადაკიდებული ჩანთის სახელურისგან. ალბათ მისი მსუბუქი მოძრაობები იყო, რამაც გამაჩერა, ან შეიძლება, მისი თეთრი ნაზი ხელები, ან იქნებ უხერხული, მაგრამ მაინც გრაციოზული მოძრაობები, რომელიც ასე მომეწონა. ცალი ხელით მივეხმარე შარფის გათავისუფლებაში. რა თქმა უნდა, მადლობა გადამიხადა და გამიღიმა. რა თქმა უნდა, მეც ზრიდლობიანდ დავუბრუნე ღიმილი. მახსოვს ის შეგრძნება, რომელიც გამეყვა. ვფიქრობდი, რომ უბედური ვარ, რადგან არსებობენ ასეთი მშვენიერი ქალები, მე კი მათ სადღაც, როგორღაც, რატომღაც იშვიათად ვხვდები და როცა ვხვდები, მათი ახლოს გაცნობის შანსიც კი არ მეძლევა.

მეორე დღეს ყელში ბურთი გამეჩხირა, როდესაც კოორდინატორმა იგი პროექტის ახალ მენეჯერად წარგვიდგინა. მივხვდი, რომ ხანდახან ჩემს ცხოვრებაშიც ჩნდება შანსები... ოღონდ, ყელში გაჩხერილი ბურთების სახით. ვერ მიცნო.

- ო, ღმერთო, ვინ ჯანდაბა იმახსოვრებს ყველა გამვლელს, ვინც ოდესმე ჩანთის სახელურის გამოხსნაში მიხმარებია?

- ჩანთის არა, შარფის გამოხსნაში.

- არა აქვს მნიშვნელობა, - ნინა გაბრაზებული ჩანდა.

- მინდოდა, უბრალოდ დავმახსოვრებოდი. ისე, როგორც მე დამამახსოვრდა. მაგრამ მართალი ხარ, არა უშავს, ყველაფერი კარგადაა, - ფარხმალი დაეყარე, როცა ნინას სახეს შევხედე.

„ეჰ!“ - მივანერე იმ დღეს კედლის კალენდრის უკანა მხარეს.

წარმოშობით ბელგიელს, როგორც გავიგე, ერთ ადგილას არასოდეს უცხოვრია. არ ვიცი, რა დარჩა ამ ღვთისგან მივიწყებულ ქვეყანაში? თუმცა, ერთ-ერთი იმ უცხოელთაგანი იყო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომლებიც, როგორც წესი, ღვთისგან მივიწყებულ ქვეყნებს არ ივინყებენ.

კვირაში ორჯერ ვხვდებოდი ჯგუფის კრებებზე. ხანდახან უფრო ხშირად, თუკი საპირფარეოში ან ჰოლში შემთხვევით გადავანყვებოდი. ეს ის დრო იყო, როდესაც საბოლოოდ დავშორდი ქალს, რომელიც მიყვარდა. ან იქნებ, არც მიყვარდა. ბოლოს, იმდენად გადავიღალეთ ჩვენი ფარული ურთიერთობითა და ერთმანეთით, რომ მისი მოულოდნელი გადანყვეტილება - ცოლად გაყოლოდა ვიღაც იდიოტს - არც კი გამკვირვებია. გამომშვიდობებისას, მითხრა, რომ ამ ქვეყანაში ლესბოსელობა ძალიან ძნელია.

- ყელში მაქვს უკვე... ნორმალური ცხოვრება მინდა, - ჩამჩურჩულა გასასვლელში და ლოყაზე მაკოცა. მისი წასვლის მერე სახლი სულ დაცარიელდა, მაგრამ თავი დავარწმუნე, რომ ყველაფერი კარგადაა, ცხოვრება გრძელდება და მეც მზად ვარ, რომ რალაც ახალი მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, რალაც დაუფინყარი და განუმეორებელი, რისი ახსნაც ვერასოდეს შემეძლო, სამაგიეროდ, ყოველთვის მზად ვიყავი, შემეგრძნო.

გაზაფხული უცებ მოვიდა. კრებაზე პროექტის ბიუჯეტს ვიხილავდით. უცაბედად მოვარდნილი წვიმა ქუჩებს რეცხავდა. მეხის ხმაც ისმოდა საიდანაც, შორიდან. ყველანი თავს იმტვრევდნენ ბიუჯეტზე, რაღა თქმა უნდა, ჩემ გარდა. თოჯინასავით, გაუნძრევლად ვიჯექი და სახურავზე წვიმის წვეთების ხმას ვუსმენდი. ის კი გულომოდგინედ იქექებოდა ფურცლებში, სახეზე ჩამოშლილი თმა ნახევრად უფარავდა პროფილს, თავისი ულამაზესი თეთრი ხელებით აქტიურად ფურცლავდა ქალღმერთებს. უცებ

ისეთი აღუწერლად ძლიერი მიზიდულობის გრძნობა გამიჩნდა მის მიმართ, რომ ცუდად გავხდი. როგორც იქნა, გამოვუტყდი საკუთარ თავს, რომ მიყვარდა. ეს ქალი იყო ჩემი აჩქარებული პულსის, ლამით სასტიკი და უმიზეზო ოფლიანობისა და უცნაური სიმზრების მიზეზი. მივხვდი, რომ დიდი ხანია, მიყვარს, დავინახე თუ არა, იმ დროიდან მიყვარს და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი გრძნობების დათრგუნვა ინვევდა სწორედ აჩქარებულ პულსს, ღამეულ არანორმალურ ოფლიანობასაც და უცნაურ სიზმრებსაც... გაღვიძებისათანავე ერთიჯ რომ აღარ მახსოვდა.

– არ ვიცი, რა გირჩიო, – მითხრა ნინამ. სახეზე გალიაში გამომწყვდეული ჩიტის გამომეტყველება ედო.

სრულიად არარეალურად მეჩვენებოდა, საკუთარ გრძნობებში გამოვტყდომოდი. რაც ჩვენი ჯგუფის უფროსი გახდა, იქედან მოყოლებული, ისეთ მკაცრ სუბორდინაციას იცავდა, რომ არავის აზრადაც არ მოსვლია, შენინააღმდეგებოდა, ან თუნდაც კითხვის ნიშნის ქვეშ დაესვა ასეთი იერარქიულობა. მისი ჩვენდამი დამოკიდებულება უფრო პროფესორისა და სტუდენტების ურთიერთობას წააგავდა. არანორმალური ტემპებით ვმუშაობდით, ყოველთვის ვითვალისწინებდით მის რეკომენდაციებს. ხანდახან მომწონდა კიდევ ასეთი დიქტატორული რეჟიმი, მაგრამ მისი სიმკაცრე და ოფიციალური დამოკიდებულება ყველასა და ყველაფრისადმი, უფრო აღრმავებდა ჩემს ჭრილობას. არანაირი შანსი არ მქონდა, დავახლოვებოდი. მისი ცხოვრებიდან რაღაც დეტალებიც გავიგე: ჰყავდა ქმარი, ორი მოზრდილი ვაჟი და კატა. სამივე მათგანი დროგამოშვებით ეწვეოდა ხოლმე სამსახურში, რა თქმა უნდა, კატის გარდა, რომელიც ადგილობრივი წარმომავლობისა გახლდათ. ალბათ, რიგითი, საშუალო ასაკს მიღწეული ქალის ცხოვრება ჰქონდა, რომელიც უცხო ქვეყანაშია და მუშაობს, მონოტონურ შაბათ-კვირას ატარებს თავის უცხოელ კოლეგებთან, ვინ იცის... საშინლად ვგრძნობდი თავს. ჯანმრთელობა უფრო და უფრო მიუარესდებოდა და, რაც მაგიჟებდა, ეს იყო სრული სასონარკვეთა — უბრალოდ, არ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი! მუშაობაც თანდათან უფრო გაუსაძლისი გახდა. უფრო მეტად გაუსაძლისი კი, მის გვერდით ლიფტში დგომა აღმოჩნდა, როცა მისი სუნამოსგან წამოსულმა სიტკბომ თავბრუ დამახვია. ველარ გაეძელი და შევეხე. გული იმდენად ხმამაღლა მიცემდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ ორ მელოტ კაცს, რომელიც ჩვენ წინ, ლიფტში იდგა, დავაყრუებდი. ისევ მისმა ფართოდ

გახელილმა თვალებმა მომიყვანა აზრზე, სადაც წამებში ერთდროულად ამოვიკითხე განცვიფრებაც, მოულოდნელობაც, დაბნეულობაცა და გალიზიანებაც.

– ო, ღმერთო, ნუთუ ჰომოფობია? მეგონა, ეს ევროპელები უფრო გონებაგახსნილები იყვნენ. მოკლედ, ფრთხილად უნდა იყო. ფრთხილად უნდა იყო მასთან, ყველასთან. თუ შენი ორიენტაციის შესახებ გაიგებენ, ზედმეტი თავის ტკივილი გექნება, მეტი არაფერი, – ნინას მკლავებში ბოლო ხმაზე მოვთქვამდი. ნინა კი ციფლობდა, ჩემში სინათლე და ნესრიგი შემოეტანა.

ზედმეტი თავის ტკივილი მეორე დღესვე გაჩნდა. ლანჩის შემდეგ შეხვედრა დამინიშნა. სამჯერ გავათავე სიცოცხლე, ვიდრე მისი კაბინეტის კარს შევალბდი. იმის უნარიც არ მქონდა, ნინასთვის დამერეკა. გამამხნევებდა მაინც. ისეთი მშვიდი იყო, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. მაშინ კი ვიფიქრე, რომ ჩემს შეხებაზე მისი რეაქცია შეიძლება სულაც ჩემი არაჯანსაღი წარმოდგენის ნაყოფი იყო, ან, შეიძლება, სულაც მე ვაზვიადებდი ყველაფერს. მითხრა, რომ არ მოსწონდა ჩემი მუშაობის დონე, განსაკუთრებით, ბოლო კვირების განმავლობაში. მითხრა, რომ ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებდი და ამ ქვეყანაში ჩემი შეცდომების კორექტირების მაღალი მისიით არ ჩამოსულა. ისტერიკამდე ერთი ნაბიჯილა მაკლდა. მე მგონი, ჩემს ნაშლილ სახეზე ყველაფერი ნაიკითხა, მიუხედავად იმისა, რომ საუბრისას რალაცნაირად თვალს მარიდებდა. შემდეგ კი ტონი ოდნავ შეარბილა და თქვა, რომ მეგობრულად მიჩვენებს, უფრო მეტი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოვეკიდო საქმეს. თავი დავუქნიე, ლაპარაკი არ შემეძლო. მერე კი ერთი საათი მოვთქვამდი საპირფარეშოში. იქვე მივიღე გადაწყვეტილება, ერთკვირიანი შვებულება ამელო, მაგრამ მალევე მომიხდა გადაფიქრება. მთელი ჯგუფი კვირის ბოლოს საკუთარ დაბადების დღეზე მიგვიწვია.

გარდერობის წინ მთელი ერთი საათი გაუნძრევლად ვიდექი და ვფიქრობდი, რა ჩამეცვა. ბოლოს არჩევანი ღია ნაცრისფერ კაბაზე შევაჩერე. როცა მის ქმარს, რომელიც პირადად გამაცნო, თვალებში შეეხვდე, მივხვდი, რომ ჩემი კაბისა და ამ კაცის თვალების ფერი არნახული სიზუსტით ემთხვეოდა ერთმანეთს. ორივე რალაცნაირად მქრქალი, უფერო, მონოტონური იყო. ის კი ძალიან ბედნიერი ჩანდა, უფრო მეტად ლამაზი

იყო, ვიდრე ოდესმე. ვუყურებდი, როგორ ეხვეოდა მეუღლეს და უფრო მეტად ვგრძნობდი, რა შორს იყო ჩემგან. გავიფიქრე, რომ დასასრული მოვიდა. მეორე დღეს დილით განცხადება შევიტანე სამსახურიდან წასვლის თაობაზე. ყველა ფართოდ გაღებული თვალებით შეხვდა ჩემს გადაწყვეტილებას.

შუადღისას კორპორაციულ მიწაზე წერილი გავუგზავნე. ვუთხარი, რომ არასოდეს ჰქონდა აზრი, გამომეხატა ჩემი გრძნობები მის მიმართ... ვუთხარი, რომ არც არასდროს მქონია ძალა, ეს გამეხედო... ვუთხარი, რომ ჩემი წასვლა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო... და რადგან მივდიოდი, ვუთხარი... რომ მიყვარს.

ჩანთაში ჩავეყარე ყველა ჩემი ნივთი და წასვლამდე, კიდევ ერთხელ შევამოწმე ფოსტა. საფოსტო ყუთში სხვა დანარჩენ უშინაარსო და მოსაწყენ წერილთან ერთად მისი პასუხიც იყო. რაღაც მაზოხისტური სიამოვნებით ვუყურე გაუხსნელ წერილს რამდენიმე წუთის განმავლობაში...

და გაუხსნელადვე წავშალე.

გადავწყვიტე, ცოტა ხნით დასაველეთში, ჩემს დასთან წავსულიყავი, ზღვის სანაპიროზე; ჩემი პატარა დიშვილისთვის მომეწლო, ბაღში მემუშავა, სალამობით კი წიგნები მეკითხა. რამდენიმე კვირის წინ უცხოური უნივერსიტეტის სტიპენდია მოვიგე. სექტემბერში წავალ.

„სექტემბერი მალე მოვა. ხომ მალე მოვა?“ – ერთი ხელით მოკლე ტექსტურ შეტყობინებას ვკრეფ, ხოლო მეორეთი ქრიზანთემებს ვრწყავ.

„მალე მოვა, აბა რა...“ – ნახევარი საათის მერე მპასუხობს წინა, – „ბოდიში, უცებ ვერ გიპასუხე, დაკრძალვაზე ვიყავი.“

მიშა ბახსოლიანი

რეალური სიზმრები

(პროექტიდან დიდი ძილი)

ადრე მანეკენად ვმუშაობდი. მშვიდად ვიდექი განათებული ვიტრინაში და მარტო ფეხებზე მციოდა. იმდენ ხანს ვიდექი, მოვიპოვე უფლება, ვიყო უსარგებლო. უკვე შემიძლია ვიძინო და სიზმრები მოვიფიქრო. სანამ ამანუობდნენ, მასწავლეს, რომ დიდი ძილისთვის მხოლოდ შვიდი სცენარია საჭირო და კიდევ ერთი პერსონალური სცენარი სიზმრისთვის, რომელიც პარასკევს ექვსიდან შვიდის ნახევრამდე დამესიზმრება...

ორშაბათი – სახლის დღე

(შთაგონება საკუთარი თავისთვის, რომელთანაც დიდი ხანია არ მიმეგობრია)

ჩანექი ვანაში და ჩაიტანე შენი დალლილობა. ჩაიტანე იმ სიღრმემდე, რომ პატარა ბუშტუკად ქცეულმა ამბავმა წყლის ზედაპირამდე ვერ ააღწიოს და გასკდეს თვალებთან, რომლებსაც ქლორიან წყალშიც კი ეზარებათ ბოლომდე დახურვა და ჯიუტად აკვირდებიან ფეხის თითებს. აიძულე ისინი გაიხსენონ, რომ დაიღალე, ძალიან დაიღალე...

სიზმარი ორშაბათისთვის

არ არსებობს არავითარი საქმე, არანაირი სამუშაო.

არ არსებობს მალვიძარა საათი და საათზე ზუსტი დროით მოძრავი მემანენე დილის კივილებით.

არ მყავს შვილები, ან თუ მყავს, იმდენად მალლები და ლამაზები არიან, რომ უკვე დამივიწყეს და ახლა მხოლოდ მათ შვილებს თუ გავახსენდები საახალწლოდ.

აჰა

ორშაბათი საუკეთესო დღეა იმისთვის, რომ თავი ვინმეს ბეზიად წარმოვიდგინო. ჩავიცვა ფუმფულა, ლურჯი ხალათი და თმის ვარცხნა დავინწყო. თმა მობერებული სახის ერთერთი უკანასკნელი „ნავაროტკაა“, ის ისევ მუქი ნაბლისფერია და ძალიან, ძალიან გრძელი. რომ არ მეზარე-

ბოდეს, შემიძლია დაენნა და ფანჯრიდან გადავკიდო. ქვემოთ ისევ ის სკამი დგას, სადაც ზუსტად იგივე პენსიონერები წვანან, რომლებთანაც ცხრამეტ წლამდე „ვზასაობდი“ და თან ზუსტად ისეთივე იმედგაცრუებულები არიან... ისეთივე, როგორც მათი მამები, რომლებიც ისევე ვერ შედგნენ პრინციპად, როგორც იმათი მამები...არა...ძალიან მეზარება... თორემ ერთ მათგანს მაინც შევეუქმნინდი ილუზიას და ვიავრით გაჭყეპილს ზუსტად იქ მოვკლავდი, სადაც საერთოდ პრინციპები უნდა კვდებოდნენ ხოლმე...არა...პატრული უფრო მეზარება...მოვლენ და ეძებენ ყველა ჯიბეში ვიბრატორებს მარად მიტოვებული ცოლებისთვის...ტფუ...ჯობია პომადა ვიპოვო და მაგიდაზე საუზმე დავხატო...

მორალი: როდესაც ძალიან დაღლილი ხარ გრძელი სიზმრის ნახვა ისეთივე მარაზმია, როგორც “ქალაღდის ტყვიის” ორჯერ ყურება...ტფუ,... საერთოდ ყურება...

სამშაბათი – დღესასწაული

ძირითადად სამშაბათობით ვიბადებით

და არ არსებობს წვიმიანი სამშაბათი

სამშაბათი კარგი დღეა კარების გასაღებად და სახლში უცნობების შემოსაშვებად. ისინი აუცილებლად გახდებიან ჩვენი ძილისმიერი მეგობრები და ჩვენი სიზმრების მუდმივი პერსონაჟები.

ამიტომ ყველა სამშაბათი უქმეა.

სიზმარი სამშაბათისთვის:

დღესასწაულია.

მშობლები ბაზრიდან ბრუნდებიან და მოაქვთ სათამაშო აირწინალები, ორი კილო სიხარული და ნუგა.

– არ შეიძლება ყოველთვის ამით მოგონილ პაერს სუნთქავდე – ამბობს დედა და ნილბიან თავზე მეფერება.

მამა ნუგას ანკესის კაუჭზე ამაგრებს და ცდილობს დაიჭიროს ის, ვინც პომიდვრის ჩითილებში ყველაზე კარგად იმალება.

არსებობს ძმაც, რომელიც ძალიან ბედნიერია. ის პირველად ესწრება სამშაბათს და რძის მაგივრად სიხარულის იმ ნამებს ჭამს, რომლებიც ასე უხვადაა გაბნეული დღესასწაულით გაჯერებულ დღეებში და ისეთი სიხშირით იცინის, რომ საათში თოთხმეტ გრამს იკლებს...

ჩვენ გვაქვს ჩვენი პერსონალური მზეც, რომელიც დედამ იმ რადიოაქტიური სხივებისგან მოქსოვა, რომლებმაც უკანასკნელი ჩართვის დროს მთელი გულუბრყვილო მსოფლიო შემოირბინეს. აი იმ დღეს, როდესაც ელექტროობამ უკანასკნელად გაანათა ჩვენი და თქვენი სახლები, როდესაც მაო-მაო და მისი მეგობრები სამუდამოდ გაქრნენ ჩემი სპეისიდან, როდესაც ფიორენტინა იუვენტუსის მატჩი ზუსტად მეცხრამეტე წუთზე შეწყდა...იმ დღეს მამას ტუჩებთან მიტანილი ყიქა ხელიდან გაუვარდა, მეზობლის კატა გაჭალარავდა, ჩემი მოყავისფრო თვალები კი ჯერ გაყვითლდა, მერე კი რატომღაც გათეთრდა.

ჩვენ გვაქვს დღესასწაულისადმი მიძღვნილი პატარა საგალობელი, რომელსაც მამის გასამხნეველად ვმღერით და ისიც უფრო ადვილად ახერხებს იმის დაჭერას, ვინც ზედმეტად კარგად იმალებოდა პომიდვრის ჩითილებში.

ახლა შეგვიძლია დავსხდეთ და ვისადილოთ...

ერთად...

ჩვენც და თქვენც,

თქვენც

თქვენც

და თქვენც ვინც ვერაფრით მოახერხეთ იმათი დაჭერა, ვისი ჭამაც შეიძლება...

მორალი: მაძლარ ადამიანს სიზმრის ის ნაწილი ამახსოვრდება, რომელიც აწყობს, მშიერს - რომელიც მაძლრებს აწყობთ.

ოთხშაბათი - განშორების დღე

ოთხშაბათი არის დღე, როდესაც მიდიხარ.

თუ ჩაფიქრდებით გაგახსენდებათ, რომ ყოველი თქვენგანი სახლიდან ოთხშაბათს წავიდა, ან უფრო უარესი, გაიქცა და ის, ვინც ჯერ კიდევ სახლშია, უბრალოდ თავის ოთხშაბათს ელოდება...ისევე როგორც ყველა ნასული ელოდება ორშაბათს, რომ დღესასწაულამდე ერთი დღით ადრე სახლში დაბრუნდეს და ცხელი შხაპის ქვეშ შემდგარმა მოინანიოს ის, რაც ვერაფრით ჩაიდინა.

ოთხშაბათი ექსტრემალური დღეა. ძირითადად ცივი და ნვიმიანი, რადგან სახლიდან გასვლის მომენტში ჯერ კიდევ თბილმა ზურგმა დაიმახსოვროს უკან დასაბრუნებელი გზა...

ოთხშაბათს ყველაზე ხშირად ცვლიან საკეტებს, რათა უკანდაბრუნებულები სახლში დაუკაკუნებლად არ შევიდნენ.

და მაინც ოთხშაბათი ყველაზე იმედიანი დღეა.

ოთხშაბათის სიზმარი

ისევე როგორც ყველა ავტობუსი, ესეც ქუჩაზე დგას. ისევე როგორც ყველა ქუჩა, ესეც მოძრაობს. კარგია მგზავრობა როდესაც ყველას გგონია, რომ გძინავს და სადღაც მიდიხარ. რადგან როდესაც ახალი ნასული ვარ, აზრი არ აქვს, სად მივალ. რასაც გავექეცი, იმაზე მოსანყენი არაფერია და თან ვიცი რომ არსებობენ თეთრი ოთახები, იქამდე მისავლელი გზები კი იმის ხელისგულებიდან უნდა ვაკოპირო ვისაც ვერც ერთმა ქირომანტმა ვერ აღუთქვა კარგი მომავალი და შეშინებულმა ხურდაც კი არ გამოართვა...

და ასეცაა ვაკოპირებ და მივდივარ

ნესით ამ შესახვევში ჩემი სიცოცხლის ხაზი სიყვარულის ხაზმა უნდა გადაკვეთოს და ხანმოკლე ბედნიერება აღმითქვას

და ასეცაა... პირველივე შემხვედრ სილუეტს ჩუმად ვეპარები, ყურთან ვკოცნი და გზას ვაგრძელებ

შემდეგ შესახვევში უნდა შეგვეშინდეს, ეს ყველაზე სტანდარტული სიტუაციაა, იმიტომ კი არა რომ ასეა საჭირო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ბავშვობის ქალაქები ყოველთვის სავსეა სიბნელებში საშიში ხალხით და ჩვენი ბავშვობის ქალაქებში ღამით ყოველთვის ბნელა. ისინი მოგვსდევენ, ჩვენ გავრბივართ, ესეც სტანდარტული სიტუაციაა, უბრალოდ ფეხქვეშ მწვანე მინდვრის ნაცვლად ატალახებული ასფალტია, რომელიც უფსკრულის მაგივრად თეთრი ოთახით მთავრდება.

თეთრი ოთახი-ადგილი, სადაც ვერაფრით შეხვალ თეთრ კარებს თუ არ მოუსმინე

ის კი ამბობს:

„გამიკეთე შუბლზე ფანჯარა

გამოხსენი

ჩაიძირე ხვეულების სიღრმეში

ჩაყვინთე ფსკერამდე

მოძებნე ის, რაც აღარ მოჩანს შენს თვალებში

მოძებნე შენს ტვინში...”

და ვხვდები

თეთრი ოთახი არაფხიზელი მდგომარეობაა

ვიძირები ალკოჰოლის სიმსუბუქეში

და ვხვდები

თეთრი ოთახი არაფხიზელი მდგომარეობაა

სადაც გვიყვარს ერთმანეთის სინქრონული სუნთქვა, ფეხის თითები-დან შუბლამდე ენით ბორიალი, სადაც ერთმანეთის ტუჩებზე დარჩენილ ალკოჰოლის ნვეთებს ნაზად ვლოკავთ და სადაც კოკაინის მტვერი ისეა შერჩენილი შენს ნესტოებზე, როგორც პეპლები კალენდარზე, რომელსაც ყველა თბილი დღე ჩამოახიეს...

და მაინც

დილით ჩვენ ვერ გავიგებთ ერთმანეთის სახელებს და ტელეფონის ნომრებს.

დილით ჩვენ გავყვებით უიღბლოთა ხელისგულებიდან დაკოპირებულ რუკებს და ნავალთ სხვადასხვა მიმართულებით

მორალი: ძილის დროს პოლუცია ნორმალური მოვლენაა და თუ ადამიანს სამოცი წლის ასაკში შეუძლია სიზმრისეული ორგანიზმის მიღწევა, მაშინ ხშირად უნდა იძინოს და კარგი სარეცხი მანქანა იყიდოს.

ხუთშაბათი – თაღლითების საყვარელი დღე

ხუთშაბათი ამბიციური დღეა. უმუშევარი სუბიექტები ყველაზე ხშირად სწორედ ხუთშაბათობით ვკითხულობთ „სიტყვა და საქმის“ ძველ ნომრებს, რათა ოთხჯერ მაინც ვთქვათ: – ნახე ოფისმენეჯერის ვაკანსიაა... შემდეგ კი ვრეკავთ უცნაურ ნომრებზე, რომლებზეც სწორედ იმათი მდივნები გვპასუხობენ, ვინც უკვე აითვისა ჩვენი ვაკანსიები და გვპასუხობენ, რომ დავიგვიანეთ. ამიტომ ოთხი საათის შემდეგ ხუთშაბათი ტრანსფორმირდება ყველაზე თაღლითურ დღედ... ნუ შეგვხვდებით ხუთშაბათობით თუ არ შეგიძლიათ გვასესხოთ ფული ან გვიყიდოთ ჩუპა-ჩუპსები, რომ გავჩუმდეთ და მშვიდად ვიაროთ თქვენ გვერდით ან იმის გვერდით, ვისაც აღარ ახსოვს, რომელ ჯიბეში აქვს სიგარეტი და შენ გთხოვს... ისევე ჩვენ გვერდით ხარ? მაშინ დაგერხა, მოგინევეს ისმინო ყველაზე თაღლითურ-ტრაგიკული ისტორიები, რაც გაიძულე და დაალომბარდო როიალი, ან საკერავი მანქანა... დღეიდან შენ სხვა მანქანით ისწავლი კერვას და სხვა

მუსიკას დაუკრავ...დღეიდან შენ ჩარჩები...

ყველა, ვისაც ხუთშაბათობით ვიცნობთ, დღესაც უბედურია.

ხუთშაბათის სიზმარი

შუქის ანთება არ ღირს. ჩუმად ვხსნი კარებს და კიბეებზე კატასავით მივიპარები. საკმაოდ სწრაფი ვარ და რუხი, ამიტომ მევეალებს მისალმების შანსსაც არ ვუტოვებ. ერთი ხანგრძლივი სიზმრის განმავლობაში, თუ ასჯერ შეუმჩნეველად გახვალ სახლიდან, ყველა იფიქრებს: – მოხია ჩათლახმა, სხვაგან გადაცხოვრდა...შემდეგ ეს ყველა დამიკიდებს და არასდროს მომძებნის იქ, სადაც ვიქნები...ახლა შემიძლია ვიპოვო პომადა და დავხატო ვახშამი.

მორალი: ვინაიდან და რადგანაც ვაჭრობის განვითარებას ხელს უშლის ხუთშაბათობით მორალი არ არსებობს, სამაგიეროდ ქისაში უკვე ყრიან ვერცხლი მონეტებს და ბუტბუტით ითვლიან ერთი...ხუთი...თოთხმეტი...ოცდასამი...

პარასკევი – იმედგაცრუების დღე

პარასკევი დიდი მზადების დასაწყისია. დღე, როდესაც მეგობრებთან ერთად ზიხარ და ცდილობ ის უამრავი ნახაზი, რომელიც ერთი ხელიდან დაკოპირდა, საერთო სქემად გადააქციო, მაგრამ არაფერი გამოგდის. პარასკევი დიდი მზადების დასაწყისია, უკანასკნელი გაფართხლება, რომელიც თეთრ ოთახში ერთობლივი დაბრუნებით მთავრდება....თუ გიფიქრიათ რომელ დღეს შეიქმნა ღმერთი?...ალბათ პარასკევს, როდესაც ჩვენი შორეული წინაპრების თეთრ ოთახში იმდენი დეპრესიული უფოლოგი შეგროვდა, რომ მათმა აურამ ოთახის ენერგეტიკასთან ერთად წარმოქმნა ყველაზე დიდი ტკივილგამაყურებელი სუბსტანცია – მონყალე ღმერთი...

პარასკევის სიზმარი:

ახლა სირბილი აღარ მჭირდება. უკვე ვიცი ყველა მოკლე გზა და სიბნელებშიც ინსტიქტურად ვგრძნობ უხიფათო შესახვევებს. თეთრ კარებთან მისული აღარაფერს ვუსმენ, უბრალოდ ვხსნი და შევდივარ... არავითარი სიახლე, არავითარი მოულოდნელობის შეგრძნება...ისიც კი მახსოვს, რომელი მუსიკის შემდეგ უნდა ვისროლო თაროსკენ ჩანთა, რომ ვითომ

შემთხვევით ტაბლეტები გადმოიყაროს, მახსოვს როდის უნდა გავტეხო ჭიქა, როდის ვიგრძნო დროებითი სიმსუბუქე და როდის გავითიშო, მახსოვს რამდენი შემოღანუნების შემდეგ უნდა გავახილო თვალეები, მერე სმა განვავარძო და მომავლის კულტურაზე ვილაპარაკო. მახსოვს ვისი გაჟიშვა შეიძლება და ვისთან ერთად გავლიძება ყველაზე სასიამოვნო, ბოლოს და ბოლოს მახსოვს ოცამდე სახელი და დაახლოებით ამდენივე ადამიანის ფიზიონომიას ვასხვავებ სხვებისგან...ეს ძალიან ბევრია...უკვე იმდენი რამე მახსოვს, რომ ცუდად ვხდები...უკვე იმდენი რამე ახსოვს ამ ხალხსაც, რომ ისინიც ცუდად ხდებიან...თუ ზემოდან დახედავ ოთახს, აღმოაჩენ რომ ყველანი ცუდად ვართ და ჩვენი ენერგოიმპულსები ჩვენგან დამოუკიდებლად ეძებენ გამოსავალს...

მორალი: ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც არასაგანგებო, არაფხიზელი ცხოვრების წესით ცხოვრობს, ხშირად მხოლოდ სიზმარში ხედავს და აცნობიერებს იმას, რასაც წესით დაძინებამდე უნდა ხედავდეს.

სპეციალური სიზმარი პარასკევისთვის

(ამის ნახვა შესაძლებელია მხოლოდ ექვსიდან შვიდის ნახევრამდე)

თოჯინების ომები...ოთახში გაფანტული პლასტმასისა და რეზინის კიდურები, იატაკზე დაყრილი თვალეები...ქერა თოჯინას ცეცხლი უკიდია და აბაზანისკენ მიმავალ გზაზე პატარა-პატარა მწვანე გუბეები ჩნდება...

მორალი: ყველაფერი კოშმარი რომ არ გეგონოს, ხანდახან მართლა კოშმარი უნდა ნახო.

შაბათი - უდროოდ გაკეთებული ბავშვების დღე

პარასკეობით ჩვენ ვქმნით უფალს. შაბათობით კი უფალი გვქმნის ჩვენ. ის იმდენად ლმობიერია, რომ ნაბახუსევ თავებში მილიონობით ახალი იდეა ფეთქდება და გვეწყება თავის ტკივილი. ჩვენ კი არ გვესმის უფლის და ვსვამთ ასპირინს, ან ბორჯომს და ვცდილობთ ამით გავიქროთ ტკივილი, მაგრამ ბოლოს უფალი თავისას აღწევს და ვსვამთ არაყს. ერთი შეხედვით ეს მარტივი სასწაულია, მაგრამ სინამდვილეში ეს მსხვერპლია. შესწიროს უფლის ნებას უკან დასაბრუნებელი გზის ფული ყველას არ შეუძლია...და მე მიყვარს ის, ვინც ჩემთან ერთად იღვიძებს და ფიქრობს თუ რატომ სტიკვა თავი?...შაბათი კვირის დღეებიდან ყველაზე გრძელია და ყველაზე მოსახერხებელი...შაბათობით შენზე ყოველთვის სხვები ზრუნავენ...

შაბათის სიზმარი

ნაცემი ხალხით სავსე ქუჩები. მიტოვებული საგუშაგოები, საიდანაც უკვე გამოუშვეს ნაგაზები, რომლებიც იდეაში ჩვენი უსაფრთხოებისთვის გამოვიგონეთ. პოლიტიკოსები, რომლებიც პათეტიკურ სუტენიორებს უფრო ჰგვანან... „მოლოტოვს“ ვაკეთებ და ვფიქრობ, დავნვა მანქანა, საიდანაც ზაფხულში არავინ მომასხა წყალი. არადა მაშინ ვხმებოდი. ახლა კი გამოსაცვლელიც არ მაქვს. ვფიქრობ... ვფიქრობ... ვფიქრობ... და იმდენს ვფიქრობ, რომ ვბოროტდები... არადა რა ცუდია სიზმარში ამდენი ფიქრი... არადა რა ცუდია ერთი ნეხვის გროვისთვის დანვა მეორე... არადა რა ცუდია არ შეგეძლოს დანვა ორივე ... და ისე ვბოროტდები, რომ ვიძინებ და სიზმარში ვაკვირდები ჩემს ძილს და ისე ვუსმენ ჩემს ფშვინვას, როგორც ბავშვობაში ვუსმენდი ზღაპრებს, რომლებიც ყოველთვის კარგად მთავრდებოდა...

მორალი: პოლიტიკა მავნე სპორტია ჯანმრთელობისთვის, სიზმარშიც კი.

კვირა – გამხდარი დღე

მაქსიმალურად გამოფიტული დღე და მაინც, დანარჩენ დღეებში გაჩენილი იდეების 90 პროცენტს სწორედ კვირას ვფუთავთ. ამიტომაც ხშირად პროდუქტი უხარისხო და სამყარო ასე ცუდად მონყობილი. კვირას კარგია ლოგინიდან ადგომა და კბილების გამოხეხვა. სწორედ ამიტომ დაგვაქვს ჩანთები, რალაციით ხომ უნდა ვატაროთ ჯაგრისები; რალაციით ხომ უნდა დავინყოთ დილა... კვირა უცნაური დღეა. ის არ მთავრდება ღამის თორმეტ საათზე, არამედ, რატომღაც დილის შვიდ საათამდე გრძელდება... არადა, ზუსტად ექვს საათზე ტვინს დიზელი ელევა და აცნობიერებს, რომ გადაინვა; ზუსტად თხუთმეტ წუთში იმასაც ხვდება, რომ სახლში გინდა, აზრი არა აქვს ვინ რას ეძახის სახლს და ვის ვინ ელოდება... მთავარია, გინდა და მორჩა... ათიდან ცხრა შემთხვევეში შვიდ საათზე უკვე თეთრ ოთახში აღარ ვართ და მარადიულ თავის ტკივილთან ერთად სახლებისკენ მივდივართ

კვირაობით სიზმრები არ არსებობენ...

ორშაბათი – სახლის დღე

(შთაგონება საკუთარი თავისთვის, რომელთანაც დიდი ხანია არ მიმეგობრია)

ჩანექი ვანაში და ჩაიტანე შენი დაღლილობა. ჩაიტანე იმ სიღრმემდე, რომ პატარა ბუშტუკად გადაქცეულმა ამბავმა წყლის ზედაპირამდე ვერ ააღწიოს და გასკდეს იმ თვალებთან, რომლებსაც ქლორიან წყალშიც კი ეზარებათ ბოლომდე დახურვა და ჯიუტად აკვირდებიან ფეხის თითებს. აიძულე ისინი, გაიხსენონ, რომ დაიღალე, ძალიან დაიღალე...შემდეგ კი მიიღე შხაპი და ნახევრად შეჭმულ ბუტყერბროტს დაჰპირდი, რომ ამდენი ხნით აღარ მიატოვებ, რომ ბევრს იძინებ და ცოტას ილაპარაკებ...

ტატო გოგოლაძე

ჩარლი

I

გახუნებულმწვანეფრთიანი ჩარლი გამყიდველს თავხედი ბავშვივით, იმ დროს ჩაუფრინდა მუჭში, როცა ფუმფულა რუსი ქალბატონი ჩემ მიერ შერჩეული, უფრო ფერადი, მაგრამ ჭირვეული თუთიყუშის გალიიდან გამოყვანას ამაოდ ცდილობდა. სხვა რა გაენყობოდა, თან რალაციით, მომენონა კიდეც პატარა ფრინველის მოულოდნელი სითამამე და იმ დღიდან ჩემს თამბაქოსფერ ოთახში, ინვალიდ მაგიდაზე დაიდო ბინა. ინვალიდი ტყუილად არ მითქვამს, დიდი ბაბუის ნაქონ მაგიდას, საკმარისზე ახლოს თუ ჩაუვლიდი, გარე მარჯვენა ფეხი, ისე ხმაურიანად ეკვროდა იატაკს, ანც ჩარლის საათობით უკარგავდა მოსვენებას, მე კი გადაჩვეულ ღიმილში მავარჯიშებდა.

მშობლების სახლიდან ცალკე გადასვლის შემდეგ მოსაუბრე მჭირდებოდა, თან ისეთი, ყოველთვის ჩემ ხასიათზე რომ იქნებოდა და ჩარლიც იდეალური კანდიდატი იყო.

ანასტასია ახალ სამსახურში პირველივე დღეს გავიცანი, ისეთი გამოხედვა ჰქონდა, ერთხელაც რომ მოგეკრა თვალი, დღის ბოლოს, ძილის წინ რომელიმე ფრაგმენტში აუცილებლად გაჩნდებოდა მისი სახე, ხელი რომ ჩამოვართვი და საკუთარი თავი წარვუდგინე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთელი ბავშვობა ერთად გაგვეტარებინოს. ფიქრით გატაცებულმა ისე ძლიერად მოვიმწყვდიე მუჭში მისი ფერმკრთალი თითები, ტყვილისგან წარბები და მხრები, ოდნავ ზევით აწია და სანდომიანი ღიმილით ძლივს დაიძვრინა თავი – თქვენ წინა ცხოვრებაში აუცილებლად ინგლისელი იქნებოდით. – ღიმილი სიცილში გადაეზარდა და ყურადღება ოთახში მყოფ სხვა თანამშრომლებსაც გაუნანილა.

გონებას ვძაბავდი, თითქოს სადღაც მენახა და არც, თითქოს ჩემი ილუზიიდან პირდაპირ ოთახში გადმოებიჯებინოს ბავშვობაში ნაოცნებარს.

ჩვენმა მზერამ კიდეც რამდენჯერმე გადაკვეთა ერთმანეთი და მეჩვენებოდა, რომ კავშირი ჩემს გონებასთან ამ დრომდე არ გაენყვიტა.

ჩარლი დღითიდღე უმატებდა ცელქობას, ისეც კი, რომ ზოგჯერ ძველ მაგიდას უკვე თავისითაც უცდებოდა ფეხი და თავს ძლივს იკავებდა, იატაკზე მთელი ტანით რომ არ გაშხლართულიყო.

სულ მალე, არცთუ დიდი გალია საგულდაგულოდ დაზვერა, სუსტი ადგილებიც შეათვალიერა, მეორე საღამოს ზერელედ დახურული კარიდან დრო იხელთა თავის დასაძვრენად და უმალ თავისუფლების ლალი ხმა აღმოხდა სასაცილოდ მოგრეხილი ნისკარტიდან.

ჯერ ერთ კედელს მიენარცხა, მერე საპირისპირო მხარეს შებრუნდა, კუდიდან რამდენიმე ბუმბულიც გაძვრა და ბოლოს აკანკალებული ფეხებით, გულამოვარდნილმა გამჭვირვალე ფარდაზე შეიმაგრა თავი, მე შეგნებულად ყურადღება არ მიმიქცევია, რა იქნება, ცოტა ხნით ესეც დატკებს თავისუფლებით-მეთქი და მშვიდად გავავრძელე წერა, მეორე დღეს გაზეთის რედაქტორისთვის გამზადებული მასალა უნდა მიმეტანა, მაღალჩინოსანთა თანამდებობების მორიგი გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

რედაქციაში ისევ აუტანელი სიცხე იყო, ეს დანყველილი სანიავებელი, ან ვინმეს შევაკეთებინოთ, ან ახლის ფული მაინც ავკრიფოთ, რა არის, ასე როდემდე შეიძლება? – შენუხებული სახით, გოდებასავით აღმოხდა ირმას. მართლაც, ასეთ სიცხეში მუშაობა კი არა, სუნთქვაც შეუძლებელი იყო. მე და იმ დროს ოთახში მყოფი, კიდევ ერთი მამრი უხერხულად შევიმშუშნეთ, ეტყობოდა, არც ის იყო ჩხირკედელაობის დიდი ოსტატი და ორივემ ერთხმად დაეინყეთ, – ჰო, ისე კარგი იქნე... – შემდეგ სიტყვა დამითმო – კარგი იქნებოდა თანხა აგვეკრიფა და ახალი სანიავებელი შეგვეძინა, – ისეთი არადამაჯერებელი ტემბრით დავასრულე სათქმელი, მომეჩვენა თითქოს ჩემ მაგივრად სხვა საუბრობდა.

ამ დროს ბატონი გურამიც შემოვიდა სამუშაო ოთახში და ყველას პირფერი ღიმილი გადაეფინა სახეზე.

– ბატონო გურამ, მერიის პრესსამსახურიდან დარეკეს, ხვალ საღამოს ჩეხი ქველმოქმედი – მაგდალინა სმეშოვა ჩამოდის, უპატრონო მოხუცთა დასახმარებლად და იქნებ სტატია მოგემზადებინათო.

– სტატია, სტატია, თითქოს ბენზინის ფული ჰაერიდან მოდიოდეს, წინა თვეს გაზეთის შემოსავალმა იცით მთლიანად რამდენი შეადგინა?

– აარა?!

– 1247-ლარი, აქედან მგზავრობა, ორი ახალი დიქტოფონი, ინტერნეტი, ტელეფონი, თქვენი ხელფასი და... – გურამმა, სათვალე ცხვირის უკიდურესად ქვედა ნაწილზე ჩამოიწია, რომ ტელევიზორიდან, დიქტორის მონათხრობი დღის ამბები, ყურადღებით მოესმინა. – ნწუ,ნწუ,ნწუ, ხოცავენ ერთმანეთს. – სინანულით გააქნია ჭალარა, შემელოტებული თავი და თავის კაბინეტს მიაშურა.

– ჩვენს 65-ლარს დაუქცევია თურმე მთელი გამომცემლობა, – ვახტანგის მხართან ჩურჩულით ჩაიღიმილა ლამაზთვალეზა დეამ და მხიარულება მიტნარებასავით გადაედო ყველას. მე ისევ მშვიდად, კუთხეში მდგარ მაგიდასთან ვიჯექი და ხმას არ ვილებდი, შორიდან ვაკვირდებოდი მათ მოქმედებას. ახალი ვიყავი და როგორც ჩარლი თავის გალიას, ისე ვზვერავედი ახალ სამსახურს. მარჯვნივ გასასვლელ კართან ამღვრეული ნყლით სავსე აკვარიუმში, ორი საცოდავად გვერდზე გადახრილი, შავთეთრი თევზი დაცურავდა, შემეცოდნენ, მაგრამ არაფერი გამიკეთებია მათ გადასარჩენად, შუაში, უპროპორციოდ საკონფერენციო მაგიდა იყო გაჩხერილი, მის გარშემო რამდენიმე თანამშრომელს ტექსტებში ჰქონდა თავი ჩარგული, ალაგ-ალაგ საღებავგადაცრეცილი კედლებით კი, უსაქმურობისას შესანიშნავად შეიძლებოდა თავი შეგექცია – მაგალითად, თუ შესასვლელიდან მარჯვენა კედელს კარგად დააკვირდებოდი, შეიძლება რემბრანდტის ავტოპორტრეტის მსგავსი ფიგურა დაგენახა და ისე გავდა ეს უკანასკნელი ორიგინალს, რედაქციაში მოსული სტუმრები განცვიფრებას ვერ ფარავდნენ – ვაიმე რა პირობები გააქეთ?! – და მსგავსი ქათინაურების სასწრაფოდ აღსაკვეთად ჩვენი გოგონები უმალ ყავის ფინჯანს ჩრიდნენ მორიგი მსგავსი წინადადების წარმოსათქმელად გახსნილ პირში სტუმარს. დაახლოებით ასეთი იყო გაზეთ "აისის" სამუშაო ოთახი და მასში გამეფებული ტრაგიკომედიული ინტერიერი, სადაც სულ შემთხევვით მოვხვდი.

II

მაგდალინა სმეშოვას მეტისმეტად გულუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა, გაღიმებული სახით უმზერდა გარშემომყოფთ და თითქმის ყველაფერზე ეთანხმებოდა ჰალსტუხნაჭერილ, სვავებივით მოფრიალე რამდენიმე ლიპიანს. შემეცოდა, მას ნამდვილად სჯეროდა, რომ საკუთარი ფონდიდან გამოყოფილი ნახევარი მილიონით, მოხუცთა თავშესაფარს, სასადილო და ახალი საძინებლები შეემატებოდა. საერთო ოთახში გამოფენილ მოხუცებს თვალი რომ გადაავლო ვხედავდი, იმ ნამს მზად იყო ბოლო ცენტრიც კი, გაელო მათთვის და ზუსტად ამ დროს, ჩემმა ზენიტმა ისევ ჭირვეული ხასიათი გამოავლინა, რესპოდენტის ცრემლნარევი თვალების დაფიქსირება ვერ შევძელი. საბედნიეროდ, უკვე მოსწრებული მქონდა რამდენიმე კადრის გადაღება.

მიყვარდა კვირა დღე, რედაქციაში მხოლოდ მე და მძლოლი ვისხედით, მშვიდად შემეძლო საქმეზე ფიქრი, სტატია მალე დავამთავრე, ხასიათი ისედაც სავესე მქონდა სენტიმენტალური ნაფლეთებით, თან გონებაში ჩარჩენილი, კეთილშობილი, ჩეხი ქალბატონის გამოხედვა, მზა წინადადებებს მოარბენინებდა ყოველ 9-ნაშში. მხოლოდ ანასტასია მაკლდა, ერთი კვირა იყო არ მენახა, დედა გახდომოდა ავად და საავადმყოფოში ედგა თავს. სალამოს, სამსახურიდან სახლში დაბრუნებისას, დიდი მონდომებით ვცდილობდი სამარშრუტოდან ნესტიანი პალატების ფანჯრებზე დაკვირვებას, იქნებ რამდენიმე წამით მაინც შევნიშნო მეთქი, მაგრამ მძლოლებს, სწორედ ამ ადგილზე უყვარდათ ავტომობილის სწრაფად გაქროლება.

ჩარლიმ იმ დღეს პირველი სიტყვა თქვა. რრრანდაბა, სავარაუდოდ – ჯანდაბას მისეული ინტერპრეტაცია უნდა ყოფილიყო, იმ დროს ოთახში მე და ბექა ვისხედით, ჭადრაკის თამაშს სწრაფად შევეშვიტ და ორივემ გალიასთან მივირბინეთ, ჩარლი კუთხეში მიიყუყა და საცოდავად გაფარჩხულმა ფეხებმა, სასაცილოდ დაუნყო კანკალი. – მაგარი კაცია. – ღიმილით ჩაილაპარაკა ბექამ და ჭადრაკს მივუბრუნდით. ის ჩემი ერთადერთი ამხანაგი იყო. ბევრი არაფერი გვექონდა საერთო, უბრალოდ, ორივეს გვიყვარდა ჭადრაკი და ლუდი, მას ყველაზე მსხვილი წარბები ქონდა ჩემს ნაცნობ ადამიანებს შორის, მის ქვევით კი, ისეთი საცოდავი გამოხედვა, ზედინედ რამდენიმე წუთი რომ დაკვირვებოდი ტირილი მოგინდებოდა. სულ თავის გარდაცვლილი მამის საგმირო ისტორიებს ყვებოდა, მეც მთელი საღამო მშვიდი და თანამგრძნობი გამომეტყველებით შემეძლო მოსმენა. მიხაროდა, რომ მას უხაროდა როცა ასე უსმენდნენ.

დილით კინალამ კარი ჩამოიღეს, ისე აკაკუნებდნენ, ნახევრად შიშველი სხეული კარს ამოვაფარე და დაზაფრული სახით, გაკვირვებულმა ავათვალიერე ვარდისფერსარაფნიანი გოგო, მხრებზე ტალღოვანი თმა რომ ჩამოშლოდა. გაღიმებულმა ხილით სავესე თეფში გამომინოდა, – აქ მგონი მარტო ცხოვრობთ, თუ რამე დაგჭირდება, ნუ მოგერიდება, მოგვიკაკუნე, დაგეზმარებით. – როცა გამოვერკვიე და მადლობის გადახდა დავაპირე, ჩემს მოპირდაპირედ, მისმა ღიმილმა კიდევ ერთხელ გაიღვრა და შავი რკინის კარი სწრაფად დაიხურა. თითქმის ყველა სახის ხილი იყო ატმის გარდა, – არადა, ბავშვობიდან.. სამზარეულოს მაგიდაზე ჩამოყრდნობილს ისევ ჩამთვლიდა, თვალი რომ გავახილე უკვე თერთმეტი ხდებოდა, პიჯაკი სწრაფად გადავიც-

ვი, ფეხსაცმელებში ვარაუდით გაუფყარე ტერფები, ჩარლიმ ისევ სასაცილოდ დაიწყო – რრრრანდაბა, რრრრანდაბა.. და კართან ხელის ფათურით ქამრის ძებნა რომ დაეიწყე, მხოლოდ მაშინ შევნიშნე, შარვლის ჩაცმა დამვიწყებოდა.

ბატონი გურამი მაინდამაინც მაშინ დამხვდა სამუშაო ოთახში, ირმამ და დეამ ჯერ მე, მერე გურამს, შემდეგ ერთმანეთს გადახედეს, ალბათ ძალიან სულელური გამომეტყველება მქონდა იმ დროს, საშინლად არ მიყვარდა, როცა ყურადღების ცენტრში შენიშვნის მიღების გამო ვხვდებოდი, ტყუილიც არ შემეძლო, გურამს გაეღიმა და თავის ოთახს უსიტყვოდ მიაშურა. – ჯანდაბა! – საყვარელ ადგილზე მოწყვეტით დავემვი და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე ანასტასია, ოთახის კუთხეში დივანზე, დაფიქრებული სახით “რემბრანდტს” მიშტერებოდა, თავიდან ადგომა და ახლოდან მისალმება დავაპირე, მერე გადავიფიქრე, ისე იყო ფიქრში გართული, შეიძლება სულელურ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი. დეამ და ირმამ ახლა ამაზე დაიწყეს თვალებით ჩურჩული, გამეღიმა, არაფერია იმაზე სასაცილო, ადამიანი ინტერესით წაგრძელებული ცხვირის, სხვის ცხოვრებაში შეჩრას რომ ცდილობს. როცა ნასტია რეალობას დაუბრუნდა, ჩემკენ წამოვიდა, ვიფიქრე მაგრად მოვეხვევი და დიდხანს არ გავუშვებ მეთქი, რეალურად კი, ნორმალურად თითქმის არც მიკოცნია.

– დედა ხომ უკეთ არის?

– არაუშავს, გმადლობ ყურადღებისთვის.

მალე ოთახში ბატონი გურამიც შემოვიდა და თავის კაბინეტში გამიხმო.

– სტატით კმაყოფილი ვარ, თუ ასე გააგრძელებ მალე ალბათ შტატში ჩაგვამ, კარგი სტილი გაქვს, რომ მოინდომო, ალბათ გამოვა შენგან რალაც... – ეს სიტყვები ისე მითხრა არც შემოუხედავს, მერე ტელეფონის ყურმილს დანვდა და საქმიანი გამომეტყველებით დაიწყო საუბარი, მადლობა გადავუხადე და ოთახი სწრაფად დავტოვე.

III

ანასტასია გვერდით უხმოდ მომყვებოდა, დაღლილი სახე ქონდა, დროდადრო ჭადრებს ისე უყურებდა, თითქოს დიდი ხნის უნახავ ნაცნობს შეხვედროდეს, მეჩვენებოდა, რომ იმ წამს ქუჩაში მხოლოდ ჩვენ და ჭადრები ვიყავით, შემდეგ ძალიან დაბალი ტემპრით მკითხა – თითები ყო-

ველთვის რატომ გითრთის? – არ ვიცოდი რა მეპასუხა, ხელები უნებლიეთ ჯიბისკენ წავიღე და უხერხულად ავინურე მხრებში. ნასტიამ გამიღიმა და ლოყაზე მაკოცა, როცა ილიმოდა თვალები კიდევე უფრო სევდიანი უხდებოდა, მერე ნაბიჯს მოუმატა, ბოლოს სალამოს ბინდში ჩემს წინ მხოლოდ თხელ სილუეტს ვხედავდი, ყოველი მომდევნო ნაბიჯის გადადგმისას მწკრივად ჩალაგებულ ჭადრებს ხელით როგორ ეხებოდა, არ გავდევნებოვარ, იმ წამს მეც იგივეს ვგრძნობდი.

ქიაჩელის №7,

№8,

№9 – ტოტებს შორის ლამპიონებით განათებული აბრები კრთოდნენ. ქუჩის ბოლოს კუთხესთან გაუნძრევლად იდგა, თხელი თმა თითქმის მთლიანად უფარავდა სახეს.

– დღეს იწვიმებს? – თავი არ აუნევი ისე მკითხა.

– არ მინდა გული დაგწყდეს, მაგრამ შეხედე რამხელა მთვარეა, რამდენი ვარსკვლავი, თუ სასწაული არ მოხდა ვერაფრით იწვიმებს.

– მე უფრო კეთილი მეგონე, ხომ შეიძლებოდა ამხელა წინადადება არ გაეთქვა და უბრალოდ, ერთი სიტყვით იმედი მოგეცა, რომ დავლოდებოდი.

– ასეთი ლოდინი რა სარგებელს მოგიტანს?!

თმა გაისწორა და ისევ წელი ნაბიჯით გავაგრძელეთ გზა, მოულოდნელად გამომეტყველება შეეცვალა, გაჩერდა და ისე მომეკრა სხეულზე ხელები არ მოუხვევია.

– შეგიძლია ერთი დღე და ორი ღამე მაჩუქო?

– მხოლოდ ერთი დღე და ორი ღამე? – განანწყენებულმა შეხედე.

– ჰო, ერთი დღე და ორი ღამე.

– რას გულისხმობ?

– ზამთარში ზღვა გინახავს?

– კი.

– მე ზამთარში არასოდეს, ძალიან მინდა ვნახო. იცი? ჩემს ოთახში ღამით მატარებლის ხმა ისმის, ჰოდა, გუშინ ვფიქრობდი: რა იქნება ახლა ჩვენც რომ იქ ვისხდეთ და სანაპიროსკენ მივდიოდეთ მეთქი. მთელი ღამე მესიზმრებოდა.

– წავიდეთ, აუცილებლად წავიდეთ.

– ოღონდ მხოლოდ ერთი დღე დავრჩეთ, ღამით ისევ მატარებლით დავბრუნდეთ უკან. გიყვარს მატარებლით მგზავრობა? – სახეგაბრწყინებული გატაცებით საუბრობდა, აღარ გავდა წელანდელ ნასტიას, ასეთს პირველად ვხედავდი, ბავშვივით წრფელი და მეოცნებე თვალები გაუხდა.

– კი, მატარებლით მგზავრობა მიყვარს, მაგრამ ახლა ხომ ზაფხულია?

– ვიცი! 9 თებერვალს ღამით რომ წავიდეთ, შეძლებ? – გამომცდელი გამომეტყველებით ამომხედა, თავი ველარ შევიკავე და შეშლილივით ამიტყდა სიცილი, მერე ნასტიაც ამყვა და რამდენიმე წუთს უზომოდ ბედნიერად ვგრძნობდით თავს.

სახლში გვიან დავბრუნდი კარის გაღების ხმაზე სადარბაზოში ვარდისფერსარაფნიანიც გამოვიდა. სანამ ვფიქრობდი – რა უნდა, მაინდამაინც მე რატომ გადამეკიდა, თან შავგრემანი მანდილოსნები არასოდეს მიზიდავდნენ, მითუმეტეს ახლა როცა ნასტია... – ფინჯანი ჩაით გამასპინძლებაზე დამითანხმა.

დაბინდული ფერებით განყობილი ოთახი გოგოსაც იდუმალ იერს აძლევდა. სამზარეულოდან სამოვარი გამოიტანა და ფინჯნებში ფრთხილად დაასხა, მერე დაბალ მაგიდას და ჩემს შორის მოხდენილად გააძვრინა სხეული და დივანზე ჩემს მარჯვენე მოთავსდა, ქალის ასეთ საქციელზე ყოველთვის სულელურად ეღიმიებოდა ბექას და იმ წამს მეც ძალიან ვეცადე მსგავსად გამღიმიებოდა, ბექას ხომ არასოდეს არაფერი გამოსდიოდა ქალებთან სწორედ ამ ღიმილის გამო. – არ გამოვიდა... რამდენიმე წუთში ვარდისფერსარაფნიანმა ისე ახლოს მოინია ჩემთან, მისი სუნთქვა ყურთან უკვე რამდენიმე მილიმეტრის დაშორებით მესმოდა. თუ ვაჟკაცი ხარ, ასეთ ვითარებაში ღირსება, ან უნდა შეგეღაბოს, ან უნდა..

კარი რომ შევადე ჩარლი სიხარულისგან შეშლილივით აწყდებოდა გალიას, ოთახში სინათლე ავანთე და გარეთ გამოვუშევი, ერთ ხანს წრეზე იფრინა მერე დაიღალა და სანერ მაგიდაზე დაჯდა.

– ჩარლი შეგიძლია თქვა, ანასტასია?..

–

– ჩარლი თქვი რა, ნასტია.

– ჩარრრრლიი, ჩარრლიი, რრრანდაბა...

– ეეჰ, სულელი ხარ.

– ხარრრ.

– მართლა სულელი ხარრ – არ გენყინოს, მეც.

იმ ღამით საშინელი კოშმარის რამდენიმე სერია მესიზმრა, ნასტიას სხეულს ვარდისფერსარაფნიანის თავი ედგა, ხან პირიქით, თვალები არაადამიანურად უფართოვდებოდათ და შემდეგ ისევ უწერილდებოდათ, ყველაფერი კოსმიური ხმების ფონზე ხდებოდა, ვიცოდი რომ სიზმარი იყო, მაგრამ სხეული ვერაფრით გამოვძალე უცხო სივრციდან მოსულ სტუმრებს.

IV

საფეხურებზე შეშლილივით ჩარბოდა, მეც მივდევდი, ნამითაც არ მომსვლია აზრად, ვინმეს რომ დავენახეთ, რას იფიქრებდა. ხმამალალი სიცილი რამდენიმე სართულით დაბლა მესმოდა და კიდევ უფრო ქვევით მიინევდა, ალბათ უკვე გასასვლელთანაა მე კი, ორი სართული კიდევ უნდა ჩამველო, რამდენიმე საფეხურს ერთად ვეველებოდი, – ნეტა არ გამასწროს, – სიჩქარეში საკუთარი სუნთქვა ოდნავ წინ მისწრებდა, ზოგჯერ უკან მრჩებოდა.

ქუჩაში აღარ ჩანდა, ბავშვური შეგძნებისგან გაბრწყინებული გამომეტყველება სწრაფად შემეცვალა, პიჯაკი მოვინესრიგე და მშვიდი ნაბიჯით გაუაზრებლად გავუყევი ტროტუარს.

ბექამ თავის გვერდმომსხვრეული ოცდაერთი, მკვეთრი მუხრუჭით პირდაპირ ფეხებთან გამიჩერა.

– ჩქარა ჩქარა მიადგი – ხმამალლა ვიცინოდით, შუქნიშნის ბოძიც კი მწვანედ ანათებდა,

– აბა რომელშია ხედავ?

– მიადგი, მიადგი ჩქარა. არა, არც აქ არის. – თანმიმდევრობით ვიტოვებდით უკან სამარშრუტოებს. სარკმლიდან ლამის მთელი ტანით გავძვერი. ანასტასიას სახეს, გაკვირვებისგან ფანჯრებზე მიტმასნილ მგზავრებს შორის, უშედეგოდ ვეძებდი.

– ვხედავ, ვხედავ, ჩქარა გაასწარი, სადმე წინ გამიჩერე. – ნასტიას თვალები გაუბრწყინდა შავი, ხოჭოს მსგავსი ჯაბახანიდან, ხელებს გადარეულივით ვუქნევდი. თავი ოდნავ უკან გადახარა და ისევ უცნაურად გაეცინა, მერე თვალები ისეთი გაუხდა აქამდე მხოლოდ მძაფრსიუყეტიან ფილმებში რომ მენახა, ორივე ხელით რალაცას მანიშნებდა.

– არ ნავალ, არა, ძლივს დაგენიე. – ბგერები ჰაერში იკარგებოდა და საკუთარი ხმა თავადაც აღარ მესმოდა. – ხელისგულები სარკმელზე ააბრაზუნა, პირველად ვხედავდი ასეთს. სატვირთოს საყვირმა დაიგვიანა, თვალები მთლიანად ავესო ცრემლით.

შეშლილი სახით მიიღობინა სხეულთან, სისხლით სახედასვრილი ბექა თვალებზე ხელს აფარებდა,

– მე დაგენიე! – როგორ მინდოდა მხოლოდ ამის თქმა მაინც მომესწრო და ერთხელ კიდევ გალიმებოდა.

V

გალიაში ვერაფრით მოისვენა, რამდენიმე საათი ცდილობდა კარის გახსნას, ვერ ვეხმარებოდი, ნევრულად იმეორებდა – ჩარრრლი, რრრანდაბა. ნისკარტი უხერხულად გაეჭედა ნახევრადღია გამოსასვლელში, ერთხანს ასე იყო, ფრთებით და ორივე ფეხით ეწვალა უკან შებრუნებას, დიდხანს ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ბოლოს აღარ განძრეულა.

მოსაღმრედა სინათლეს ვერ ავანთე, აუტანელი იყო პირველი საღამო, მესმოდა ვარდისფერსარაფნიანმა რამდენჯერმე როგორ გაალო მძიმე რკინის კარი, ტელეფონმა დარეკა, ხვალ ალბათ ყველა გაიგებს. სარკმლიდან ელექტრონის შუქზე დილაამდე ვუყურე წვიმას. გამთენიისას ბეჭა შემოვიდა დაბნეული სახით, უჯრებში რალაცის ძებნა დაიწყო, სურათების ალბომიდან რამდენიმე ფოტო ამოაძვრინა, ცრემლნარევი სახით ჯიბისკენ წაიღო. სამზარეულოში გავიდა, წყალი პირდაპირ ონკანიდან დალია, ცოტა ხნით თავიც შეუშვირა, მერე გალიას ხელი დაავლო და კარი გაიხურა.

VI

თხელი ნაბლისფერი თმა მხრებზე ჩამოშლოდა, თვალები შავად შეეღება – ისე, მე რომ მიყვარდა, ვიცოდი რომ მოვიდოდა. ბაქანზე ველოდი. ძალიან წელი ნაბიჯით მოძრაობდა, გამოხედვა ისევ სამარშრუტოს სარკმლიდან მომზირალს მიუგავდა, თითქოს მეძებდა მგზავრებს შორის. მის მოპირდაპირედ ვიდექი.

თბილად გაელიმა, გრძელი შავი პლაშის ბოლო მონყალების მთხოვნელმა, ძალიან თხლად ჩაცმულმა, სიცვიისგან მხმრებანურულმა ბოშამ მოქაჩა – დეიდა დამეხმარე, დეიდა, შენ ძალიან ბედნიერი იქნები, კარგი ბედი შეგხვდება დეიდა. – გახარებულმა ქალადის ფული ხარბად წაიღო ჯიბისკენ, შემდეგ დაძმებისკენ ქურდულად გააპარა თებერელის ღამესავით შავი თვალები.

– მატარებელი N-732, რეისით თბილისი-ბათუმი გადის მეორე ლიანდაგიდან.

ციოდა, მგზავრებმა ნაბიჯს აუჩქარეს, ნასტიამ რამდენჯერმე ისევ მოავლო თვალი ბაქანს, მერე სწრაფად ააბიჯა მატარებელში.

– ვიცი, რომ აქ ხარ.

სარჩევი

პოეზია

შალვა ბაკურაძე	
სალვთომან ნისლმან	5
ეკა ქვეანიშვილი	
გოგონებისთვის	6
ალექსა ჩილვინაძე	
ხესთან იდენტობის გაცნობიერების პროცესი.....	10
ქეთი თუთბერიძე	
პიანინო ანუ რიტუალი არიელისთვის	12
თამთა დოლიძე	
თუ	14
ბელა ჩეკურიშვილი	
ღია ბარათი, ანუ, მე ვხედავ დედას	15
სალომე შენგელიძე	
„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“.....	17
რეზო გეთიაშვილი	
ზღვის პოემა.....	23
თეა თოფურია	
ნასვლა დაიწყო.....	25
კოკა არჩვაძე	
კეთროვანთა	30
ნინო სადღობელაშვილი	
სახედარი	33
ზურა ჯიშკარიანი	
ავტოსაგზაო მოძრაობის წესები.....	36
სანდრო ლორთქიფანიძე	
ცათამბჯენები	37
პაატა შამუგია	
მომხდართა ლოცვა	39
ინგა ანდლულაძე	
დამემატე	41
ნინო თარხნიშვილი	

ნინო თარხნიშვილი	
ქაბულში, ყვავილების ქუჩაზე	45
გურამ მეგრელიშვილი	
ჯვარცმობანა.....	55
მარიანა ნანობაშვილი	
ჩემი მომავალი მკვლელი.....	67
კოკა არჩვაძე	
თავგასების საიდუმლო ცხოვრება.....	76
დათა ფირცხალავა	
კროსვორდი	82
ნესტან-ნენე კვინიკაძე	
დევეები მთებში წვანან	90
გურამ ნავროზაშვილი	
უნივერსალური სალენი-სადრესელა MO-700	94
ჯუბა ზარქუა	
ზაზუნას თვითმკვლელობა	108
რატი რატიანი	
Bravo Pour Le Clown.....	119
ალეკო ცქიტიშვილი	
შემჩნეული შეცდომების გასწორება.....	138
ბესო ხვედელიძე	
ყვითელი ზოლი	151
დათო გაბუნია	
ბერავი	163
თამთა მელაშვილი	
სხვა ფერი.....	175
მიშა ბახსოლიანი	
რეალური სიზმრები.....	180
ტატო გოგოლაძე	
ჩარლი	189